www.kvirispalitra.ge

კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზ

№10 (970) ◆ 4 — 10 მარტი, 2013 წ. ფასი 1 ლარი

„კვირის პალიტრის“ ამ ნომერთან ერთად!

კაცობრიობის ისტორიის უდიდესი საიდუმლოებანი 10 ტომად

ვლად დრაკულა
ჯეკ მფატრავი

X ტომი

წიგნის სპეციალური ფასი 9 ლარი

გაზეთთან ერთად 10 ლარი

მხოლოდ „პალიტრის“ მკითხველისთვის

იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან

ველით! ისევ ველით აზდაკს!..

მართლმსაჯულება თავის ბოროტ ზრახვებს ღია ცის ქვეშ ვერსად დამალავს, ქარი კალთას აუფრიალებს და ყველანი დაინახავენ...

„მშვენიერი დარია, წამო, ვითევზაოთო, – უთხრა მეთევზემ ჭიაყელას“

„ჩემი თავის პატრონი მე ვარო, – თქვა მონამ და ფეხი მოიჭრა“ – ეგეც უკუღმა გაგებული თავისუფლების ხიბლი და გემო!

გვ.39

შერყვნილი სამართალი აუცილებლად მოიტანს ბრბოს სამართალს!

მინდია უგრეხელიძე: – რამდენჯერ მოვიკლა თავი მისი გაზრდისთვის



...თუ ეს ამბავი დამტკიცდა, უზენაესი სასამართლო ძალიან დიდ სკანდალში გაეხვევა...

ასეთ სიტუაციაში მართლმსაჯულებასა და სამართლიანობაზე ლაპარაკი უბრალოდ სისულელეა

„27 წელია, რაც სევდიასთან უშუალო შეხვედრის და მასთან აზრთა გაცვლა-გამოცვლის პატივი არ მქონია“ გვ.5

ყველაფერი დასწრებაზეა

„მათ შორის საერთო ენის გამონახვა შეუძლებელია“ გვ.3,13,31

კახა კახიშვილი: „ვერ დავიჯერებ, რომ მიხეილ სააკაშვილი დაცვის გარეშე დადის“

„ეკა ხერხეულიძის სახლიდან სუბოტექსი ამოიღეს“(!)

პროკურატურაში საპატრულო პოლიციას ვკურირებდი და ყველა ინფორმაცია ჩემთან იყრიდა თავს. იმდენი რამე ვიცი, ვერც კი წარმოიდგენთ



„თინა ბურჯალიანის ძმისთვის დაკისრებული ჯარიმა პროკურორებს გადაახდევინეს“

„ადეიშვილს მივწერე, ჩემს ოჯახს არ შეეხო, შე ვირთხა-მეთქი...“ გვ.6

მგლების ხროვამ 10 წლის ბიჭი დაგლიჯა გვ.19

დედამ შვილის ძებნა მას შემდეგ დაიწყო, რაც ბიჭუნამ ძმა სოფლის ბოლოში გააცილა...

რატომ ეძახიან ზურაბ ადეიშვილის მამას „ყვარლის ფაშას“

გვ.11

„სემირამიდას ბაღები გურჯი ხათუნისთვის“

როგორი აპარტამენტების აშენებას აპირებდა თავისთვის კალმახელიძე?!

გვ.8

„პრეზიდენტს არ უნდა, რომ ჩავიხედოთ იმ ხარჯებში, რაც სახელმწიფო დაცვის სამსახურს ჰქონდა“

სურნელოვანი ტყუილი თუ პარფიუმერიული თაღლითობა?

„ეს საჩუქარი კი არა, მომხმარებლის დაცინვაა“

გვ.14

სავიტრინე „ნაგავს“ ფასდაკლების აქციის სახით გვაპარებენ?!

ნახეთ! გაზაფხულიდან გრანდიოზული პრემიერა პალიტრაTV-ზე გვ.29

PALITRATV

უახლესი ტექნოლოგიებით შექმნილი სერიალი „ეზელი“ – სპეციალურად ჩვენი მაყურებლისთვის

სერია №6

ამოჭერით

ლურჯი მონეტა

სერია ძალაშია 2013 წლის 30 აპრილის ჩათვლით

თქვენ გამოვნეებიანი მკითხველი ბრძანდებით!

„უნდა ვალიარებთ ვეცდომებს“

გარდაბნისა და მარტყოფის მიტროპოლიტმა, პატრიარქის ქორეპისკოპოსმა იაკობმა ქადაგებისას ბრძანა, რომ საქართველო სულ განსაცდელის წინაშეა და მადლობა ღმერთს, ხშირად ამ განსაცდელებს ღირსეულად ვაღწევთ თავს. „ჩვენი ქვეყნის ხსნა ჩვენივე თავშია. აუცილებელია შეხმატკბილება. უნდა გვეყოს ვაჟკაცობა, ვაღიაროთ შეცდომები და განვლილი ცხოვრება გამოვასწოროთ. ყოველთვის კარგს ვერ გააკეთებ. თუმცა, ვისაც სწორად ცხოვრება სურს, უნდა მიეცეს საშუალება, თავის ქვეყანაში იცხოვროს და იყოს საკუთარი ქვეყნის ღირსეული შვილი. უფალმა გადაწყვიტა, რომ საქართველოს ეყო ამდენი უბედურება და დაგვაყენა ისეთ გზაზე, რომ ხალხმა ცოტა შვება ნახოს. ამას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს. გარეთ ერთმანეთზე ცუდის ლაპარაკი და დაბეზღება სწორი არ არის. მაბეზღარები ჩვენვე არ გვიყვარს და უცხოეთში ვის ვეყვარებით. ამიტომ უნდა დავფიქრდეთ, რას ვაკეთებთ“, — ბრძანა მეუფე იაკობმა (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

ივანიშვილს ულტიმატუმი

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიმართა და მოსთხოვა, დააფიქსიროს, უარს ამბობს თუ არა კონსტიტუციურ დიქტატურაზე და უჭერს თუ არა მხარს პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის აკრძალვას. „მინდა, როგორმე ღირსეული გამოსავალი ვიპოვოთ, ზედმეტი დანაკარგის გარეშე გავუმკლავდეთ წარსულს და მთელი ენერგია მომავალს მოვახმაროთ. ამიტომ ვწვალობ ამდენს და ვცდილობ, დაგანახოთ გამოსავალი, რომელიც გახსნიდა გზას ყველა სხვა პრობლემის ცივილიზებულად მოგვარებისკენ“, — ნათქვამია ივანიშვილის მიმართვაში. ამასთან, პრემიერი აღნიშნავს, რომ კანონი ყველასთვის კანონად დარჩება და „ნაციონალებისგან“ გათავისუფლებული სასამართლო უდანაშაულოს თავისუფლების გარანტიას მისცემს, ხოლო დამნაშავეს — სასჯელის. „პირადად მე, სანამ პოლიტიკაში ვარ, მაქსიმალურად შევიკავებ თავს საკუთარი შეფასებებისგან, მაგრამ როდესაც კვლავ საზოგადოების რიგითი წევრი გავხდები (არცთუ შორეულ მომავალში), ყველაფერს ვიღონებ იმისათვის, რომ საზოგადოებას არც ვინმეს შეფასება გადაავიწყდეს და არც დაფასება“, — აცხადებს ივანიშვილი. პრეზიდენტს პრემიერის მიმართვაზე პასუხი არ გაუცია (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

შარი დაცვაზე?!

პრეზიდენტმა დაცვის სამსახურით სარგებლობაზე უარი თქვა. სააკაშვილმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც პრემიერმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი თემურ ჯანაშია თანამდებობიდან გაათავისუფლა და მის მაგივრად თავისი დაცვის ყოფილი უფროსი, ანზორ ჩუბინიძე დანიშნა. სააკაშვილის თანაგუნდელები აცხადებენ, რომ ახალი ხელისუფლება დაცვის თემით ვაჭრობდა და პრეზიდენტის საკონსტიტუციო ცვლილებებზე დათანხმებას ცდილობდა. თუმცა

ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, სააკაშვილი სულ მცირე 1000-კაციან დაცვის სამსახურს ითხოვდა და 350-კაციანი „არ ჰყოფნიდა“. სააკაშვილი თბილისის ქუჩებში ლურჯი „ნისანის“ ელექტრომობილით გადაადგილდება, რომლის საჭესთანაც თავად ზის. თუმცა დაცვის ესკორტი პრეზიდენტის მოძრაობის მიმდებარე ტერიტორიას მაინც აკონტროლებს (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

საკანდალური განცხადებები

გასულ კვირას პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე სკანდალური განცხადება გააკეთა. მან ჯერ განაცხადა, რომ ქართული ბანკების ყიდვას რუსული ფინანსური ინსტიტუტები აპირებენ, მათ შორის „სბერბანკი“, „ალფა ბანკი“ და „გაზპრომბანკი“. სააკაშვილის ამ განცხადებას საბანკო სექტორში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ბანკებმა რაიმე მოლაპარაკება უარყვეს, ექსპერტებმა კი პრეზიდენტს მოუწოდეს, საბანკო სექტორის თაობაზე გადაუმოწმებელი და უსაფუძვლო განცხადებები არ გააკეთოს. აზერბაიჯანში ვიზიტის შემდეგ პრეზიდენტმა ბრძანა, რომ რუსეთში შეიქმნა დიასპორა გარდაბნელი, ვინმე სადიკოვის მეთაურობით. სააკაშვილის თქმით, მათი მიზანია, იმავე სცენარით ბრძოლა ილჰამ ალიევთან, როგორც საქართველოში ოქტომბრის არჩევნებზე მოხდა. მისივე თქმით, სადიკოვის ერთ-ერთი მიზანი საქართველოში აზერბაიჯანელთა ავტონომიისთვის ბრძოლაა. ახალი ხელისუფლების წევრებმა და ექსპერტებმა სააკაშვილი უპასუხისმგებლო განცხადებებში დაადანაშაულეს (ვრცლად იხ. გვ. 12).

ქუგლაშვილს გადააყენებენ?

პარლამენტის წევრმა ეკა ბესელიამ არ გამორიცხა, რომ მოსამართლეთა საქმეების შესწავლის შემდეგ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს. გამოძიება ორი მოსამართლის საქმეს სწავლობს, რომლებსაც, არსებული ინფორმაციით, უმაღლესი იურიდიული განათლება არა აქვთ. საპარლამენტო უმრავლესობის წევრების აზრით, თუ დადასტურდა, რომ უდიპლომო მოსამართლეების შესახებ კუბლაშვილმა იცოდა, არ არის გამორიცხული, მისი იმპიჩმენტის საკითხი დადგეს. თავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იმპიჩმენტის შესაძლებლობას აბსურდულს უწოდებს და აცხადებს, რომ ზემოხსენებულ ორ მოსამართლეს ნამდვილად აქვს იურიდიული განათლება (ვრცლად იხ. გვ. 13, 31).

„სასამართლოსგან სირთულეები გვაქვს“

შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, სასამართლო გაუგონარ სირთულეებს ქმნის. ღარიბაშვილმა დედაქალაქის მერის, გიგი უგულავას საქმე გაიხსენა და აღნიშნა, რომ მერთან დაკავშირებული ეპიზოდები მტკიცებულებებით გამყარებული იყო, მაგრამ სასამართლომ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო, — ბრალდების არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. „ყაჩაღობაზე დავიჭირეთ პირი, ნიღბით, ავტომატით, სასამართლომ კი 5.000-ლარიანი გირაოთი გაუშვა. ეს კატასტროფაა. ისინი წახალისებას უკეთებენ კრიმინალს. ეს არ არის სასამართლო, მაგრამ ჩვენ ამას მალე გამოვასწორებთ“, — აღნიშნა ღარიბაშვილმა (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

გიზნესტერორის ფაქტები

მთავარი პროკურატურა ყოფილი ხელისუფლების მიერ ბიზნესის შევიწროების კონკრეტულ ფაქტებზე საუბრობს. რაბათის ციხის მშენებლობასთან დაკავშირებული გამოძიების ფარგლებში სამართალდამცველებმა საინტერესო ფაქტებს მიაკვლიეს. კერძოდ, ახალციხის რაიონის სოფელ აწყურში 14.400 ლარად შეფასებული მეცხოველეობის კომპლექსი შპს „ჯორჯიან ინვესტმა“, რომლის დირექტორი ჯუანშერ მანშია იმ დროს გლდანის ციხეში იჯდა, 4 მლნ 949 ათას 500 ლარად შეიძინა. სოფელ ტატანისში 11 ათას ლარად შეფასებული კულტურის სახლი ფიზიკურ პირს, ეფრაიმ გურს 409.200 ლარად შეუძენია, ხოლო ჭვინთაში 8 ათასად შეფასებული ბიბლიოთეკა — შპს „ბემონს“ მილიონ 900 ათას ლარად. პროკურატურის ცნობით, აუქციონში მონაწილეები აცხადებენ, რომ მათზე ზეწოლას ახდენდნენ.

საკანდალი „საზოგაუწყებელში“

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი ბარათაშვილმა საინფორმაციო სამსახურის უფროსი ხათუნა ბერძენიშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ხათუნა ბერძენიშვილი თანამდებობიდან გათავისუფლებას მაუწყებლის ეთერში იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განათლებასთან დაკავშირებულ რეპორტაჟს უკავშირებს.

მისივე თქმით, არხის ხელმძღვანელს გიორგი ბარათაშვილს სურდა, რომ კახეთში სტიქიით დაზარალებულთა კომპენსაციის თემა და პრემიერის ბრიფინგები მხოლოდ პოზიტიურად გაშუქებულიყო.

ბერძენიშვილმა ჟურნალისტებს შეახსენა, რომ ბარათაშვილი ირაკლი ტრიპოლსკის ნათესავია. საპასუხოდ, ბარათაშვილმა ბერძენიშვილი სიცრუეში დაადანაშაულა და მისი გათავისუფლების მიზეზად სამეთვალყურეო საბჭოს 4 თებერვლის გადაწყვეტილებით საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობის გაუქმება დაასახელა (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

შესაძლოა, საპიზო რექიმი შეცვალონ

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძე პრაღაში რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელს გრიგორი კარასინს შეხვდა. როგორც შეხვედრის შემდეგ აბაშიძემ განაცხადა, რუსული მხარე საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემსუბუქების საკითხს განიხილავს. მისივე თქმით, შეხვედრაზე საქართველოსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის ახალ სფეროებად მეცნიერება და ჯანდაცვა მოინიშნა. აბაშიძის ცნობით, სავაჭრო ურთიერთობის აღსადგენად გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა სატრანსპორტო კავშირების აღსადგენად, კერძოდ, რეგულარული საავიაციო რეისების, ასევე, სატვირთო საავტომობილო მიმოსვლის განახლებისთვის.

რეზოლუცია ჩავარდა

საქართველოსა და ევროპარლამენტს ერთობლივი დოკუმენტი უნდა მიეღოთ, თუმცა რეზოლუცია იმის გამო ჩავარდა, რომ თავად ქართულმა დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ როგორც „ქართული ოცნების“, ისე „ნაციონალების“ წევრები, დოკუმენტის შინაარსზე შეთანხმება ვერ შეძლო. კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განმარტებით, რეზოლუციის პროექტში სააკაშვილის წარმომადგენლებმა მოინდომეს იმის ჩაწერა, თითქოს საქართველოში დეპუტატებზე ზეწოლაა, რაც მიუღებელია. „თუმცა ამ საკითხის იქამდე მიყვანა, რომ საქართველო ევროკავშირში ვეღარ შევა, წარმოუდგენელია“, — აღნიშნა უსუფაშვილმა.

გურჯანაძე დაჰკითხეს

პროკურატურაში „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე 26 მაისის მოვლენების საქმეზე მოწმედ დაიკითხა. როგორც დაკითხვის შემდეგ ბურჯანაძემ განაცხადა, ყველა ეპიზოდს, განსაკუთრებით ადამიანის დაღუპვისა და დასახიჩრების ფაქტებს, ძირფესვიანად გამოიძიებენ. მისი შეფასებით, 26 მაისს აქცია კი არ დაშალეს, არამედ ჩატარდა ორგანიზებული სისხლიანი ოპერაცია, რასაც წინასწარი გეგმით ადამიანის მსხვერპლი უნდა მოჰყოლოდა.

ახალაიას ბრალი დაუმძიმდა

ყოფილ შს მინისტრ ბაჩო ახალაიას ბრალი დაუმძიმდა. კერძოდ, მთავარმა პროკურატურამ „ციხის ბუნტის საქმე“ გახსნილად გამოაცხადა, რომელშიც მთავარი ფიგურანტი ბაჩო ახალაიაა. პროკურატურის განცხადებაში დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორ მოახდინა ახალაიამ ბუნტის პროვოცირება. მეორე ეპიზოდი შსს-ს თანამშრომლებს ეხება. კერძოდ, გამოძიების ცნობით, შს მინისტრობის პერიოდში ახალაიასთვის ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე პოლიციელი „ქართულ ოცნებას“ თანაუგრძნობდა. მისი ბრძანებით, პოლიციელები იაღლუჯას სასწავლო ცენტრში აიყვანეს, სადაც მათ მანამდე აწამებდნენ, სანამ ცნობილი მოვლენების გამო ახალაიამ შს მინისტრის თანამდებობა არ დატოვა (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

„გკოცნით თქვენი იურისტი“

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი „ნაციონალების“ მიერ ატეხილ მის იურიდიულ განათლებასთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს განცხადებით გამოეხმაურა: „ნათლად იკვეთება, რომ მომავალი რამდენიმე კვირა თანაარსებობის რთული პერიოდი იქნება. გახშირდება ვერბალური თავდასხმები მთავრობასა და მის წევრებზე. ჩემი, როგორც მთავრობის ერთ-ერთი წევრის ვალია, საზოგადოებას მივცე სიმშვიდის მაგალითი. ზოგიერთ ბრალდებას პასუხის ღირსად არ ვთვლი. მექნება ეთერი პირველ არხზე, რომლის დროსაც გაშუქდება ის მნიშვნელოვანი და წარმატებული ვიზიტები, რაც ვაშინგტონსა და ბრიუსელში ჩავატარე და თუ ჟურნალისტი ჩემი განათლებითაც დაინტერესდება, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, საზოგადოებას ამომწურავ პასუხს გავცემ. გკოცნით ყველას, თქვენი იურისტი თეა წულუკიანი“, — ნათქვამია განცხადებაში.

გაზის ტარიფი შემცირდა

ბუნებრივი აირის ტარიფი 5 თეთრით შემცირდა. ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძის ინფორმაციით, ტარიფი ნავთობისა და გაზის კორპორაციის ამონაგების ხარჯზე შემცირდა და იგი სადისტრიბუციო კომპანიას ბუნებრივ აირს 5 თეთრით ნაკლებ ფასად მიაწვდის. „დაწყებულია ყველა იმ დანაპირების შესრულება, რომელიც კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ მოსახლეობას წინასაარჩევნოდ მისცა“, — აღნიშნა კალაძემ (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

„სკა“ დაიწვა

სავაჭრო ცენტრ „საბაში“ ხანძარი გაჩნდა. ხანძარი იმდენად ძლიერი იყო, რომ მეხანძრეებმა მის ლიკვიდაციას რამდენიმე საათი მოანდომეს. დამწვარია 6000 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი, ზარალი, სავარაუდოდ, რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს. დაზარალდა ათობით მოვაჭრე. ზოგიერთ მათგანს საქონელი და მაღაზია დაზღვეული არ ჰქონდა. „საბას“ მფლობელი პაატა კაჭარავა არ გამორიცხავს, რომ სავაჭრო ცენტრში ხანძარი მიზანმიმართულად გააჩინეს. ამას პასუხს მალე ექსპერტიზა გასცემს (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

„ᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲮᲕᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ“

აᲨᲨ-ის პრეზიდენტი ორჯერ დებს ფიცს — ერთხელ კონსტიტუციაზე, მეორედ კი თავისი დაცვის წინაშე. როდესაც ადამიანი ქვეყნის პირველი პირი ხდება, ის თავის თავს აღარ ეკუთვნის. შესაბამისად, მისი უსაფრთხოება სახელმწიფო საქმეა და აღარ არის დამოკიდებული მის კაპრიზებზე. რა თქმა უნდა, პრეზიდენტს, ისევე როგორც ყველა პოლიტიკოსს, პროტესტის გამოხატვის უფლება აქვს, მაგალითად, შეუძლია, არ მივიდეს საკანონმდებლო ორგანოში, არ მოაწეროს კანონს ხელი ან აკეთოს მწვავე პოლიტიკური განცხადებები. თუმცა მხოლოდ საქართველოში თუ მოხდებოდა, რომ პრეზიდენტი პროტესტის ნიშნად დაცვაზე უარს ამბობს. არადა, ამ ქვეყანას ხელოვნური პრობლემები არ სჭირდება, თავისი ეყოფა. თუმცა ქართველი პოლიტიკოსები ამას ათი შემთხვევიდან ხუთში მაინც რომ ხვდებოდნენ, საქართველო ძალიან ბევრ ცუდ ამბავს გადარჩებოდა. ამას ეთანხმება ექსპერტი **გოგი ხუციშვილი**, *რომელიც მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილი თავისი ბოლოდროინდელი დემარშებითა თუ განცხადებებით ახალ ხელისუფლებას კი არა, ქვეყანას უქმნის დაბრკოლებას.*

„პროკურატურასაც სჭირდება გაძლიერება“

— ბოლო დროს იმდენად დაწვრილმანდა ჩვენი პრეზიდენტი, რომ არ ფიქრობს, ისე მოიქცეს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს შეეფერება. ის ლაპარაკობს სიძულვილის ენით, ცდილობს ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციას, ქვეყანაში შიშის დათესვას და მსოფლიოსთვის ისეთი სურათის დახატვას, რომ საქართველოში მძიმე მდგომარეობაა. დარწმუნებული ვარ, აზერბაიჯანში ილჰამ ალიევთანაც ასე ილაპარაკა. მას სურს, დაბრკოლება შეუქმნას ახალ მთავრობას, რეალურად კი პრობლემებს უქმნის ქვეყანას. როგორც ჩანს, პრეზიდენტისთვის ამას არც აქვს მნიშვნელობა და განაგრძობს გაუგებარი განცხადებების გაკეთებას. სხვათა შორის, დაცვაზე უარის თქმით მიხეილ სააკაშვილი მისდა უნებურად ადასტურებს, რომ ქვეყანაში სტაბილური ვითარებაა, კრიმინოგენული ვითარება ამნისტიას არ გაუუარესებია და პრეზიდენტს შეუძლია თავისი ელექტრომობილით თავისუფლად სიარული. ვიმეორებ, ამას მისდა უნებურად ადასტურებს. რეალურად კი სურს მსოფლიოს დასანახავად ისეთი სურათის დახატვა, თითქოს ავიწროებენ, რეზიდენციაში შუქს უთიშავენ და პრემიერ-მინისტრმა დაცვის უფროსი შეუცვალა. სხვათა შორის, ეს საერთაშორისო საზოგადოებრიობაზე არ იმოქმედებს, რადგან იქ მიაჩნიათ, რომ დაცვის უფროსის შეცვლა არაფერს ნიშნავს, რადგან როდესაც პირი პასუხისმგებელია დაცვაზე, მან ეს სამუშაო უნდა შეასრულოს, მიუხედავად იმისა, ვისი დანიშნულია.

— თქვენ პრეზიდენტის გაუგებარი განცხადებები ახსენეთ. მართლაც, სააკაშვილმა ჯერ განაცხადა, რომ წამყვან ქართულ ბანკებს რუსული ფინანსური ინსტიტუტები ყიდულობენ, რასაც საბანკო სისტემაში ბომბის აფეთქების ეფექტი ჰქონდა. ეს არ დადასტურდა, რაც მოგვიანებით პრეზიდენტმაც აღიარა. შემდეგ კი, აზერბაიჯანიდან დაბრუნების შემდეგ, ქვემო ქართლსა და ჯავახეთში სეპარატიზმის საფრთხეზე ისაუბრა.

— ამით სააკაშვილმა ქვეყანას სარმა გამოსდო. ეს არ არის სახელმწიფოებრივი მიდგომა და აზროვნება. ეს არის უპასუხისმგებლობა, თავის მოსაწყლება და მსოფლიოს წინაშე თავისი პრობლემის ისე წარმოჩენა, თითქოს ხელისუფლებაში არაადამიანური ძალა მოვიდა. არადა, სააკაშვილს ისეთი დიდსულოვნება რომ ჰქონდეს, რომელიც, წესით, სახელმწიფოს მეთაურს მართებს, პრესტიჟს მოიმატებდა ქვეყნის გარეთაც და შიგნითაც. მაგრამ ეს არა აქვს, შეუძლია ყველაფერს ლაფი გადაასხას და თქვას, რომ ბანკებს რუსები ყიდულობენ, შეურაცხყოფა მიაყენოს რუს ექსპერტებს და ამით დააბრკოლოს ქართული პროდუქციის გასვლა რუსულ ბაზარზე.

— არ ფიქრობთ, რომ პრეზიდენტსა და „ნაციონალური მოძრაობის“ საუბარი სეპარატიზმზე საფრთხის შემცველია? ისე არ მოგვივიდეს, შეძახილმა ხე გაახმოო.

— ცეცხლთან თამაშია სეპარატიზმზე საუბარი იქ, სადაც სეპარატიზმი არ არის. ამას რომ თავი დავანებოთ, რა სახელმწიფო მოღვაწის საქციელია, რომ იმუქრება, თუ ჩემი თანაგუნდელების სამართლებრივი დევნა არ შეწყდა, დასავლეთი დახმარებას შეგვიწყვეტსო? სადაც კი ხელი მიუწვდებათ, ყველგან ცდილობენ იმის დაფიქსირებას, რომ საქართველო არადემოკრატიული ქვეყანაა. მიხეილ სააკაშვილი ივანიშვილს კი არა, ქართველ ხალხს ემუქრება. მიმაჩნია, რომ მას აღარ აქვს მორალური უფლება, საქართველოს პრეზიდენტი ერქვას.

— მიხეილ სააკაშვილმა სკანდალური განცხადებები მას შემდეგ გააკეთა, რაც ბიძინა ივანიშვილმა მას ულტიმატუმი წაუყენა და მოითხოვა, ბოლოს და ბოლოს, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებებზე. ივანიშვილის ულტიმატუმმა გააღიზიანა ასე?

— ამანაც და კიდევ იმან, რომ ივანიშვილმა დაცვის სამსახურის უფროსი შეუცვალა. სააკაშვილი დაშინდა. სხვათა შორის, არ არის შემთხვევითი, რომ „ნაციონალებმა“ 19 აპრილს დანიშნეს აქცია, ანუ მაშინ, როდესაც საპარლამენტო არჩევნებიდან 6 თვე იქნება გასული და პრეზიდენტს ეძლევა პარლამენტის დათხოვნის უფლება. თავის მხრივ კი, „ქართული ოცნება“ შეეცდება, მანამდე დაამტკიცოს საკონსტიტუციო ცვლილებები.

— ანუ დასწრებაზეა? თუ „ქართულმა ოცნებამ“ 19 აპრილამდე ვერ შეძლო საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება, ვარაუდობთ, რომ ცუდი ამბები მოხდება, რათა სააკაშვილს ჰქონდეს მოტივი პარლამენტსა და მთავრობაზე შეტევისთვის?

— დიახ, დასწრებაზეა. „ნაციონალებს“ რესურსი არა აქვთ. პრეზიდენტს დიდი საზოგადოებრივი მხარდაჭერა სჭირდება, რომ დაასაბუთოს პროცესებში ჩარევის მართებულობა. ასეთი მხარდაჭერა კი, როგორც ცნობილია, არა აქვს. პარლამენტისა და მთავრობის დათხოვნის ლეგიტიმაცია ჩვენს საზოგადოებაში არ გამოვა, მაგრამ „ნაციონალები“ ჩვეულ ამპლუაში არიან — არა აქვთ მხარდაჭერა, მაგრამ ცდილობენ ამის იმიტაციას. შეეცდებიან იმის იმიტაციასაც, რომ ქვეყანაში მართლაც რთულად ვითარდება პროცესები. რა აქვთ ჩაფიქრებული, არ ვიცი. მაგრამ, მაგალითად, 8 თებერვალს რაც ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მოხდა, თავიანთ სასარგებლოდ კარგად გამოიყენეს. რაღაც ამდაგვარის გაკეთებას, ალბათ, 19 აპრილსაც შეეცდებიან. შესაბამისად, ახალი ხელისუფლება ორმაგად და სამმაგად ფხიზლად უნდა იყოს. თუმცა ვიმეორებ, „ნაციონალებს“ რესურსი არა აქვთ. მათ ოპოზიციად დარჩენის შანსი რომ ჰქონოდათ, უნდა ეღიარებინათ, რომ შეცდომები დაუშვეს და ეთქვათ, თუ ხელისუფლებაში ისევ მოვალთ, სულ სხვა პოლიტიკა გვექნებაო. თუმცა ასე არ ხდება, იგივე მესიჯებია, იგივე ლიდერები. ფაქტობრივად, ხალხს ეუბნებიან, როდესაც ეს ხელისუფლება დანაპირებებს ვერ შეგისრულებთ, ისევ ჩვენთან გექნებათ საქმე და ისევ ისე გავაგრძელებთ მოქმედებას, როგორც წლების განმავლობაში ვმოქმედებდითო. შესაბამისად, ძალიან ძნელია, რომ „ნაციონალების“ მიმართ ვინმეს სიმპათია გაუჩნდეს. მათ თვითონ მოიჭრეს გზა პერსპექტივისკენ.

— პერსპექტივაში კონკრეტულ შედეგს მოიტანს ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა? თუ, უბრალოდ, ეს შეხვედრაა შეხვედრისთვის, დასავლეთის დასანახავად, რომ ვითომდა კოჰაბიტაცია გრძელდება.

— ეს ორი ლიდერი იმდენად შეუთავსებელია ერთმანეთთან, რომ მათ შორის საერთო ენის გამონახვა შეუძლებელია. ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს, როგორც პოლიტიკურ მეტოქეს და ოპონენტს, ვერ ენდობა. რა შეთანხმებაც უნდა შედგეს, სააკაშვილი მას მაინც არ დაიცავს. არადა, სააკაშვილი უნდა იქცეოდეს როგორც წამსვლელი ლიდერი, რომელმაც საქმე მოვიდა ხელისუფლებაში. კოჰაბიტაცია შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ მოსამართლე ახალ ვითარებაში მეტ-ნაკლებად ობიექტურად შეძლებდა გადაწყვეტილებების მიღებას. მაგრამ პირი, რომელიც პარტიულ დისციპლინას ემორჩილება, მოსამართლედ ვერ გამოდგება.

„სააკაშვილი ივანიშვილს კი არა, ქართველ ხალხს ემუქრება“

სასამართლო დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთებს ასრულებს, რომლის ნაწილი იყო ამ წლების განმავლობაში და ისეა შეზრდილი, რომ სხვანაირად ვერ მოიქცევა.

ფაქტობრივად, საქართველოში რევოლუციური სიტუაციაა. რა თქმა უნდა, ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა, მაგრამ ამან რევოლუციური ცვლილებები მოიტანა, უფრო ზუსტად, რევოლუციურად განსხვავებული ძალა არ უნდა გააფუჭოს. მაგრამ ის ასე არ იქცევა. პარალელურად, „ნაციონალები“ უფრო მეტად კარგავენ რეიტინგს და სააკაშვილის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, ქმედებები უფრო და უფრო არაადეკვატური ხდება. სხვათა შორის, ამას კარგად ხვდებიან მსოფლიოში და მხოლოდ ინერციით აკეთებენ მის, ასე ვთქვათ, დასაცავ განცხადებებს. რადიკალურად რომ შეცვალოს დასავლეთმა პოზიცია, თავისივე საზოგადოება მოსთხოვს პასუხს, ამდენ ხანს ასეთ პიროვნებასა და ძალას როგორ უჭერდი მხარსო.

— გასულ კვირას საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ შესაძლოა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს. ეს უკავშირდება იმას, რომ დაიწყო გამოძიება, მართლა მუშაობდა თუ არა ორი უდიდესი მოსამართლე თანამდებობაზე ამას მოჰყვა „ნაციონალების“ კონტრშეტევა, რომლებმაც თეა წულუკიანს ოურდული განათლება დააყენეს ეჭვქვეშ.

— ეს გაღმა შეედავეს პრინციპია. სხვათა შორის, როგორც ვიცი, აღმოჩნდა, რომ თეა წულუკიანს უცხოეთის ერთერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული. რაც შეეხება კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხს, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

— საზოგადოება ეჭვობს, რომ სწორედ სასამართლო აბრკოლებს მართლმსაჯულების აღსრულებას. მაგალითად, მოქმედ თუ ყოფილ მაღალჩინოსნებს დღითი დღე მძიმე ბრალდებებს უყენებენ, იქნება ეს ელიტური კორუფცია თუ ელემენტარული ბიზნესკვეტი. მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებები ამ ბრალდებებზე, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატურია.

— გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ იუსტიციის საბჭო და უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობა უნდა გამოიცვალოს.

„პირი, რომელიც პარტიულ დისციპლინას ემორჩილება, მოსამართლედ ვერ გამოდგება“

ფაქტობრივად, საქართველოში რევოლუციური სიტუაციაა. რა თქმა უნდა, ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა, მაგრამ ამან რევოლუციური ცვლილებები მოიტანა, უფრო ზუსტად, რევოლუციურად განსხვავებული ძალა მოვიდა ხელისუფლებაში. კოჰაბიტაცია შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ მოსამართლე ახალ ვითარებაში მეტ-ნაკლებად ობიექტურად შეძლებდა გადაწყვეტილებების მიღებას. მაგრამ პირი, რომელიც პარტიულ დისციპლინას ემორჩილება, მოსამართლედ ვერ გამოდგება.

— ეს აღიზიანებს ხალხს, საზოგადოებას არა აქვს სამართლიანობის შეგრძნება, რამაც შესაძლოა, სახიფათო აგრესიული გარემო შექმნას, უპირველესად იმათკენ მიმართული, ვისაც სასამართლო ზელმობიერად ექცევა.

— გეთანხმებით. სხვათა შორის, ამაში ახალი ხელისუფლებაც სცოდავს. სანამ რომელიმე მაღალი თანამდებობის პირისთვის რაიმეს შეფარდებას მოითხოვ, ბრალდების ზუსტად დასაბუთებაა საჭირო. პროკურორებმა ბრალდება და საქმე ძალიან კარგად უნდა მოამზადონ. მსოფლიოში ძალიან ბევრი შემთხვევაა, როდესაც ყველამ იცის, რომ კონკრეტული თანამდებობის პირი დამნაშავეა, მაგრამ თანამდებობიდან ვერ გადაუყენებიათ, რადგან არ ჰყოფნით სამართლებრივი საფუძველი. როდესაც საქმე კარგად იქნება მომზადებული, უფრო ნათლად გამოჩნდება, რომ მოსამართლემ უკანონოდ არ შეუფარდა მას აღმკვეთი ღონისძიება და უკვე სამართლებრივად შეგიძლია მოითხოვო მოსამართლის პასუხისმგებლობის დასმა. ხალხს, რა თქმა უნდა, უნდა ჰქონდეს სამართლიანობის შეგრძნება. ამისთვის კი საჭიროა, საქმის ისე კარგად მომზადება, რომ პარტიულ დისციპლინას შეჩვეულმა მოსამართლემაც ვერ გაბედოს უკანონო გადაწყვეტილების მიღება. მოკლედ, პროკურატურასაც სჭირდება გაძლიერება.

— ოქტომბრის არჩევნებამდე „ქართულ ოცნებას“ მოუწევს გადაწყვეტა, პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩიოს თუ ის პარლამენტმა უნდა დანიშნოს. ეს თემა გასულ კვირასაც აქტუალური იყო და ცესკოში სარეფერენდუმო კითხვაც დარეგისტრირდა.

— თუ გადავდივართ საპარლამენტო რესპუბლიკაზე, პრეზიდენტი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ უნდა აირჩიოს. უფრო ზუსტად, უმაღლესი ინსტანცია პარლამენტი იქნება, პრეზიდენტის უფლებამოსილებები კი ისე იქნება შეზღუდული, რომ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, საკანონმდებლო ორგანო აირჩევს თუ პირდაპირი წესით აირჩევენ.

— ზემოთ წულუკიანის დიპლომი ვახსენეთ. სხვათა შორის, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო სამსახურის ყოფილი უფროსი ხათუნა ბერძენიშვილი სწორედ იუსტიციის მინისტრის დიპლომზე მომზადებულ სიუჟეტს უკავშირებს იმას, რომ სამსახურიდან დაითხოვეს. მისივე თქმით, გენდირექტორი გიორგი ბარათაშვილი მისგან ითხოვდა, რომ ახალი ხელისუფლების ქმედებები პოზიტიურად გაშუქებულიყო.

— გამოვრიცხავ, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობაზე ახალ ხელისუფლებას ზეწოლა მოეხდინა. თუ მათ საკადრო ცვლილებები სურდათ, მაშინ შეეცდებოდნენ ამის გაკეთებას, როდესაც გია ჭანტურიამ არხის გენდირექტორის თანამდებობა დატოვა. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ შორს არის ობიექტურობისგან და მოვლენებს დაახლოებით ისე აშუქებს, როგორც „რუსთავი 2“. ამაში კი დიდი წვლილი მიუძღვის სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც ძველი ხელისუფლების დროს დაკომპლექტდა და დღესაც „ნაციონალების“ პარტიულ დისციპლინას ემორჩილება. ეს სიმსივნესავითაა იმ არხზე, რომელიც ჩემი და თქვენი ფულით ფინანსდება.

სანამ სამეთვალყურეო საბჭო არ შეიცვლება, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ არაფერი ეშველება.

გიორგი კვიტაშვილი

«რადიკალურად რომ შეცვალოს დასავლეთმა პოზიცია, თავისივე საზოგადოება მოსთხოვს პასუხს, ამდენ ხანს ასეთ პიროვნებასა და ძალას როგორ უჭერდი მხარსო

«მათ ოპოზიციად დარჩენის შანსი რომ ჰქონოდათ, უნდა ეღიარებინათ, რომ შეცდომები დაუშვეს და ეთქვათ, თუ ხელისუფლებაში ისევ მოვალთ, სულ სხვა პოლიტიკა გვექნებაო. თუმცა ასე არ ხდება, იგივე მესიჯებია, იგივე ლიდერები

წიგნი, რომელიც შეგძრავთ, და სიცოცხლესაც მოგანყურებთ...

„გამომცემლობა პალიტრა L“-მა მკითხველს უკვე შესთავაზა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში პოპულარული პროექტი — „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“, სადაც შევიდა მკითხველის არჩეული 50 საუკეთესო წიგნი მსოფლიო და ქართული ლიტერატურის საგანძურიდან. პროექტი წარმოუდგენლად წარმატებული გამოდგა. „50 წიგნის“ შემდეგ „გამომცემლობა პალიტრა L-“მა ყველა დროის წიგნთა წიგნი — „ბიბლია“ გამოსცა. მაგრამ ამით პროექტი არ დასრულებულა. მრავალათასიანი მკითხველის თხოვნით მსოფლიო და ქართული ლიტერატურის საგანძურიდან კიდევ 49 წიგნი შეირჩევა. საბოლოოდ, ამ ბიბლიოთეკის სრული კომპლექტი 100 წიგნისგან შედგება: „50 + ბიბლია + 49, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“.

მომავალ კვირას „კვირის პალიტრის“ მკითხველი პროექტის — „კიდევ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ პირველ წიგნს, ერიხ მარია რემარკის რომანს „ჟამი სიყვარულისა, ჟამი სიკვდილისა“ მიიღებს.

ერიხ მარია რემარკი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გერმანელი მწერალია.

ერიხ მარია რემარკი 1898 წელს, ქალაქ ოსნაბრიუკში (ქვედა საქსონია) დაიბადა. სწავლობდა საეკლესიო სკოლაში, კათოლიკურ სემინარიაში. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ჯარში გაიწვიეს. 1917 წელს მძიმედ დაიჭრა და ომის დასრულებამდე ჰოსპიტალში მკურნალობდა... სწორედ ომის გამოცდილება, მძაფრი განცდები დაედო საფუძვლად მის ყველაზე გახმაურებულ რომანს „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“, რომელიც 1929 წელს გამოქვეყნდა. ამ წიგნმა რემარკს საყოველთაო აღიარება მოუტანა, რადგან არაჩვეულებრივად წრფელი, მართალი, სასტიკი და თან, ადამიანურია. ეს არის წიგნი „დაკარგული თაობის“ (თვით ეს გამოთქმა რემარკს ეკუთვნის), ანუ ახალგაზრდების შესახებ, რომელთაც ომის საშინელებამ ცხოვრების საზრისი დაუკარგა, — მიხვდნენ, „საზარბაზნე ხორცად“ გამოიყენეს...

რემარკს არა აქვს „ჰეფი ენდი“ — რემარკი სასტიკია, ცხოვრებასავით...

მისი მეორე შესანიშნავი რომანი, „ჟამი სიყვარულისა, ჟამი სიკვდილისა“ მოგვითხრობს მეორე მსოფლიო ომზე, უბრალო გერმანელ ჯარისკაცზე, რომელიც ფრონტზეა ომის დაწყების დღიდან და სამკვირიანი შვებულებით ჩადის მშობლიურ ვერდენში, თუმცა ნანატრი სიმშვიდე არც იქ ხვდება, მოკავშირეები ქალაქს განუწყვეტლივ ბომბავენ. ერნსტ გრებერი (ასე ჰქვია მთავარ გმირს) შეხვდება ოცი წლის ქალიშვილს, ელიზაბეტ კრუზეს. ახალგაზრდებს შორის იფეთქებს სიყვარული, რომელიც ტრაგიკულია, რადგან მომავალი არ უწერია.

ყოველთვის, როცა ახალი წიგნი ჩამოვარდება ხელში, დავფიქრდები ხოლმე, ღირს თუ არა ამაზე დროის ხარჯვა — ანუ რატომ უნდა წავიკითხო მაინცდამაინც ეს წიგნი? ბუნებრივია, მსგავსი კითხვა თქვენც გიჩნდებათ — ამ შემთხვევაში პასუხი ასე მესახება: ეს არის წიგნი, რომელიც დაგაფიქრებთ, შეგძრავთ, და მიუხედავად ომის სისასტიკისა, სიცოცხლეს მოგაწყურებთ... ეს საოცრად ამაღლებული, ნატიფი და გულში ჩამწვდომი ამბავია სიყვარულისა — რომანს თავისუფლად შეიძლება ერქვას „ჟამი სიყვარულისა, ჟამი სიკვდილისა“ (სხვათა შორის, ზუსტად ასე ჰქვია მას ინგლისურ თარგმანში), რადგან გიყვარდეს და იცოცხლო — რემარკისთვის სინონიმებია. სიცოცხლის მთავარი პრობლემა — სიკვდილია! სიკვდილის გადალახვა, მისი დამარცხება მხოლოდ სიყვარულს ძალუძს. რემარკი საოცარი რეალიზმით, საოცარი დამაჯერებლობით აღწერს თავისი გმირების ტრაგიკულ ხვედრს და მის ნაწერში ცხოვრებას ეს ტრაგიზმი თითქოს ახალ განზომილებას სძენს, ადამიანურობისა და სიყვარულის ჰიმნად იქცევა.

სიცოცხლეს მხოლოდ სიყვარული ამართლებს და ასულდგმულებს!

რემარკის წაკითხვა აუცილებელია, რადგან ადამიანის გაადამიანურებას უწყობს ხელს

რემარკი დიდი ჰუმანისტი და შესანიშნავი ოსტატია — რომანი ერთი ამოსუნთქვით იკითხება. მთავარი გმირი, რიგითი ჯარისკაცი, ჩვენ თვალწინ ნელ-ნელა გარდაიქმნება, მასში ადამიანი იღვიძებს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, წინ აღუდგება, დაუპირისპირდება ბოროტებას, ომს ბრმა იარაღად რომ უნდოდა გადაექცია. რომანი იწყება რუსი პარტიზანების დახვრეტის სცენით, — ამაში ერნსტ გრებერიც მონაწილეობს, — და მთავრდება ანალოგიური სცენით, ოღონდ მისი ფინალი ამჯერად სრულიად სხვაა. რემარკს არა აქვს „ჰეფი ენდი“ — რემარკი სასტიკია, ცხოვრებასავით... მაგრამ ცხოვრების ამ სისასტიკეში ხომ ადამიანები ვართ დამნაშავე... რემარკის წაკითხვა აუცილებელია, რადგან ადამიანის გაადამიანურებას უწყობს ხელს — გონებით ხვდები და გულითაც გრძნობ, რა საზარელი აბსურდია ომი!..

სწორედ იმიტომაც აკრძალეს და საჯაროდ დაწვეს კაცთმოძულე ნაცისტებმა რემარკის წიგნები, რომ დიდ, მსოფლიო ომს ამზადებდნენ — გამოაცხადეს, ანტიპატრიოტულიაო! მწერალი იმხანად შვეიცარიაში ცხოვრობდა. თავის ვილაში იგი გერმანიიდან ლტოლვილებს იფარებდა, სიტყვითა და კალმით ებრძოდა „ყავისფერ ჭირს“. 1939 წელს რემარკი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა, სადაც ომის შემდეგ მოქალაქეობაც მიიღო, თუმცა ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ისევ შვეიცარიაში დაბრუნდა, სადაც სიკვდილამდე ცხოვრობდა (1970 წელს გარდაიცვალა).

რემარკს ორი ცოლი ჰყავდა. პირველი, მოცეკვავე ქალი ილზე იუტე ზამბონა, 1925 წელს შეირთო, ოთხი წლის შემდეგ გაშორდა, თუმცა 1938 წელს ხელმეორედ მოაწერა მასთან ხელი, რითაც გერმანიიდან ლეგალური ემიგრაციის საშუალება მიეცა. 1939 წელს აშშ-ში ერთად გაემგზავრნენ ამერიკის მოქალაქეობა 1947 მიიღეს. 1951 წელს რემარკი შეხვდა ჰოლივუდის მსახიობს, პოლეტ გოდარს, ჩარლი ჩაპლინის ყოფილ მეუღლეს, რომელიც 1958 წელს ცოლად მოიყვანა. ისინი შვეიცარიაში სიკვდილამდე ერთად ცხოვრობდნენ.

რემარკს რამდენიმე სასიყვარულო რომანი ჰქონდა, ყველაზე გახმაურებული — მსახიობ მარლენ დიტრიხთან (მათი სასიყვარულო მიწერ-მოწერა 2000 წელს წიგნად გამოიცა).

ზემოხსენებული რომანების გარდა, რემარკს დაწერილი აქვს კიდევ 15, მათგან ყველაზე ცნობილია „სამი მეგობარი“ და „ტრიუმფალური თაღი“.

რემარკის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული რომანი, „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ — 1930 წელს ნობელის პრემიაზე იყო ნომინირებული, თუმცა ჯილდო ვერ მიიღო — ამის მიზეზი უთუოდ იმდროინდელი პოლიტიკური კონიუნქტურა გახლდათ, რაც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირ შემთხვევაში, ნობელის პრემიის კომიტეტისთვის გადამწყვეტი ფაქტორის როლს ასრულებს ხოლმე.

რემარკის რომანები თავის დროზე მსოფლიო ბესტსელერები იყო. XXI საუკუნეში, პოსტმოდერნიზმის ეპოქაში, მისი რეალისტური წიგნები ზოგიერთ ინტელექტუალს (კინაღამ დავწერე, „სნობს“), შესაძლოა, ძველმოდურადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ ეს ნამდვილი, ცოცხალი ლიტერატურაა...

ირაკლი ლომოური

„გიყვარდეს და იცოცხლო – რემარკისთვის სინონიმებია. სიცოცხლის მთავარი პრობლემა – სიკვდილია! სიკვდილის გადალახვა, მისი დამარცხება მხოლოდ სიყვარულს ძალუძს...“

მინდია უგრეხელიძე: — რამდენჯერ მოვიკლა თავი მისი გაზრდისთვის

„კოტე კუბლაშვილს მოვუწოდებ, ნებაყოფლობით მონობას თავი დაანებოს. რამდენჯერ მოვიკლა თავი მისი გაზრდისთვის?“ — ამბობს სამართალმცოდნეობის დოქტორი, ყოფილი მოსამართლე და კოტე კუბლაშვილის ლექტორი ***მინდია უგრეხელიძე****. როგორც ცნობილი გახდა, პარლამენტის წევრმა ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ შესაძლოა, მალე კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს. კუბლაშვილი ირწმუნება, რომ ეკა ბესელია უსაფუძვლო განცხადებებს აკეთებს.*

„სკანდალი უზენაეს სასამართლოში და საიდუმლო, რომელიც კუბლაშვილს საკუთარ ლექტორთან აკავშირებს“

— ბატონო მინდია, რამდენად მოსალოდნელია იმპიჩმენტის პროცედურა გამოყენებულ იქნას კოტე კუბლაშვილის მიმართ, რომელიც ამბობს, რომ ეს უბრალოდ არასერიოზულობაა.

— კონსტიტუციაში წერია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იმპიჩმენტის პროცედურას ექვემდებარება. ასე რომ, კუბლაშვილს არასერიოზულობის მაგიერ დაფიქრება მართებს.

— კუბლაშვილი ამბობს, რომ არ არსებობს ფაქტები, რის გამოც მისი იმპიჩმენტის დაწყება შესაძლებელი გახდებოდა.

— არსებობს თუ არა ასეთი ფაქტები, ამას გამოძიება გვიჩვენებს. თუმცა, პირადად მე იმდენი სამდურავი მესმის მის შესახებ, აქედან ერთი მესამედიც კი რომ აღმოჩნდეს მართალი, ეს მისი იმპიჩმენტისთვის საკმარისი საფუძველი იქნებოდა. სხვათა შორის, იმპიჩმენტი უაღრესად დემოკრატიული საშუალებაა ხელისუფლების თავგასული წარმომადგენლების მშვიდობიანად ჩამოცილებისათვის და ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ არ იყენებენ მას საქართველოში, თუნდაც პრეზიდენტის მიმართ.

ძალიან მიკვირს, რატომ იკლავენ თავს საკონსტიტუციო ცვლილებებზე, როცა შეუძლიათ გამოუცხადონ პრეზიდენტს იმპიჩმენტი და შემდეგ გამოიყენონ კონსტიტუციის ის მუხლი, რომლის მიხედვითაც, თუ პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა აღიძრა, მას უფლება აღარ აქვს, განახორციელოს რაიმე ტიპის ღონისძიება მთავრობისა და პარლამენტის დაშლის თაობაზე.

ახლა რაც შეეხება კუბლაშვილს და უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს. მოდით, ორი ასპექტი გამოვყოთ: ერთი, რომელიც შეეხება კუბლაშვილის მფარველობაში მყოფ მოსამართლეებს, რომლებსაც თურმე იურიდიული განათლება არ ჰქონიათ. თუ გაირკვა, რომ მოსამართლეს იურიდიული განათლება არ აქვს, მისი მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებები იურიდიულ ძალას კარგავენ. თუ ეს ამბავი დამტკიცდა, უზენაესი სასამართლო ძალიან დიდ სკანდალში გაეხვევა. ახლა მეორე ასპექტი - სასამართლომ გიგი უგულავას, რომელმაც, სავარაუდოდ, 20 მილიონი ლარი გაფანტა და შესაძლოა კიდევ მრავალი სხვა საშინელება ჩაიდინა, არანაირი აღმკვეთი ღონისძიება არ შეუფარდა. ეს ხდება მაშინ, როდესაც უამრავი საქმეა, სადაც წვრილმან დანაშაულში ეჭვმიტანილ პირს შეუფარდეს აღმკვეთი ღონისძიება. ამ ფაქტიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ცალსახად ვთქვათ, რომ სასამართლო ძალიან არათანამიმდევრულად იღებს გადაწყვეტილებებს. ასეთ სიტუაციაში მართლმსაჯულებასა და სამართლიანობაზე ლაპარაკი უბრალოდ სისულელეა. სხვათა შორის, ჩემთვის ისიც ცნობილია, რომ უზენაეს სასამართლოში საიდუმლო თათბირებს ატარებენ და ცდილობენ, მოსამართლეები დაამუნათონ, შეაშინონ ან დააშანტაჟონ და ისე მიაღებინონ ესა თუ ის გადაწყვეტილება. ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება დამოუკიდებელი მართლმსაჯულების პრინციპებს. ვშიშობ, რომ ასეთი ქმედებით ზოგიერთი ჩემი ნამოწაფარი კიდევ უფრო დაიმძიმებს მდგომარეობას, როდესაც მართლმსაჯულების წინაშე თავად აღმოჩნდება.

— ის ფაქტი, რომ სასამართლო დანაშაულში ეჭვმიტანილ ყოფილ მაღალჩინოსნებს ხშირ შემთხვევაში აღმკვეთ ღონისძიებებს არ უფარდებს, პროკურატურის არასწორი მუშაობის შედეგიც ხომ არ არის?

— ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ მთლიანობაში სხვა სურათთან გვაქვს საქმე. ძალიან ბევრს ჰგონია, რომ პროკურატურა სწორად არ მუშაობს, მაგრამ რეალურად პრობლემა სხვა რამეშია. ამ 9 წლის განმავლობაში გამომძიებელმა და მოსამართლემ ფუნქცია დაკარგეს. ეს ხალხი აღარავის სჭირდებოდა. იყო მხოლოდ ერთი კაცი, რომელიც ყველა გადაწყვეტილებას თავად იღებდა, კანონმდებელიც ის იყო, აღმასრულებელიც, აკადემიის რექტორიც, გამომძიებელიც და ტარიელ ონიანიც. როდესაც სტრასბურგის სასამართლოში ვმუშაობდი, აშკარად ვხედავდი, თუ როგორ კლებულობდა ნელ-ნელა საქართველოდან ჩამოსულ საქმეებში დასაბუთებული გადაწყვეტილებები. ბოლოს უკვე ფარატინა ფურცლებს ვიღებდით. ახლა გამომძიებლები მუშაობას გადაჩვეულები არიან, ისინი მხოლოდ

„ნაციონალებს“ უგულავაზე ძალიან სერიოზული ფსონი აქვთ დადებული, პრეზიდენტობისთვის ამზადებენ“

„27 წელია, რაც სევდიასთან უშუალო შეხვედრის და მასთან აზრთა გაცვლა-გამოცვლის პატივი არ მქონია“

მითითებების შესრულებას შეეჩვივნენ. იგივე ითქმის მოსამართლეებზეც. ეი ამ ინსტიტუტებმა ფუნქციები დაკარგეს და ყველაფერი გაბითურდა. რა ქნას ახლა კბილაშვილმა? ეს კაცი თავს ძლივს უყრის კადრებს.

— რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სასამართლომ, უგულავასგან განსხვავებით, აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა კეზერაშვილსა და ახალაიას?

— ჩემი აზრით, ნაციონალებს უგულავაზე ძალიან სერიოზული ფსონი აქვთ დადებული, პრეზიდენტობისთვის ამზადებენ და ყველაფერს აკეთებენ მის გადასარჩენად. ისე, უკუღმართი და მაკვარანცხული აზროვნება ნაციონალებისთვის დამახასიათებელია. ასე რომ, არ გამიკვირდებოდა უგულავა ციხეში რომ ჩაესვათ და წამებულის ეკლიანი გვირგვინით შეემკოთ. ეკლიანი გვირგვინიდან კი დაფნის გვირგვინამდე ძალიან ცოტა მანძილია. ისე კი, რაც უნდა ეცადონ, მაინც ვეღარაფერს გააწყობენ. ისტორიის კანონზომიერება მოითხოვს, რომ ნაციონალებმა ყველაფერი კატასტროფული მარცხით დაასრულონ.

— ბატონო მინდია, უხერხული კითხვა უნდა დაგისვათ. თქვენი და სევდია უგრეხელიძე მზად იყო, საჭიროების შემთხვევაში გიგი უგულავას პოსტი დაეკავებინა და მისი საქმიანობა გაეგრძელებინა. მას პოზიცას როგორ შეაფასებთ?

— უხერხულობას მოგიხსნით და გულწრფელ პასუხს გაგცემთ. სამწუხაროდ, უკვე 27 წელია, რაც სევდიასთან უშუალო შეხვედრის და მასთან აზრთა გაცვლა-გამოცვლის პატივი არ მქონია. ამიტომ დაწვრილებით ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა ერთს გეტყვით: მთისა და მიწის უფალმა საჯოს ესევითარი განუსჯელობა. ახლა დანარჩენი თავად განსაჯეთ. მე მას ვერაფერს ვურჩევ.

— თქვენს ნამოწაფარს, კოტე კუბლაშვილს თუ ურჩევდით რამეს?

— საქართველოში თუ ვინმე პოლიტიკოსია, თითქმის ყველა ჩემი ნამოწაფარია. ზოგიერთი მათგანით ვამაყობ, ზოგიერთი მათგანის გამო თავის მოკვლა მინდება. კუბლაშვილი მართლა კარგი სტუდენტი იყო, მაგრამ... სხვათა შორის, ის ერთხელ სტრასბურგში მესტუმრა. მე ვუმასპინძლე ისე, როგორც ქართველ კაცს ეკადრება. მაშინ მე მას ერთი ძალიან კონკრეტული რჩევა მივეცი, რომელიც საქართველოს, საქართველოს პრეზიდენტს და თავად კუბლაშვილსაც სასიკეთოდ წაადგებოდა. მან ეს რჩევა არ კი არა, ვერ გაითვალისწინა. ორი წლის მერე რომ ვკითხე, — რა ქენი, რატომ არ ესაუბრე პრეზიდენტს იმ თემაზე, მე რომ გელაპარაკე-მეთქი? იცით, რა მიპასუხა? — ვერ შევბედეო. როდესაც კაცს ასეთი მონური დამოკიდებულება გაქვს, აუცილებლად დამარცხდები.

— ასეთი რა რჩევა მიეცით?

— ახლა ამაზე საჯაროდ საუბარი არც მართებულია და აღარც რაიმე აზრი აქვს. უბრალოდ გეტყვით, რომ ჩვენს ქვეყანას და ხელისუფლებას ერთნაირად კარგ შედეგს მოუტანდა. ამას არ გიამბობდი, მაგრამ ძალიან მინდა ეს ხალხი გამოვაფხიზლო და კიდევ ერთხელ მოვუწოდო, რომ ნებაყოფლობით მონობას შეეშვან.

ხათუნა ბახტურიძე
www.kvirispalitra.ge

მერაბ მეტრეველის კვირის ფიქრები...

საით მივდიოდით

ნინა კვირას საგამოძიებო უწყებებმა კიდევ ერთი საქმის გამოძიება დაიწყეს, რომელიც სამხედრო პოლიციას ეხება. როგორც ცნობილი გახდა, არჩევნების წინ სამხედრო პოლიციამ ბითუმად შეიძინა ლილოს ბაზრობაზე იმ დროისთვის არსებული ყველა სატელიტური ანტენა, ზოგი კი, თურმე, ნისიადაც წამოიღეს და მეპატრონეებს ფული არ გადაუხადეს. თუმცა მთავარი ამ საქმეში სულ სხვაა, რაზეც გამოძიება ჯერ არაფერს ამბობს. რატომაც გააკეთეს ეს, ცხადია — წინასაარჩევნოდ „მაესტრო“ და „მეცხრე არხი“ ანტენებს მოსახლეობაში უფასოდ არიგებდნენ. მათი შემოტანილი ანტენები საბაჟოზე გააჩერეს, შემდეგ კი ლილოდანაც ამოიღეს, იქ რომ არ შეესყიდათ და არ დაერიგებინათ, ანუ სამხედრო პოლიცია წინასაარჩევნო ბრძოლაში იყო ჩართული, თან — უკანონო ბრძოლაში. ანტენების წინააღმდეგ, მგონი, მხოლოდ ირანში იბრძვიან.

გახსოვთ, ალბათ — სამხედრო პოლიცია კიდევ ერთ საქმეში ფიგურირებს. ეს არის ე.წ. „ფარული ჩანაწერების საქმე“. გამოძიების მტკიცებით, სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსნები ცნობილი ადამიანების სექსუალურ ცხოვრებას ფარულად იღებდნენ, შემდეგ კი მათ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერას აიძულებდნენ. ასეთი რამ კი, ალბათ, ირანშიც არ ხდება.

საბოლოო სიტყვას ამ საქმეებზე გამოძიება იტყვის. მანამდე კი მე ვიტყვი ერთ რამეს: წარმოიდგინეთ, ვცხოვრობდით ქვეყანაში, სადაც სამხედრო პოლიცია ცნობილი ადამიანების ცხოვრებას ფარულად იღებდა და მერე მათ აშანტაჟებდა; ლილოს ბაზრობაზე სატელიტურ ანტენებს ყიდულობდა, რათა ანტენები მოსახლეობისთვის არ დაერიგებინათ... დღეს კი იმ ხელისუფლების წარმომადგენლები გვეუბნებიან, ჩვენ ქვეყანა ევროპისკენ მიგვყავდა, ახლა რუსეთისკენ მიდისო. უკაცრავად, მაგრამ თქვენ ქვეყანა ევროპისკენ კი არა, უკანალისკენ მიგყავდათ, ბატონებო!

საოცარი ტრანსფორმაცია

ვირის ბოლოს სასამართლომ პროკურატურას კიდევ ერთი პანღური უთავაზა. სააპელაციომაც არ დააკმაყოფილა მათი სარჩელი გიგი უგულავასთვის გირაოს შეფარდებისა და უფლებამოსილების შეჩერების შესახებ. კვირის დასაწყისში ასევე მოიქცა პირველი ინსტანციის სასამართლო. შეიძლება ითქვას, დღევანდელი სასამართლო პროკურატურას სასაცილოდ იგდებს, მაშინ, როდესაც ცოტა ხნით ადრე პროკურორის სიტყვა მათთვის კანონი იყო. მართლაც შესაშური ტრანსფორმაციაა. მორჩილი სასამართლო უცებ გახდა ურჩი. ზოგადად ურჩი სასამართლო ძალიან კარგია, მაგრამ წლების განმავლობაში რომ მორჩილი ხარ და უცებ, არჩევნების შემდეგ, ურჩი გახდები, თავისთავად ჩნდება ეჭვი, რომ შენ თავისუფალი კი არა, ისევ ერთი პოლიტიკური ჯგუფის მსახური ხარ, უბრალოდ, ახლა იმ ჯგუფს სჭირდება, რომ პროკურატურას ეურჩო და შენც ეურჩები.

კოტე კუბლაშვილის ამბავი გასაგებია, მაგრამ ამდენ მოსამართლეს უკვე ოპოზიციონერი „ნაციონალები“ როგორ იმორჩილებენ, ვეღარ ვხვდები. არც მაშინ მესმოდა ეს, როცა „ნაციონალები“ ხელისუფლებაში იყვნენ, მაგრამ ჯანდაბას, შევეცდები გავიგო, რომ მათ ადეიშვილი აშინებდა. ახლა ადეიშვილი ქვეყნიდანაა გაქცეული და ვისი ეშინიათ? „ნაციონალები“ კი გამოდიან და პროკურორებს დასცინიან. ეს მარაზმია! ის პროკურორები ხომ ადეიშვილის მიყვანილები არიან! ძალიან საინტერესო სიტუაციაა: „ნაციონალები“ დასცინიან ადეიშვილის გამოზრდილ პროკურორებს, ეს რა არაპროფესიონალი კადრები გვყოლიაო. არაპროფესიონალები იქნებოდნენ, აბა რა, სასამართლოში მაგათ ტვინის განძრევა და ძალისხმევის გამოჩენა არ სჭირდებოდათ. მოსამართლეს თვალს დაუბრიალებდნენ და გაკეთებული იყო საქმე. ახლა კი ის მოსამართლეები მათ, ფაქტობრივად, აბუჩად იგდებენ. მაგრამ რა მიკვირს, იცით? იმ მოსამართლეებს არ უნდათ კარიერის გაგრძელება? რას ფიქრობენ, „ნაციონალურ მოძრაობას“ და კუბლაშვილს უნდა გადაჰყვნენ? ახალ კანონს როდესაც მიიღებენ და ახალი იუსტიციის საბჭო დაკომპლექტება, ის ხომ დაინტერესდება მათი საქმიანობით? თუმცა მანამდე, ვიდრე სასამართლოს შესახებ ახალ კანონს მიიღებენ, ლამისაა პროკურატურამ ყველა საქმე წააგოს. რა თქმა უნდა, პროკურატურასაც მართებს უკეთ მუშაობა. მაგალითად, უგულავასთვის მილიონი ლარი გირაოს მოთხოვნა რას ემსახურებოდა, ვერ გავიგე. კარგია, იმას რომ იძიებენ, როგორ წაართვეს ჯოზეფ ქეის „იმედი“, მაგრამ ქეის როგორ ჩაუვარდა ხელში ეს ტელევიზია, ეს არ უნდა გამოიძიონ?

ქოსატყუილა

მიქროს სიტყვები თქვა ჯერ კიდევ საუკუნეების წინ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა: „კუდი ძაღლისა არ განიმართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“. ეს სიტყვები ზედგამოჭრილია სააკაშვილზე. მას ტყუილის თქმა სისხლში აქვს გამჯდარი. თუმცა ხელისუფლების ცვლილებამ ერთი კარგი შედეგი მაინც გამოიღო: მის ტყუილს ისეთი მოკლე ფეხები აქვს, რომ პრესკონფერენციის დასასრულამდეც ვერ აღწევს. ადრე თუ ბანკები მოერიდებოდნენ პრეზიდენტის ტყუილში მხილებას, ახლა უმალვე გამოეხმაურნენ მის ნათქვამს და განაცხადეს, რომ პრეზიდენტის ინფორმაცია არასწორია და არც ერთი მათგანი რუსულ ბანკებთან მოლაპარაკებებს არ აწარმოებს. მგონი, პირველად მოუხდა პრეზიდენტს საკუთარი ტყუილის აღიარება, თუმცა სოციალურ ქსელებში მისი მხარდამჭერები არ ნებდებოდნენ. კიდევ კარგი, მიშას აღიარებამ, ტყუილი ვთქვიო, დროზე მოუსწროთ, თორემ სადამდე წავიდოდნენ, არავინ იცის. თუმცა ბანკებთან დაკავშირებით პრეზიდენტმა კიდევ ერთი საინტერესო რამ თქვა: ადრე იპოთეკით დატვირთულ ქონებას ქართული ბანკები მაინც წაიღებდნენ, ახლა კი ამას „სბერბანკი“ წაიღებსო. და რადგან ინფორმაცია ქართული ბანკების გაყიდვის შესახებ არ დადასტურდა, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ: ბინას ისევ ქართველი ბანკირი წაგართმევთ.

რას ჰყვება პოლიტპატიმარი ქალი, მოძღვრად მარიკა თხელიძის მამიდა

„ეკა ხერხეულიძის სახლიდან სუბოტექსი ამოიღეს“

პოლიტპატიმრის სტატუსი პარლამენტმა ერთადერთ ქალს, ყოფილ პროკურორ ნანა თხელიძეს მიანიჭა. იგი მომღერალ მარიკა თხელიძის მამიდაა. ქალთა დაწესებულებაში 2 წელი და 7 თვე გაატარა, რომ არა ხელისუფლების ცვლილება, გისოსებს მიღმა 9 წელიწადი მოუწევდა ყოფნა. 1992 წლიდან პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. ბოლოს საპატრულო პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ზედამხედველი პროკურორი იყო. სისტემიდან პირადი განცხადებით წავიდა, ამის მიზეზი ზურაბ ადეიშვილთან დაპირისპირება გახდა. მალე ადვოკატურაში გადაბარგდა და რამდენიმე თვეში დააკავეს. განაჩენის მიხედვით, ადვოკატმა ნანა თხელიძემ ოლქის პროკურორებზე ზეგავლენა მოახდინა და ამის გამო 3 პრალდებულს საპროცესო გარიგება არასწორად გაუფორმეს. მას სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით (ზეგავლენით ვაჭრობა) წაუყენეს ბრალი. თხელიძის მტკიცებით, ბრალდება შეთითხნილია. კარგად იცის, რა მეთოდებით მუშაობდა ადეიშვილის დროს პროკურატურა, ისიც ახსოვს, როგორ აღმოაჩინეს ეკა ხერხეულიძის სახლში სუბოტექსი, რატომ არ დააკავეს მინისტრის მოადგილის, თინათინ ბურჯანაძის ძმა და რა ფორმით ცდილობდა წილებში ჩაჯდომას ზურაბ ადეიშვილი.

ნანა თხელიძე

ყოფილი პატიმარი **ნანა თხელიძე:** — ადეიშვილის პირადი პატიმარი ვიყავი. თბილისის პროკურორ მამუკა გვარამიას პირდაპირ მივახალე, იმის კაცობაც არ გყოფნის, სიმართლე მითხრა-მეთქი. გვარამიამ სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დამიპირა, საქმე გავუიოლე და პირადი განცხადებით წამოვედი.

— ადეიშვილთან დაპირისპირების მიზეზი რა იყო?

— ჩემს მეუღლეს რკინიგზის ტენდერი ჰქონდა მოგებული. დაიბარეს და წილი — 1 500 000 დოლარი მოსთხოვეს. ირაკლი ეზუხბაიას ოთხივე მოადგილე რამდენიმე დღე შინ გვეჯდა და ულტიმატუმს გვიყენებდა. პირდაპირ გვითხრეს, ადეიშვილის დავალებით ვართ მოსულებიო. გადავწყვიტეთ, მოლაპარაკებაში მისი მარჯვენა ხელი, ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი ჩაგვერთო. ის ეზუხბაიას კაბინეტში შეხვედრას დაესწრო და თანხა 2 მილიონამდე გაზარდეს. ვუთხარით, რომ არაფერს გადავიხდით. ყავლაშვილმა იმავე საღამოს პასუხი მომიტანა, არ უნდა გაახმაურო გამოძალვის ფაქტი, არც ის თქვა, რომ ზაქარიაძეს ეზუხბაიას კაბინეტში სცემეს და შეგეშვებიანო. ზაქარიაძე ეზუხბაიას მოადგილე იყო, ამ პროექტს კურირებდა. რატომღაც მიიჩნიეს, რომ მან თავისი წილი აიღო და ამიტომ სცემეს. მერე საქართველოდან გაიქცა. ჩემი ქმრის სამსახურში ფინანსური პოლიცია მაინც შევიდა, დარღვევა ვერ აღმოუჩინეს, მაგრამ ტენდერი ისე გაუუქმეს, რომ შესრულებული სამუშაოს თანხაც არ გადაუხადეს. ადეიშვილს შვილობილი ჰყავდა, მარეგულირებლის ხელმძღვანელი გიორგი არველაძე, მას ჰქონდა დავალებული წილების კონტროლი, ისიც გვირეკავდა. საჩივარი შევიტანე სასამართლოში და 2 მილიონი, შესრულებული სამუშაოს თანხა მოვითხოვე, პრეზიდენტსაც გავუგზავნე წერილი. ბოლოს ჩემს ქმარს ისე გაუხადეს საქმე, რომ საქართველოდან გაიქცა, მე კი ულტიმატუმი წამიყენეს, სარჩელი უკან გამომეტანა. ეს არ გავაკეთე. მეტიც, ვამხილე ადეიშვილი და მისი აგენტების გვარებიც დავასახელე. ისიც გავახმაურე, როგორ ამოიღეს ეკა ხერხეულიძის სახლიდან სუბოტექსი და როგორ დახურეს ეს საქმე ისე. პროკურატურაში საპატრულო პოლიციას ვკურირებდი და ყველა ინფორმაცია ჩემთან იყრიდა თავს. იმდენი რამე ვიცი, ვერც კი წარმოიდგენთ. თინა ბურჯალიანის ძმაც დააკავეს ნარკოტიკებისთვის, გაგიჟდა ბურჯალიანი. პროკურორებს აიძულებდნენ საპროცესოს თანხა, 2 000 ლარი მათ გადაეხადათ.

— ხერხეულიძის სახლიდან ამოღებული სუბოტექსი ვის ეკუთვნოდა?

— ხერხეულიძეს ნახევარძმა ჰყავს, ის დააკავა საპატრულო პოლიციამ ნარკოტიკზე და როცა სახლის ჩხრეკა ჩატარდა, 150 აბი სუბოტექსი იპოვეს, მაგრამ ეს საქმე შეწყდა...

პროკურატურა აგენტების დახმარებით აუბედურებდა ათასობით ადამიანს, მათი ცოდვა ამათ კისერზეა. აგენტების გაშიფვრა სახელებით და გვარებით ვცადე, ამან გააგიჟა ადეიშვილი... ერთ დღეს გამომძიებელმა ნიკა ბიწკინაშვილმა პროკურატურაში მისვლა მთხოვა, იქ გავარკვიე, რომ აბსურდულ ბრალდებას მიყენებდნენ. ადეიშვილს წერილი მივწერე: შენ გინდა შემაშინო, მაგრამ არ გამოგივა. გაფრთხილებ, ჩემს ოჯახს არ შეეხო, შე ვირთხა-მეთქი.

— რას გედავებოდნენ?

— თითქოს ადვოკატმა ჯინჭარაძემ საპროცესო გარიგებაში დახმარება მთხოვა. დავუკავშირდი შიდა ქართლის პროკურორ გელა მამალაძეს, ასევე ქვემო ქართლის პროკურორ მიშა აბულაძეს და თითქოს მათზე მოვახდინე ზეგავლენა — იმაზე ნაკლები სასჯელი მივაცემინე ბრალდებულთათვის, რაც ადეიშვილის გაიდლაინში იყო მითითებული. თურმე ადეიშვილზე მეტად ჩემი სიტყვა გაითვალისწინეს.

— პროკურორები გაიდლაინებით სარგებლობდით?

— წერილობით არ არსებობდა, ეს იყო ჰაერში დაწერილი და ყველამ იცოდა.

იმდენად არ ჰქონდათ სამხილი, რომ ჩემი დაკავება პროკურორ ლევან ბოჭორიშვილისა და მოსამართლე დიტო მჭედლიშვილის ქრთამზე დაკავების ფაქტს დაამთხვიეს. მათთან ერთად ტელევიზიით ჩემი გვარიც გამოცხადდა, არადა, არანაირი შეხება იმ საქმეებთან არ მქონია. დაკავების დღიდან საქმის მასალებს ვითხოვდი, მეუბნებოდნენ, აუდიოჩანაწერი გვაქვს, ტელეფონზე ლაპარაკობდიო. მომასმენინეთ-მეთქი, გრიფი „საიდუმლო“ ადევსო. ვუჩივი პროკურორებს: ქარქუსაშვილს, მჟავიას და სამივე ინსტანციის მოსამართლეს: მარინა ცერცვაძეს, მზია ლომთათიძეს და მაია ოშხერელს. ისე გამომიტანეს განაჩენი, სიტყვაც არ მათქმევინეს.

— რატომ?

— თავიდან პროცესი პროტესტის ნიშნად დავტოვე, რადგან საქმის მასალებს არ ვიცნობდი. წარმოიდგინეთ, იმდენად იყო ადეიშვილი ჩემი დაჭერით დაინტერესებული, რომ პროკურატურამ ოპერატიული თანხა თავად გადაუხადა იმ პირებს, ვის საპროცესო შეთანხმებასაც მე მედავებოდნენ. პროკურორ ზაზა ქარქუსაშვილს პროცესზე ხელი დაადეს ბრალდებულებმა, თანხა ამან მოგვცა „საქართველოს ბანკში“ შესატანადო.

— საპროცესო კოლოსალურ თანხებს ახდევინებდნენ ადამიანებს და ამ სამი პირისთვის რატომ უნდა გადაეხადა პროკურატურას დაკისრებული თანხა?

— მერწმუნეთ, ისე იყვნენ დაინტერესებული ჩემი დაჭერით, ოღონდ ამ ხალხს ეთქვა, რომ მე ვიყავი გარეული ამ საქმეში, ყველაფერს გააკეთებდნენ. მათ სასამართლოზე თქვეს, რომ ჩემთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ... მხოლოდ ჯინჭარაძის ჩვენება დევს ჩემს წინააღმდეგ.

ჩემი საქმე იწყებოდა იმით, თუ როგორ დაიჭირეს ჯინჭარაძე, ის პატიმრებს ჰპირდებოდა ციხიდან გამოყვანას დავით საყვარელიძის დახმარებით. შუამავალ პროკურორს მიუტანა საყვარელიძისთვის გადასაცემი თანხა და მორჩენილი 5 000 დოლარით დაიჭირეს. ბოლოს წერდა, დანარჩენ სამ საქმეზე ნანა თხელიძეს ვთხოვე საპროცესო გარიგებაში დახმარებაო. პროცესზე ხომ უნდა დაკითხულიყვნენ პროკურორები აბულაძე და მამალაძე, რომლებმაც ეს გარიგება ოფიციალურად გააფორმეს, მაგრამ არ დაკითხულან. დიდი ბრძოლის შემდეგ მოიყვანეს ის ხალხი, ვისაც საპროცესო რეალურად გაუკეთდა. ისინი ამბობდნენ, მოლაპარაკება ჯინჭარაძესთან გვქონდაო. *„ერთ დღეს მოვიდა ჯინჭარაძე და მითხრა, საპროცესოს გაგიკეთებენ და ფულსაც პროკურატურა გადაიდებსო. გამიკვირდა, რატომ მიხდიდნენ ფულს, ჯინჭარაძემ მითხრა, ასეა საჭიროო. „საქართველოს ბანკში“ მიმიყვანეს, პროკურორი ქარქუსაშვილი დამხვდა, 2.000 დოლარი მომცა და ანგარიშზე შევიტანე“,* — ამბობდა მოწმე. იმავეს ამბობდნენ სხვებიც... ჩემს საქმეს ახლაც გრიფი „საიდუმლო“ ადევს, სიცოცხლისთვის საშიშ ინფორმაციას შეიცავსო.

ჩემი დაჭერიდან მეოთხე დღეს ჩემს ქმარს საქალაქო სასამართლოდან გადაწყვეტილება მოუვიდა, რომ უარი ეთქვა სამოქალაქო დავაზე და მან 2 მილიონი დაკარგა...

— ქალთა დაწესებულებაში რა პირობებში ცხოვრობდით?

— მატროსოვზე ყოფნის დროს ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო, მაგრამ ვერ გამტეხეს. რაც შეეხება რუსთავის ციხეს, იქ საშინელება ხდება. როდესაც იქ გადაგვიყვანეს, ორი კვირა კარანტინში ვიყავით. ქვემოთ ბეტონია, თეთრეულიც არ გვქონდა. ნარზე ტანსაცმლით ვიწექით. იმ კორპუსის ირგვლივ, სადაც სასჯელს ვიხდიდი, ერთი ხეც არ დგას. სულ 5 კორპუსია და სავსე იყო პატიმარი ქალებით. ასფალტის ოხშივარი შიგნით, საკნებში შემოდიოდა. ზაფხულში ვეღარ ვსუნთქავდით და ფანჯარასაც ვერ ვაღებდით — გისოსები აქვს გარედანაც და შიგნიდანაც. ბოლოს რომ ნახეს, მართლა ვიგუდებოდით, შიდა გისოსები გაჭრეს და ფანჯარა გააღეს, მერე გისოსი ისევ გაუკეთეს. იქ საგანგაშო მდგომარეობაა, ხშირია თვითდაზიანების ფაქტები — ქალები სამართებლით იზიანებენ თავს. განსაკუთრებით ისინი, ვისაც ქალთა ბუნტის გამო სასჯელი დაემატა, რეალურად კი არანაირი ბუნტი არ ყოფილა. ციხიდან ჩემი გამოსვლის შემდეგ პატიმარმა მუცელი გადაიჭრა და ვენები დაისერა. ეს ფაქტი არც გახმაურებულა. თითქმის ყველა პატიმარი ფსიქოტროპულ წამალს იღებს.

— არჩევნების დღეს თქვენთანაც იყო ალბათ ჟრიამული.

— ჩვენ გვერდით იყო სასჯელაღსრულების მექანიზე დაწესებულება, სადაც მამაკაცები იხდიან სასჯელს. ორი წლის განმავლობაში იქ შუქი არ გვინახავს, ჩამკვდარი იყო იქაურობა, უბრალოდ ვიცოდით, რომ იქ ადამიანები ცხოვრობდნენ, მაგრამ ცოცხალთა სასაფლაო იყო... იმ დღეს ღამის 12 საათზე შუქები აინთო და პირველად გავიგონეთ ადამიანების ხმა...

ორი წელი ჩემი ოჯახი არ მინახავს, პაემნის უფლება არ გამომიყენებია, რადგან არ შემეძლო არაფერი მჭირდა. მერე „ნიუჰოსპიტალში“ გადამიყვანეს და უძლიერესი წამლები გამომიწერეს, თან მითხრეს, რომ სასწრაფოდ საოპერაციო ვიყავი. უარი განვაცხადე. თეა ჭინჭარაული კი კატეგორიულად მოითხოვდა, ოპერაცია გამეკეთებინა. ქალს ვუხსნიდი, ზუსტი დიაგნოზი მჭირდება, ასე ბრმად ოპერაციას ვერ გავიკეთებ-მეთქი. მერე პროკურატურიდან გამომიგზავნეს ვინმე ჯარჯი წიკლაური, რომელიც იმავეს მოითხოვდა... როგორია, როცა პატიმარს ეუბნები, სიმსივნე გაქვსო?.. ვერ გამტეხეს და მათი წამლებიც არ მიმიღია. ციხიდან გამოსვლის დღიდან ექიმებთან ვარ. მეუბნებიან, სრულიად ჯანმრთელი ხარო. ამ საბუთებს ახლა შევაგროვებ და ვუჩივლებ ექიმ ჭინჭარაულს. რომ არა ჩემი პრინციპულობა, ალბათ ამოჭრილი მექნებოდა ყველაფერი. ჭინჭარაულმა დაწერა განცხადება და წავიდა, მაგრამ ამდენი ქალის გაუბედურებას არ შევარჩენ. ტუბერკულოზიანი პატიმრებით გავსებულია ქალთა დაწესებულება. ბევრმა არც იცის დაავადებული რომ არის, რადგან სამედიცინო კორპუსი ამდენ ადამიანს ფიზიკურად ვერ დაიტევს.

თეა ხურცილავა

თინა ბურჯალიანი

ეკა ხერხეულიძე

„პროკურატურაში საპატრულო პოლიციას ვკურირებდი და ყველა ინფორმაცია ჩემთან იყრიდა თავს. იმდენი რამე ვიცი, ვერც კი წარმოიდგენთ

ნანა თხელიძე: „ადეიშვილის პირადი პატიმარი ვიყავი, მაგრამ ვერ გამტეხეს“

„რომ არა ჩემი პრინციპულობა, ამოჭრილი მექნებოდა ყველაფერი“

„თინა ბურჯალიანის ძმისთვის დაკისრებული ჯარიმა პროკურორებს გადაახდევინეს“

„ადეიშვილს მივწერე, ჩემს ოჯახს არ შეეხო, შე ვირთხა-მეთქი...“

„ქალი არ დარჩენილა, თეა ჭინჭარაულს ოპერაცია რომ არ გაეკეთებინოს. გჭირდებოდა თუ არა, ოპერაციას ითხოვდა. ღღეში 10-15 ქალი გაჰყავდათ საოპერაციოდ და ეს სტატისტიკა რომ ნახოთ, შეიძლება გული გაგისკდეთ. ძირითადად, საკვერცხეებს აჭრიდნენ

თემურ ქორქოლიანი: სააკაშვილი საქართველოს მტერია

„ეს კვირაიას გაკეთებულია და იგორ გიორგაძეს შეაწმინდა ხელი“

„მიშა უნდა გასამართლდეს. ნაძირალებთან კოჰაბიტაცია დააზარალებს ბიძინა ივანიშვილს. მოვითხოვთ სააკაშვილის გასამართლებას ასობით ადამიანის დახოცვის, პოლიტიკური მოტივით დაპატიმრების, პატიმრების ცოცხებით წამების, აგვისტოს ომში ტერიტორიის დაკარგვისა და დაღუპული ბიჭების გამო. სააკაშვილი საქართველოს მტერია, „ნაცმოძრაობა“ კი ჩასაფრებულია, როდის გადაუბრუნდება ფეხი ივანიშვილს. ეს ოპოზიცია კი არა, მტრული ძალაა. ოპოზიციაში ის ძალები უნდა იყვნენ, ვისაც საქართველო უყვარს, ესენი კი პოლიტიკურ ამნისტიას ითხოვენ მილიონების შესანარჩუნებლად“, — მითხრა კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის თავმჯდომარემ, სამგზის პოლიტპატიმარმა **თემურ ჟორჟოლიანმა,** რომელიც რამდენიმე თვის წინ გათავისუფლდა ციხიდან:



„მე ხელისუფლების დამხობა კი არა, მიშას გაბანძება მინდოდა“

«დაკავებულები მოდულის ახლოს, კუბოების საამქროში შეგვყარეს და იქიდან სათითაოდ მივყავდით მოდულში კბილებამდე შეიარაღებული სპეცრაზმელების და შვეულმფრენების თანხლებით. გადაკეტეს ქალაქის შემოსასვლელები... მიშამ სპექტაკლი დადგა

«მაია ნიკოლაიშვილმა „დანაშაული აღიარა“ და საკუთარ თავისუფლებას 12 უდანაშაულო კაცი შესწირა... სასამართლოზე რომ შემოიყვანეს მოწმედ და 12 დაჭერილი კაცი დაგვინახა, გული წაუვიდა

მეგონა, „ქართული ოცნების“ გამარჯვებისა და ჩვენი ციხიდან გათავისუფლების მერე სხვა პრიორიტეტები იქნებოდა, მაგრამ მე, სამგზის პოლიტპატიმარს, ისევ სიმართლის ძებნა მიწევს, ისევ საკუთარი უდანაშაულობა უნდა ვამტკიცო (თემურ ჟორჟოლიანი ოჯახის წევრებთან ერთად. ციხიდან გამოსვლის დღე)

— 2006 წლის 6 სექტემბერს დამაკავეს. იმ დღეს მთელ საქართველოში 100-მდე პირი აიყვანეს. ბრალად მედებოდა შეთქმულება ხელისუფლების დამხობის მიზნით და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად შეიარაღებული ამბოხების მომზადება. 7 წელი მომისაჯეს.

სააკაშვილის გუნდი დღეს კანონიერ დაკავებებს აპროტესტებს, ჩვენ კი ღამის 5 საათზე სახლებსა და ოფისებში შემოგვეჭრნენ, არაადამიანურად იქცეოდნენ, გვაგინებდნენ. გამთენიისას მოდულის ახლოს კუბოების საამქროში შეგვყარეს და იქიდან სათითაოდ მივყავდით მოდულში კბილებამდე შეიარაღებული სპეცრაზმელების და შვეულმფრენების თანხლებით. გადაკეტეს ქალაქის შემოსასვლელები. სააკაშვილმა სპექტაკლი დადგა, რომლის მიზანი ხალხის დაშინება იყო. საბოლოოდ, 13 დაგვტოვეს, სხვები გაათავისუფლეს. 13-დან ერთ-ერთმა, მაია ნიკოლაიშვილმა „დანაშაული აღიარა“ (ამის გამო მიესაჯა 2 წლით პატიმრობა და ჯარიმა) და საკუთარ თავისუფლებას 12 უდანაშაულო კაცი შესწირა... სასაცილო ის იყო, რომ 4 მაისს, როდესაც თურმე ამბოხების დასაგეგმად შევიკრიბეთ, მე გულის მწვავე შეტევით ჩაფიძის კლინიკაში ვმკურნალობდი. ეს დაადასტურა საავადმყოფოს მედპერსონალმა. ისეთი მძიმე მდგომარეობა მქონდა, საავადმყოფოს მცირე დროითაც ვერ დავტოვებდი. „შეთქმულების“ დღეს ზოგი ქალაქშიც არ იყო, რაც დადასტურებულია მობილური ტელეფონის ამონაწერებით. ზოგი დაკავებული ერთმანეთს არც იცნობდა. ცხადი იყო, სასამართლო პროცესზე საზოგადოება სიმართლეს გაიგებდა, ამიტომაც პროცესები დახურეს. სასამართლოზე პროკურატურამ წარმოადგინა ე.წ. დაშიფრული მოწმეები, რომლებიც ჩვენებას სხვისი სახელით იძლეოდნენ. ე.წ. დაშიფრულ მოწმე მამაკაცებს ერქვათ „ნათია“, „თამარი“, ხოლო ქალებს „ზაური“, „მალხაზი“... ერთმა ცრუმოწმემ სიმართლის თქმა დააპირა, მაგრამ პროკურორებმა კონსტანტინე ჩაჩუამ და კობა ნოზაძემ საავადმყოფოში უკრეს თავი, ცუდად გახდაო. მეორე დღეს გარდაიცვალა. მეორე ცრუმოწმეს, დავით ლომიძეს, შვილით დაემუქრნენ და მოატყუეს, — დაწერე ჩვენება და მოწმედაც არ გაგიყვანთ პროცესზეო. დაწერა და რომ მიხვდა, რაც გააკეთა, თავი ჩამოიხრჩო...

ჩვენს საქმეს „საუკუნის საქმე“ უწოდეს და შევარდნაძისგან მტრად გამოცხადებულ იგორ გიორგაძეს მიგვაწებეს, რომლის მიმართაც ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეც არ აღძრულა.

— კონსერვატიულ-მონარქისტულ პარტიასა და იგორ გიორგაძეს შორის რა ურთიერთობა იყო?

— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაარსდა საზოგადოება „ანტისოროსი“, რომელშიც რამდენიმე პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია გაერთიანდა. კოალიცია „ანტისოროსში“ გიორგაძის პარტია „სამართლიანობა“, ელიზბარ ჯვაველიძის „XX საუკუნე“, ჩვენი კონსერვატიულ-მონარქისტული პარტია და სოციალ-დემოკრატიული პარტია შედიოდნენ. მაშინ ჩვენ ერთადერთი ძალა ვიყავით, ვინც სააკაშვილს ებრძოდა და სოროსს ამხელდა. ვამბობდით, რომ სოროსი რელიგიასა და ეროვნულობასთან მებრძოლი მაფიოზია, რომელიც სააკაშვილთან ერთად აკვარახჭინებდა ანტიქართულ საქმეებს. ჩვენს აქციებზე უკვე 10-15 ათასი კაცი გამოდიოდა, ამის კი მიშასაც შეეშინდა და ოპოზიციასაც. ჩვენს თეატრალიზებულ აქციებს მრავალი ქვეყნის ტელევიზია აშუქებდა. სწორედ ამას მივაწერ დაპატიმრებას. თავიდან სამშობლოს ღალატი წამიყენეს ბრალად, მაგრამ მერე ეს ბრალდება გააქრეს. სამშობლოს როგორ უნდა უღალატოს კაცმა, რომელსაც 9 შვილი და 9 შვილიშვილი ჰყავს? რაკი მიშა არ მინდოდა, ამის გამო სამშობლოს მოღალატედ გამომაცხადა. მე ხელისუფლების დამხობა კი არა, მიშას გაბანძება მინდოდა. დამაბრალეს, რომ დაგეგმილი მქონდა შს მინისტრის გასაღება, ასევე პრეზიდენტისა და პრემიერის იზოლაცია. 240-ტომიანია ჩვენი საქმე, სადაც მხოლოდ სისულელეები წერია. შეკრება, რომელზეც თურმე ხელისუფლების დამხობა დაიგეგმა, საერთოდ არ ჩატარებულა.

— მაია ნიკოლაიშვილმა რომ აღიარა, ასეთი შეკრება იყო?

— როგორც ვიცი, შვილით დაემუქრნენ. სასამართლოზე რომ შემოიყვანეს მოწმედ და 12 დაჭერილი კაცი დაგვინახა, გული წაუვიდა.

— უცნაურია, რომ არ დააპატიმრეს გიორგაძის ფონდის თავმჯდომარე ირინა სარიშვილი და ელიზბარ ჯვაველიძე

— მათი დაჭერა ხელისუფლებას არ აწყობდა. ირინა სარიშვილმა იჩალიჩა, რომ დაეჭირათ, მაგრამ განგებ არ დაიჭირეს. ირინა გიას დროს საკმაოდ პოპულარული იყო, ამიტომ მოერიდნენ... ელიზბარ ჯვაველიძე კი მიშას ბაბუად ეკუთვნის, თანაც ასაკოვანია და არ დაიჭირა.

— ეროვნული მოძრაობა ანტირუსული განწყობების იყო, თქვენ კი რუსეთის „მხარდაჭერით“ გადატრიალების მცდელობის გამო დაგაკავეს.

— რუსეთი არაფერ შუაშია. გიორგაძე კი პატრიოტია. იგორი მოსკოვში, სასტუმროში, რამდენჯერმე ვნახე 2005-2006 წლებში. სააკაშვილზე მითხრა, ეგ ნაძირალა ქვეყანას დაღუპავსო.

— წლების განმავლობაში იგორ გიორგაძე ბრალდებოდა შევარდნაძისთვის მოწყობილი ტერაქტი და თქვენი მეგობარი გია ჭანტურას მკვლელობა.

— შევარდნაძემ ბოლო დროს თქვა, კვირაიამ მითხრა, ტერაქტი გიორგაძემ მოგიწყოო, მაგრამ მე არ მჯერაო. 2005 წელს მამუკა გიორგაძე ჩავიდა მოსკოვში და იგორ გიორგაძეს ჰკითხა გია ჭანტურიას მკვლელობაზე. იგორმა უთხრა, — მე გიას მოკვლა კი არა, გაფრთხილება მინდოდა, გიას დავურეკე კიდეც, რომ შემხვედროდა, მაგრამ არ შემხვდაო. ეს კვირაიას გაკეთებულია და გიორგაძეს შეაწმინდა ხელი.

— თუ მართალი იყო, რატომ გაიქცა ქვეყნიდან?

— გიორგაძეზე კვირაია იყო გადაკიდებული, რომ არ გასცლოდა, კვირაია მოკლავდა.

1988 წლიდან პოლიტიკაში ვარ და არც ერთ მთავრობასთან არ მითანამშრომლია. მდევნიდნენ, არ მოსწონდათ ჩემი ოპოზიციური განწყობა... ჯერ კომუნისტებმა დაგვაპატიმრეს 1988 წელს მე, გია ჭანტურია და ირინა სარიშვილი. წერეთელმა მაშინ სვანეთში წასვლით უშველა თავს... მერე გამსახურდიას დროს დამაპატიმრეს — „ლიმონკა“ ჩამიდეს ჯიბეში. ჭანტურია, სარიშვილი და მამუკა გიორგაძე კი მოსკოვში მიფრინავდნენ და თვითმფრინავი დასვეს მათ დასაპატიმრებლად. მალე სხვადასხვა ორგანიზაციამ პოლიტპატიმრებად შეგვრაცხა და 45 დღეში გაგვათავისუფლეს.

— მახსოვს, თქვენ და გია ჭანტურა ევროპაში რომ ეძებდით საქართველოს ტახტის მემკვიდრეს და მონარქიის აღდგენა გსურდათ.

— ეს კარგი იდეა იყო, მაგრამ ყველას არ მოსწონდა ეროვნულ მოძრაობაში. ამის გამო ზვიად გამსახურდიასთანაც შეუთანხმებლობა მქონდა, ის საპრეზიდენტო რესპუბლიკის იდეას ემხრობოდა.

ევროპაში გიორგი და ქეთევან ბაგრატიონებს შევხვდით, მაგრამ ესპანეთის მეფე ხუან კარლოსმა არ გამოუშვა გიორგი ბაგრატიონი საქართველოში. შევარდნაძემ იმუშავა ამაზე, — საქართველოში არეულობაა და ტახტის მემკვიდრეს საფრთხე ელისო. იყო მეორე ხელის შემშლელი მიზეზიც — დასავლეთში მართლმადიდებლური მონარქიის აღდგენა არავის უნდოდა.

— შევარდნაძემ რატომ დაგაპატიმრათ?

— მას ნათქვამი ჰქონდა, თუ აფხაზეთი დაიკარგა, გადავდგებიო. დაკარგა აფხაზეთი და არ გადადგა, მაშინ ძალიან მწვავე კითხები დავუსვი მას და მთელმა პარტიამ შიმშილობა გამოაცხადა შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით. 31 დღე ვიშიმშილეთ. დაგვემუქრა, ვერც ერთი ვერ მოხვდებით 1995 წლის პარლამენტშიო. მას შემდეგ, რაც გია ჭანტურია მოკლეს, ეტყობა, ჩემი მოკვლა აღარ გამოდიოდა და დამიჭირეს. სახლის დამხმარე სათავსში გაპრიალებული ავტომატი დამიდეს. ავტომატი რომ ამოიღეს, მტკვერიც არ ჰქონდა. 4 წელი მომისაჯეს, მაგრამ 1 წელი და 8 თვე მოვიხადე, რადგან „უდო“ შემეხო. სააკაშვილის რეჟიმის გარდა, არც ერთი პატიმრობა ბოლომდე არ მომიხდია, სააკაშვილმა კი „უდო“ არ შემახო. 8 თვე მაკლდა 7-წლიანი სასჯელის მოხდას, მაგრამ ხელისუფლება შეიცვალა და გამოვედი.

ჩვენი გასამართლება პირველი საქმე იყო სახელმწიფო გადატრიალების სერიალიდან. ხელისუფლებამ მოსინჯა და გამოუვიდა, საზოგადოებამ პირში წყალი ჩაიგუბა. ამიტომაც ჩვენს დაპატიმრებას „ენვერი“ და სხვა „შეთქმულებები“ მოჰყვა...

ჩვენ საპატიმროები ორი თვით ადრე დავტოვეთ, ვიდრე პარლამენტი პოლიტპატიმრებს აღიარებდა. ამიტომაც პოლიტპატიმართა სიიდან ამოგვიღეს და სტატუსის გარეშე დაგვტოვეს ისინი, ვისაც მრავალი წლის განმავლობაში გვდევნიდნენ, რუსეთის აგენტებს გვეძახდნენ და ჩვენზე დოკუმენტურ ფილმებს იღებდნენ, რათა საზოგადოებისგან გავერიყეთ. თუ 2 ოქტომბრამდე პოლიტპატიმრად გვაღიარებდნენ, რა შეიცვალა? ჩვენს საქმეზე გასამართლებული გენადი არჩვაძე, რომელსაც დაუსწრებლად მიესაჯა სასჯელი, რადგან ქვეყნიდან გასული იყო და არც დაბრუნებულა, პოლიტდევნილია, ჩვენ კი „დამნაშავე“ პატიმრები აღმოვჩნდით. 7 წელი მშიერი მყავდა ცოლ-შვილი. პარლამენტარის 650-ლარიანი სტიპენდიაც კი მომიხსნეს.

პოლიტპატიმრის სტატუსი არაფერს მმატებს, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციებმა სამჯერ მაღიარეს პოლიტპატიმრად, მეგონა, „ქართული ოცნების“ გამარჯვებისა და ჩვენი ციხიდან გათავისუფლების მერე სხვა პრიორიტეტები იქნებოდა, მაგრამ მე, სამგზის პოლიტპატიმარს, ისევ სიმართლის ძებნა მიწევს, ისევ საკუთარი უდანაშაულობა უნდა ვამტკიცო.

ირმა რკაძე

«ჩვენი გასამართლება პირველი საქმე იყო სახელმწიფო გადატრიალების სერიალიდან. ხელისუფლებამ მოსინჯა და გამოუვიდა, საზოგადოებამ პირში წყალი ჩაიგუბა. ამიტომაც ჩვენს დაპატიმრებას „ენვერი“ და სხვა „შეთქმულებები“ მოჰყვა

«სასამართლოზე ერთმა ცრუმოწმემ, სიმართლის თქმა დააპირა, მაგრამ პროკურორებმა საავადმყოფოში უკრეს თავი, ცუდად გახდაო. მეორე დღეს გარდაიცვალა... მეორე ცრუმოწმეს, დავით ლომიძეს, შვილით დაემუქრნენ და მოატყუეს, — დაწერე ჩვენება და მოწმედაც არ გაგიყვანთ პროცესზეო. დაწერა ჩვენება და რომ მიხვდა, რაც გააკეთა, თავი ჩამოიხრჩო...

„სემირამიდას ბაღები გურჯი ათუნისთვის“

„ხათუნა კალმახელიძე ერთხელ მაინც შესულიყო „კრიტში“ ან ქსნის ტუბზონაში და ენახა ის კოშმარი, რაც მე ვნახე. ამ ციხეებში პატიმრის ყოფნა წამებაა. რას ჰქვია, არაფერი ვიცოდიო?! თუ ციხეებში არ დადიოდა, სახალხო დამცველის მოხსენება მაინც წაეკითხა! პატიმრებს რომ აწამებდნენ, სააკაშვილმაც იცოდა, გენპროკურორმაც და კალმახელიძემაც, მაგრამ სწორედ ეს იყო მათი პოლიტიკური ნება“, — გვითხრა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა **სოზარ სუბარმა:**

როგორი აპარტამენტების აშენებას აპირებდა თავისთვის კალმახელიძე?!



აჯეთებს საქართველოში სეპარატისტული მოძრაობის გააქტიურებაზე, ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ავტონომიების წარმოქმნის საფრთხეზე

— სააკაშვილის ქმედებებით ჩანს, რომ ის უცხოეთში მხოლოდ საქართველოს იმიჯის დასანგრევად კი არა, ქვეყანასთან საბრძოლველად მიდის. საბანკო და ფინანსური სისტემა ყველაზე მგრძნობიარეა და როდესაც პრეზიდენტი ამბობს, წამყვანი ბანკები რუსეთმა იყიდაო, შეიძლება ამ ბანკების აქციების ფასი დაეცეს და გაკოტრდნენ. ეს ან მიზანმიმართული საბოტაჟია, ან ფსიქიკურ პრობლემასთან გვაქვს საქმე... სააკაშვილმა თქვა, პირველი საპყრობილის, „კრიტის“ დახურვა დეკემბერში გვინდოდაო. როგორ უნდოდა დახურვა, ამდენი ხალხი სად მიჰყავდა? 24 ათასი პატიმარი ჰყავდა 15 ათას საწოლზე, 9 200 პატიმარი 1-ელ საპყრობილეში იყო შეყრილი, სადაც 500-600 კაცზე მეტის შეშვება არ შეიძლებოდა.

სააკაშვილმა არჩევნებამდე მახელაიძეს. პატიმრებს ეკრძალებოდათ ფანჯარასთან მისვლაც კი. კალმახელიძის ღირებულებები კარგად ჩანს სასჯელაღსრულების სამინისტროს შენობის პროექტში, რომლის ბოლო სართულზე, 800 კვმ-ზე მისი კაბინეტის, მოსასვენებელი ოთახების, ე. წ. საიდუმლო ოთახის, სამზარეულოსა და სემირამიდას ბაღის მოწყობა იგეგმებოდა. ალბათ, ამ აპარტამენტებს მისტირის და რა ხდებოდა ამ სისტემაში, სულ არ ადარდებს.

„პრეზიდენტს არ უნდა, რომ ჩავიხედოთ იმ სარჯებში, რაც სახელმწიფო დაცვის სამსახურს ჰქონდა“

— სააკაშვილი ამბობს, რომ ახალმა ხელისუფლებამ ციხიდან პედოფილები გაუშვა.

— ბოლო თვეებში სააკაშვილმა დაახლოებით 2 000 კაცი შეიწყალა. მათგან 3/4 მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს. ამ ხნის განმავლობაში ერთადერთი პედოფილი გათავისუფლდა და ისიც პრეზიდენტის შეწყალებით.

— როგორ იკვებებიან დღეს პატიმრები? დარეგულირდა თუ არა ფასები ციხეებში არსებულ აფთიაქებსა და მაღაზიებში?

— გამოვაცხადეთ ტენდერი, რომელიც ორმა ფირმამ მოიგო. განსხვავებული კვებაა არასრულწლოვანთა, ქალთა დაწესებულებებსა და საავადმყოფოებში. პატიმრების მენიუში გაჩნდა ყველი, მაწონი, არაჟანი, ხაჭო, ყოველდღიურად აქვთ ხორცი. ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმრებს კვირაში 400 გრამი თაფლი ეძლევათ. თითოეულ პატიმარზე კვირაში 1 კგ ხილია გათვალისწინებული.

გამოცხადდა ტენდერი როგორც აფთიაქებზე, რომელიც „ავერსმა“ მოიგო, ისე ციხეში არსებულ მაღაზიებზეც. ვაწარმოებთ მოლაპარაკებას იმ კომპანიებთან, რომელთაც სუპერმარკეტების ქსელი აქვთ. ფასებს გავაკონტროლებთ... სატელეფონო მომსახურებას „პელიკომი“ ახორციელებდა. ახლაც ის გააგრძელებს მომსახურებას, მაგრამ მოიხსნა შეზღუდვები საუბრებზე. პატიმრებს კომპანია არ ჩამოაჭრის ბარათზე არსებულ სასაუბრო თანხას. ციხის მიზანი ადამიანის წამება კი არა, მისი გამოსწორება უნდა იყოს. შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ მე შეუძლებელზე ვოცნებობ, მაგრამ ეს არარეალური ოცნება არ არის...

„ივანიშვილთან ვაჭრობა არ არის იოლი“

— სააკაშვილი შემაშფოთებელ განცხადებებს აკეთებს ივანიშვილის შეხვედრა?

— კარგად ვიცი, როგორც წარიმართა ივანიშვილისა და სააკაშვილის პირველი შეხვედრა, მაგრამ არ ღირს მისი საჯაროდ გამოტანა. ასეთივე იქნება ეს შეხვედრაც... ერთი თვეა დავნიშნე მოადგილე, პრემიერ-მინისტრმა მოაწერა ხელი და სააკაშვილის ხელმოწერას უცდის... იგივე პრობლემა აქვთ შს და რამდენიმე სხვა სამინისტროს. სააკაშვილი ხელს არ აწერს ელჩების დანიშვნას. ამის გამო წამყვან ქვეყნებში ელჩები არა გვყავს. ამით ისევე ვაჭრობს, როგორც დაცვის სამსახურის თემით. პრეზიდენტის დაცვაში 350 კაცი დარჩა, მის უსაფრთხოებაზე თვეში მილიონი ლარი იხარჯება. რა უნდა მეტი?

სინამდვილეში სააკაშვილი სხვა რამისთვის იბრძვის. არ უნდა, რომ ჩავიხედოთ იმ ხარჯებში, რაც ჰქონდა სახელმწიფო დაცვის სამსახურს. ბათუმში კონცერტები რომ იმართებოდა, იქ ჩასული სახელმწიფო აპარატისა და სააკაშვილთან დაახლოებული პირების ხარჯებს „შერატონში“ სახელმწიფო დაცვის სამსახურის ბიუჯეტი აფინანსებდა. ამიტომ მიდის სააკაშვილი საბოტაჟზე — ხელს არ აწერს მაღალი თანამდებობის პირების დანიშვნას. ორშაბათს პრემიერთან შეხვედრისას შეეცდება ამ თემებით ვაჭრობას, მაგრამ ივანიშვილთან ვაჭრობა არ არის იოლი.

იზო რკაძე



„ათუნა კალმახელიძის ღირებულებები კარგად ჩანს სასჯელაღსრულების სამინისტროს შენობის პროექტში, რომლის ბოლო სართულზე, 800 კვმ-ზე მისი კაბინეტის, მოსასვენებელი ოთახების, ე. წ. საიდუმლო ოთახის, სამზარეულოსა და ბაღის მოწყობა იგეგმებოდა“ ■

www.kvirispalitra.ge

თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

გთხოვთ კომენტარი დატოვოთ ჩვენს საიტზე ან მოგვწეროთ რედაქციაში

ხათუნა ლაგაზიძე

სააკაშვილის უცნაური აღსარება

რამდენიმე დღის წინ „ინტერპრესნიუსით“ გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის ძალზე მნიშვნელოვანი განცხადება, რომელიც სააკაშვილის მმართველობის ცხრაწლიან პერიოდში მისი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის არსს წარმოაჩენს. კერძოდ, მან ბრძანა, რომ საქართველოს სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს არსებობას, თუ ის იქნება დაპირისპირების ობიექტი საერთაშორისო ურთიერთობებში. დაპირისპირებულთა შორის, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ როგორც დიდი საერთაშორისო მოთამაშეები, ასევე ჩვენი მეზობელი ქვეყნები! რატომაც არა?! თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, — ხომ ჩვენი მოგონილი ანდაზაა და რატომ შევზღუდოთ ჩვენზე ფეხის შეწმენდისა და ჩვენი

დაფლეთის მსურველები?! სააკაშვილის ეს უცნაური თვითლუსტრაცია-აღსარება ფარდას ხდის 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიასაც და სხვა რიფებსაც, რომლებიც „ნაციონალურმა ხელისუფლებამ“ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ არეალზე ჩაულაგა.

აღარაფერს ვამბობ, სახელმწიფოებრივია თუ არა და რამდენად ჯანსაღია მიდგომა, როცა პრეზიდენტი საკუთარი სახელმწიფოს არსებობის ერთადერთ აზრად და მიზიად სხვა ქვეყნებს შორის დაპირისპირების ობიექტად ყოფნას მიიჩნევს?! როცა საკუთარ ქვეყანას სხვების მიერ მუდმივად ფეხით გასათელი მიწის ნაფლეთად აღიქვამს?!

სააკაშვილის საგარეო პოლიტიკის ეს უცნაური დედო-აზრი გარკვეულწილად ააშკარავებს იმ მიზეზებს, თუ რატომ მიაჩნდათ იგი ესოდენ სასურველ და იოლ პარტნიორად: სააკაშვილის მუდმივი მზაობა — ხურდაში გაეცვალა საკუთარი ქვეყანა, მას ბევრისთვის მარტივ გაჭრილ კარტად აქცევდა.

„თეთრი კავკასიური შური“

საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკაში მრავალკომპონენტური თამაში და შფოთი შეიტანა. სწორედ ამ შფოთიან მოლოდინს მიუძღვნა რამდენიმე დღის წინ რადიო „თავისუფლების“ სომხურმა ბიუროომ ძალზე საინტერესო სარედაქციო სტატია სათაურით, „თეთრი კავკასიური შური“, რომელიც საქართველოს საგარეო პოლიტიკის ახალ მიდგომებს ეხება. კერძოდ, ერევანში ამბობენ, რომ ქართველებმა პირდაპირ უთხრეს რუსეთს, რას ფიქრობენ მასზე. „ახლა ივანიშვილი რუსეთისთვის თანასწორი პარტნიორია. ჩვენ კი თავს ვუწოდებდით სტრატეგიულ პარტნიორს და რეალურად მხოლოდ ფორპოსტად დავრჩით... მთავარი ძარღვი მდგომარეობს იმაში, თუ რაოდენ მსუბუქად შეუძლია ივანიშვილს, გადასწიოს კავკასიის ტრადიციული ძალოვანი ხაზები. ადრე საქართველოს პოზიცია გასაგები იყო, ახლა — მრავალვარიანტული გახდა. აქ (იგულისხმება საქართველოს მეზობლები) აღმოაჩინეს, რომ შესაძლებელი ყოფილა, სათანადო პოლიტიკური ნების შემთხვევაში, ნახტომის გაკეთება იმ პირობებშიც კი, როცა რუსეთთან ფრონტის ხაზი გაქვს. საქართველო დღეს აღარ არის მხოლოდ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მდებარე გეოგრაფიული ელემენტი.“

ჩვენმა ტრადიციულად გამჭრიახმა მეზობლებმა ჩვენზე უკეთ და სწრაფად დაინახეს საერთაშორისო არეალზე გაჩენილი ახალი მოლოდინი — საქართველოს საგარეო პოლიტიკა გახდეს უფრო პრაგმატული და მომთხოვნი, ვიდრე აქამდე იყო. როგორ გამოვიყენებთ ამ შანსს, მომავალი გვიჩვენებს.

პრეზიდენტის საბოტაჟი პოლკოვნიკების აღდგენაზე?

ქართულ არმიაში პოლკოვნიკებს, ტრადიციულად, არ უმართლებთ. ჯერ იყო და, 2009 წლის 14 დეკემბრის ბრძანებით, მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა და კადრების განკარგულებაში გადაიყვანა ერთდროულად 180 ვიცე-პოლკოვნიკი და პოლკოვნიკი (არადა, ბევრ მათგანს სამხედრო პენსიაზე გასვლამდე რამდენიმე კვირა და დღეც კი რჩებოდა), ახლა კი პრეზიდენტი ხელს არ აწერს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში პოლკოვნიკთა ნაწილის აღდგენის ბრძანებას.

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეცვლილმა თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების



ათეულობით პოლკოვნიკი ვერ ახერხებს შეიარაღებულ ძალებში დაბრუნებას, რადგან მათი აღდგენის ბრძანებას პრეზიდენტი ხელს არ აწერს...

ხელმძღვანელობამ ქართულ არმიაში იმ სამხედრო მოსამსახურეთა აღდგენის პროცესის დაწყების შესახებ განაცხადა, რომლებიც გასულ წლებში დაუსაბუთებლად და უკანონოდ იყვნენ დათხოვნილი შეიარაღებული ძალებიდან.

2012 წლის 25 ოქტომბრიდან 2013 წლის 12 თებერვლის ჩათვლით თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში აღდგენისა და დასაქმების თხოვნით 3 323-მა პირმა მიმართა, მათ შორის არის 443 უფროსი ოფიცერი, 409 უმცროსი ოფიცერი, 1 976 კაპრალი და სერჟანტი და 495 სამოქალაქო პირი (ინფორმაციისთვის: 22 თებერვლიდან ასეთი განცხადებების განხილვას შეუდგა თავდაცვის მინისტრის ბრძანებით შექმნილი თანამდებობრივი საკვალიფიკაციო კომისია).

რა თქმა უნდა, შეიარაღებულ ძალებში ყველა მსურველის დაბრუნება ვერ მოხერხდება, თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთნი თავის დროზე მართლაც იმსახურებდნენ არმიიდან დათხოვნას საწესდებო დანაშაულთა გამო (თუმცა, ეს კომისიის გადასაწყვეტია).

არმიაში კაპრალების, სერჟანტებისა და უმცროსი ოფიცრების აღდგენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან ამას გაერთიანებული შტაბი და თავდაცვის სამინისტრო წყვეტს, თუმცა აქაც არის გარკვეული პრობლემები, რადგან შეიარაღებულ ძალებში დაბრუნების მსურველები აცხადებენ, რომ საბუთების ჩაბარების შემდეგ ისინი ბიუროკრატიულ ბარიერებს აწყდებიან და მათი საქმეების განხილვა უზომოდ ჭიანურდება.

რაც შეეხება უფროს ოფიცრებს მიკუთვნებულ პოლკოვნიკებს, ისინი მორიგი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ — სამი წლის წინ მაშინდელი თავდაცვის მინისტრის ბრძანებით ერთი ხელის მოსმით გათავისუფლებულებს დღეს არმიაში დასაბრუნებლად არც ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრისა და არც გაერთიანებული შტაბის უფროსის ბრძანება ეყოფათ.

საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ მოქმედებს 1998 წლის 28 ოქტომბერს მიღებული პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის №609 ბრძანებულება საქართველოს სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების თაობაზე. ამ ბრძანებულების მე-14 თავის მე-10 პუნქტში წერია, რომ შეიარაღებულ ძალებში უმაღლესი ოფიცრის გაწვევა-დათხოვნა და პოლკოვნიკის გაწვევა საქართველოს პრეზიდენტის პრეროგატივაა.

უმაღლეს ოფიცრებად ითვლებიან გენერლები (ბრიგადის გენერალი, გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი და არმიის გენერალი) და გასაგებია, რომ მათი გაწვევისა და დათხოვნის საკითხი პირადად პრეზიდენტის, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის გადასაწყვეტია, რადგან ასეთი უმაღლესი სამხედრო ჩინის პირები თითზე ჩამოსათვლელი გვყავს.

შეიარაღებული ძალებიდან პოლკოვნიკის დათხოვნა პრეზიდენტის გარდა შეუძლია შესაბამისი უწყების ხელმძღვანელს, აღდგენა კი მხოლოდ პრეზიდენტის პრეროგატივაა.

თავდაცვის სამინისტროდან გამოსული არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მზად არის რამდენიმე ათეული პოლკოვნიკის შეიარაღებულ ძალებში აღდგენის საქმე, მაგრამ თანხმობას, უკვე მერამდენე თვეა, ხელს არ აწერს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

რა შეიძლება ეწოდოს ამას?

საბოტაჟი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს რაიმე საქმისთვის ხელის შეშლას გარკვეული ვალდებულებების შესრულებისათვის თავის არიდებით ან მათი ცუდად შესრულებით.

თავად მკითხველმა განსაზღვროს, პრეზიდენტის მიერ პოლკოვნიკების ქართულ არმიაში დაბრუნების პროცესის შეგნებულად გაჭიანურება არის თუ არა საბოტაჟი.

ჯარში – 15-დან ისევ 12 თვემდე

ქართულ არმიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ორჯერ შეიცვალა. „ნაციონალებმა“ ჯარში სამსახურის პერიოდი ჯერ თვრამეტ თვემდე დააწესეს იმ მოსაზრებით, რომ თურმე ქართული არმია ახალ ტანკებს ყიდულობდა და მათ ასათვისებლად, გივი თარგამაძის მოსაზრებით, აუცილებელი იყო, ჯარისკაცს დიდხანს ემსახურა.

არადა ტანკის თუ სხვა საბრძოლო ტექნიკის მართვის ორგანოებთან ჯარისკაცის მიკარება არც შეიძლება — ასეთ ძვირად ღირებულ ტექნიკას მხოლოდ კონტრაქტით გაწვეული სამხედრო პირი უნდა ემსახურებოდეს, რომელიც ფინანსურადაც იქნება პასუხისმგებელი ამ ტექნიკაზე და მეტადაც გაუფრთხილდება.

მოგვიანებით იმავე ხელისუფლებამ სავალდებულო სამხედრო სამსახური ერთ წლამდე შეამცირა და იყო პერიოდი (განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომამდე), როდესაც თავდაცვის სამინისტროს საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევებზე ერთი წვევამდელიც არ წაუყვანია.

ზუსტად ერთი წლის წინ, 2012 წლის დასაწყისში, კვლავ ახალი იდეა გაუჩნდა ყოფილ ხელისუფლებას და სავალდებულო სამხედრო სამსახური 12-დან 15 თვემდე გაზარდა. მნიშვნელოვნად მოიმატა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულთა რაოდენობამაც (მაგალითად, თუკი 2010 წელს ყველა ძალოვან სტრუქტურაში გაწვეული იყო 6 923 ჯარისკაცი, 2012 წელს ეს რიცხვი 13 869-მდე გაიზარდა), რაც, სავარაუდოდ, გამოწვეული იყო იმით, რომ ყოფილი ხელისუფლება კონტრაქტით აყვანილი სამხედროებით ვეღარ აკომპლექტებდა საბრძოლო ნაწილებს და მათ შევსებას წვევამდელების რიცხვისა და სამსახურის ვადის გაზრდით ცდილობდა.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის 15-დან 12 თვემდე შემცირება საზოგადოების მოწონებას დაიმსახურებს, ისევე, როგორც გადაწყვეტილება, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გამოცხადებამდე ახალგაზრდების ჯარში გაწვევის გადავადებას ითვალისწინებს.

ერთობლივი ოპერაცია ავღანეთში

გასული კვირის ბოლოს თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია ავღანეთში ერთობლივი ქართულ-ამერიკული სპეცოპერაციის წარმატებით ჩატარების შესახებ. ასეთი ინფორმაციის გავრცელება უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია (გასულ წლებში ასე არ ხდებოდა) — საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა სახის ოპერაციებში მონაწილეობენ ავღანეთში წარგზავნილი ქართველი სამხედროები.

თავდაცვის უწყების ინფორმაციის თანახმად, ჰილმენდის პროვინციის შურაკის რაიონში ჩარჩენილი ამერიკული სამხედრო ქვედანაყოფის სამშვიდობოზე გამოსაყვანად განხორციელდა სახმელეთო-საჰაერო ოპერაცია კოდური სახელწოდებით „დინამიკური პარტნიორობა“, რომელშიც ამერიკელ საზღვაო ქვეითთა კორპუსების დანაყოფებთან ერთად ავღანეთში ISAF-ის მისიაში მონაწილე ქართული არმიის 32-ე და მე-12 ქვეითი ბატალიონების 200-მდე მებრძოლიც მონაწილეობდა. ოპერაცია თავისი მოსამზადებელი ეტაპის ჩათვლით ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და მის სერიოზულობაზე მიანიშნებს მასში მონაწილე ამერიკული მხარის დანაყოფთა ჩამონათვალიც: აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის მე-7 საბრძოლო პოლკის მე-2 საინჟინრო ბატალიონი, პირველი სატანკო ბატალიონი, მე-2 ლოჯისტიკური პოლკი და მსუბუქ შვეულმფრენთა 169-ე ესკადრილია.

ამერიკული საინჟინრო ბატალიონის მონაწილეობა მიუთითებს, რომ ამ ოპერაციის დამგეგმავი და განმახორციელებელი „სამხრეთ-დასავლეთის რეგიონული სარდლობა“ სერიოზულად უფრთხოდა გზებზე ჩასაფრებებსა და თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების ამოქმედებას. საინჟინრო ბატალიონის შეიარაღებაშია სპეციალური ტექნიკა და რადიოელექტრონული მოწყობილობები, რომლებიც ბლოკავს რადიომართული ფუგასების აფეთქებას და აადვილებს მათ აღმოჩენასა და გაუვნებლებას.

მსუბუქ შვეულმფრენთა 169-ე ესკადრილია, რომელიც მოდერნიზებული UH-1N Twin hueyებითაა აღჭურვილი, ჰაერიდან ეხმარებოდა ალყაში მოქცეული ამერიკული ქვედანაყოფის გადასარჩენად მიმავალ ამერიკულ-ქართულ ჯავშანკოლონას. შვეულმფრენის ეკიპაჟები გზებზე თალიბების შესაძლო ჩასაფრების ადგილების აღმოჩენას ცდილობდნენ.

ქართველი სამხედროების მთავარი ამოცანა ორი გზის მონაკვეთის უზრუნველყოფა გახლდათ, რათა თალიბებს არ მოეხერხებინათ მათი ჩაკეტვა და ოპერაციაში მონაწილეთა დამატებით ალყაში მოქცევა.

ამ სახის ოპერაციებს ავღანეთში საბჭოთა ჯარების შენაერთებიც ატარებდნენ 1979-1989 წლებში, როდესაც უზარმაზარი ჯავშანკოლონები, რომლებსაც ჰაერიდან შვეულმფრენები იცავდნენ, რამდენიმე ათეულ ან ასეულ კმ-ზე გადაადგილდებოდნენ.

ასეთ კოლონებს ავღანელი მოჯაჰედები მაშინ ხშირად ესხმოდნენ თავს და წარმატებებსაც აღწევდნენ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და თუ თალიბები გზებზე ისევ თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობებს აწყობენ, ISAF-ის საინჟინრო განაღმვის საშუალებები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა ავღანეთის გზებზე შევჯავშნული „მრაველი“ მაინც ფეთქდება, რასაც, სამწუხაროდ, არაერთი ქართველი სამხედროს დაღუპვა და დაჭრაც მოჰყვა.

ეს ერთობლივი ოპერაცია, საბედნიეროდ, უმსხვერპლოდ და წარმატებით დამთავრდა — საშიშ ზონაში ჩარჩენილი ამერიკული ქვედანაყოფი ქართველების დახმარებით სამშვიდობოზე გამოიყვანეს.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

„ამ საქმეზე გრიფის მოხსნა ბომბის გასკდომას უდრის“

ახლახან სახმელეთო ჯარების ჰაერსაწინააღმდეგო სამსახურის ყოფილი უფროსის, რევაზ სახვაძის უკანონო პატიმრობაში ყოფნის შესახებ გათავისუფლებულმა პოლიტპატიმრებმა შეგვატყობინეს. რამდენიმე მათგანი „კვირის პალიტრას“ დაუკავშირდა და განაცხადა, ამ კაცმა თავისი გამოგონების წყალობით 2008 წლის ომში რუსული მოიერიშეები გაანადგურა, შემდეგ დავით კეზერაშვილის პირად პატიმრად იქცა და ახლაც უკანონო პატიმარიაო. ცხადია, რევაზ სახვაძის პერსონით დავინტერესდით და მისი წერილიც მივიღეთ.

რევაზ სახვაძე: „მიკვირს, აქამდე რატომ არავინ დაინტერესდა ამ რეზონანსული საქმით, მე ხომ უკანონოდ ვზივარ მე-5 წელია მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ სხვისი დანაშაული გადავფარე. დიახ, სწორედ ამის გამო მაქციეს პოლიტპატიმრად! უკანონო შესყიდვები გადაფარეს ჩემი საქმით, რომელსაც გრიფი „საიდუმლო“ დაადეს. ნუთუ არავის აინტერესებს თავდაცვისუნარიანობის გაზრდა საქართველოში? განა შეიძლება, იცოდე, რომ ადამიანმა გამოიგონა ნოვაციური ტექნიკა და ის ციხეში გყავდეს გამოკეტილი? მე არაფერს ვითხოვ ზედმეტს, გამათავისუფლონ და მომცენ საშუალება, ვემსახურო სამშობლოს, ჩემი ნიჭი და გამოგონებები მის უსაფრთხოებას მოვახმარო. თავდაცვის სამინისტროში ყველამ კარგად იცის, რას წარმოვადგენ, რომ გამოგონებები მაქვს. მივმართავ პროკურატურას და თავდაცვის სამინისტროს, მოხსნან გრიფი „საიდუმლო“ ჩემს საქმეს და სამოქალაქო საზოგადოებამ გაარკვიოს, ვინ რა გააკეთა ომის დროს ან მის შემდგომ. რა შესყიდვები გაკეთდა კეზერაშვილი-ფოჩხუას (ზურაბ ფოჩხუა სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი იყო) დროს და რამდენი მილიონი დაუზოგეს ქვეყანას სახვაძემ და მისმა გუნდმა. იქნებ მომცენ საშუალება, ყველას გავაგებინო, ვინ ვარ და რა გამოგონებები მაქვს. გთხოვთ, ყურად იღოთ ჩემი სათხოვარი და ყველა ინსტანცია დაინტერესდეს ჩემი საქმით“.

უფრო დეტალურად რევაზ სახვაძის საქმეზე სახმელეთო ჯარების ჰაერსაწინააღმდეგო სამსახურის ყოფილი უფროსის ვაჟიშვილი, **სულხან სახვაძე** გვესაუბრა:

— რევაზ სახვაძე ჰაერსაწინააღმდეგო საზენიტო დანადგარების ერთადერთი გამორჩეული სპეციალისტი იყო საქართველოში. თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო გაძლიერება ირაკლი ოქრუაშვილის დროს. მანამდე, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ აღურიცხავი ძველი რუსული რაკეტები იყო მიმობნეული საქართველოს რამდენიმე სამხედრო ნაწილში. იმხანად ამერიკიდან მოწვეულმა ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ეს რაკეტები და მიიჩნიეს, რომ მათი განახლება შესაძლებელი იყო. ამაზე მუშაობა კი ვის დაევალებოდა, თუ არა მამაჩემს. მართლაც დაიწყო მუშაობა რაკეტების შეკეთება-განახლებაზე (როგორც ვიცი, დაახლოებით 150 რაკეტისგან 80 ახალ რაკეტას აწყობდა). ამასობაში თავდაცვის მინისტრი შეიცვალა და გაირკვა, რომ რომელიღაც ჯგუფს ამ შეიარაღების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარება კი არა, ამ ძველი რაკეტების აღრიცხვაც კი არ აძლევდა ხელს, თავდაცვის სამინისტროს ძველი იარაღის ჩამოწერა უფრო სარფიან საქმედ მიაჩნდა. თითო რაკეტის ფასი დაახლოებით 25-დან 30 ათას ევრომდე მერყეობდა. ასეთი რაკეტა მწყობრში რომ ჩამდგარიყო, სჭირდებოდა საშუალება, რითაც დაიმუხტებოდა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში რამდენიმე ქარხანა იყო, სადაც ე. წ. კედლის აპარატი ჰქონდათ. ეს იყო საკმაოდ დიდი მოწყობილობა, რომელშიც რაკეტა იდებოდა და იმუხტებოდა, შემდეგ კი ბრძოლის ველზე გადაჰქონდათ. ეს მოწყობილობა დაახლოებით 800.000-1.000.000 ევრო ღირდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს როგორღაც უნდა შეეძინა ან პრობლემის გადასაჭრელად სხვა გზა მაინც გამოენახა. რევაზ სახვაძემ ინჟინერ გივი ზურაბიშვილთან ერთად (რომელიც მასთან ერთად დააპატიმრეს) დააპროექტა ხელსაწყო, რომელიც საველე პირობებში დამუხტავდა აპარატს და თანაც კომპაქტური იქნებოდა. ეს იყო უნიკალური გამოგონება, რომლის ანალოგი არ არსებობდა. გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ფიზიკურ პირს, ე.ი. რევაზ სახვაძეს შორის, რომლის მიხედვითაც გაკეთდა მოწყობილობა და თავდაცვის სამინისტროს გადაეცა. ეს ყველაფერი დადასტურებულია მიღება-ჩაბარების აქტებით.

„რატომ არის ციხეში გამომწყვდეული კაცი, რომლის წყალობითაც 2008 წელს რუსული მოიერიშეები ჩამოაგდეს?“

— ეი. მამათქვენის მოწყობილობა გამოცადეს და მოიწონეს?

— რასაკვირველია. თავდაცვის მინისტრის თანდასწრებით ორფოლოს პოლიგონზე გამოცადეს და ეფექტიან და საჭირო საშუალებად ჩათვალეს. უფრო მეტიც, ვიცი, დღესაც იყენებენ წვრთნების დროს. ფაქტობრივად, ეს არის კუსტარული აპარატი, რომელიც თავისი შესაძლებლობებით უნიკალურია.

სახმელეთო ჯარების ჰაერსაწინააღმდეგო სამსახურში მამას ჰყავდა ჯგუფი, რომელიც თავად გაწვრთნა, ასევე, ყოველთვიურად მიდიოდა სხვადასხვა ბატალიონში და ამზადებდა ჯარისკაცებს, თუ როგორ უნდა გამოეყენებინათ ეს მოწყობილობა.

პარალელურად, სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალ ზურაბ ფოჩხუას თაოსნობით, „ოსას“ ტიპის რაკეტები იყიდეს. თითოეულის ფასი ნახევარ მილიონს აღწევდა. მაგრამ 2008 წლის ომში „ოსამ“ არ გაამართლა, მწყობრში ვერ ჩააყენეს. ზურაბ ფოჩხუა მაშინდელ თავდაცვის მინისტრ დავით კეზერაშვილთან იყო დაახლოებული. კულუარებში ყველამ იცოდა, რომ „ოსას“ შესყიდვით სინამდვილეში ფულს ათეთრებდნენ. ეს ინფორმაცია ჩემი მოპოვებულია, რადგან მამა ასეთ თემებზე არასდროს ლაპარაკობდა. ცხადია, თუკი ვინმე დაინტერესდება შეიარაღების შესყიდვებით და სახვაძის საქმეს გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნება, ბევრი რამის დადგენა შეიძლება.

მთავარი კი ის არის, რომ 2008 წლის ომში, როცა საჰაერო შეტევები დაიწყო, რუსული მოიერიშეების ჩამოგდება მამაჩემის შეკეთებული რაკეტებისა და იმ მოწყობილობის დამსახურებაა, რომელიც მან გამოიგონა. მამა ხელმძღვანელობდა ტაქტიკურ სვლებსაც, კვადროციკლებზე მეზენიტეების განთავსებაც მისი ნოუ-ჰაუ იყო, — კვადროციკლი ჯარისკაცს საშუალებას აძლევს, უცბად გამობრუნდეს იმ ადგილიდან, რომელსაც მტრის მოიერიშე მიზანში ამოიღებს. ასეთი მანევრირება განსაკუთრებით ხელსაყრელია მთიან რელიეფზე.

„ჟურნალ „არსენალის“ გამოსვლიდან ორ კვირაში მამა კეზერაშვილის დავალებით დაიჭირეს“

ომის შემდგომ პრეზიდენტმა სამხედრო საქმეში შეტანილი წვლილისთვის ხალხის დაჯილდოება დაიწყო. სპეციალური კომისიაც შეიქმნა, რომელიც სამხედრო მიღწევებს თუ მარცხს გააანალიზებდა. მოკლედ, დიდი შანსი იყო, ვინმეს ეთქვა, თუ „ოსა“ უვარგისი იყო, ნახევარი მილიონი თითოეულში რატომ გადაიხადეთო. ამიტომ

კეზერაშვილ-ფოჩხუას დაკვეთით სახვაძის ყველა ჩამოგდებული მოიერიშე ფოჩხუას სარდლობას და „ოსას“ მიაწერეს(?!), მაგრამ იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ მაინც დაუშვა დიდი შეცდომა

ამ „მიწერისას“, — ინტერნეტში გამოქვეყნებულია რუსული მოიერიშეების ფოტოები, სადაც ნათლად ჩანს ძრავასთან დაზიანება. ნებისმიერი სპეციალისტი იტყვის, რომ ეს მხოლოდ საზენიტო გადასატან რაკეტას შეუძლია, რადგან ეს რაკეტა სითბოს, ე.ი. ძრავის მიმართულებით მიფრინავს. „ოსას“ კი ეს თვისება არა აქვს. ეს არის ყველაზე დიდი მტკიცებულება მამაჩემის სასარგებლოდ. მოკლედ, ზურაბ ფოჩხუა 2008 წლის ომის შემდეგ ორ-

ინტერნეტით გავრცელდა სამი Cy-25-ის ფოტო, რომელზეც აშკარად ჩანს, რომ მათ ძრავაში აქვთ რაკეტა გარტყმული. ეს კი მხოლოდ გადასატან საზენიტო რაკეტას შეუძლია

დენით დააჯილდოეს. მამამ უკმაყოფილება გამოხატა და თავდაცვის სამინისტროში ზემდგომებს უთხრა, მე არაფერი მინდა, მაგრამ იმ ჯარისკაცებს მაინც ეცით პატივი, რომლებმაც ამ რუსული მოიერიშეების ჩამოგდებისთვის იწვალესო. მაშინ დაემუქრნენ მამას, თუ არ გაჩერდები, დაგიჭერთო და მუქარა აუსრულეს.

მახსოვს, ჟურნალ „არსენალის“ 2008 წლის ოქტომბრის ნომერში დაიწერა, ფოჩხუას ვითომდა ჩამოგდებული თვითმფრინავები სინამდვილეში სახვაძემ ჩამოაგდოო და ჟურნალის გამოსვლიდან ორიოდე კვირაში კეზერაშვილის დავალებით მამა დაიჭირეს. რეზო სახვაძე თაღლითობის მუხლით გაასამართლეს, ბრალდებაში დაწერეს, რომ მისი გამოგონილი მოწყობილობა არ შეესაბამებოდა კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებსა და ფუნქციებს. რა ფუნქციებზე ან შეუსაბამობაზე იყო ლაპარაკი, გაასაიდუმლოეს. საბოლოოდ (სასჯელის შეკრებითობის პრინციპის გამოყენებით) მას 15 წელი მიუსაჯეს. საინტერესო ის იყო, რომ ქართველ სპეციალისტებთან ერთად ამ მოწყობილობის აწყობაზე უკრაინელი სპეციალისტებიც მუშაობდნენ, რომლებიც არ დაუპატიმრებიათ. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება სკანდალს მოერიდა. საქმეზე გრიფი „საიდუმლოს“ დადებით კი ბევრი რამ დარჩა საზოგადოებისთვის უცნობი.

ცხადია, მამა ითხოვს, მოეხსნას მის საქმეს გრიფი. თუმცა თავდაცვის სამინისტროში დღესაც მუშაობენ პირები, რომლებსაც ეს ძალიან არ უნდათ. მერწმუნეთ, ამ საქმეზე გრიფის მოხსნა ბომბის გასკდომას უდრის, შეიძლება მილიონობით ფულის გათეთრება გამოაშკარავდეს. ამაში კი თავდაცვის სისტემის ის მაღალჩინოსნები იყვნენ გარეული, რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ გავლენასა და თბილ სავარძლებს. ისინი ახალ ხელისუფლებას საბოტაჟს დღესაც უწყობენ, თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა.

მამას არავის დასჯა არ სურს, ის სულით ჯარისკაცია და არ ახასიათებს ვინმეს დასმენა. მას მხოლოდ ის უნდა, რომ მისი უდანაშაულობა დადასტურდეს. ჩვენ ეს საქმე სტრასბურგის სასამართლოში გვაქვს გასაჩივრებული. ციხეში მამას კეზერაშვილის პირად პატიმარს უწოდებენ. სხვათა შორის, ოქრუაშვილის სასამართლო პროცესზეც აღიარა მოწმემ, რომ უვარგისი იარაღის ყიდვას არა ოქრუაშვილი, არამედ კეზერაშვილი ავალებდა.

— ამჟამად სად არის ზურაბ ფოჩხუა?

— 2008 წლის შემდეგ ეს ხანში შესული კაცი სასწავლებლად ამერიკაში გაუშვეს და როგორც ვიცი, აღარც ჩამოსულა. ჩვენ მასთან დაკავშირება არც გვიცდია. ვიცოდით, რომ მამას საქმე შეთითხნილი იყო. მისი დაჭერის დღიდან მე და დედაჩემს მუდმივად გვითვალთვალებდნენ. მამაჩემის უახლოესი მეგობრებიც კი შიშით ახლოს ვერ გვეკარებოდნენ, ახლახან გამოგვიტყდნენ, რომ მათაც დამუქრებიან, რეზო სახვაძესა და მის ოჯახთან კავშირს თუ არ გაწყვეტთ, თქვენც მის ბედს გაიზიარებთო.

— სულხან, თუ იცით, რევაზ სახვაძე მოწყობილობის დამზადებისთვის თავდაცვის სამინისტროსგან რა თანხას იღებდა?

— ეს ხელშეკრულებაში წერია. იქიდან გამომდინარე, რომ საქმეს გრიფი „საიდუმლო“ ადევს, თანხის დაზუსტების უფლება არა მაქვს, თუმცა გეტყვით, რომ მცირე თანხაა. უაღრესად საინტერესო იქნება ამ ხელშეკრულების გასაჯაროება. ეს ძალიან ბევრ გარემოებას მოჰფენს ნათელს.

ირაკლი ალადაშვილი,

ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი: „საერთოდ, გადასატან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს („სტრელა-2“, „სტრელა-2მ“, „სტრელა-3“, „იგლა“ და ა.შ.) ზედ აქვს პატარა აკუმულატორი, რომლის ჩართვაც მხოლოდ მცირე ხნით, 40 წამის განმავლობაშია შესაძლებელი. ე.ი. როცა მსროლელი დაინახავს საჰაერო სამიზნეს, 40 წამში უნდა გაისროლოს, თორემ აკუმულატორი დაუჯდება. ამ მცირე დროის განმავლობაში, თუ საზენიტო თვითდამიზნების სისტემამ საჰაერო სამიზნე ვერ „ჩაიჭირა“, ის აღარ გავარდება. სახვაძემ კი გააკეთა გადასატანი კომპაქტური დამტენი საშუალება, რომელიც აკუმულატორის მაგივრად უერთდება ამ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს. ე.ი. მსროლელი ერთხელ თუ ვერ „ჩაიჭერს“ საჰაერო სამიზნეს, შეუძლია ბედი ისევ სცადოს. მართალია, ეს დამტენი საშუალება უფრო მძიმეც არის და დიდიც, ვიდრე ზემოთ დასახელებული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების აკუმულატორი, მაგრამ, სამაგიეროდ, მრავალჯერადი გამოყენების ფუნქცია აქვს.

რაც შეეხება კვადროციკლებს, როგორც ვიცი, მათი გამოყენება სახვაძის ინიციატივა იყო. თითო კვადროციკლზე მაგრდებოდა ორი „სტრელა-2მ“, „იგლა“ ან „გრომის“ ტიპის გადასატანი სარაკეტო კომპლექსი. კვადროციკლს მძღოლი მართავდა, უკან კი მსროლელი იჯდა. სავარაუდოდ, საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც კვადროციკლები ამგვარად გამოიყენა. მოგვიანებით, სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღების გამოფენაზეც შევნიშნე კვადროციკლები და მოტოციკლები, რომლებიც სწორედ ზემოთ ხსენებული მიზნით უნდა გამოყენებულიყო. ჩემი აზრით, ბევრ კითხვას გასცემდა პასუხს ობიექტური და სამართლიანი გამოძიება, რომლითაც დადგინდებოდა, ვისი ნასროლით იქნა ჩამოგდებული ან დაზიანებული რუსული ბომბდამშენები.

როგორც ომის შემდგომ გაირკვა, რუსებმა 2008 წლის აგვისტოს ომში ერთი Ty-22M3 ტიპის ბომბდამშენი, სამი Cy-25 და ორი Cy-24M დაკარგეს. გარდა ამისა, დაიკარგა ორი შვეულმფრენი, რომლებიც საბრძოლო დანაკარგად არ ითვლება, რადგან შემთხვევით ერთი მეორეს დაეჯდა და ისე განადგურდა. ამ 6 თვითმფრინავისგან რუსები მხოლოდ 4-ის დაკარგვას აღიარებენ (ორი Cy-24M-ის დაკარგვას მალავენ, არადა, ერთი ძევრაში ჩამოვარდა და მისი დეტალები ოთახშიც კი მიდევს). ამ 6 რუსული თვითმფრინავისგან ერთი ან ორი რუსებისა და ოსების ჩამოგდებულია, — შეეშალათ და ქართულ მოიერიშეებად მიიჩნიეს.

ინტერნეტით გავრცელდა სამი Cy-25-ის ფოტო, რომელზეც აშკარად ჩანს, რომ მათ ძრავაში აქვთ რაკეტა გარტყმული. ეს კი მხოლოდ გადასატან საზენიტო რაკეტას შეუძლია. ასეთია სითბური დამიზნების რაკეტა „სტრელა-2“, „გრომი“, „იგლა“... მხოლოდ ამ რაკეტების თავი მიდის სითბოსკენ, ძრავისკენ, „ოსასი“ — არა.

დაზიანებულმა Cy-25-ებმა მოახერხეს დაჯდომა აეროდრომებზე, ერთი სოხუმში დაჯდა, ორი — ჩრდილო კავკასიაში. სწორედ ამიტომ ჩანს ძრავებთან დაზიანება. ცხადია, რომელიმე რომ ჩამოვარდნილიყო, აფეთქდებოდა და აღარც ძრავასთან დაზიანება გახდებოდა შესამჩნევი.

არაოფიციალური ინფორმაციით, რუსულ საბრძოლო თვითმფრინავებს „ოსას“ რამდენიმე რაკეტა ესროლეს, მაგრამ უშედეგოდ. კულუარებში ამბობდნენ, რომ „ოსას“ ძველი მოდიფიკაცია იყიდეს, მაგრამ ამას კვალიფიციური გამოკვლევა და დამტკიცება სჭირდება“.

ეკა ასათიანი

რაჭოთ ეძახიან ზურაბ ადეიშვილის მამას „ყვარლის ფაშას“

ბოლო დროს ბევრი ბრალდება გაისმის იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის მისამართით. ამჯერად მის ოჯახს რამდენიმე თანასოფლელი უპირისპირდება და თანხების გამოძალვაში ადეიშვილის მამას, შალვა ადეიშვილს ამხელენ.

ზურაბ სეფიაშვილი წართმეული თანხის დაბრუნებას მოითხოვს. შალვა ადეიშვილს პრეტენზიას კიდევ 7 მოიჯარე უყენებს. მათი მტკიცებით, ადეიშვილი ხალხს ჩაბარებულ კილოგრამ ყურძენში 20 თეთრს სძალავდა.

ზურაბ სეფიაშვილი

«ერთხელ თვითონ შალვა მომიყვა, – მანქანით მთვრალი მოვდიოდი და პატრული მაჯარიმებდა. ვუთხარი, კარგად დახედე საბუთებს, გვარი არაფერს გეუბნება-მეთქი? მიპასუხა, მთვრალს მანქანით ვერ გაგიშვებთო. მაშინვე ჩემს ბიჭს დავურეკე, 10 წუთში 4 პროკურორი მოვიდა, პატრულს ხელბორკილი დაადეს და წაიყვანესო...

ზურაბ სეფიაშვილი: — 2004 წლიდან ჩემი ცხოვრება აირია — ახალ მთავრობას ვერ მოვერგე. ბაკურციხეში ჯიხური და თონე მქონდა. არჩევნების წინა პერიოდში „ნაციონალებმა“ ფულადი დახმარება მთხოვეს, უარი ვუთხარი და ეს არ მაპატიეს. ერთ დღეს ჩემი ჯიხური გადაგდებული დამხვდა, თონეც დამიკეტეს და უშემოსავლოდ დავრჩი. ვალების გამო იძულებული გავხდი, სახლი გამეყიდა. უსახლკაროდ დარჩენილი თბილისში ჩამოვედი და არანაირ სამუშაოს არ ვთაკილობდი. მებარგულად ვმუშაობდი, ვვაჭრობდი, საღამოს ტაქსიზე ვიჯექი, სამი შვილი რომ მერჩინა. ბინის ქირას ვიხდიდით და თავი ძლივს გაგვქონდა. სოფელ მთისძირში, ჩემს დედულეთში, ბიძაშვილს სახლი დაკეტილი ჰქონდა და დამითმო. გახარებული წავედი, ვიფიქრე, ღორებს გავზრდი და შემოსავალი გამიჩნდება-მეთქი. ღორების საყიდელი ფული არ მქონდა და 2006 წელს, შპს „ჭიკაანის“ ღვინის მარანში მე და ჩემმა მეუღლემ მუშად დავიწყეთ მუშაობა. დღეში 10-15 ლარს გვაძლევდნენ. აგრობრიგადირს ვთხოვე, სამუშაოს დასრულების შემდეგ დამატებით ვიმუშავებთ-მეთქი. დაგვთანხმდა და დამატებით 20 ლარისას კიდევ ვმუშაობდით. ასე მოვაგროვეთ ცოტა ფული და ღორები ვიყიდეთ, მაგრამ ჭირმა გაგვიწყვიტა. გადავწყვიტეთ, ნაკვეთი აგველო და დაგვემუშავებინა. მართალია, ჩემი შვილები 12-13 წლისანი იყვნენ, მაგრამ ჩვენ გვერდით მუშაობდნენ. შემდეგ მეპატრონემ გადაწყვიტა, ივჯარით დაეწაწილებინა ვენახი. 2009 წლიდან ჩვენც ერთ-ერთი მოიჯარე გავხდით, სულ რვანი ვიყავით. ორი ჰექტარი ავილე და საფერავის ჯიშის ვენახს ვამუშავებდი. მეპატრონე მართო მიწის გადასახადის გადახდას გვთხოვდა. ასევე გვეხმარებოდა წამლისა და ტრაქტორის მოძიებაში და წლის ბოლოს გაწეულ ხარჯს ვფარავდით. მეპატრონის მოგება ის იყო, რომ ვენახი შეენახებოდა... ასე ვმუშაობდით, სანამ წილში ადეიშვილის მამა არ ჩაგვივჯდა.

— რა კავშირი ჰქონდა ამ ფირმასთან?

— მთელ ყვარელს აკონტროლებდა და მშრომელ ხალხს ფულს სძალავდა. მისი თანხმობის გარეშე ვერაფერს გახსნიდი. სკოლაში ბუფეტის გახსნა გადავწყვიტე და ამ საკითხზე მასთან რომ მივედი, იმის წილში ჩავჯდომაც მოინდომა, არადა, სულ რაღაც 20 ლარი შეიძლებოდა დამრჩენოდა. უარი ვთქვი. „ჭიკაანის“ ღვინის მარანში შალვა ადეიშვილი მას შემდეგ გამოჩნდა, რაც ფირმის აღმასრულებელი დირექტორი ილია ჩოხადარი დაიჭირეს. მას მერე დირექტივებს შალვა ადეიშვილი იძლეოდა. მიწის გადასახადი სასწრაფოდ გაგვიორმაგა და ყურძნის ჩაბარების დროს რომ მოვიდა, გამოგვიცხადა, კილოგრამ ყურძენზე 20 თეთრი უნდა მომეცეთო. როგორც კი ჩავაბარე, დამირეკა, ფულის გადახდაზე რას ფიქრობ, 11 ტონა ჩააბარე და 2.200 ლარი უნდა მომცეო. რაში მახდევინებ-მეთქი? როგორც გითხარი, ისე მოიქეციო. მაშინ წერილში დამიწერე, რა მაქვს გადასახდელი, ბეჭედი დაარტყი, ანგარიშის ნომერიც მიაწერე და თანხას გადმოგირიცხავ-მეთქი. ამაზე გაგიჟდა, ჩივილს ხომ არ მიპირებო? უსახლკარო კაცი ვარ, ვცდილობ, ჩემი შრომით დავაღწიო თავი გაჭირვებას და რატომ უნდა მოგცე ფული-მეთქი? შენ თუ არ გაგანადგურო, ნახავ, ხომ იცი,

ვინც მე მიღალატა, ყველა გაუბედურდა და შენც გაუბედურდებიო.

ვიცოდი, ყველაფრის გამკეთებელი იყო. ერთხელ თვითონ მომიყვა, დედოფლისწყაროში პატრული როგორ დასაჯეს მის გამო. მანქანით მთვრალი მოვდიოდი და პატრული მაჯარიმებდა. ვუთხარი, კარგად დახედე საბუთებს, გვარი არაფერს გეუბნება-მეთქი? მიპასუხა, რას ამბობთ, ძია, რა მნიშვნელობა აქვს გვარს, მთვრალს მანქანით ვერ გაგიშვებთ, უნდა დაგაჯარიმოთო. მაშინვე ჩემს ბიჭს დავურეკე, 10 წუთში 4 პროკურორი მოვიდა, ოლქის პროკურორმა დაადო ხელბორკილი იმ პოლიციელს და წაიყვანესო. ეს ამბავი დედოფლისწყაროელებთანაც გადავამოწმე, მითხრეს, პატიოსანი ბიჭი დაღუპა, უდანაშაულოდ ციხეში გამოკეტაო.

ჩემმა ძმამ და მეუღლემ მირჩიეს, შალვასთვის ფული მიმეტანა. იმ თანხას გაორმაგებული მიწის გადასახადი და შესაწამლავში გადახდილი თანხაც დაემატა და 3.450 ლარი ჩავუტანე კახეთში.

— რა გითხრათ?

— ყვარლის საკრებულოში ჰქონდა კაბინეტი. „ნაციონალების“ ფრაქციის თავმჯდომარე იყო. ბოდიშის მოხდით შევედი, მიხაილოვიჩ, შემეშალა, აგერ მოგიტანე ფული და მაპატიე-მეთქი. გამომართვა. იქიდან თბილისში დაბრუნებული „ოცნების“ ოფისში მივედი და გავწევრდი. პოლიტიკაში ჩაბმას არასოდეს ვაპირებდი, მაგრამ ისე გამამწარა ამ ხალხმა, რომ ერთი სული მქონდა, მათი პარპაში დასრულებულიყო. ადეიშვილმა ყველა მოიჯარეს კილოგრამ ყურძენზე 20 თეთრი წაართვა. ამას სხვებიც ადასტურებენ. უკვე ყველა დაჰკითხეს.

ამ კაცს მთელი ყვარელი გამწარებული ჰყავდა. თუ სადმე რამე მუშაობდა, წილში იჯდა. ამიტომაც „ყვარლის ფაშას“ ეძახდნენ. ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა, სხვა რა გზა ჰქონდათ?! ახლაც ბევრს ეშინია, ამიტომ ჯერ ისევ ჩუმად არიან. ჩემნაირ გაჭირვებულს რომ ამხელა თანხას წაართმევს, ის ადამიანია?

P.S. საქმეს ყვარლის პოლიცია იძიებს. გამომძიებელ რობა ჭილაურიშვილთან გასაუბრება ვცადეთ, მაგრამ თავი შეიკავა: „მიმდინარეობს გამოძიება და ჯერჯერობით კომენტარს ვერ გავაკეთებ“, — გვითხრა გამომძიებელმა.

ბატონ შალვა ადეიშვილთან დაკავშირებაც ვცადეთ, მაგრამ ჩვენს ზარებს არ უპასუხა.

თეა ხურცილავა

„თიბისი ბანკი“ „აზიის განვითარების ბანკისგან“ 50 მილიონ დოლარს მიიღებს

ცოტა ხნის წინ „თიბისი ბანკსა“ და „აზიის განვითარების ბანკს“ (ABD) შორის 50 მილიონი დოლარის ოდენობით საკრედიტო რესურსის გამოყოფის თაობაზე ხელშეკრულება გაფორმდა. „თიბისი ბანკი“ ამ საკრედიტო რესურსს აზიის განვითარების ბანკისგან 5 წლის ვადით მიიღებს. „თიბისი ბანკის“ წარმომადგენელთა განცხადებით, ბანკი მიღებული რესურსით საქართველოს რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესს დააფინანსებს.

ხელშეკრულებას, რომელიც ორ ფინანსურ ინსტიტუტს შორის გაფორმდა, ხელი მოაწერეს „თიბისი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ და ADB-ის ინვესტიციების მართვის მთავარმა სპეციალისტმა, რეინერ ჰარტელმა. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს ბიზნესის მიკრო-სეგმენტის დაფინანსებას „თიბისი ბანკის“ შვილობილი კომპანიის, ბანკი „კონსტანტას“ მეშვეობით.

ვახტანგ ბუცხრიკიძე, *„თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორი:* „მნიშვნელოვანია, რომ ეს თანხა თბილისის გარდა, რეგიონებსაც მოხმარდება. შევეცდებით, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს საპროცენტო განაკვეთები უკეთეს პირობებში შევთავაზოთ, ვიდრე დღეს არის წარმოდგენილი. საკრედიტო რესურსი მოხმარდება როგორც სოფლის მეურნეობას, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესს, ნაწილი კი მიკროსესხებზე გადანაწილდება. რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, აზიის განვითარების ბანკთან ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, რაც ახალი ინოვაციური პროექტების განხორციელებაში დაგვეხმარება. სესხების გაცემაში ჩაერთვება „თიბისი ბანკის“ შვილობილი კომპანია — ბანკი „კონსტანტა“, რომლის საშუალებითაც მცირე მეწარმეებისთვის სესხი საქართველოს რეგიონებში გაიცემა.

გარდა დამტკიცებული 50 მილიონი დოლარის ოდენობის სესხისა, აზიის განვითარების ბანკი ასევე უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას, რაც გააუმჯობესებს ჩვენი ბანკის სერვისებს რეგიონებში მოქმედი მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საპროცენტო განაკვეთი ამ სესხებზე იქნება 11-12%-ის ფარგლებში“.

კეით ჯულიანი, *„აზიის განვითარების ბანკის“ თბილისის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი:* „მინდა მადლობა ვუთხრა „თიბისი ბანკის“ ხელმძღვანელობას იმისთვის, რომ მნიშვნელოვან პარტნიორობას გვიწევს ამ საქმეში. ამ ხელშეკრულების მიზანი მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერაა, რაც მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.“

რეინერ ჰარტლი, *„აზიის განვითარების ბანკის“ ინვესტიციების მთავარი სპეციალისტი:* „აზიის განვითარების ბანკის დახმარება უზრუნველყოფს ფინანსების ხელმისაწვდომობას ნაკლებად განვითარებული და ღარიბი რეგიონებისთვის. აღნიშნული დახმარება ხელს შეუწყობს ეკონომიკური აქტივობის ზრდას და სოფლის მეურნეობაში, ტურიზმში, ასევე სამშენებლო და მომსახურების სფეროებში რეგიონული მოსახლეობის ჩართულობასა და დასაქმებას. ეს გახლავთ მესამე სესხი, რომელიც აზიის განვითარების ბანკმა საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებს გამოუყო. ჩვენ ვცდილობთ მოვიცვათ საწარმოები, რომლებიც საქართველოს რეგიონებში მდებარეობს. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც დასაქმების, ასევე შემოსავლების ზრდისთვის და ბიზნესის შესაძლებლობათა გაზრდისთვის. ეს კარგი პლატფორმაა ჩვენი უფრო მასშტაბური ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით.“

აღსანიშნავია, რომ „აზიის განვითარების ბანკი“ საქართველოში 2007 წლიდან აფინანსებს სხვადასხვა სახის პროექტებს, ხოლო მის მიერ ამ ხნის განმავლობაში ქვეყანაში განხორციელებული პროექტების ჯამურმა მოცულობამ 1,1 მილიარდი დოლარი შეადგინა, საიდანაც 163 მილიონი დოლარი კერძო სექტორისთვის იყო განკუთვნილი. რაც შეეხება „თიბისი ბანკს“, ის 2011 წლის აპრილიდან მონაწილეობს ADB-ის ვაჭრობის დაფინანსების პროგრამაში და მისი საკრედიტო ხაზი 10 მილიონი დოლარია.

R

ბანკებმა სააკაშვილს უგანეს?!

პრეზიდენტის განცხადებას ბანკების გაყიდვის თაობაზე ეკონომიკის ექსპერტებმა გამაოგნებელი და კატასტროფული უწოდეს. რომ არა ბანკების მყისიერი რეაქცია, სადაც მათ პრეზიდენტის სიტყვები უარყვეს, სააკაშვილის ამ განცხადებას შესაძლოა ფინანსური ინსტიტუტების რღვევა გამოეწვია.

პრეზიდენტის განცხადებით, „ლიბერთი ბანკი“, რუსეთის სახელმწიფო ბანკმა „სბერბანკმა“ იყიდა, ხოლო „თიბისი ბანკის“ შეძენაზე „ალფა-ბანკმა“ გამოხატა ინტერესი. სააკაშვილს არც „ქართუ“ გამორჩენია, „გაზპრომის“ ფულით რომ არის შექმნილი, ყველამ ვიცითო. მისი ინფორმაციით, საქართველოს საბანკო ბაზარზე „გაზპრომბანკიც“ აპირებს შემოსვლას.

„სბერბანკს“ შეუძლია საქართველოს მთელი საბანკო სექტორი იყიდოს“

პრეზიდენტის განცხადებას „ლიბერთი ბანკის“ გენერალური დირექტორი, ლადო გურგენიძე და „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე მყისიერად გამოეხმაურნენ და განაცხადეს, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ამის შემდეგ სააკაშვილმა მოიბოდიშა და დასძინა, რომ ინფორმაცია ეროვნულმა ბანკმა მიაწოდა. თუმცა ეროვნულ ბანკში განაცხადეს, რომ დასახელებულ კომერციულ ბანკებს შორის წილის შესაძლო გასხვისების თაობაზე ინფორმაციას არ ფლობენ. საქართველოში ბანკის შეძენის შესახებ ინფორმაცია არც „ალფა-ბანკმა“ დაადასტურა. თუმცა, ცნობილი გახდა ერთი საინტერესო დეტალი: 2-3 თვის წინ საქართველოში რუსეთის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი, ერევანში დაბადებული გარეგინ ტოსუნიანი იმყოფებოდა. ამ ინფორმაციას „საქართველოს ბანკების ასოციაციაშიც“ ადასტურებენ და ამბობენ, რომ მისი ჩამოსვლის მიზანი ჩვენი საბანკო სექტორის გაცნობა, შესწავლა და ანალიზი იყო. საქართველოს შემდეგ „რუსეთის ბანკების ასოციაციის“ პრეზიდენტი ერევანსა და ბაქოში გაემგზავრა.

ლია ელიავა, *ექსპერტი საბანკო საკითხებში:* — ჩემი ვარაუდით, ეს ინფორმაცია ზედა სახელისუფლებო ან საბანკო წრეებში მუსირებდა და პრეზიდენტმაც, რუსეთზე, როგორც მტრის ხატზე საუბრისას, ამ დაუზუსტებელი ინფორმაციით ვითარება უფრო გაამწვავა და თქვა, რომ საქართველოს ბანკები ხელში უვარდება რუსეთის მსხვილ, მათ შორის სახელმწიფო ბანკებს. შეუცადე გადამემოწმებინა ეს ინფორმაცია, მაგრამ რუსეთის საბანკო წრეებშიც კი ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. „სბერბანკმა“ ბოლო დროს მართლაც იყიდა რამდენიმე ბანკი სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ როგორც ირკვევა, საქართველო მის გეგმაში არ შედის. მერწმუნეთ, თუ „სბერბანკმა“ დაიპირა საქართველოში ფინანსური ინსტიტუტების ყიდვა, შეუძლია მთელი ჩვენი საბანკო სექტორი იყიდოს და კიდევ დარჩება მადა დაუკმაყოფილებელი.

საბედნიეროდ, პრეზიდენტის ამ განცხადებას მეანაბრეების პანიკა არ მოჰყოლია. როგორც ჩანს, პრეზიდენტის მიმართ მოსახლეობაში ნდობა არც ისე მაღალია. ასე რომ არ ყოფილიყო, დღეს ეს ბანკები ველარ იარსებებდნენ. რაც შეეხება ეროვნულ ბანკს და იმ საბანკო უწყებებს, რომლებიც მანამდე პრეზიდენტის მიმართ ერთგულებით გამოირჩეოდნენ, ახლა უგანეს...

— რამდენად შესაძლებელია, რომ „სბერბანკს“ ან „გაზპრომბანკს“ აინტერესებდეს საქართველოს საბანკო სექტორში ინვესტირება?

— საქართველოში რუსეთის ბიზნესის მომსახურებას „ვითიბი“ ბანკიც ჰყოფნის. თუ რუსული ინვესტიციები გაიზრდება, მაშინ, რა თქმა უნდა, რუსეთს დასჭირდება დამატებითი საბანკო სტრუქტურების ოპერირება ჩვენს ბაზარზე. ეს არის ერთადერთი მიზეზი, რამაც შესაძლოა მომავალში რუსეთის საბანკო გიგანტების შემოსვლა განაპირობოს. ყველა მსხვილი ინვესტორი ასე იქცევა — აზერბაიჯანმა და თურქეთმაც მხოლოდ იმიტომ გახსნეს აქ ბანკები, რომ თავიანთ ბიზნესს მოემსახურონ. იმის ილუზია ნურავის ექნება, რომ რუსეთის საბანკო გიგანტები საქართველოს ბაზარზე დიდი რაოდენობით მეანაბრეების მოსაზიდად შემოვლენ და საცალო ბაზარზე იმუშავებენ. ეს მათთვის არახელსაყრელი ბიზნესია. რუსეთიდან შემოსულია მხოლოდ სახელმწიფო ბანკი „ვითიბი“, კერძო ბანკებმა ვერც გარისკეს აქ შემოსვლა.

ემა ტუხაშვილი

„სბერბანკი“

„სბერბანკი“ ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკია როგორც რუსეთის, ასევე დსთ-ის ქვეყნებში. მისი დამფუძნებელი და 50%-იანი წილის მფლობელი რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკია.

„ალფა ბანკი“

„ალფა ბანკი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კერძო ბანკია რუსეთში, რომელიც 1990 წელს დაარსდა. სათავო ოფისი მოსკოვში მდებარეობს, 465 ფილიალი და განყოფილება აქვს როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. „ალფა-ბანკის“ აქციების 99%-ს რუსული ღია სააქციო საზოგადოება „აბ ჰოლდინგი“ ფლობს, ხოლო 1%-ს კვიპროსზე რეგისტრირებული CAPITAL HOLDINGS (CYPRUS) LIMITED-ი.

„გაზპრომბანკი“

„გაზპრომბანკი“ ერთ-ერთი მსხვილი უნივერსალური ფინანსური ინსტიტუტია რუსეთში, რომელიც 3 მილიონ ფიზიკურ და 45 ათას იურიდიულ პირს ემსახურება. მის აქციონერებს შორისაა სახელმწიფო კომპანია „გაზპრომი“ — 35,54%-იანი წილით და არასახელმწიფო საპენსიო ფონდი „გაზფონდი“ — 47,38%-იანი წილით. „გაზპრომბანკის“ აქციონერებს შორისაა „ვნეშეკონომბანკი“ დაახლოებით 10%-ინი წილით.

„სმარტის“ სუპერმარკეტებში სომელიები მოგემსახურებიან

შეარჩიეთ ღვინო პროფესიონალების დახმარებით

ირველი მარტიდან „ვისოლ ჯგუფის“ სუპერმარკეტების ქსელ „სმარტში“ უპრეცედენტო მომსახურების ფორმა დაინერგა. ამიერიდან ალკოჰოლური სასმელების შეძენის მსურველებს პროფესიონალი სომელიეები მოემსახურებიან. ისინი დაგვეხმარებიან მაქსიმალური ინფორმაცია მივიღოთ „სმარტის“ თაროებზე განლაგებული ალკოჰოლური პროდუქციის შესახებ და კმაყოფილი დავრჩეთ ნავაჭრით.

სომელიეების მომზადების მიზნით „სმარტმა“ მემორანდუმი გააფორმა საქართველოს სომელიეთა ასოციაციასთან. პირველ მარტს საზეიმო ვითარებაში სერტიფიკატები გადაეცა „სმარტის“ სომელიეთა პირველ ჯგუფს, რომელმაც წარმატებით გაიარა ღვინოთმცოდნეობის კურსი.

„იმის გამო, რომ „სმარტის“ მომხმარებელმა მოითხოვა მეტი ინფორმაცია მიგვეწოდებინა ღვინის თაობაზე, გადავწყვიტეთ „ვისოლის“ აკადემიაში ჩაგვეტარებინა სომელიეს გადასამზადებელი კურსები. შევარჩიეთ რამდენიმე ძალიან კარგი კანდიდატი. მათ შეისწავლეს ღვინის წარმოშობის ისტორია, მეღვინეობა, ღვინოების თვისებები, გასტრონომიული წყვილები. ეს არ არის პროექტი მხოლოდ „სმარტის“ სუპერმარკეტებში მომსახურების განვითარებისთვის. გვინდოდა კიდევ ერთი ნაბიჯი გადაგვედგა ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით. მოგეხსენებათ ჩვენს მარკეტებს ქართველების გარდა უამრავი უცხოელი სტუმრობს, რომლებიც ინტერესდებიან ალკოჰოლური პროდუქციის შეძენით. ჩვენს დახლებზე ათასზე მეტი დასახელების ამ ტიპის პროდუქცია დევს, თითოეული თვისებურად განსაკუთრებულია. ამიერიდან მომხმარებელს დაწვრილებითი ინფორმაცია ექნება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეარჩიოს და რატომ იყიდოს ესა თუ ის სასმელი. მომსახურების ასეთი ფორმა, ღვინის მოხმარების კულტურასაც გაზრდის. ვფიქრობთ, ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ქართული ღვინისთვის იხსნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბაზარი, როდესაც ლაპარაკია რუსულ ბაზარზე მისი დაბრუნების შესახებ. საქართველოში, კერძოდ „სმარტის“ სუპერმარკეტების ქსელში, პროფესიონალი სომელიებისგან დაკვალიანებული უცხოელი მომხმარებელი საკუთარ სამშობლოშიც დაინტერესდება ქართული ღვინის შეძენით და ამასთან აღნიშნავს, რომ საქართველოში უბრალოდ მხოლოდ კარგი ღვინო კი არ აქვთ, კარგადაც იციან მისი ღირსებების წარმოჩენა.

ვულოცავ ჩვენს სომელიეებს ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის დაკისრებას და წარმატებას ვუსურვებ მათ, რადგან ეს არ არის პროფესია მხოლოდ გაყიდვებისთვის, ეს არის პროფესია, რომლითაც ქართული ღვინის სახელი ერთიორად პოპულარული უნდა გახადონ. მომსახურების ასეთი ფორმით კი წარმოჩინდება არამხოლოდ სმარტი, არამედ ჩვენი ქვეყანა და ქართული ღვინო“, — განაცხადა კომპანია „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა **სოსო ფხაკაძემ**.

საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი შალვა ხეცურიანი მიესალმება „ვისოლ ჯგუფის“ ინიციატივას და მზადყოფნას გამოხატავს, ხელი შეუწყოს „სმარტის“ სავაჭრო ქსელში ახალი სამომსახურეო ტრადიციის განვითარებას, — „მიუხედავად იმისა, რომ ღვინის სამშობლო ვართ, მომხმარებელთა დიდმა ნაწილმა არ იცის ქართული ღვინის სახეობების ღირსებები და ეს პროდუქტები განსაკუთრებით პოპულარულია და ასევე მოითხოვს ინფორმაციულ ცოდნას მრავალსახეობათა და ფართო ასორტიმენტის გამო. შესაბამისად, ჩვენი კონსულტანტები არამხოლოდ ღვინის შესახებ დაგაკვალიანებენ, ასევე გირჩევენ, რომელ ალკოჰოლურ სასმელთან რომელი ყველის მიტანება არის რეკომენდებული. „სმარტში“ ასევე ამომწურავ ინფორმაციას მიიღებთ, რომელი ჩაის გემო და არომატი რით არის განსხვავებული.

მოგეხსენებათ „სმარტის“ სტრატეგიული მიმართულებაა, ჰყავდეს მუდმივად და მაქსიმალურად კმაყოფილი მომხმარებელი, სწორედ ამ მიმართულებიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ სომელიეების მომზადება“, — განაცხადა კომპანია „ვისოლის“ მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **თორნიკე გურულმა**.

„სმარტის“ სომელიეებიდან ზოგიერთი სუპერმარკეტების ქსელში დაარსების დღიდან მუშაობს და სიამოვნებით იღრმავებს ცოდნას, რაც მომხმარებელთან უკეთ მუშაობის საშუალებას მისცემს. მათ შორის სტაჟიანი თანამშრომელია — **დალი ჩეკმაროვა**. „სმარტი“ 2010 წლის დეკემბერში გაიხსნა და იმ დღიდან დავიწყე მუშაობა ქსელში. როდესაც სომელიეების გადამზადების საკითხი დაისვა, შემომთავაზეს, ეს სპეციალობაც მიმეღო. სიამოვნებით დავთანხმდი, როგორც პროდუქტმცოდნე. სასწავლო კურსი სამი თვე გაგრძელდა და ძალიან საინტერესო იყო. შევისწავლეთ ვაზის ჯიშები, ღვინის არომატები, რომელი ღვინო რომელ კერძს მოუხდება. ჩვენი ფუნქციაა მყიდველს, განსაკუთრებით უცხოელს დაამახსოვრდეს, როგორც ყიდვის პროცესი, ასევე ღვინო. მომხმარებლებს ხშირად უჩნდებათ კითხვები, რომელი ღვინო შეიძინონ და რა მოუხდება მისაყოლებლად. უცხოელებს განსაკუთრებით მოსწონთ ინფორმაციული მომსახურება. ისინი კმაყოფილებას გამოხატავენ და აღტაცებულიც კი არიან ჩვენი მარკეტინგული მიდგომებით, რომ ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ სასურველი პროდუქციის შესახებ, ან სულაც ჩვენ ვურჩიოთ, რისი ყიდვა იქნება სასარგებლო მათთვის.“

იმის გამო, რომ გაზაფხულის დღესასწაული, 8 მარტი ახლოვდება, ენოლოგ გიორგი სამანიშვილს ვთხოვეთ ერჩია, რომელი სასმელით აღვნიშნოთ ქალთა დღე.

გიორგი სამანიშვილი — „საერთოდ ღვინოს დღესასწაულების მიხედვით არ ირჩევენ. პირველ რიგში ღვინო უნდა შეარჩიო იმის მიხედვით, როგორიც გიყვარს, მოგწონს, ან გაინტერესებს სიახლის სახით, მაგრამ რახან 8 მარტი მოდის და დღესასწაული დაკავშირებულია ქალებთან, მიენდეთ სომელიეს. აღბათ სარვამარტოდ მსუბუქი ღვინო უნდა შეარჩიოთ. რაიმე მშრალი, ვარდისფერი ღვინო, საფერავი, თავკვერი, ან კაბერნე სოვინიონი ასევე ვარდისფერი. ამ ღვინოებს შეგიძლიათ მიაყოლოთ პიცა, ხაჭაპური და კიდევ ბევრი რამ. ზოგადად კლასიკური თვალსაზრისით დღესასწაულებს უხდება ცქრიალა ღვინო.“

„სმარტი“ გილოცავთ 8 მარტს და სომელიები ნებისმიერ დროს მზად არიან საუკეთესოდ შერჩეული სასმელით გაილამაზოთ სუფრა და განწყობა.

ეკა ლომიძე

„სამი მაქორიტარული ოლქი ივანიშვილმა პარლამენტს გარეთ დარჩენილ პარტიებს უნდა დაუთმოს“

„ბიძინა ივანიშვილი დღეს რთულ მდგომარეობაშია. ის შეიძლება ხედავს კიდეც ზოგიერთი თანამდებობის პირის არაკვალიფიციურობასა და სისუსტეს, მაგრამ ვერ შეცვლის მთავრობას, რადგან ამისათვის საკაშვილს უნდა მიმართოს, რომელიც ცოცხალი თავით აღარ წარუდგენს ბიძინა ივანიშვილის მთავრობას პარლამენტს. კოალიციის ლიდერი, ალბათ, უმრავლესობაში არსებულ ვითარებასაც ხედავს, მაგრამ მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია „ქართული ოცნება“ ერთიანი მივიდეს ოქტომბრის არჩევნებამდე და ქვეყანაში ნორმალური საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდეს. დარწმუნებული ვარ, არჩევნების შემდეგ ივანიშვილი მთავრობასაც შეცვლის და უმრავლესობისადმი მიდგომასაც“, — ასეთ პროგნოზს აკეთებს არჩევნებისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორი ***კახა კახიშვილი:***

„ვერ დავიჯერებ, რომ მიხეილ სააკაშვილი დაცვის გარეშე დადის“

«სოზარ სუბარი ლაპარაკობდა კონსპირაციულ ბინებში გადამალულ დიდი რაოდენობის იარაღზე. არის ის ამოღებული? „ქართული ოცნება“ ამბობდა, რომ რეგიონებში ავარჯიშებდნენ შეიარაღებულ ჯგუფებს. დადგენილნი არიან ეს პირები?

— ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილის წერილი მიხეილ სააკაშვილისადმი უგულავას სასამართლო პროცესით იყო განპირობებული.

იმის გამო, რომ უგულავამ დაუსჯელმა დატოვა სასამართლო პროცესი, „ოცნების“ მხარდამჭერები ალშფოთდნენ და თავიანთ ლიდერებზე გაბარაზდნენ.

გაჩნდა საშიშროება, რომ „ოცნების“ მხარდამჭერებს ეფიქრათ, დღევანდელი ხელისუფლება უსუსურია „ნაციონალურ მოძრაობასთან“. პოლიტტექნოლოგიური თვალსაზრისით საჭირო იყო ძალის დემონსტრირება და ამიტომაც მისწერა ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილს, დრო აღარ გავწელოთ და საბოლოოდ გადავწყვიტოთ ყველაფერიო.

პროკურატურაში შესული 18 ათასი განცხადება ნათელყოფს, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი თანამოქალაქეებისთვის სამართლიანობის აღდგენა. პარალელურად განცხადებები შედის შს სამინისტროში. ბევრი კი იმიტომ არ წერს განცხადებას, რომ პროცესების შემდგომ განვითარებას ელოდება. რაც უფრო გაჭიანურდება სამართლიანობის აღდგენა, მით მეტი აგრესია დაუგროვდება ხალხს ახალი ხელისუფლებისადმი.

— **როდესაც გირაოს უფარდებენ გასმაურებულ საქმეებზე დაპატიმრებულ მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთა საქმეზეც არსებობს მტკიცებულებები, ეს მხოლოდ სასამართლოს ბრალია?**

— არ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ჩადენილ დანაშაულთან შეუსაბამო განაჩენების გამოტანა მხოლოდ სასამართლოს ბრალია. აქ პროკურატურის პრობლემასაც ვხედავ. კადრები, რომლებიც თავის დროზე ადეიშვილმა დააწინაურა, დღევანდელ პროკურატურაში ისევ მაღალ თანამდებობებზე მოგვევლინენ. სასამართლო უწინ პოლიტიკური დაკვეთის გამო იმ გადაწყვეტილებას იღებდა, რაც ბრალდების მხარეს სჭირდებოდა, დღეს კი იგივე სასამართლო პროკურორების არაკომპეტენტურობასა და უსუსურობას იმისათვის იყენებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესი გაატაროს.

პროკურატურის მოუმზადებლობა კარგად გამოჩნდა უგულავას საქმეზე. მიუხედავად იმისა, რომ ბრალი დოკუმენტური მასალებით იყო გამყარებული, სასამართლომ განაცხადა, რომ ვერ ნახა ფაქტობრივი მტკიცებულებები უგულავას პასუხისგებაში მისაცემად. უგულავას საქმე პოლიტიკური პროცესია, რადგან ის „ნაცმოძრაობის“ გამოკვეთილი ლიდერი და შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატია. ასეთ ვითარებაში სასამართლო ეცდებოდა, უგულავასთვის აეცილებინა პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიური ბრალდებების გამო პასუხისგებაში მისცეს სალონიკის მერი, ჟაკ შირაკს კი 2 წელი პირობითი ჰქონდა მისჯილი. პროკურატურას ხელმძღვანელობს კაცი, რომელსაც ამ სისტემაში არ უმუშავია და არ გამოუძიებია სისხლის სამართლის საქმეები. ბუნებრივია, მას უჭირს სიღრმისეულად ჩასწვდეს ყველაფერს. ამიტომაც ეყრდნობა გარემოცვას, მაგრამ რამდენად კვალიფიციურია ეს გარემოცვა და რამდენად სწორ რჩევას აძლევენ მთავარ პროკურორს?

როდესაც პროკურატურის ცენტრალურ აპარატში წამყვან თანამდებობაზე ნიშნავ თბილისის ერთ-ერთი რაიონის პროკურორს, რომლის ხელითაც ნახევარი თბილისი გაასფუჭეს, უნდა იცოდე, რომ პრობლემა შეგექმნება.

უცნაურია მთავარი პროკურორის განცხადება, — ვიცი, რომ ამ პროკურორმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, მაგრამ არ ვიღებ გადაწყვეტილებას, რადგან ის მხოლოდ შემსრულებელი იყოო. დანაშაულის დაფარვა სისხლის სამართლის დანაშაულია და ვინმეს დაუსჯელობა კადრების სიმცირის გამო, დაუშვებელია.

როდესაც ამბობენ, რომ სასამართლო არის ოპოზიციაში, დესტრუქციის რეჟიმში და შეგნებულად იღებს არასწორ გადაწყვეტილებებს, რადგან „ნაცმოძრაობისგან“ ასეთი მითითება აქვსო, მიკვირს, რატომ არ იღებს საპარლამენტო უმრავლესობა შესაბამის გადაწყვეტილებას? ეს ყველაფერი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელს უკავშირდება, რომელიც, მათივე თქმით, მითითებებს აძლევს მოსამართლეებს, რომ უკანონო გადაწყვეტილებები მიიღონ. ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებია და ამის საფუძველზე კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტის მოთხოვნას რატომ არ აყენებს უმრავლესობა? იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის საქმიანობაში შეინიშნება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, პარლამენტის 1/3-ს აქვს უფლება, დასვას მისი იმპიჩმენტის საკითხი და გადააყენოს. როდესაც ქვეყანაში 200 პოლიტპატიმარია, უამრავი ადამიანი უკანონოდ იჯდა ციხეში და ბევრს საპროცესო შეთანხმებით წაართვეს ქონება, ეს არ მომხდარა სასამართლოს მონაწილეობის გარეშე, რომელსაც კუბლაშვილი ხელმძღვანელობდა. თუ სამართლიანობის აღდგენის პროცესი გაჭიანურდება, ხალხი თვითონ ეცდება აღასრულოს სამართალი, რაც ძალზე საშიშია.

საბოტაჟზე ლაპარაკი ახლა დაიწყო ხელისუფლებამ, როდესაც თქვენს გაზეთთან უკვე 4 თვეა ვლაპარაკობ მის ნიშნებზე. საბოტაჟის მცდელობები კიდევ იქნება, რადგან დარწმუნებული ვარ, „ნაციონალურ მოძრაობას“ ბევრი თანამოაზრე და მეგობარი ჰყავს დატოვებული სხვადასხვა თანამდებობაზე საჯარო სექტორში.

(გაგრძელება გვ. 31)

მედიაჯგუფი მსოფლიო დონის ფარმაცევტულ საწარმო „ავერსი-რაციონალში“

სტაბილურობისა და ხარისხის გარანტმა, მსოფლიო დონის ქართულმა ფარმაცევტულმა კომპანია „ავერსი-რაციონალმა“ 28 თებერვალს თავის საწარმოში კიდევ ერთი მედიატური მოაწყო. ქართველი (და არა მარტო) მომხმარებელი ფარმაცევტული კომპანიის პროდუქციას წლებია იცნობს, მაგრამ სხვა არის, როდესაც საერთაშორისო სტანდარტების დონის საწარმოში რამდენიმე დასახელების პრეპარატის შეფუთვას თავად ესწრები.

საწარმოში სტუმრად მისულ ჟურნალისტებს გიდობა გაგვიწიეს. ხელმძღვანელობამ, როგორც საწარმო, ასევე ახალი, რამდენიმე თვის წინ გახსნილი ლაბორატორია დაგვათვალიერებინა. ამასთან, ცნობისმოყვარე ჟურნალისტების უამრავ კითხვაზე კომპეტენტური პასუხები მივიღეთ.

პაატა კურტანიძე, *ფარმაცევტული კომპანია „ავერსის“ დამფუძნებელი.*

„მსოფლიო დონის ფარმაცევტულმა საწარმო „ავერსი-რაციონალმა“ პირველი მედიკამენტი მომხმარებელს 2005 წელს შესთავაზა. ამჟამად კი ის 143 დასახელების პროდუქციის 230 პოზიციას აწარმოებს. ჩვენს კომპანიაში რვა ათასამდე კაცია დასაქმებული. ჩვენი პროდუქციის ექსპორტი ხორციელდება თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში და უახლოეს დროში ვაპირებთ აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის რამდენიმე ქვეყნის ბაზარზე შესვლას. ამ ეტაპზე 30-40 დასახელების მედიკამენტის რეგისტრაციის პროცესი მიმდინარეობს...

წინა მთავრობისგან ქართულ ფარმაცევტულ წარმოებას ხელშეწყობა არ ჰქონია, თუმცა ჩვენი პროდუქციის მაღალი ხარისხისა და ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, გასულ წელს „ავერსი-რაციონალის“ 6 მილიონამდე კოლოფი სხვადასხვა დასახელების მზა პროდუქტი გაიყიდა.

ჩვენთვის მთავარია, ხელი არ შეგვიშალონ, მაგრამ თუ ხელს შეგვიწყობენ, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ „ავერსისთვის“ კი არა, ნებისმიერი წარმოებისთვის, ასევე მთლიანად ქვეყნისთვის და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის იქნება კარგი. ამიტომ იმედია, ახალი მთავრობა ამ საკითხებს მეტ ყურადღებას მიაქცევს“.

მკაცრი სანიტარიული წესების დაცვით ლაბორატორიის იმ ნაწილის დასათვალიერებლად წავედით, სადაც უცხო პირთა შესვლა მხოლოდ სანიტარიული პროცედურების გავლის შემდეგ შეიძლება. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიის კართან

ჩამოკიდებული სერტიფიკატის „წარმომავლობას“ ვკითხულობთ.

მალხაზ კურტანიძე, *„ავერსის“ საწარმოს გენერალური დირექტორი:*

— საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც გასცემს ამ სერტიფიკატს, ნიმუშებს გზავნის სხვადასხვა ლაბორატორიაში და გამარჯვებული სიზუსტის მიხედვით ვლინდება. ამ საერთაშორისო დონის კვლევებში გამარჯვება „ავერსი-რაციონალმა“ 2011-12 წლებში მოიპოვა.

— ***ვიცით, რომ ეს ლაბორატორია ახალი აშენებულია.***

— დიახ, მისი მშენებლობა საძირკვლიდან დავიწყეთ და ეტაპობრივად დასრულდა. ფუნქციონირება შარშან, სექტემბრიდან დაიწყო. „ავერსი-რაციონალის“ ახალი ლაბორატორია 750 კვადრატულ მეტრზეა განთავსებული და აქ როგორც ფიზიკურ-ქიმიური, ისე მიკრობიოლოგიური ანალიზები ტარდება. ახალი ლაბორატორია, ისევე როგორც საწარმო, უახლესი აპარატურით, ხელსაწყოებითა და ინვენტარით არის აღჭურვილი, რომელიც ძირითადად ამერიკიდან, იტალიიდან, ინგლისიიდან, გერმანიიდან და იაპონიიდან ჩამოვიტანეთ. ამ აპარატურის მუშაობის ცდომილება, ადამიანისგან განსხვავებით, ნულია. ადამიანმა, თუნდაც მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება შეცდომა დაუშვას, ან უბრალოდ რაღაც დეტალი გამორჩეს... ამჟამად ლაბორატორიაში 40-მდე, ხოლო საწარმოში 30-მდე კაცი მუშაობს. კადრები კვალიფიციურობის მიხედვით შევარჩიეთ და ჩვენდა საამაყოდ, პროფესიონალი კადრები გვყავს. პარალელურად მიმდინარეობს მათი გადამზადება როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. თანამშრომლების უცხოეთში სტაჟირებაში კომპანია წელიწადში 70-80 ათას დოლარს ხარჯავს. უნდა ვაღიაროთ, რომ კადრების მოძიება გვიჭირს, ახალ კადრებს იმ სიხშირით ვერ ვპოულობთ, როგორითაც გვჭირდება.

ნათელა ქარუხნიშვილი, *„ავერსი-რაციონალის“ ხარისხის დირექტორი:*

— „ავერსი-რაციონალი“ 2002 წელს დაარსდა და უმოკლეს ვადაში ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატები მოიპოვა, რომელთა ჩამონათვალი ასეთია: 2006 წლიდან — ISO 9001 სტანდარტის შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც მოწმობს, რომ კომპანიის ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ჩვენთან მართვადია და საერთაშორისო სტანდარტს შეესაბამება.

2008 წლიდან — GMP EU & FDA სტანდარტების შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ „ავერსი-რაციონალში“ მიმდინარე ყველა პროცესი (წარმოება, ხარისხის კონტროლი, ხარისხის უზრუნველყოფა და სხვ.) ევროპული GMP-ისა და ამერიკული FDA-ს სტანდარტების მოთხოვნებს შეესაბამება.

კომპანია ყოველწლიურად გადის საკონტროლო აუდიტს, ანუ 3 წელიწადში ერთხელ ხდება ხელახალი სერტიფიცირება, რომელსაც ორი წამყვანი გერმანული კომპანია — TUV SUD და TUV Clearcert — ატარებს.

როგორც უკვე ითქვა, კომპანია 143 დასახელების 230 პოზიციას აწარმოებს, ანუ მედიკამენტების სრული სპექტრია ასახული: ტაბლეტები, კაფსულები, დრაჟეები... კომპანიამ პირველი პროდუქცია 2005 წლის მაისში გამოუშვა და წლიდან წლამდე გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა მატულობს. საწარმოში გვაქვს სისუფთავის სამი ზონა, სადაც ჰაერიც კი მუდმივად კონტროლდება, რათა პრეპარატები არ დაბინძურდეს. დეტალურად გაწერილია წარმოებაში შესვლის, ქცევისა და ჰიგიენის დაცვის წესები.

ხარისხის მართვის სისტემა ორ ძირითად პროცესს მოიცავს: ხარისხის კონტროლი და ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც ხარისხის დირექტორს, ანუ მე მევალება და მკაცრად კონტროლდება. საზოგადოდ, ყველა პროცესის ზედმიწევნით შესრულება ჩვენი წარმატების მთავარი წინა პირობაა და სწორედ ამან განაპირობა ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე ჩვენი პოზიციის, „ავერსი“ ლიდერი ლიდერთა შორის — დამკვიდრება.

ლალი პაპასკირი

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
იგრძენი მომავალი

„საქართველოს ბანკის“ სესხით კიდევ ერთი მშენებლობა დასრულდა

ოტა ხნის წინ დასრულდა კიდევ ერთი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, რომელსაც „საქართველოს ბანკი“ საკრედიტო რესურსით აფინანსებდა. „საქართველოს ბანკის“ სესხით 114 ბინის მშენებლობა დასრულდა. სამშენებლო პროექტი თბილისში, სანდრო ეულის ქუჩაზე №7-ში „საქართველოს ბანკმა“ მილიონ ლარამდე დააფინანსა. საცხოვრებელი სახლი 3 000 კვმ-ზე მეტ კომერციულ და საცხოვრებელ ფართს მოიცავს. მშენებლობა დასრულებულია და მობინადრეების ნაწილი უკვე გადავიდა საცხოვრებლად კუთვნილ ბინებში. საერთო ჯამში სამშენებლო კომპანია „ტეტრისმა“ 11 815 კვმ სამშენებლო ფართი აითვისა.

„საქართველოს ბანკის“ მენეჯმენტში ამბობენ, რომ ბანკი 2013 წელსაც აქტიურად განაგრძობს კორპორატიული კლიენტების დაფინანსებას. მათ შორის ჯანსაღი, ეკონომიკურად გამართლებული, სამშენებლო პროექტების მხარდაჭერას, როგორც ქალაქის ცენტრალურ უბნებში, ასევე პერიფერიებში. „საქართველოს ბანკმა“ მხოლოდ 2008 წლის შემდგომ, კრიზისის პერიოდში, გაჩერებულ 8 პროექტზე 50 მილიონ აშშ დოლარამდე მოცულობის სესხი გამოყო და ეს პროექტები

წარმატებით ხორციელდება. 2012 წლის განმავლობაში კი ბანკის მიერ დაფინანსებული სამშენებლო პროექტების რიცხვი, რომელთა ნაწილი წარმატებით დასრულებულია, ნაწილი კი მშენებლობის პროცესშია, 15-ს აღემატება. ასე რომ, „საქართველოს ბანკი“ აქტიურად ანგრევს დამკვიდრებულ სტერეოტიპს, რომ ბანკები სამშენებლო სექტორს აღარ აფინანსებენ.

არჩილ გაჩეჩილაძე, *„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე:* „ეს არის კიდევ ერთი წარმატებული პროექტი, რომელიც „საქართველოს ბანკის“ მიერ განხორციელდა. მომავალშიც ვაპირებთ, რომ აქტიურად გავაგრძელოთ სამშენებლო სექტორის და იმ კომპანიების დაფინანსება, რომლებსაც აქვთ საკმარისი კაპიტალი და საინტერესო პროექტები. კონკრეტულად ამ პროექტისთვის პირველ ეტაპზე ბანკმა გამოყო დაახლოებით 700 ათასი ლარი კრედიტის სახით, ხოლო მეორე ეტაპზე 200 ათასი ამერიკული დოლარი. ახლა განიხილება, ამავე სამშენებლო კომპანიასთან, რამდენიმე მილიონ დოლარად შეფასებული სამშენებლო პროექტის დაფინანსების საკითხი. მთავარი, რამაც კომპანია „ტეტრისთან“ თანამშრომლობა გადაგვაწყვეტინა, იყო ის, რომ მას ჰქონდა საკუთარი კაპიტალი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ დაფინანსება მიიღო. ასევე, ამ კომპანიას სწორი სამომხმარებლო სეგმენტი აქვს არჩეული. აქ ბინების 80-90% დაახლოებით 20-21 ათასი დოლარის ფარგლებშია გაყიდული. მეორე პროექტის შემთხვევაშიც, კომპანიას გათვლა ეკონომკლასის ბინებზე აქვს, რაც საბოლოო პროდუქტს ბევრისთვის ხელმისაწვდომს გახდის და შესაბამისად ეს უკვე ლიკვიდური პროდუქტია. ეს სამშენებლო სექტორის ის სეგმენტია, სადაც რისკი ბევრად ნაკლებია, მაგრამ მოგების მარჟაც მცირეა. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ კომპანიას, რომელიც ასეთ პროექტს ახორციელებს, ბანკის მიერ გამოყოფილ ფინანსურ რესურსთან ერთად, საკუთარი კაპიტალიც ჰქონდეს“.

დავით ფანჯაკიძე, *კომპანია „ტეტრისის“ დირექტორი და დამფუძნებელი:* „ამ პროექტს საფუძველი 2011 წელს ჩაეყარა. აქ იდგა ძველი კარკასული შენობა, რომელიც დაახლოებით 1 ჰექტარის ფართობზე მდებარეობდა. შევიძინეთ ეს მიწის ნაკვეთი და შევქმენით ეს კომპლექსი. მშენებლობის დასრულებას დასჭირდა 1,5 წელი და დღეისთვის სრულად გვაქვს შესრულებული ვალდებულება, როგორც მობინადრეების, ასევე ბანკის წინაშე. ეს არის ეკონომკლასის ბინები 36 კვმ ფართიდან და გამიზნულია საშუალო შემოსავლის მქონე სეგმენტზე. ამ კომპლექსში ბინები გაიყიდა კვადრატული მეტრი 500 დოლარად. შენობაში გათვალისწინებულია ყველა ინფრასტრუქტურული ელემენტი, მათ შორის ტერასა, პარკინგი, სათამაშო მოედანი ბავშვებისთვის და ა.შ.

ამავე ტერიტორიასთან ახლოს ვგეგმავთ ახალი მშენებლობის წამოწყებას, რომლის საერთო ფართი დაახლოებით 9 500 კვმ იქნება. ახალი პროექტის მშენებლობას მიმდინარე წლის ზაფხულში დავიწყებთ და ისიც დაახლოებით იმავე ვადებში — წელიწადსა და ექვს თვეში დასრულდება. მოთხოვნა საკმაოდ მაღალია ეკონომკლასის ბინებზე და მშენებლობის ვადებიც მისაღებია მომხმარებლისთვის. ჩვენ საკუთარი ფინანსური სახსრებიც გვაქვს, მაგრამ ბანკის თანამონაწილეობა ყოველთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რათა არ შეფერხდეს მშენებლობის პროცესი, დროულად მოხდეს მშენებლობის ვადების დაცვა და არ ვიყოთ დამოკიდებული ბინების გაყიდვების მაჩვენებელზე, რისი სამწუხარო მაგალითები დღეს ბაზარზე მრავლად გვაქვს. სამომავლო პროექტზე თანამშრომლობასაც რა თქმა უნდა, „საქართველოს ბანკთან“ ვგეგმავთ“.

R

კომპანია „კონსტრონი“
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
გერმანული კარ-ფანჯრები სამმაგი მინით — მხოლოდ ჩვენთან!
გერმანული SALAMANDER და KOMMERLING - 5-კამერიანი, 76მმ. სამონტაჟო სისქით
ფერები: თეთრი, თეთრი მუხა; ხის ტექსტურით: წითელი ხე, კაკალი, წაბლი, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, და ა.შ.
მის: წერეთლის 141ა მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 35-47-47; 53-06-00; 61-32-37; 899-90-20-91; 895-30-22-92 ტ/ფაქსი: 35-13-13

სურნელოვანი ტყუილი თუ პარფიუმერიული თაღლითობა?

პარფიუმერიის მაღაზია „ვულე-ვუს“ ქსელი, სავარაუდოდ, სკანდალში გაეხვევა. მომხმარებლები ამტკიცებენ, რომ ამ ქსელის სხვადასხვა ფილიალში მათ ვადაგასული პროდუქცია მიჰყიდეს.

„ეს საჩუქარი კი არა, მომხმარებლის დაცინვაა“

მომხმარებელი ლალი კობელნიცკაია აცხადებს, რომ „ვულე-ვუში“ მიმდინარეობს სადღესასწაულო ფასდაკლების აქცია „1+1“ და სწორედ ამ აქციით შეძენილი პროდუქცია ვადაგასული. „ვერ წარმომედგინა, რომ ასეთი აფერა შეიძლებოდა გაეთამაშებინა ცნობილ მაღაზიათა ქსელს. ყველა ფილიალში ცალკე მაგიდაზე მოთავსებულია ცნობილი ბრენდების უძვირფასესი პროდუქცია და გთავაზობენ, თუ იყიდით ერთი დასახელების ნივთს, იმავე ღირებულების მეორე ნივთი შეგიძლიათ საჩუქრად აიღოთ. მაგალითად, „ჟივანშის“ სახის კრემი 800 ლარი ღირს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ფასად ორი ასეთი კრემის შეძენა შეგიძლიათ. უკვე მეორე წელია, ასეთი აქციით უამრავ კოსმეტიკურ და პარფიუმერიულ პროდუქციას ვყიდულობ. საახალწლო ფასდაკლებაზეც ვიყიდე პუდრი, ტუში და სხვა. ამ დროს ჩემმა მოსკოველმა მეგობარმა მასწავლა საიტი (http://checkcosmetic.net), სადაც სპეციალურ გრაფაში ჩაწერ ბრენდის შეფუთვაზე, ტუბზე ან ქილაზე აღნიშნულ კოდს და მიიღებ სრულ ინფორმაციას გამოშვების თარიღის შესახებ. როდესაც „ვულე-ვუს“ ფასდაკლების აქციაზე შეძენილი ნივთების კოდები შევამოწმე, კინაღამ გავგიჟდი, ყველა ვადაგასული აღმოჩნდა — ორი-სამი წლის წინ გასვლიათ ვადა. შევამოწმე აქციის გარეშე შეძენილი ბრენდების კოდებიც, მაგრამ ვადაგასული არც ერთი არ აღმოჩნდა. რა გამოდის? ეს საჩუქარი კი არა, მომხმარებლის დაცინვაა. სავარაუდოდ, ამ პროდუქციაში ფულიც არ აქვთ გადახდილი. როგორც გამიგია, დისტრიბუტორებს მწარმოებელი კომპანიები ვადაგასულ ნაწარმს ვიტრინების მოსართავად ჩუქნიან. არ მინდა დავიჯერო, რომ „ვულე-ვუ“ ასეთ სავიტრინე „ნაგავს“ ფასდაკლების აქციის სახით გვაპარებს. სამწუხაროდ, როდესაც ვადაგასული პროდუქცია შევამოწმე, „ვულე-ვუს“ ჩეკები აღარ მქონდა. იძულებული გავხდი, მომხმარებლის უფლებების დამცველი რომელიმე ორგანიზაციისთვის მიმემართა. როგორც გავიგე, ასეთი სახელმწიფო სამსახური არ არსებობს. გამოდის, ფინანსურ პოლიციაში ან პროკურატურაში უნდა ვიჩივლო. როგორც ვიცი, ვადაგასული პროდუქციის გამოყენებით მომხმარებლის დაზარალება კანონით ისჯება. ვიდრე სამართალდამცავ ორგანოებს მივმართავდი, არასამთავრობო ორგანიზაცია „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს“ დავუკავშირდი, კერძოდ, მომხმარებელთა უფლებების დამცველ პროგრამას — www.momxmarebeli.ge. ვთხოვე, გაერკვიათ, რა ხდებოდა. იქნებ მე მეშლება, ან იქნებ ვებგვერდი ცრუობს? თუ „ვულე-ვუ“ გვატყუებს, მას პასუხი მოეთხოვოს“.

მისი საჩივრის საფუძველზე ამ ორგანიზაციამ ჩაატარა მოკვლევა:

ლია თოდუა, *პროგრამის ხელმძღვანელი:* „http://checkcosmetic.net/-ის ინფორმაცია სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და მომხმარებელს ურჩევს, მეტი სიზუსტისთვის კოსმეტიკის მწარმოებელს მიმართონ. ამიტომაც გავგზავნეთ კოსმეტიკის რამდენიმე იმ ცნობილ მწარმოებელთან, ვისი ბრენდებიც „ვულე-ვუში“ იყიდება, შეკითხვა — როგორ დაადგინოს მომხმარებელმა ვარგისიანობის ვადა?

კომპანია „ჟივანშისგან“ მივიღეთ პასუხი, რომ პროდუქციის ვარგისიანობის ვადის დასადგენად მომხმარებელს სწორედ ზემოაღნიშნული საიტ http://checkcosmetic.net/-ის გამოყენებას ურჩევს, სადაც ვადების გარკვევას კონკრეტულ პროდუქტზე მითითებული სერიული ნომრის აკრეფით შევძლებთ“.

2013 წლის 1-ელ მარტს „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ მიაკითხა მაღაზია „ვულე-ვუს“ (ვაჟა-ფშაველას №35), სადაც 8 მარტთან დაკავშირებით კვლავ გამოცხადებულია აქცია „1+1“:

„ამ აქციაზე გვინდოდა შეგვეძინა „ჟივანშის“ ფირმის ერთი პროდუქტი და მეორე მიგვეღო საჩუქრად. მაღაზიის კონსულტანტის დახმარებით შევარჩიეთ „ჟივანშის“ ფირმის ორი, დაახლოებით ერთი და იმავე ღირებულების პროდუქტი: ტუჩსაცხი (73 ლარი) და თვალის ჩრდილი (70 ლარამდე).

რადგან ორგანიზაციამ მიგვავლინა, რატომღაც, ამ აქციით შეძენილ საქონელზე მაღაზიამ სასაქონლო ზედნადები არ მოგვცა, ამიტომ შევიძინეთ მხოლოდ ტუჩსაცხი, რომელიც ფასდაკლებით მაღაზიამ 66 ლარად მოგვყიდა. პროდუქტზე დატანილი სერიული ნომერი 901 შევიყვანეთ „ჟივანშის“ წარმომადგენლის მითითებულ საიტზე. www.checkcosmetic.net-ის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ პროდუქტი წარმოებულია 2009 წლის იანვარში და ვარგისია 36 თვე — 2012 წლის იანვრამდე, ანუ ჩვენი ტუჩსაცხი ვადაგასულია“, — განაცხადა ლია თოდუამ.

„კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა „ვულე-ვუს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს **ნინო ნოდიას**. მისი თქმით, გავრცელებული ინფორმაციის მიზანია, 8 მარტისთვის გაყიდვები ჩავარდეს.

ნინო ნოდია: — მივიღე წერილი www.momxmarebeli.ge-სგან, სადაც ნათქვამია, რომ www.checkcosmetic.net არის პროდუქციის ხარისხის მაკონტროლებელი ვებგვერდი, თუმცა, ამავე საიტზე ნათქვამია, ვერ გაძლევთ გარანტიას, რომ ჩვენი გამოქვეყნებული ინფორმაცია ზუსტიაო. ამიტომაც ამ აბსურდზე ვერაფერს გეტყვით. რომელ პროდუქტზეც შეგვედავნენ, ოფიციალურად „ჟივანშისგან“ გვაქვს მიღებული. გავგზავნე წერილი ყველა ჩვენს პარტნიორ ბრენდთან და ველოდები პასუხს.

— www.momxmarebeli.ge-ს ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა „ჟივანშის“ წერილიც, სადაც ნათქვამია, რომ კომპანია ურჩევს მომხმარებელს, ისარგებლონ მითითებული საიტით.

— ელექტრონული ფოსტით მიღებული წერილი სანდო დოკუმენტად ვერ ჩაითვლება(?!). არ ვიცი, ვის რა მისწერეს და ვინ რა უპასუხა. ასეთ საეჭვო წერილებს ვერ დავეყრდნობი. როცა მექნება სათანადო დოკუმენტი, პასუხს ყველას გავცემ. ისე კი, საეჭვოდ არ გეჩვენებათ, რომ ეს აჟიოტაჟი სწორედ რვა მარტის წინ ატყდა? ის, რომ „ვულე-ვუ“ 20 წელია, ბაზარზე არსებობს, იმის დასტურია, რომ კარგ პროდუქციას ვყიდით.

ეკა ლომიძე

„გამარჯვების კოცნა“

ყველაზე ცნობილი ფოტოს ისტორია



ეს ლეგენდარული ფოტო, რომელზეც ამერიკელი საზღვაო ქვეითი სიმპათიურ მედდას კოცნის, ჟურნალ „ლაიფ მეგეზინის“ ცნობილმა ფოტორეპორტიორმა ალფრედ ეიზენშტედტმა სწორედ მაშინ გადაიღო, როდესაც (1945 წლის 14 აგვისტოს) ნიუ-იორკელებმა იაპონიის კაპიტულაციის შესახებ შეიტყვეს და მანჰეტენში, ქალაქის მთავარ მოედანზე — ტაიმს სკვერზე ზეიმი გამართეს.

ეს კადრი ფოტოგრაფიის ისტორიაში „ყველაზე ცნობილ კოცნად“ და ამავდროულად ერთ-ერთ საუკეთესო ფოტონამუშევრად არის აღიარებული. ფოტოს ისტორია კი ასეთია: *„ტაიმს სკვერზე გამარჯვებით აღტაცებული ახალგაზრდა მეზღვაური ყველა შემხვედრ ქალს კოცნიდა, მე მის წინ გავრბოდი ჩემი კამერით და უკან-უკან ვიხედებოდი, მაგრამ არც ერთი საავარაუდო კადრი არ მომწონდა. უცებ რალაც თეთრი მომხვდა თვალში, შემოვტრიალდი და დავიჭირე მომენტი — როცა მეზღვაური ექთანს კოცნიდა... გოგონას რომ მუქი სამოსი სცმოდა, ამ კადრს არასოდეს გადავიღებდი! არც მაშინ გადავიღებდი, თუ მეზღვაურიც თეთრ ფორმაში იქნებოდა გამოწყობილი. რამდენიმე წამში 4 ფოტო გადავიღე. მათგან ერთ-ერთი კი „ლაიფში“ ერთი კვირის შემდეგ გამოქვეყნდა და მსოფლიოსთვის გამარჯვების სიმბოლოდ იქცა“*, — იხსენებს ეიზენშტედტი.

მას შემდეგ მრავალმა ქალმა განაცხადა, რომ სწორედ ისინი მოხვდნენ ფოტორეპორტიორის კადრში, თუმცა ნამდვილი მედდა — ედით შეინი 30 წლის განმავლობაში დუმდა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თავი ფოტოს გამოქვეყნებისთანავე იცნო.

„ადრე ამის გაცხადება მეუხერხულებოდა“, — მისწერა მან ეიზენშტედტს 70-იანი წლების ბოლოს, — *მაგრამ ახლა, როდესაც სამოცის გავხდი, ამის აღიარების აღარ მრცხვენია“.*

ედითი ლონდონის ჰოსპიტალის ექთანი გახლდათ, რომელიც იმ დროს მეგობრებთან ერთად ტაიმს სკვერისკენ მიეშურებოდა. *„მეტროდან გამოსვლისთანავე უცნობმა ამერიკელმა მეზღვაურმა ხელი მტაცა და ჩამკოცნა, წინააღმდეგობა არ გამიწევია, რატომაც არა, ის ხომ მეც და ჩემს ქვეყანასაც იცავდა!“* — განაცხადა მან მოგვიანებით. ამ აღიარებამ ედით შეინის ცხოვრება შეცვალა, გამარჯვების სიმბოლო გახდა და მუდმივად იწვევდნენ გამარჯვებისადმი მიძღვნილ ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაზე.

ედით შეინი 2010 წელს 91 წლის ასაკში გარდაიცვალა, თუმცა „გამარჯვების კოცნის“ ქანდაკება ტაიმს სკვერზე მის სიცოცხლეში, 2007 წელს დაიდგა. ხოლო ტაიმსკვერზე კოცნის ყოველწლიური ტრადიცია კიდევ 2 წლით ადრე, 2005 წელს იაპონიაზე გამარჯვების 65 წლისთავზე იშვა — მაშინ მოედანზე უამრავი ადამიანი, ვეტერანებიც და ახალგაზრდებიც კოცნიდნენ ერთმანეთს. ბევრი მათგანი შესაბამის სამოსშიც იყი გამოწყობილი.

მეზღვაურის ვინაობა კი სამუდამოდ უცნობი დარჩა — მიუხედავად იმისა, რომ „ლაიფ მეგეზინმა“ 1980 წლის აგვისტოში თხოვნით მიმართა უცნობს, რომ ჟურნალს გამოხმაურებოდა. რედაქტორებმა განაცხადეს, რომ მათ 11 კანდიდატი გამოეხმაურა, თუმცა ფოტოზე აღბეჭდილი მამაკაცი არც ერთი არ აღმოჩნდა. საფუძვლიანმა ჟურნალისტურმა გამოძიებამ მხოლოდ ედით შეინის „ნამდვილობა“ დაადასტურა.

ედით შეინი 2010 წელს 91 წლისა გარდაიცვალა, თუმცა „გამარჯვების კოცნის“ ქანდაკება ტაიმს სკვერზე მის სიცოცხლეში, 2007 წელს დაიდგა

მოამზადა
რამაზ გურგენიძემ

თმის ცვენის მიზეზი შესაძლოა იყოს სტრესი, ორსულობა, მენოპაუზა და ჰორმონალური ბალანსის დარღვევის სხვა გამომწვევი. თმა – ეს არა მხოლოდ სილამაზე, არამედ ჩვენი არსების მნიშვნელოვანი ნაწილია. ის არა მხოლოდ ამშვენებს, არამედ ადამიანის ინდივიდუალურობას უსვამს ხაზს და მას თავდაჯერებულობას მატებს.

მშობიარობის შემდეგ ირინას თმის ცვენა დაეწყო

6 თვის წინ ირინას ულამაზესი ბიჭუნა შეეძინა. ის ძალიან ბედნიერი დედიკო იყო, მაგრამ მოულოდნელმა პრობლემამ – თმის ცვენამ – მოსვენება დაუკარგა. თმა ისე ძლიერად ცვიოდა, რომ მალე საფეთქლების არეში კანი გამოუჩნდა. უკვე პანიკაში ჩავარდნილმა ირინამ გამოსავალი იპოვა. ახლა ის იღებს „ჰეა ვოლუმის“ ტაბლეტებს და ძალიან ბედნიერია, რადგან თავისი ძლიერი და ლამაზი თმა დაუბრუნდა.

„როდესაც ჩემი შვილი ორი თვის გახდა, უეცრად დამეწყო თვის ცვენა. ჩემი თმა ეყარა ყველგან. თავის ყოველი დაბანის შემდეგ ჩემი დაცვენილი თმა მუჭში არ მეტეოდა. სავარცხელი მუდმივად თმით იყო სავსე. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ თმა ღერებით კი არა, ბღუჯა-ბღუჯა მცვიოდა. სასტუმრო ოთახში დიდი შაავი ხალიჩა გვაქვს. ყოველდღიურად მიწევდა მტვერსასრუტის ჩართვა, რადგან ხალიჩა მთლიანად თმით იფარებოდა. უნდა ვაღიარო, ეს ძალიან უსიამოვნო გამოცდილება იყო.“

იმედი დავკარგე

„თმა საშინლად თხელი გამიხდა და როგორც არ უნდა დამევარცხნა, ძალიან მოუვლელად გამოიყურებოდა. ბოლოსდაბოლოს იმედი გადამეწურა, რომ ჩემი თმა როდესმე ისევ ძველებურად ჯანმრთელი და ლამაზი იქნებოდა.

მაგრამ მოულოდნელად ჟურნალში წავიკითხე სტატია შვედური ტაბლეტების „ჰეა ვოლუმის“ შესახებ. გადავწყვიტე, რომ ამ ტაბლეტებს შევეძლო ჩემ გამოუვალ მდგომარეობაში დახმარება. აფთიაქში შევიძინე სამი კოლოფი და დავიწყე თმის გამაჯანსაღებელი სამთვიანი კურსი. ეს ძალიან ადვილი იყო – დღეში მხოლოდ ერთი ტაბლეტი უნდა მიმეღო.“

თმა გაიზარდა და გახშირდა

„სამი თვის განმავლობაში ვიღებდი დღეში ერთ ტაბლეტ „ჰეა ვოლუმს“ და დავინახე, როგორ გაიზარდა, გაჯანსაღდა და გალამაზდა ჩემი თმა! გავიგე, რომ ორსულობისა და მშობიარობის დროს თმის ცვენა საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა. ახლა ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ დროულად დავიწყე „ჰეა ვოლუმის“ ტაბლეტების მიღება.

საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ ჩავეწერე ჩემს სტილისტთან და ახლა სულმოუთქმელად ველოდები, როდის გავიკეთებ ჩემს საყვარელ ვარცხნილობას.“

სად შეიძინოთ ჰეა ვოლუმის ტაბლეტები

ჰეა ვოლუმის ტაბლეტების შეძენა შეიძლება აფთიაქში. პრეპარატის შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მოსაძიებლად იხილეთ ინტერნეტ-საიტი:

www.newnordic.lv

ან დარეკეთ ტელეფონზე:

☎ 570 102 392

ქალაქის ნომრიდან ზარი უფასოა

შვედური აღმოჩენა

„ჰეა ვოლუმი“ უახლესი შვედური აღმოჩენაა. ეს პირველი ტაბლეტებია, რომელთა შემადგენლობაშიც შედის ზრდის ვაშლის ფაქტორი – პროანტოციანიდინი B2, რომელიც ასტიმულირებს თმის უჯრედების ეპითელიუმს და ფოლიკულში თმის ზრდას. ტაბლეტები თმის ძირებს ამარაგებს ბიოტინით, რომელიც აუცილებელია ჯანმრთელი თმის ზრდისთვის და სპილენძით, რომელიც თმის პიგმენტაციისთვის არის საჭირო – ეს კი გაჭაღარავების პროცესს ანელებს. „ჰეა ვოლუმის“ შემადგენლობაში შედის აგრეთვე სილიციუმი, ფეტვის ექსტრაქტი, B ჯგუფის ვიტამინები და ამინომჟავები. ეს ნივთიერებები ასტიმულირებენ თმის ზრდას, უნარჩუნებენ მათ ელასტიურობას, დრეკადობას, სიხშირესა და სილამაზეს.



შეფუთვაზე მოძებნეთ ვერცხლისფერი საფირმო ნიშანი. ეს იმის გარანტიაა, რომ პრეპარატი შეესაბამება ხარისხისა და უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს, რომელსაც კომპანია „ნიუ ნორდიკი“ გთავაზობთ.
„ნიუ ნორდიკი“ ზრუნავს ადამიანებსა და ბუნებაზე.

ჩემი გვერდი

სავაზაფხულო კროსვორდი

შეავსე კროსვორდი ნახატების მიხედვით და ფერად უჯრებში მიიღებ გაზაფხულის პირველი თვის სახელწოდებას

ტყუილია თუ მართალი?

1. ყველა ფრინველს შეუძლია ფრენა

ტყუილი ☐ მართალი ☐

2. ქამელეონი კანის ფერს იცვლის

ტყუილი ☐ მართალი ☐

3. დელფინი თევზია

ტყუილი ☐ მართალი ☐

4. დედამიწაზე ყველაზე დიდი ძუძუმწოვარი ლურჯი ვეშაპია

ტყუილი ☐ მართალი ☐

სუდოკუ



ცარიელ უჯრებში ისე განალაგე რიცხვებიანი ბურთები, რომ არც ჰორიზონტალურ რიგზე, არც ვერტიკალურზე და არც ოთხ-ოთხ უჯრიან კვადრატებში რიცხვები არ განმეორდეს

ლექსი

იავნანა

ბულბული ვარდის კოკორზე
მღეროდა იავნანასო,
კატამ თქვა: - მივეპარები
და გადავსანსლავ ამასო.
ამის გამგონე ბულბულსა
ნისკარტში ჩაეცინაო,
ხმას აუწია და კატას
მკვდარივით ჩაეძინაო.

ნოდარ დუმბაძე

პასუხები იხილე: 37-ე გვ.

1-დან 8 მარტამდე

დიდი მეზღაპრეების
საღამოობით საკითხავი ამბები
სახალისო, ფერადი და ჯადოსნური წიგნები მაგარი ყდით

ყოველ პარასკევს ჟურნალ „საბავშვო კარუსელთან" ერთად ახალი წიგნი „საღამოობით საკითხავი ლამაზ-ლამაზი ამბები" 5 ტომად

წაიკითხე, იოცნებე და იმოგზაურე ჯადოსნურ სამყაროში

წიგნის ფასი: 4 ლარი
ჟურნალთან ერთად: 5 ლარი

შემდეგი წიგნი:
განძი

იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში!
წიგნები ადგილზე მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 www.elva.ge

ასევე, „საბავშვო კარუსელის" ამ ნომერში იპოვე
შენი კუნძი

თავზე ხელაღებული „კნიაზი“

საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლი გერმანელების რეზიდენტი ბაგრატიონ-მუხრანსკი

მეორე მსოფლიო ომი და ქართველები — ეს თემა ბოლომდე ჯერაც არ არის შესწავლილი. ქართველები საბჭოთა დროშის ქვეშ — ამაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ქართველები გერმანულ სპეცსამსახურებში — ამ საკითხზე კი ცოტა რამ არის ცნობილი...

იდუმალი რეზიდენტი

ლენინგრადი, 1942 წელი. ბლოკადაში მოქცეული ქალაქი შიმშილით სულს ღაფავს. ამ დროს ლენინგრადში ანტისაბჭოთა შინაარსის ფურცლები გამოჩნდა, რასაც დივერსიისა და საბოტაჟის აქტებიც მოჰყვა. საბჭოთა უშიშროებამ დაადგინა: ქალაქში გერმანულ დაზვერვასთან დაკავშირებული იატაკქვეშეთი მოქმედებდა. მალე შინსახკომმა დააპატიმრა ვინმე სერგეი კრუგლოვი, რომელიც პეტერბურგის ძირძველი მცხოვრები და განათლების სახალხო კომისარიატის თანამშრომელი აღმოჩნდა. კრუგლოვი თავად უშიშროების მაიორმა ანატოლი გრუშკომ დაჰკითხა:

— მისმინე, — გრუშკომ პაუზა გააკეთა, — კარგად იცი, რომ საბჭოთა უშიშროებაში ქვასაც კი აალაპარაკებენ. გაძლევ შანსს, რათა წამება აიცდინო. ილაპარაკებ თუ არა?

— სიცოცხლეს შემინარჩუნებთ?

— ეს ჩემზე არაა დამოკიდებული, ამას სასამართლო გადაწყვეტს. მე კი გპირდები, რომ არ გაწამებენ.

— ვილაპარაკებ, — უმწეოდ აღმოხდა კრუგლოვს.

მან მართლაც ამომწურავი ჩვენება მისცა. თურმე გერმანელებზე 1912 წლიდან მუშაობდა.

— შემდეგ იყო რევოლუცია, სამოქალაქო ომი, — კრუგლოვმა ამოიოხრა, — გერმანელებთან კავშირიც გაწყდა. მხოლოდ 1941 წლის აგვისტოში გამიხსენეს, როცა მათი რეზიდენტი მეწვია.

— ვინ? — შეაწყვეტინა მაიორმა.

— მისი მეტსახელია „კნიაზი“, ნამდვილი გვარი ბაგრატიონ-მუხრანსკი. აქ სხვისი სახელით ცხოვრობს. ლენინგრადში ომის დაწყების შემდეგ გადმოისროლეს.

— ქართველია?

— მითხრა, რომ ყოფილი ოფიცერია, ჯერ დენიკინის არმიაში იბრძოდა, 1919 წლიდან კი ქართულ არმიაში მსახურობდა. გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა.

— „კნიაზი“ თქვენთან თავისით მოვიდა?

— დიახ, ერთხანს ჩემთან ცხოვრობდა. მითხრა, რომ ლენინგრადში ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთი მოქმედებს და მათთან კონტაქტზე გასვლა სურს. ვურჩიე, არ იჩქარომეთქი და მართალიც გამოვდექი.

— როგორ თუ მართალი?

— იატაკქვეშეთის ბევრი ხელმძღვანელი შინსახკომის აგენტია. ჩვენ მათ ინფორმაცია მივუგდეთ: აქაოდა ვინმე პოლიაკოვი, რომელიც კიროვის ქარხანაში მუშაობს, დივერსიას ამზადებს-თქო. მოქალაქე დააპატიმრეს. ამით დადასტურდა, რომ ეს ორგანიზაცია შინსახკომით კონტროლდება.

— ნაძირალა ხარ! — გამოცრა გრუშკომ.

— ამის შემდეგ „კნიაზს“ საიმედო ხალხი გავაცანი. ასე შეიქმნა ჩვენი ორგანიზაცია სახელწოდებით „ადოლფ ჰიტლერის ინტერესების დაცვა“, შემოკლებით „ზიგზაგი“. მოვაწყვეთ რამდენიმე დივერსია, გადავეცით გერმანელებს საიდუმლო სამხედრო ობიექტებისა და სასურსათო საწყობების კოორდინატები. ეს ობიექტები დაბომბეს.



ლენინგრადი, 1942 წელი. ბლოკადაში მოქცეული ქალაქი შიმშილით სულს ღაფავს. ამ დროს ლენინგრადში ანტისაბჭოთა შინაარსის ფურცლები გამოჩნდა, რასაც დივერსიისა და საბოტაჟის აქტებიც მოჰყვა. ქალაქში გერმანულ დაზვერვასთან დაკავშირებული იატაკქვეშეთი მოქმედებდა

„ზიგზაგი“ — ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთი

— ახლა სად არის „კნიაზი“?

— არ ვიცი.

— შენ მას კარგად იცნობ, არა?

— კი, ნამდვილი გიჟია, თავზე ხელაღებული, გადარეული. რამდენჯერმე წამოსცდა: ჰიტლერი ძაღლის შვილია, მაგრამ სტალინი მასზე უარესია. თუკი გერმანელების დახმარებით რუსეთს დავანგრევთ, საქართველოც გათავისუფლდებაო...

შემდგომში კრუგლოვი გამოტყდა, „კნიაზთან“ შეხვედრა ხვალ მაქვს დანიშნული, შუადღის სამ საათზე ჩემს ბინაში მოვაო.

გაქცევა

„კნიაზის“ გარეგნობა კრუგლოვმა დაწვრილებით აღწერა. ჩეკისტებმაც ის შორიდანვე იცნეს. ბაგრატიონ-მუხრანსკის საბჭოთა ოფიცრის ფორმა ძალზე უხდებოდა. მაღალი, ბრგე, ლამაზი, მოძრაობდა ამაყად, მსუბუქად. აი, კრუგლოვის სახლის სადარბაზოს გაუსწორდა... უცებ კრუგლოვი წამოხტა, ფანჯრისკენ ისკუპა და რაფაზე შემოდებული ქოთანი ეზოში გადააგდო.

— შენი დედა, — შეჰყვირა კრუგლოვის გვერდით მდგომმა ჩეკისტმა და თავში რევოლვერის ტარი ჩასცხო.

კრუგლოვი დაეცა. „კნიაზი“ ერთხანს ჩაფიქრებული იდგა, ყვავილებიანი ქოთანი ხომ ზედ მის ფეხებთან დაეცა. შემდეგ ზემოთ აიხედა და გზა ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით განაგრძო. ამ დროს მჭექარე ხმა გაისმა:

— ხელები მაღლა!

ჩეკისტები „კნიაზს“ გარს შემოერტყნენ. ის კი უძრავად იდგა და მშვიდად იღიმებოდა.

— ამხანაგებო, რაშია საქმე? — წყნარად წარმოთქვა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ.

— ხელები მაღლა! — გაისმა პასუხად, — ჩქარა!

„კნიაზმა“ პირდაპირ ჯიბიდან გაისროლა. ტყვია ერთ-ერთ ჩეკისტს თვალებშუა მოხვდა. დაკვნესებაც ვერ მოასწრო, ისე დაეცა. „კნიაზმა“ კი რევოლვერი იძრო და კვლავ რამდენჯერმე გაისროლა.

ტყვიით განგმირული რამდენიმე ჩეკისტი მიწაზე ეგდო. „კნიაზმა“ თავი მოსახვევში დურთა.

— დაიჭირეთ! დაიჭირეთ!

გაქცეულს სეტყვასავით დააყარეს ტყვიები. „კნიაზმა“ გაღწევა შეძლო. სამი ჩეკისტი მოკლა, ორიც მძიმედ დაჭრა.

უკანასკნელი ბრძოლა

მომხდარის შემდეგ „კნიაზს“ ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა: ფრონტის ხაზის გადაკვეთა და გერმანელებთან შეერთება. გრუშკოს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბაგრატიონ-მუხრანსკი ფინეთის ყურისკენ წავიდოდა, რადგან გერმანელი მზვერავები ლენინგრადში სწორედ აქედან შემოდიოდნენ.

— მაგ „კნიაზს“ ცოცხლად შევიპყრობ, — მტკიცედ წარმოთქვა გრუშკომ, — მაშ გერმანელების დახმარებით რუსეთის დანგრევა სურს, არა? ამ ვაჟბატონს აქ, ამ სავარძელში ჩავსვამ, ჩიტივით ავაჭიკჭიკებ და ჩვრად ვაქცევ.

მაიორი ჯგუფს თავად ჩაუდგა სათავეში. „კნიაზმა“ მართლაც ფინეთის ყურით სცადა გერმანელებთან გაღწევა და იქ ჩასაფრებულ ჩეკისტებს გადააწყდა.

— ხელები მაღლა! — დაიძახა გრუშკომ, — „კნიაზ“, გარშემორტყმული ხარ! დაგვნებდი!

პასუხად ხარხარი გაისმა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გრუშკოს დაბნეულობისაგან ენა ჩაუვარდა. ამ დროს ვიღაცამ შესძახა:

— დაწექით!

„კნიაზმა“ ხელყუმბარა ისროლა. გაისმა აფეთქების ხმა. ამის შემდეგ „კნიაზმა“ რევოლვერიდან ცეცხლი გახსნა.

— ჩაკალით ეს წყეული! — ყვიროდა ვიღაც, — ჩაკალით, მაგის დედა...

„კნიაზი“ კი იცინოდა და სროლას განაგრძობდა. ჩეკისტებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს. ერთ-ერთი ტყვია „კნიაზს“ ბარძაყში მოხვდა:

ჩეკისტები წაქცეულისაკენ გაიქცნენ. „კნიაზმაც“ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და რევოლვერი პირში ჩაიდო.

— ჩემი გვარის კაცი მტერს არასოდეს დანებებია! — ამ სიტყვებით სასხლეტს თითი გამოჰკრა...

ჩეკისტებს ხელთ მხოლოდ მისი უსულო გვამი შერჩათ, თუმცა „კნიაზი“ იმ ქვეყნად მარტო როდი წავიდა — ხუთი ჩეკისტი სიცოცხლეს გამოასალმა. მათგან ერთ-ერთი მაიორი გრუშკო იყო, კაცი, რომელსაც „კნიაზის“ ცოცხლად შეპყრობა ასე გულით ეწადა.

ნიკა თევზაძე



„რაზომ ვარ დამნაშავე, თუ 15 წლით უმცროსი ბიჭი შემიყვარდა?!“

სახიფათო სიყვარულის ტვირთი

„ჩემზე ასაკით ბევრად უმცროსი ბიჭი შემიყვარდა. ახლა მისგან ბავშვს ველოდები. ჩვენი მშობლები მზად არიან ერთად ჩაგვქოლონ მე და ჩემი პატარა, რომელიც დიდი სიყვარულის ნაყოფია“, — ასე გამეცნო მაკა. ის ახლა შვიდი თვის ორსულია, ცდილობს, პრობლემებს ღირსეულად გაუმკლავდეს და სათუთად ატაროს, როგორც თვითონ უწოდებს „სახიფათო სიყვარულის ტვირთი“.

მაკა თვითონ გიამბობთ აკრძალული სიყვარულის ამბავს, რომელიც ორიოდე წლის წინ დაწყებულა.

— ვცხოვრობდი ქუთაისში, სადაც გასული საუკუნის ბოლოს, ისე როგორც მთელ საქართველოში, მოდური იყო მოტაცებით ცოლის შერთვა. სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა, რომ კლასელმა რამდენიმე მეგობრის დახმარებით მომიტაცა. არ მიყვარდა ის ბიჭი და თავის დაღწევა ვცადე — გავიქეცი და ერთ-ერთი კორპუსის ლიფტში შევვარდი. დაბნეულს რა მექნა, არ ვიცოდი, ბოლო სართულის ღილაკს თითი დავაჭირე და გავიფიქრე, სახურავზე ავასწრებ და კარს ჩავკეტავ-მეთქი... ოთხნი იყვნენ, არაფერი გამომივიდა. დასაკლავი პირუტყვივით მომექცნენ, ხელებსა და ფეხებში ჩამავლეს და ისე ჩამათრიეს კიბეზე. არავინ მომშველებია, ქალები მხოლოდ შორიდან კიოდნენ, ხელი გაუშვით, გოგოს როგორ ექცევითო. ძალადობა ამით არ დამთავრებულა — პირველი სქესობრივი კავშირიც ძალით დაამყარა. იმ დროს „წესი იყო“, თუ ქალწულობის დაკარგვამდე ვერ მოგისწრებდნენ მშობლები, სხვა გზა არ გქონდა, უნდა დარჩენილიყავი, რადგან შერცხვენილის სახელით უნდა გეცხოვრა.

როცა გიორგიმ გაიგო, ბავშვს ველოდებოდი, სიხარულისგან გაგიჟდა. მეფერებოდა, ბავშვივით ხტოდა, ყვიროდა, გულზე ხელებს იბაგუნებდა, მამა გავხდები და ეს ყველამ უნდა გაიგოს, ახლა ხომ დარწმუნდი, რომ უნდა დავქორწინდეთ და მუდმივად ერთად უნდა ვიყოთო. ისევ ავაგდე ქვა და შევუშვირე თავი. იმ აზრმაც გამიელვა, აბორტი გამეკეთებინა. მაგრამ როცა ექოსკოპიაზე ნაყოფის გულის ცემა მოვისმინე, გადავიფიქრე ბოროტების ჩადენა...

ორსაათიანი ომის შემდეგ, როდესაც წინააღმდეგობის გაწევის თავი აღარ მქონდა, ჩემმა მოძალადე საქმრომ საწადელს მიაღწია. შემდეგ ძმაკაცებს ახარა, საქმე გაკეთებულია, გადავრჩითო. გარანტია მიიღეს, რომ ცოლობას დავთანხმდებოდი, მათ კი გატაცების ბრალდებით არ დაიჭერდნენ.

მეზიზღებოდა ჩემი ქმარი, მის შეხებაზეც კი ისტერიკაში ვვარდებოდი. დიდხანს ვერ ვივიწყებდი მის სიტყვებს, ძმაკაცებს რომ ახარა, გადავრჩით, გავინაღდეო... მერე, როგორც იქნა, შევეგუე ბედს. გადავწყვიტე, უმაღლესში ჩამებარებინა. წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩემი გავიტანე და უცხო ენების ინსტიტუტი დავამთავრე. გავაჩინე ორი შვილი. ბავშვები რომ წამოიზარდნენ, ბაღში მივიყვანე, უკვე მუშაობის დაწყებაც შემეძლო, მაგრამ არ მომცა უფლება ქმარმა, რომელსაც მიაჩნდა, რომ ქალის საქმე მხოლოდ „სამზარეულო“ და „საძინებელი“ იყო. ვერაფერს გავხდი, მხოლოდ იმას მივაღწიე, რომ ბავშვებს შინ, კერძოდ ვასწავლიდი ინგლისურს. დრო გადიოდა და ჩემი ქმარი უფრო და უფრო საშინელი ხდებოდა. გრძნობდა, რომ არ მიყვარდა, მხოლოდ შვილები მაკავშირებდა მასთან და სასმელს მიეძალა. გალეშილი ფერებას რომ დამინყებდა, გული მერეოდა... ერთ დღეს მთვრალმა ყველაფერი დალეწა და მოსწავლეები სახლიდან გამიყარა. ამის ატანა აღარ შემეძლო, დავავლე ბავშვებს ხელი და თბილისში გადმოვბარგდი. აქაც მომძებნა... როცა მიხვდა, რომ მასთან დამბრუნებელი არ ვიყავი, შემეშვა. თუმცა ბავშვებს დღემდე აქეზებს, დედათქვენს მე კი არა, თქვენც არ უყვარხართო...

მოკლედ, თბილისში კარგ სამსახურში მოვეწყე, ერთ ორგანიზაციას ინგლისური ენის სპეციალისტი სჭირდებოდა — თანამშრომლებისთვის ტრენინგები უნდა ჩამეტარებინა. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ ერთმა ახალგაზრდა კაცმა მთხოვა, მისთვის ცალკე ჩამეტარებინა დამატებითი გაკვეთილები, ცხადია, დამატებითი ანაზღაურებით. გამიხარდა, ჩემს შვილებს ხომ უამრავი რამ სჭირდებოდათ... ახალგაზრდა კაცი მონდომებული და ნიჭიერი აღმოჩნდა, მაგრამ ცოტა ხანში ვიგრძენი, რომ გაკვეთილის ახსნისას არ მისმენდა, გიჟივით მომშტერებოდა და თვალს არ მაცილებდა. ვხვდებოდი, მოსწავლე კი არა, კაცი მიყურებდა... რაღაც დამემართა, სხვანაირი იყო ის მზერა... ქალმა, რომელსაც სიყვარული არასოდეს გამოეცადა, პირველად ვიგრძენი ქალობა, პირველად მომინდა სხვანაირად ჩამეხედა სარკეში... ჩვენს შორის რომანი გაიბა, ის 15 წლით უმცროსია ჩემზე, თუმცა საოცრად გონიერი, ინტელექტუალური და შესანიშნავი ადამიანია. ძალიან მამკაცური, დინჯი, მშვიდი. მოკლედ, ყველა ღირსება აქვს, რომლითაც შეიძლება ქალი მოიხიბლოს. ერთ დღეს მოულოდნელად გამომიცხადა, დავქორწინდეთო. ისე დავიბენი, ენას ვერ ვატრიალებდი საპასუხოდ. წარმოვიდგინე, რა ბედნიერება იქნებოდა საყვარელი კაცის ცოლობა... მერე, თითქოს ვიღაცამ მიწას დამანარცხაო, საშინლად ვიგრძენი თავი, მივხვდი, რა მოჰყვებოდა ამას საზოგადოებაში, რომელსაც მიაჩნია, რომ ჯერ მისი აზრია აზრი და მერე შენი, ან საერთოდ არ აინტერესებს, შენ რას ფიქრობ. ავუხსენი, რომ ეს სისულელე იქნებოდა, ჩვენი ლამაზი სიყვარული დაგვენგრეოდა და დასამარდებოდა. გაგიჟდა, ყვიროდა, მე მინდა ბედნიერი ვიყო, არ ვმალავდე, რომ მიყვარხარ, შენ ხარ ყველაზე ძვირფასი ქალი ჩემს ცხოვრებაშიო. გამებუტა... ძალიან გაგვიჭირდა უერთმანეთოდ და მალე შევრიგდით. იმ ღამეს ისეთი ბედნიერები ვიყავით... საბედისწერო აღმოჩნდა ის ღამე — დავფეხმძიმდი. როცა გიორგიმ გაიგო, ბავშვს ველოდებოდი, სიხარულისგან გაგიჟდა. მეფერებოდა, ბავშვივით ხტოდა, ყვიროდა, გულზე ხელებს იბაგუნებდა, მამა გავხდები და ეს ყველამ უნდა გაიგოს, ახლა ხომ დარწმუნდი, რომ მუდმივად ერთად უნდა ვიყოთო. ისევ ავაგდე ქვა და შევუშვირე თავი. ის კი არა, იმ აზრმაც გამიელვა, აბორტი გამეკეთებინა. მაგრამ როცა ექოსკოპიაზე ნაყოფის გულისცემა მომასმენინა, გადავიფიქრე ბოროტების ჩადენა.

გიორგიმ პირველად თავის დას ახარა, ეგონა და, რომელსაც ძალიან უყვარდა, გაუგებდა. ისტერიკა დამართნია, 15 წლით უფროსთან საქმე როგორ დაიჭირე, ვინ არის ეგ ბოზი, რით მოგაჯადოვა ასეო... გაგიჟებულა გიორგი, ანერვიულებულს დისთვის ხელიც გაურტყამს. ამას უარესი ისტერიკა მოჰყოლია მშობლების მხრიდან. გიორგი სახლიდან წამოვიდა... მეც იძულებული გავხდი, ჩემებისთვის ყველაფერი მეამბნა. ყველამ გამლანძღა, ზურგი მაქციეს, — უტვინო ქალო, შენ რა გასაჩენი იყავი, — მომაძახა დედაჩემმა. დებმა, — შენი ცხოვრება აიწეწე და ახლოს ნუ გაგვეკარები, შენი რეპუტაციით ჩვენი ქმრები წუხდებიან, ჩვენც ნუ დაგვინგრევ ოჯახებსო. მოკლედ, ყველამ ხელი მკრა. ამის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ

«ორსაათიანი ომის შემდეგ, როდესაც წინააღმდეგობის გაწევის თავი აღარ მქონდა, ჩემმა მოძალადე საქმრომ საწადელს მიაღწია. შემდეგ ძმაკაცებს ახარა, საქმე გაკეთებულია, გადავრჩით, გავინაღდეო... გარანტია მიიღეს, რომ ცოლობას დავთანხმდებოდი, მათ კი გატაცების ბრალდებით არ დაიჭერდნენ. იმ დროს „წესი იყო“ თუ ქალწულობის დაკარგვამდე ვერ მოგისწრებდნენ მშობლები, სხვა გზა არ გქონდა, უნდა დარჩენილიყავი...

იქნებ მითხრათ, ვის აქვს უფლება, სხვისი ბედი გადაწყვიტოს. ან ვინ ადგენს ამ უცნაურ კანონებს?

არც მე მჭირდება არავინ, რადგან საკუთარი ბედნიერების მჭედელი თვითონ არის ადამიანი. შვილებმაც ზურგი მაქციეს, მამასთან გაიქცნენ. იმასაც მეტი რა უნდოდა, ნიშნის მოგებით განაცხადა, ხომ ვამბობდი, ბოზი იყო, საერთოდაც ძალით შემომეტენაო... გიორგი სახლიდან წამოვიდა. ახლა ერთად ვცხოვრობთ, მაგრამ ვატყობ, უჭირს ოჯახის წევრებისგან ღალატის გადატანა. დედა უზომოდ უყვარს, დაც და განიცდის, რომ მათთან ურთიერთობა აღარ აქვს. ღამით ვერ იძინებს, წამოჯდება ხოლმე საწოლში, მუცელზე მეფერება, მერე თავს დაადებს და როდის როდის ჩათვლემს...

თქვენთან იმიტომ მოვედი, რომ იქნებ მითხრას ხალხმა, ვის აქვს უფლება, ადამიანების ბედი გადაწყვიტოს, სხვისი ცხოვრება განაგოს და უთხრას, ეს უნდა შეგიყვარდეს, ეს — არაო. ან რატომ არის დანაშაული 15 წლით უმცროსი ბიჭის შეყვარება მაშინ, როცა 15 წლით უფროს კაცთან პატარა გოგოს რომანი ჩვეულებრივი ამბავია?! ვინ ადგენს ამ უცნაურ კანონებს? ყველა თავისი ცხოვრებით რატომ არ ცხოვრობს?

სოფო გამრეკელი

www.kvirispalitra.ge

თქვენ რას ფიქრობთ ამაზე? გთხოვთ კომენტარი დატოვოთ ჩვენს საიტზე ან მოგვწეროთ რედაქციაში

ამბავი ნარი

მგლების ხროვამ 10 წლის ბიჭი ნაფლეთებად აქცია

რუსეთში, კრასნოიარსკის მხარეში, სოფელ ესეიში მგლების ხროვა 10 წლის ბიჭს თავს დაესხა.

დედამ შვილის ძებნა მას შემდეგ დაიწყო, რაც ბიჭუნამ ძმა სოფლის ბოლოში გააცილა და იმის მიუხედავად, რომ მოსაღამოვდა, შინ არ დაბრუნდა. მთელი სოფელი დაირაზმა დაკარგულის მოსაძებნად, თუმცა ამაოდ. მოგვიანებით გამწარებულმა დედამ ესეის ტბასთან შვილის დაგლეჯილ სხეულს მიაგნო. ბავშვი მხეცებს ნაფლეთებად ექციათ. სამწუხაროდ, ბიჭუნას გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა.

კრასნოიარსკის მხარის მილიცია ტრაგედიის ადგილზე ვერტმფრენით ჩაფრინდა და მოკვლევის შემდგომ სოფლის გარშემო მოხეტიალე ცხოველების, მათ შორის, გატყიურებული ძაღლების ლიკვიდაცია გადაწყდა.

მზვერავი გეპარდები

აფრიკაში, სახელგანთქმულ მასაი-მარას ნაკრძალში, გეპარდები ტურისტების ხშირი სტუმრები გახდნენ.

ორიოდე წლის გეპარდი ისე გათავხედდა, რომ ტურისტებით სავსე ავტობუსის სახურავზე ახტა და მშვიდად გაწვა. მტაცებლის დანახვაზე შეშინებულმა ტურისტებმა მანქანიდან გადახტომა დააპირეს, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ გეპარდი თავდასხმას სულაც არ აპირებდა, ყველაზე ცნობისმოყვარეები კი ავტობუსიდან ამოძვრნენ და ცხოველს სურათების გადაღება დაუწყეს.

ყველაზე სწრაფი მტაცებლები მანქანებს სათვალთვალო კოშკურად იყენებენ, რათა მომავალი მსხვერპლის გადაადგილებას თვალი ადევნონ

მას შემდეგ, რაც ასეთი შემთხვევები გახშირდა, გიდები ტურისტებს აფრთხილებენ, რომ საშიში არაფერია და ვისაც სურს, შეუძლია დაუპატიჟებელ სტუმარს სურათიც კი გადაუღოს.

სპეციალისტების აზრით, ხმელეთის ყველაზე სწრაფი მტაცებლები ტურისტების მანქანებს იმიტომ კი არ ახტებიან, რომ ადამიანებთან ახლოს ყოფნა სურთ, უბრალოდ ისინი ავტომობილებს სათვალთვალო კოშკურად იყენებენ, რათა მომავალი მსხვერპლის ან მოსისხლე ლომების გადაადგილებას თვალი ადევნონ.



„ბრიტანულ ცენტრში“ ნუკი კოშკელიშვილი სიამოვნებით სწავლობს ინგლისურს!

რაც დრო გადის, ინგლისური ენის სრულყოფილად შესწავლაზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება. ზოგი ცდილობს არსებული ცოდნა გაიღრმაოს, ზოგიც უფრო მაღალი დონის მისაღწევად ისწრაფვის, ზოგიც სწავლას ანბანიდან იწყებს. თუმცა, განსხვავებული მოთხოვნების მიუხედავად, ყველა ერთხმად თანხმდება იმაზე, რომ ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი რამდენიმე აუცილებელ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს — უნდა იყოს ეფექტური, მოქნილი და სწრაფი. სწორედ ამ კრიტერიუმებით შეარჩია ნუკი კოშკელიშვილმა ბრიტანული ცენტრი, სადაც ის ინგლისურ ენას ქალანის მეთოდით ეუფლება.

ნუკი კოშკელიშვილი: „ინგლისურ ენას გარკვეულ დონეზე ვფლობ. მეტიც, უნივერსიტეტი ინგლისურად მაქვს დამთავრებული, მაგრამ როგორც საკუთარ თავში ზედმეტად დარწმუნებული ბევრი ადამიანი, ვისაც ჰგონია, რომ უცხო ენა კარგად იცის და ერთ დღეს აღმოაჩენს, რომ უცხოელთან კომუნიკაციის პრობლემა აქვს, მეც ასე დამემართა. მოხდა ისე, რომ დედაჩემის უცხოელი მეგობარი იყო ჩამოსული. მასთან ურთიერთობისას მივხვდი, რომ ინგლისურად თავისუფლად საუბარი მიჭირდა. ენამ დავიწყება იცის თუ სისტემატურად საკუთარ თავზე არ მუშაობ, ან კომუნიკაცია არ გაქვს უცხოელებთან. ვეძებდი საჭირო სიტყვებს, გამონათქვამებს. აქვე მინდა ვთქვა, რომ ზოგადად ძალიან კარგი იქნება თუ საქართველოში დამკვიდრდება კულტურა, ან გნებათ მოთხოვნა და სურვილი იმისა, რომ ადამიანი მუდმივად განვითარების, ახალი უნარებისა და ცოდნის შეძენისკენ ისწრაფვოდეს. მხოლოდ პროფესიულ განვითარებას ან უცხო ენის შესწავლას არ ვგულისხმობ. ეს შეიძლება იყოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა, ფიზიკური ვარჯიში ან სხვა რამ. უცხოეთში ადამიანის მრავალმხრივ განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობა, ჩვენთან კი სამწუხაროდ ეს მეორეხარისხოვანია. ვისწავლით რაღაცას სკოლაში, შემდეგ ინსტიტუტში და თითქოს მხოლოდ რაღაც დიპლომებისთვის და სერტიფიკატებისთვის ვცხოვრობთ, რაც არასწორია. ისიც გასაგებია, რომ თანამედროვე, დაკავებულ ადამიანს ცოტა თავისუფალი დრო აქვს და დამატებით კიდევ საშინაო დავალების შესრულება მისთვის დიდი ტვირთია. მეც სწორედ ამ დღეში ვიყავი და დიდი ხნის განმავლობაში ვეძებდი ისეთ სასწავლო ცენტრს, რომელიც მომცემდა შესაძლებლობას არ ავცდენილიყავი ჩემს სამუშაო განრიგს და თან ენის ცოდნასაც შემძენდა. ბრიტანული ცენტრი სწორედ ის აღმოჩნდა, რასაც ვეძებდი, ხოლო ქალანის მეთოდი ის, რაც მე მჭირდებოდა.**

მეცადინეობა ჯგუფურია, ცენტრში მისვლისას გადიხარ გასაუბრებას, რათა შესაბამისი დონის მიხედვით მოხდეს შენი გადანაწილება ამა თუ იმ ჯგუფში. აქვე გაკვეთილზე საუბრობ, აზროვნებ ინგლისურად და სწრაფად ხდება დავიწყებული ცოდნის აღდგენა და ამავე დროს ახალი მარაგის შეძენა. ძალიან მარტივად იმახსოვრებ ამ ყველაფერს და სწორედ ამაშია ამ მეთოდის უნიკალურობა. რაც ძალიან მნიშვნელოვანი და კომფორტულია, არ გაქვს საშინაო დავალება. ყველაფერს აქ, სასწავლო ცენტრში სწავლობ.

გარდა ამისა, აქ არაჩვეულებრივი გარემოა, შეგიძლია ერთმანეთს სასარგებლო და სასიამოვნო შეუთავსო. ჩემთვის ყველაზე მოსახერხებელი იყო ბრიტანული ცენტრის იმ ფილიალში მევლო ინგლისური ენის შესასწავლად, რომელიც აქვე, ტელეკომპანია „იმედის“ მახლობლად, წმინდა ნიკოლოზის სახელობის სკოლის შენობაში მდებარეობს. აქ კი მეცადინეობის შემდეგ შეგიძლია დაღლილობა აუზში ცურვით მოიხსნა. თუმცა, ბრიტანულ ცენტრს ქალაქის მასშტაბით ყველა ცენტრალურ უბანში აქვს ფილიალი, შესაბამისად, ყველას შეუძლია შეარჩიოს მისთვის მოსახერხებელი ადგილი.

— დატვირთული სამუშაო გრაფიკი გაქვს, როგორ ახერხებ დრო სწავლისთვისაც გამონახო?

— აქ გაკვეთილები ტარდება 9-საათიდან საღამოს 9-საათამდე. ასეთი განრიგი ძალიან მოსახერხებელია დაკავებული ადამიანისთვის. შეგიძლია მეცადინეობის დრო შენს სამუშაო გრაფიკს მოარგო. 21-ე საუკუნეში ინგლისური ყველაზე საჭირო და აუცილებელი ენაა, ხოლო გარემო და შესაძლებლობები, რომელსაც ეს ცენტრი გვაძლევს ყველაზე ხელსაყრელი და საუკეთესო, სწორედ 21-ე საუკუნის ცენტრია.

მინდა ერთი ამბავიც გითხრათ, რამაც ამ ცენტრში მოსვლისკენ მიბიძგა. ბრიტანული ცენტრის არსებობის შესახებ პირველად მაშინ გავიგე, როცა გადაცემა „ყოფილი ცოლების კლუბი“ მიმყავდა. ჩვენი გადაცემის ერთ-ერთმა გმირმა მაშინ სურვილი გამოთქვა, რომ ინგლისური ენა ესწავლა და სწორედ ამ ცენტრმა მისცა ამის შესაძლებლობა. ყველა გაოცებული დავრჩით ისე სწრაფად ალაპარაკდა ეს ახალგაზრდა ქალი ინგლისურად, ფაქტობრივად რამდენიმე თვეში. როცა გადავწყვიტე ენის ცოდნა აღმედგინა და გამეღრმავებინა, მაშინვე ეს ცენტრი გამახსენდა. გადავწყვიტე უფრო ახლოს გამეცნო მათი პირობები და ქალანის მეთოდის თავისებურებანი. აღმოჩნდა, რომ ამ მეთოდით ადამიანი ოთხჯერ უფრო სწრაფად და ეფექტურად სწავლობს ენას. ჩვენს დროში კი ყოველი წამი მნიშვნელოვანია, რადგან დრო არ იცდის. ამიტომ, აქ ჩემთვის ყველაზე მისაღები პირობები აღმოვაჩინე“.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანული ცენტრი ქალანის მეთოდის ორგანიზაციის (ცმო) მიერ პირველი აკრედიტირებული სკოლაა საქართველოში, რაც მისი ოფიციალური აღიარების დოკუმენტია. ქალანის მეთოდით სწავლებისას, მსმენელს უყალიბდება ინგლისურ ენაზე აზროვნების და გამართულად მეტყველების უნარი. გარდა ამისა, თავად სწავლის პროცესი დინამიკური და სასიამოვნოა. ინგლისური ენის შესწავლის ეს უნიკალური მეთოდი უკვე რამდენიმე ათეული წელია რაც არსებობს და პოპულარულია მთელ მსოფლიოში და არნახული პოპულარობით სარგებლობს ყველა ასაკის ადამიანში. ქალანის მეთოდით სწავლებისას, მსმენელი მაქსიმალურად არის ჩართული სწავლების პროცესში. გაკვეთილზე მთელი ყურადღება გადატანილია მსმენელზე. იქმნება სპეციალური გარემო იმისათვის, რომ მსმენელმა რაც შეიძლება მეტი ილაპარაკოს ინგლისურად. ამისათვის მასწავლებელი სვამს კითხვათა სერიას, რითაც ხდება მსმენელის მეხსიერების სტიმულირება. ქალანის მეთოდი ნაბიჯ-ნაბიჯ უზრუნველყოფს მსმენელის გრამატიკული და ლექსიკური ცოდნის ამაღლებას.

ნუკისთან საუბრის შემდეგ „ბრიტანულ ცენტრს“ ვესტუმრეთ და მიმდინარე სიახლეებზე ბრიტანული ცენტრის დირექტორს პიარის დარგში, **დაკო ლომიძეს** გავესაუბრეთ.

— უკვე 10 წელია, რაც „ბრიტანულ ცენტრში“ ინგლისურ ენას ქალანის მეთოდით ასწავლიან მსმენელებს. კიდევ რა სიახლეები დანერგა „ბრიტანულმა ცენტრმა“?

— ეს საკმაოდ პოპულარული და უნიკალური მეთოდია. მოგეხსენებათ, რომ ბრიტანულმა ცენტრმა მიიღო აკრედიტაცია ლონდონის ქალანის ორგანიზაციის მიერ. 2012 წელს ქალანის ორგანიზაციამ გამოსცა განახლებული სახელმძღვანელოები, რომელიც აღჭურივილია თანამედროვე ლექსიკით და კიდევ უფრო საფუძვლიანი ცოდნის მიღების შესაძლებლობას იძლება.

— როგორც ვიცი, ახალი საბავშვო პროგრამა გაქვთ, კემბრიჯის ახალი მეთოდი...

— ამჯერად, ბავშვებს ეძლევათ უნიკალური შანსი, შეისწავლონ ინგლისური ენა კემბრიჯის უნივერსიტეტის უახლესი მეთოდით, რომელსაც Cambridge Super Minds ეწოდება. გარდა ინგლისურისა, ეს მეთოდი ავითარებს ბავშვის ანალიტიკური აზროვნების უნარს, კრეატიულობას და სოციალურ ღირებულებებს. სწავლის პროცესში გამოიყენება უახლესი ტექნოლოგიები, მაგალითად სმარტდაფები.

— სასიამოვნო სიახლე გაქვთ ასევე მათთვის, ვინც ინგლისურ ენაში ცოდნის მაღალ დონეს ფლობს, მაგრამ კიდევ უფრო მეტი სურს...

— ცოდნის მაღალი დონის მქონე სტუდენტებს, ანუ Advanced-დონის მსმენელებს, ვთავაზობთ სტივენ ქოლინსის სწავლების კურსს — Everyday English. ეს არის მეთოდი, რომელიც მისცემს საშუალებას მსმენელს გაიღრმავოს ცოდნა პროფესიონალურ დონემდე. ამ მეთოდის საშუალებით, ინგლისურ ენაში მაღალ დონეზე დახვეწთ სმენით უნარს, დაეუფლებით კიდევ უფრო რაფინირებულ აზროვნებასა და საუბარს დაბრკოლებების გარეშე. ამ უნიკალური მეთოდით მსმენელი მიიღებს უზარმაზარ ლექსიკურ მარაგს და ამ მარაგის დიალოგებში გამოყენების საშუალებას. ამ მეთოდით შესაძლებელია ინგლისური ენის ცოდნა უმაღლეს დონემდე იქნას აყვანილი. მისი დაუფლება შესაძლებელია მშობლიური ენის დონეზე!

R

თბილისი, რუსთაველის 36; ტელ.: 2989999; 2933878
აღმაშენებლის 189, ტელ: 294-11-11; 295-22-22
ფალიაშვილის 60, ტელ: 222-19-15
პეკინის 7/9, ტელ: 233-25-57; 251-41-43
ლუბლიანას 21, ტელ.: 247-71-17
ბათუმი, იმნაძეს 2, ტელ.: 7-31-22
ქუთაისი, ტაბიძის 1, ტელ.: 24-30-17
რუსთავი, ტაშკენტის 5; ტელ.: 28-70-40
ზუგდიდი, აღმაშენებლის 18; ტელ.: 25-25-99

www.britishcentre.ge

„12 წლის ბიჭმა ათასი ხიფათი გაამოვიარე“

ოთახში მზის სხივი შემოდის და ხასხასა მცენარეებს ანათებს. ყველაფერს თითქოს მწვანე შუქი ედება... ხომ ამბობენ, მცენარეები იქ გრძნობენ თავს კარგად, სადაც კარგი აურააო... ჰოდა, იმედა კახიანის ოჯახში ნამდვილად ძალიან კარგი აურა ყოფილა.. მცენარეები მისი მეუღლის გატაცებაა. ისეთი სახელი მქვია — ფლორა, ბუნებრივიც არის, მცენარეები რომ მიყვარსო, — მეუბნება ღიმილით მშვენიერი დიასახლისი.

გუმანით ვხვდები — ამ კარგი გარემოს შექმნაში ლომის წილი აქვს საქართველოს სახალხო არტისტს იმედა კახიანს... მისი ცხოვრება არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი, ტაქტი და კეთილგანწყობა ტკივილის გადატანის ძალასაც აძლევს და დაფარვის უნარსაც.

„თეატრალურიდან ოთხჯერ გამრიცხეს. მგონი, ახლაც სტუდენტი ვარ“

ჩემი დილა

1937 წელს დავიბადე. მართალია, პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს ყველაფერი. მამაჩემი — ლადო კახიანი, 30-იან წლებში რეპრესირებული იყო. ციმბირიდან რომ დაბრუნდა, ქალაქის ტიპის დასახლებაში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა, ამიტომ ვცხოვრობდით სოფლად, სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში. აზნაურები იყვნენ კახიანები, გვედგა კარგი ხის ოდა. დედა, კულაშელი თავადის, გიორგი მიქელაძის შთამომავალი, ეკატერინე მიქელაძე, მასწავლებელი იყო. მამას, როგორც არასაიმედოს, სამსახურს არ აძლევდნენ და, ძირითადად უმუშევარი გახლდათ. ოჯახში სამი შვილი ვიყავით. მყავდა ორი ძმა...

გადასახლებიდან დაბრუნებულ მამას პირველი ვაჟი მე გავუჩნდი და თავისი იმედი დამარქვა — დმრჩა ქართული სახელი იმედა.

10 წლისა გაუთხოვარმა მამიდამ წამომიყვანა თბილისში, იმ სახლში, სადაც მამა გადასახლებამდე ცხოვრობდა. იქვე ვაჟთა მე-19 სკოლაში ვსწავლობდი. 12 წლისას მამიდა გარდამეცვალა. ჩემს მშობლებს ქალაქში ცხოვრების უფლება არ ჰქონდათ, მე რომ სოფელში წავსულიყავი, ბინას მთავრობა წაგვართმევდა. დამტოვეს თბილისში. ძველთბილისური ეზოში ვცხოვრობდი. მუდამ ვგრძნობდი უფლის მფარველობას, თორემ 12 წლის ბიჭს, რომელიც მარტო დავრჩი და ათასი ხიფათი გამოვიარე, რა გადამარჩენდა?!

მამიდა რომ აღარ მყავდა, მიჭირდა დილით ადრე გაღვიძება, ამიტომ სკოლაში მაგვიანდებოდა... ადგნენ და გამრიცხეს. იქვე იყო ვაჟთა მეოცე სკოლა, სადაც არც ფორმა ეცვა ვინმეს, არც იმას გეკითხებოდნენ, აგვიანებდი თუ არა... ის სკოლა დავამთავრე. 12 წლიდან ვწეოდი სიგარეტს... ვინ დამიშლიდა? მითამაშია ფულზეც. თამაში ახლაც მიყვარს, მაგრამ ზომიერად.

„12 წლიდან ვწეოდი სიგარეტს... ვინ დამიშლიდა? მითამაშია ფულზეც. თამაში ახლაც მიყვარს, მაგრამ ზომიერად“

დედას ძალიან უნდოდა, ექიმი გავმხდარიყავი. ქულა დამაკლდა... მეგობარმა, ნოდარ ფირანიშვილმა მირჩია, თეატრალურში ჩააბარეო. ის უკვე იქ სწავლობდა. ნოდარი, ვიდრე ჩააბარებდა, დრამწრეზე დადიოდა, მე კი ლექსიც არ წამიკითხავს გამოთქმით... საბუთების მიღების ბოლო დღე იყო, მეორე დღეს ტური იყო დანიშნული. სამი ტური ტარდებოდა, — ლექსი, იგავი, პროზა უნდა წაგეკითხა... მერე გამოცდები იწყებოდა. მოვბრუნდით შინ და დავიწყეთ მომზადება. მოვძებნეთ მეხუთე კლასის ლიტერატურის წიგნი, რომელშიც ყველაზე პატარა ლექსი იყო „არწივი“ და თანაც ზეპირად ვიცოდი, ამიტომაც ეს ავირჩიეთ, კრილოვის ერთი იგავ-არაკი და ვაჟას „ამოდის, ნათდება“ მომამზადებინა ნოდარმა — რაც შეიძლება ვაჟკაცურად, ხმამაღლა წაიკითხეო.

მეორე დღეს შევედი აუდიტორიაში. პროჟექტორები მანათებს, სიღრმეში გრძელ მაგიდას უსხედან გამომცდელები... დაიწყეო. როგორც მასწავლა ნოდარმა, ისე დავჭექე! არავინ არაფერს მეუბნება... შუაში იჯდა მელოტი კაცი, თურმე დიმიტრი ალექსიძე, რომელსაც აჰყავს ჯგუფი. რა წაიკითხე, თუ გესმისო. როგორ არა-მეთქი. მერე არ შეგეცოდა არწივი? დავფიქრდი, — მეცოდებოდა ნამდვილად. თუ გეცოდება, რას ყვირი გაბრწყინებულიო... კარგი, ახლა უყვირლად წაიკითხეო. დავიწყე იგავი... დამავიწყდა. თავიდან დაიწყეო... დავიწყე, ისევ დამავიწყდა... გადადი პროზაზეო. ახლა პროზას როგორ მოვყვებოდი, წუხანდელ ნასწავლს... გამომიშვეს. ნოდარს ჯუთხარი, დამანებე თავი, არ არის ჩემი საქმე მსახიობობა-მეთქი. მეორე დღეს გამოვედით ბირჟაზე. ვდგავართ, ზოგი დამცინის, ზოგი მეხუმრება... ნოდარმა — წამოდი, რუსთაველზე გავიაროთო. ჩავიარეთ თეატრალურ ინსტიტუტთან. სიაა გამოკრული. სიაში ვარ. კარგად რომ მოგამზადე ტურისთვის, გახვედიო, — ნოდარმა... ამ დროს მოვიდა მიმღები კომისიის მდივანი — გინდა ამ ინსტიტუტში სწავლაო? ვგიჟდები, ისე მინდა-მეთქი. თუ გიჟდები, რატომ არაფერი მოამზადეო.



„ისე აღარ ვარ, 25 წლისა რომ ვიყავი, მაგრამ ჭკუის მომატებასაც ვერ ვგრძნობ მაინცდამაინც?“



გადაწყვიტეს, ტურებიდან მოგხსნან, თუ სწავლა გინდა, იარე ინსტიტუტში, მოგამზადებს პედაგოგი და მერე გახვალ გამოცდებზე. ოღონდ ეს არავინ გაიგოსო. ყოველ დილით ყოვლად უანგაროდ მამეცადინებდა რეჟისორი ასიკო გამსახურდია. გავედი გამოცდებზე და ჩავირიცხე...

ჩემი შუადღე

თეატრალურიდან ოთხჯერ გამრიცხეს. მე მგონი, ახლაც თეატრალურის სტუდენტი ვარ. პირველ კურსს ვამთავრებიდით. „საბუდარელ ჭაბუკს“ იღებდნენ. მოვიდა თეატრალურ ინსტიტუტში კაცი. მთავარ როლში ბიჭი დამტკიცებული გვყავს, მაგრამ მისი მეგობრებისთვის გვჭირდება რამდენიმე პირველკურსელიო. გრიმი დამადეს და ეპიზოდის თამაში მთხოვეს. დამიბარეს მეორე დღეს. ასე გაგრძელდა კარგა ხანს. გადაღებაზე რომ მივიდოდი, იქ მხვდებოდა მაღალი, შავგვრემანი კაცი, ვინ იყო, არ ვიცოდი. ერთ დღეს მითხრა: შენი საქმე გადავწყვიტე, დაგამტკიცეთ მთავარ როლზე, მაღარიჩი უნდა იკისროო... ვისესხე ფული და იმ საღამოს მოვიწვიე ის კაცი და მისი მეგობრები რესტორანში. თურმე რეჟისორის, შოთა მანაგაძის მძღოლია, შოთა ლაფერაძე, ყური მოუკრავს, კახიანი დავამტკიცეთო... თებრონეს როლზე ბელა მირიანაშვილი აიყვანეს. დაიწყო გადაღება და... ორივე გაგვრიცხეს ინსტიტუტიდან... დამთავრდა გადაღება. დავდეთ პირობა — კინოში არასოდეს ვითამაშებთო. აღგვადგინეს. მერე ისევ მიმიწვიეს ფილმში — „პაპა გიგია“ იყო, თუ „მწვანე ოქრო“. ისევ გამრიცხეს. დამთავრდა გადაღება — აღმადგინეს. ასე განმეორდა ოთხჯერ...

ხუთი წელი ვიყავით შეყვარებულები მე და ფლორა. მამამისი პოლკოვნიკი იყო. სულ პლეხანოვზე მხედავდა... მერე გაიგო, არტისტიაო... მერე, — ინსტიტუტი არ დაამთავრაო... რად უნდოდა ამნაირი სასიძო. ბოლოს, უთხრა ქალიშვილს, კარგი, გაჰყევი, ხელობა არ აქვს, მაგრამ ხან ექიმი იქნება, ხან ინჟინერი და იცხოვრებთ ასეო...

„თეთრ ქარავანს“ ვიღებდით ყაზბეგში. მითხრეს, ცოლად მოიყვანე შენი შეყვარებული, რამდენ ხანს უნდა იყოთ ცალ-ცალკეო. წამომყვა თამაზ მელიავა, გიზო გაბესკირია, აქ დამხვდა ნოდარ დუმბაძე... ჯვარი სიონში დავიწერეთ.

არასოდეს შევხვედრივარ სპარტაკ ბაღაშვილის მსგავს განათლებულ, ბრძენ და პროფესიონალ კაცს... სამი წელი ვიღებდით „თეთრ ქარავანს“. ცხვარი 6-ის ნახევარზე გამოჰყავთ, ამიტომ 4 საათზე ვდგებოდით და მივდიოდით გადაღებაზე. არ მახსოვს, რომ გამოვიდოდი, ავტობუსში სპარტაკ ბაღაშვილი არ დაგჭვედროდა. მუშაობაც იცოდა და ლხინიც. ფილმი რომ ნახა, უკმაყოფილო დარჩა, — ჩემს გმირს ხომ წასვლა უნდა, ცხვრის მიტოვება... ნაწყენი დარჩა — ასეთი შვილის მამა თუ უნდა ყოფილიყავი, სულ არ მინდოდა გადაღებაო.

პირველი შვილი რომ გამიჩნდა, ძალიან გავიხარე... თუმცა ახალგაზრდა კი ვერ ხვდები, რა არის ეს... ამ ამბის აღსანიშნავად წავედით ჯახეთში მე და ჩემი მეგობრები. ერთი კვირის მერე ჩამოვედით. ახლა შვილთაშვილებს ველოდები ნინისგანაც და ანასტასიასგანაც... ძალიან ვნერვიულობ...

პატარა ბინა მქონდა, მაგრამ სიყვარულით ვცხოვრობდით. მერე უბედურება დაგვატყდა თავს — 14 წლის ვაჟი, ლადო გამოგვცალა ხელიდან...

დროდადრო მძიმდება სული... მაგრამ გაჩნდა ერთი, მეორე, მესამე შვილიშვილი... არ შემეძლო, მათთვის ცხოვრება დამემძიმებინა... კაცის ვალია, სხვაზე იფიქრო და მარტო შენს თავზე არა...

ჩემი ცვლილება

დიდი ფული არასოდეს მქონია, თუმცა ოჯახის შენახვა არ გამჭირვებია. ფულის სასესხებლად მოსული კაცი უკან არ გამიბრუნებია. ახლა რომ ვთქვა, რამდენი პრობლემა მაქვს, არავინ დაიჯერებს. ისე აღარ ვარ, 25 წლისა რომ ვიყავი, მაგრამ 50-ის ვიყავი, 60-ის თუ 70-ის, ერთნაირად ვგრძნობდი თავს... რაც უნდა გაგეცინოთ, ჭკუის მომატებასაც ვერ ვგრძნობ მაინცდამაინც... მაგრამ ანი რაღა დროსია, ანი არ გამოვა ჩემგან არაფერი.

ლელა ჯიყაშვილი

ეკონომიკური პალიტრა

№10 (265) 4–10 მარტი, 2013

BUSINESS, ECONOMICS &...

„კვირის პალიტრის“ ყოველკვირეული ეკონომიკური დამატება

მრავალი მეწარმის ბიზნესი ცეცხლში დაინთქა

ხათუნა ბახტურიძე

200 მოვაჭრე ფულად კომპენსაციას „ქართულ ოცნებას“ სთხოვს. ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, რამ გამოიწვია ხანძარი სავაჭრო ცენტრ „საბაში“. სპეციალურად შექმნილ კომისიას, გაზეთის ამ ნომრის ჩაბარების დროისთვის, ზარალი ბოლომდე დათვლილი არ ჰქონდა, თუმცა ხანძრით დაზარალებულები ხელისუფლებას უკვე სთხოვენ დახმარებას. მომხდართან დაკავშირებით გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სამმართველოში სავაჭრო ცენტრის მფლობელი პაატა კაჭარავა დაკითხეს. მისი თქმით, ხანძარი მოკლე ჩართვით ან რამე გაუთვალისწინებელი შემთხვევით არ მომხდარა და საჯარაულოდ, ვიღაცამ დიეერსია მიზანმიმართულად მოაწყო.

სავაჭრო ცენტრში 6 ათას კვ.მ-ზე მეტი ფართობი დაიწვა. ცენტრის მფლობელი დაზარალებულ მოვაჭრეებს ალტერნატიულ ფართებს სთავაზობს. ვითარებაში უკეთ გასარკვევად „საბას“ დირექტორ გელა კვინიკაძეს დავუკავშირდით. ის შეგვპირდა, რომ ადგილზე მისულთ ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიებაში დაგვეხმარებოდა. თუმცა სავაჭრო ცენტრში ბატონი გელა არ დაგვხვედრია, ხოლო როცა კვლავ დავურეკეთ, გვითხრა, რომ ჩვენთვის არ ეცალა. სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაციის შენობასთან შეკრებილ მოვაჭრეებს კი ერთმანეთთან მუშტი-კრივი ჰქონდათ

23

გამართული.

გაზის ტარიფი 5 თეთრით შემცირდა

ბუნებრივი აირის ტარიფი 5 თეთრით შემცირდა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა კახი კალაძემ მთავრობის სხდომის შემდეგ განუცხადა. 10%-ით შემცირებული გაზის ტარიფი საქართველოს მოსახლეობისთვის დაუყოვნებლივ ამოქმედდა. ენერგეტიკის მინისტრის ინფორმაციით, ტარიფი შემცირდა ნავთობისა და გაზის კორპორაციის ამონაგების ხარჯზე, რომელიც სადისტრიბუციო კომპანიას ბუნებრივ აირს 5 თეთრით ნაკლებ ფასად მიაწვდის. 2007 წლიდან 1 კუბ/მ-ის ტარიფი თბილისში 50,62 თეთრია, ხოლო რეგიონებში ეს თანხა 1-2 თეთრით მეტი ან ნაკლებია.

ქონების წართმევის „მკვდარი საქმეები“ ცოცხლდება

ათასობით დაზარალებულს იურიდიულ ლაბირინთში შესვლა აღარ მოუწევს

ემა ტუხიაშვილი

ეშველება თუ არა იმ ათასობით ადამიანს, ვინც ახალი ხელისუფლებისგან წართმეული ქონების დაბრუნებასა და შელახული ღირსების აღდგენას ელის? იუსტიციის მინისტრის ინიციატივით იქმნება სახელმწიფო კომისია სასამართლოს განაჩენების გადახედვისთვის. როგორც მეწარმეებს, ისე რიგითი მოქალაქეებს, ვისაც წინა ხელისუფლებამ საპროცესო შეთანხმებებით ქონება და ბიზნესი წაართვა, არაერთი კითხვა უჩნდებათ — შეუხებათ თუ არა მათ ცვლილებები, როგორ უნდა გაუქმდეს განაჩენები და დაუბრუნდეთ მილიონობით ლარი? ვინ და როგორც აანაზღაურებს ზიანს?

ქონებრივად დაზარალებულთა არმია კომისიაზე ამყარებს იმედებს. გაუმართლებთ თუ არა მოლოდინს კომისია — მისი მუშაობის შესახებ ადვოკატ ამირან გიგუაშვილს ვესაუბრებით.

ამირან გიგუაშვილი: „ეს თვისებრივად ახალი მექანიზმია, რომელსაც ხელისუფლება უკვე კანონიერ ძალაში შესული, ასე ვთქვათ, „მკვდარი საქმეების“ გასაცოცხლებლად გვთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გადახედვის გზა არსებობს, ის იმდენად ფორმალური და რთულია, რომ მისი გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. მთავრობა არჩევანის წინაშე იდგა: დაეტოვებინა ყველაფერი უცვლელად (და ხედავთ, რომ ხუთი თვეა პროკურატურაში რიგები არ წყდება), ან წასულიყო რისკზე და ახალი სისტემური მიდგომა შემოეთავაზებინა. მან მეორე ვარიანტი არჩია და ვფიქრობ, სწორადაც მოიქცა.

— რა შემთხვევაში შეძლებს მოქალაქე კომისიისთვის მიმართვას. ხომ არ ჩნდება გადაჭარბებული მოლოდინი, რამაც შესაძლოა შემდგომ მეტი იმედგაცრუება გამოიწვიოს?

— კანონპროექტის ავტორებმა თავიდანვე განმარტეს და ვფიქრობ, კიდევ უფრო ცხადად უნდა აუხსნან არა მხოლოდ იურისტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, არამედ მოსახლეობას, რომ კომისიის კომპეტენცია არ არის ახალი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება ან არსებული განაჩენის შესწორება. კომისია ადგენს ფორმალურ საფუძვლებს ხელახალი სასამართლო განხილვისთვის. ვთქვათ, თუ მიმართავთ კომისიას და კანონის აშკარა და უხეში დარღვევა გამოვლინდება, ამ დასკვნის საფუძველზე სასამართლო საქმის წარმოებას განაახლებს. თუ კომისიის დასკვნაში მითითებული გარემოებები დადასტურდა, დადგინდება ახალი განაჩენი ან შესწორდება არსებული.

მეტი სიცხადისთვის კონკრეტულ მაგალითს მივმართოთ. ჩემმა ერთმა კლიენტმა, როცა მისი ბიზნესპარტნიორი დააკავეს, გადაწყვიტა დიდმოხელეთა შეთავაზებას დაჰყოლოდა და კუთვნილი საფეხბურთო სტადიონი, სამ მილიონ ლარზე მეტი საბაზრო ღირებულებით, სახელმწიფოსთვის ეჩუქებინა, ცხადია, უსასყიდლოდ. ჩუქების ხელშეკრულების დადების დღესვე, სტადიონის მესაკუთრე ორგანიზაციასა და ქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელს შორის, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და დაკავებული ბიზნესპარტნიორი 10 ათასი ლარის ჯარიმის სანაცვლოდ პატიმრობიდან გათავისუფლდა. ცალ-ცალკე ამ ორ ფაქტს, შესაძლოა, არასადავო სამართლებრივი საფუძვლები ჰქონდეს — გვაქვს ფორმალურად დაუკავშირებელი ჩუქების ხელშეკრულება და საპროცესო შეთანხმება.

22

„ერთი მყიდველი ცხრა თხილის გულზე“

რამდენიმე დღის წინ „ეკოპალიტრას“ სამეგრელოდან დაუკავშირდნენ. მარტვილელმა ალექსანდრე დარჯანიამ დახმარებისთვის მოგვმართა: თხილის მოსავალი დაბალი ფასის გამო გაუყიდავი მრჩება და იქნებ გამოარკვიოთ, რატომ არის წლეულს თხილის ფასი ასე დაბალი და ისიც მირჩიოს ვინმემ, როგორ მოვიქცე — დაბალ ფასში გავყიდო თუ ფასის ზრდას დავლოდო. აღმოჩნდა, რომ ის ერთადერთი არ არის, ვისაც თხილის მოსავალი ფასის მომატების მოლოდინში გაუყიდავი დარჩა, დრო კი მოსავლის გაფუჭების რისკს ზრდის.

ალექსანდრე დარჯანია *(მარტვილის მკვიდრი)*: „თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი ვარ და ამიტომაც მოგმართეთ დახმარებისთვის. გვაინტერესებს, რა ხდება წლეულს თხილის მოსავალთან დაკავშირებით. თხილის პლანტაცია მაქვს. როცა ჩაის კულტურა იყო სამეგრელოში, ოჯახები ჩაის გაყიდვით მიღებული შემოსავლით ცხოვრობდნენ. ახლა ჩვენი ძირითადი შემოსავალი თხილია. გასულ წლებთან შედარებით, წლეულს თხილის ფასი კილოგრამზე 2 ლარით ნაკლებია. როცა ციტრუსის ან ყურძნის გაყიდვა ჭირს, ამას ყველა საინფორმაციო საშუალებით აშუქებენ, მთავრობაც მხარში უდგას გლეხებს, თხილის რეალიზაცია კი არავის ადარდებს. თქვენ ხშირად წერდით თხილის მოსავლის და მისი საექსპორტო პოტენციალის შესახებ და იქნებ მოიძიოთ, რატომაა ფასი ასე დაბალი და თუ არის შესაძლებელი, ის გაზაფხულზე გაიზარდოს.

22

მშენებლობა — იძულებითი დაფინანსებით(!)

ყოფილი პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, შესაძლოა, პროკურატურაში რაბათის ციხის მშენებლობასთან დაკავშირებით დაიკითხოს. მერაბიშვილი შს მინისტრობისას მშენებლობას კურირებდა. მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილის თქმით, ბიზნესმენებს აიძულებდნენ, რაბათის ციხის მშენებლობა იძულებით დაეფინანსებინათ. ამ ფაქტზე მთავარმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

იდეებს რა უყვეს დოლჩე და გაბანა

დღეს თითქმის შეუძლებელია, იპოვო ადამიანი, ვისაც არაფერი სმენია ბრენდ Dolche & Gabbana-ს **შესახებ.**

დომენიკო დოლჩე — ტანდაბალი, ზანტი, მწვანეთვალება. დაიბადა 1958 წელს პალერმოს შემოგარენში, არცთუ შეძლებულ ოჯახში. ცოტა არ იყოს, ყურს სჭრიდა მამამისის „წოდება“ — მცირე სამკერვალო ფაბრიკის მმართველი. ოჯახში მკაცრი სიცილიური იერარქია მეფობდა — მამის სიტყვა კანონი იყო. მშობლები დომენიკოს არ ანებივრებდნენ, ახალი სათამაშო და სამოსი იშვიათად ერგებოდა. მხოლოდ კვირაობით, ეკლესიაში შეეძლო ჩაეცვა „საპარადო“ შალის კოსტიუმი. ექვსი წლიდან კი ბიჭი მამას მუშაობაში ეხმარებოდა და გამოცდილებას იძენდა. პატარა დომენიკომ იმდენად კარგად აითვისა ჭრა-კერვის ხელოვნება, რომ გენიალურობის გამო მოცარტიც კი შეარქვეს. გასართობად კი ბიჭუნა ნაჭრებისგან მინიატურულ კაბებსა და კოსტიუმებს ქმნიდა. ტრადიციისამებრ, დომენიკოს მამის ბიზნესი უნდა განეგრძო, მაგრამ ჭაბუკი სანაცვლოდ უნივერსიტეტში შევიდა. სწავლას ერთი წლის შემდეგ თავი დაანება და სამხატვრო სასწავლებელს მიაშურა, მისი დამთავრების შემდეგ კი მილანს წავიდა.

სტეფანო გაბანა — ჭროღათვალება, მაღალი, გამხდარი და ენაწყლიანი, 1962 წელს დაიბადა მილანში.

24

„ერთი მყიდველი ცხრა თხილის გულზე“

საექსპორტო ათეულის ერთ-ერთ პოზიციას თურქეთში დიდი მოსავალი ძირავს

„გასულ წლებთან შედარებით, წლეულს თხილის ფასი ნაკლებია... გავყიდოთ მოსავალი დაბალ ფასად თუ ფასის მატებას დაველოდოთ?“

(21-ე გვერდიდან)

მოკლედ, გავყიდოთ მოსავალი დაბალ ფასში თუ ფასის მატებას დაველოდოთ. მე, დაახლოებით, 2 ტონა თხილი მაქვს გასაყიდი, მაგრამ ჩემ დღეში ბევრია და მათი სახელითაც გირეკავთ.

დაბალი ფასის გამო ბევრი იკავებს თავს თხილის გაყიდვისგან, 1 კილოგრამზე 2 ლარი ძალიან დიდი სხვაობა და დანაკარგია. ვერც იმას ვიტყვით, რომ მოსავალი იყო შედარებით უკეთესი და სიუხვის მიზეზით დაიკლო ფასმა. პირიქით, შარშანდელთან შედარებით ნაკლებიც კი მოვიწიეთ. თხილის ქარხნებიც ნედლეულის მიღებისგან თავს იკავებენ, დიდი ხვეწნა-მუდარით იბარებენ ასეთ დაბალ ფასშიც კი. როგორც ჩანს, ან საერთაშორისო მოთხოვნა არ არის, ან სხვა ქვეყანა წვდება ამ მოთხოვნას.

მართალია, აგვისტო-სექტემბერში გამოშრობის შემდეგ, თხილს წონაში აღარ აკლდება, მაგრამ მეორე წლისთვის რომ გააჩერო, აღარ ივარგებს, გული უფუჭდება. როგორც წესი, საქართველოში თხილის ფასი მაქსიმუმს 15 თებერვლისთვის აღწევს. ბოლო წლებში თხილის ფასი ადგილობრივ ბაზარზე 1 კილოგრამზე 4-5 ლარის ფარგლებში მერყეობდა, წლეულს კი მაქსიმალური ზღვარი 2,80 თეთრია“.

ბეგი სიორიძე *(თხილის საექსპორტო კომპანიის დამფუძნებელი):* „წლეულს თურქეთში თხილის განსაკუთრებულად კარგი მოსავალია და ამიტომაც არის ფასი დაბალი. ჩემი ინფორმაციით, 2001 წელთან შედარებით, 2012 წლის სეზონზე თურქეთში თხილის თითქმის ორჯერ მეტი მოსავალი მოვიდა, თუმცა როგორი იქნება თხილზე ფასი ხვალ და ზეგ, ეს არავინ იცის. ჩვენი ქარხანა უკვე ორი თვეა არ მუშაობს, კრედიტის დამტკიცების მოლოდინში ვართ და თხილის ექსპორტს მომავალი სეზონიდან დავიწყებთ. თურქული თხილის ფასზე მიბმულია როგორც ქართული, ისე მსოფლიოს თხილის ფასები, რადგან მონოპოლია ამ სფეროში მათ აქვთ. არავინ იცის, ხვალ-ზეგ გაიაფდება თუ გაძვირდება თურქული თხილი, ჩვენი თხილის ფასი კი ამაზეა დამოკიდებული“.

თხილი 2012 წლის საექსპორტო ათეულში შევიდა. შარშან ქვეყნიდან $15 მილიონის ღირებულების თხილი გავიდა. ამ პროდუქტის წილი მთლიან ექსპორტში 9%-ია. ქართული თხილის გასაღების ბაზარი ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებია. პროდუქტი კარგად იყიდება აზიისა და რუსეთის ბაზარზეც. ევროპაში ყველაზე მეტი თხილი გერმანიაში გადის, ხოლო აზიაში — ერაყსა და ავღანეთში. თხილის მცირე პარტიები გაიყიდა ირანსა და ჩინეთში. მოთხოვნა ძირითადად გარჩეულ თხილზეა. ნაჭუჭიანი თხილი მეტწილად აზიის ბაზარზე იყიდება. მოსავლის მცირე ნაწილს კომპანია „ბარამბო“ ყიდულობს, ხოლო 95% საექსპორტოდ გადის.

ემა ტუხაშვილი

ციფრების ენით

- თხილის ნარგავებს ყველაზე დიდი ფართობი უკავია თურქეთში, რომელიც მსოფლიო ბაზრის მოთხოვნის 75%-ს აკმაყოფილებს.
- სურსათისა და აგროკულტურის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ძირითად მწარმოებელ ქვეყნებში თხილის კულტურის ფართობებია: თურქეთი — 345 ათასი ჰა; იტალია — 69 ათასი ჰა; აზერბაიჯანი — 19,5 ათასი ჰა; ესპანეთი — 12,1 ათასი ჰა; აშშ — 11.8 ათასი ჰა; ირანი — 11 ათასი ჰა; საქართველო და ჩინეთი — 8-8 ათასი ჰა.
- მოსავლის მოცულობით ასევე თურქეთი ლიდერობს — 501,6 ათასი ტონა, შემდეგ მოდიან იტალია — 112,3 ათასი ტონა; ესპანეთი — 18,3 ათასი ტონა; აზერბაიჯანი — 18.6 ათასი ტონა; აშშ — 28,5 ათასი ტონა; ირანი, საქართველო და ჩინეთი — 12-12 ათასი ტონა.

საგადასახადო შემოსავლები გადაჭარბებით შესრულდა

ორი თვის ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ამ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტრო ვებგვერდზე აქვეყნებს. 2013 წლის იანვარ-თებერვალში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა 870,1 მლნ ლარი შეადგინა. ეს 2012 წლის იმავე დროის მაჩვენებელს 22,1 მლნ ლარით აღემატება. სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, ეკონომიკური ზრდის წინასწარმა მაჩვენებელმა 2013 წლის იანვარში, წინა წლის იანვართან შედარებით, 2,3% შეადგინა.

ქონების წართმევის „მკვდარი საქმეები“ ცოცხლდება

ათასობით დაზარალებულს იურიდიულ ლაბირინთში შესვლა აღარ მოუწევს

„კომისიის დასკვნით ბიზნესმენები სასამართლოში წავლენ და წართმეული ქონების დაიბრუნების რეალური შანსი გაუჩნდებათ“

(21-ე გვერდიდან)

მაგრამ თუ კომისია ამ კონკრეტულ შემთხვევას ერთიანობაში განიხილავს, ადვილად დადგინდება, რომ არ არსებობდა უმთავრესი — მხარეთა თავისუფალი ნება, რის საფუძველზეც დაიდებოდა შეთანხმება სახელმწიფოსთან. კომისიის შესაბამისი დასკვნით ბიზნესმენები სასამართლოში წავლენ და რეალური შანსი გაუჩნდებათ, აღიდგინონ უფლებები და წართმეული ქონება დაიბრუნონ.

— ვინ და როგორ უნდა დააბრუნოს წართმეული ქონება? ხშირად ის უკვე სხვა პირებზეა გასხვისებული, ხოლო ბიუჯეტში ჩარიცხული ფული გახარჯულია...

— ამის პასუხი ორაზროვანი ვერ იქნება. სახელმწიფო ვალდებულია, რომელი პოლიტიკური გუნდიც უნდა იყოს მმართველი, იკისროს და გაისტუმროს წინა ხელისუფლების ვალდებულები, მათ შორის ისინიც, რომლებიც ცალკეულ თანამდებობის პირთა დანაშაულებრივი ქმედებებიდან გამომდინარეობს. სამწუხაროდ, ისე გამოდის, რომ ნაციონალური ხელისუფლების სისტემის მსხვერპლთა კომპენსაცია არა მაშინდელ დიდმოხელეს, არამედ გადასახადის გადამხდელებს მოუწევთ... მაგრამ ეს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ანაბანაა და ამის საწინააღმდეგო ერთადერთი რეცეპტი არსებობს: არ ავირჩიოთ ან დროულად გადავირჩიოთ ცუდი ხელისუფლება. სხვა გზა ანარქიისა და სამოქალაქო დაპირისპირების გზაა, რაც თითოეულ ჩვენგანს გაცილებით ძვირად დაუჯდება.

— რა პერიოდს მოიცავს კომისიის უფლებამოსილება, როდინდელ განაჩენებს შეისწავლის ის?

— კანონპროექტში დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ წერია, რომ საჩივრის შეტანა შეიძლება საქმეზე, რომელზეც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია 2005 წლის 1-ელი იანვრიდან 2012 წლის 1-ელ ოქტომბრამდე. ვფიქრობთ, თარიღი კიდევ უფრო უკან არის გადასაწევი და განაჩენების გადახედვა, სულ ცოტა, 2004 წლის 13 თებერვლიდან უნდა დაიწყოს. ანუ იმ დროიდან, როცა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი შემოიღეს და ის საბოლოოდ ბიუჯეტის შევსებისა და ქონების წართმევის მთავარ მექანიზმად იქცა.

კანონპროექტი განხილვის ეტაპზეა და სადაგო საკითხიც ცოტა არ არის. ძალიან მაღალია სამოქალაქო სარჩელების ცენზი — 100 000 ლარი და აუცილებლად უნდა დაიწიოს; ძალიან მცირეა განცხადების წარდგენის ორთვიანი ვადა. ჩვენი აზრით, ადამიანები კვალიფიციური საჩივრის მომზადებას ვერ მოასწრებენ. გადასახედია განხილვის პროცედურები, კომისიის დაკომპლექტების წესი და სხვ. თუმცა ის გახსნილობა, რასაც ამ პროექტზე მუშაობისას ხელისუფლება გვთავაზობს, ვფიქრობ, მისი ეფექტურობის გარანტად უნდა იქცეს. მთავარია, საზოგადოებამაც და ხელისუფლებამაც, ბეწვის ხიდი სამართლიანობის აღდგენასა და რევანშიზმს შორის ქვეყნის ინტერესებისთვის უსაფრთხოდ გავიაროთ, ხოლო შემდგომი თაობებისთვის მსგავსი კომისიები აღარასოდეს გახდეს საჭირო.



ინფოგრაფიკა © „მედიაპალიტრა“

მეწარმეები მოგვითხრობენ

ერთი საწარმოს შექმნის ისტორია სამოსის ბაზარზე

„გადაცემა „ბიზნესფაილი“, რომელიც ყოველ სამშაბათს რადიო „პალიტრასა“ და „პალიტრა TV“-ის ეთერში გადის, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის პოპულარიზაციას და განვითარებას ემსახურება. ამჯერად ბიზნესფაილმა სამოსის იმპორტიორ კომპანია „ინტერმოდა+“-ის დამფუძნებელსა და დირექტორს, დავით ვაზაგაშვილს უმასპინძლა. სამოსის ბაზარზე არსებული ვითარება კი ეკონომიკის ექსპერტმა ირაკლი ლექვინაძემ შეაფასა. როგორ იქცა „უაიტჰაუსის“ მაისური ბიზნესის დაწყების მიზეზად და როგორია მონოპოლიური თამაშის წესები საქართველოში — ამ და სხვა საინტერესო თემებზე „ბიზნესფაილის“ სტუმრებმა ისაუბრეს.

„...მანამდე სხვა ბიზნესის დათმობა მონოპოლიის გამო მომიხდა. სამოსის ბაზარი კი მონოპოლიისგან თავისუფალი დამხვდა“

დავით ვაზაგაშვილი *(„ინტერმოდა+“-ის დამფუძნებელი):* „2000 წელს შევიძინე „უაიტჰაუსის“ ბრენდის მაისური და 2010 წელს ვნახე, რომ ეს მაისური ჩემს გარდერობში ახალივით გამოიყურებოდა. არადა, ამ ხნის განმავლობაში მას საკმაოდ ხშირად ვიცვამდი. მხოლოდ ამის შემდეგ დავინტერესდი ამ ბრენდით. აღმოჩნდა, რომ „უაიტჰაუსი“ თურქული ბრენდია, თუმცა მისთვის მოდელების შექმნაში იტალიელი დიზაინერებიც მონაწილეობენ. დავუკავშირდი ბრენდის სათავო ოფისს სტამბოლში და თანამშრომლობაზე შევთანხმდით. პირველმა შემოტანილმა კოლექციამ მომხმარებლის მოწონება დაიმსახურა.

უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე სულ სხვა ბიზნესში ვიყავი და მისი დათმობა მონოპოლიის გამო მომიხდა. 2007 წლიდან საბერძნეთიდან სამშენებლო საღებავები და სამშენებლო მასალები შემოგვქონდა. მიწოდებაზე მოველაპარაკე სოლიდურ კომპანიებს, რომლებმაც შეამოწმეს ჩემ მიერ შემოტანილი პროდუქცია და თანამშრომლობაზე თანახმა იყვნენ... ისევე როგორც ბევრმა სხვა კომპანიამ, რომელსაც თავის დამკვიდრება ბაზარზე ამ პროდუქციით სურდა, ჩვენც ვერ გავთვალეთ, რომ ამ სეგმენტში არსებობდა მონოპოლია და ბაზრის მთავარ მოთამაშედ კომპანია „კაპაროლი“ იქცა და თუკი რამ მსხვილი შეკვეთა არსებობდა ქვეყანაში, „კაპაროლის“ საღებავებით კეთდებოდა. მაგალითად, კომპანიამ, რომელიც მზად იყო ჩვენთან თანამშრომლობისთვის და მისთვის წელიწადში, დაახლოებით, 300 ათასი ლარის საღებავი უნდა მიმეწოდებინა, ბოლო მომენტში უარი თქვა — მას შემდეგ, რაც ბათუმის მერიას შეატყობინა, რით აპირებდა სამშენებლო სამუშაოების წარმართვას. თავიდან „კაპაროლთან“ ვთანამშრომლობდით. კიდევ ერთ კონტრაქტორ „არტესთან“, რომელმაც გააკეთა აღმაშენებლის გამზირი, ბევრი საავადმყოფო „100 საავადმყოფოს“ პროექტის ფარგლებში, არც ხარისხი დაუწუნებიათ, სამუშაოს შესრულების ჩემეული ფასიც ნაკლები იყო, მაგრამ შიდა ტენდერზე მაინც ვერ გავიმარჯვე, მიუხედავად იმისა, რომ ფასი კიდევ დავაკელი.

სამოსის ბაზარი კი მონოპოლიისგან თავისუფალი დამხვდა. ახლა, ბრენდული სამოსის გარდა, საფრანგეთიდან კოსმეტიკური ნაწარმი და აქსესუარები შემოგვაქვს. ჩვენი პროდუქცია ეკოლოგიურად სუფთაა, რაც ევროპელი მომხმარებლისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ქართველი მომხმარებელიც ნელ-ნელა უპირატესობას ხარისხიან პროდუქციას ანიჭებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესი დღეს არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია. პოლიტიკური რყევები სამოსისა და ფეხსაცმლის გაყიდვების მაჩვენებელზე უარყოფითად აისახა, თუმცა კონკურენციაც მაღალია და მომხმარებელი ხშირად ელოდება ფასდაკლებას, ეძებს, იქნებ სადმე უფრო იაფად შეიძინოს სასურველი პროდუქტი, მაგრამ ხშირად უკან ბრუნდება, რადგან ხარისხისა და ბრენდის გარანტიას ვიძლევით“.

ირაკლი ლექვინაძე *(ეკონომიკის ექსპერტი):* „სამოსის ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტულია. ბოლო ორ წელიწადში ბაზარზე ძალიან ბევრი ახალი მოთამაშე შემოვიდა, ზოგიერთი ჯგუფი გამხვილდა და დღეს საქართველოს ბაზარზე რამდენიმე მსხვილი ჯგუფი მოქმედებს, რომლებიც ასევე რამდენიმე ბრენდული მაღაზიით არიან წარმოდგენილი. კონკურენცია ფასებზეც აისახა, ამ ორ წელიწადში სამოსი, მათ შორის ევროპული ბრენდების, შედარებით ხელმისაწვდომი გახდა. რომ შევადაროთ ერევანს და ბაქოს, თბილისი ბევრად უკეთესი სივრცეა შოპინგის მოყვარულებისთვის. მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოსული ადამიანები აღნიშნავენ კიდეც, რომ არჩევანი აქ მეტია.

საერთო ჯამში, სამოსისა და ფეხსაცმლის ბაზრის მოცულობა საქართველოში წელიწადში 500-600 მილიონ ლარს აღწევს. რაც შეეხება უხარისხო პროდუქციისგან მომხმარებლის დაცვას, ჩემი აზრით, აქ რეგულაციის შემოღება გაუმართლებელია, მომხმარებელმა თავად უნდა დაიცვას თავი. შემოდის ის, რაზეც არის მოთხოვნა, მათ შორის, დაბალი ხარისხის პროდუქცია. მოთხოვნა არის ხარისხიან სამოსზეც და მაღალი ფასის მიუხედავად, მომხმარებლები კარგი სამოსისთვის ფულს არ ზოგავენ. ზოგადად, საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთი ცენტრი გახდეს. ამის კარგი მაგალითია საფეიქრო საწარმოები გურიასა და აჭარაში, სადაც ცნობილი ბრენდების შეკვეთით სამოსი ექსპორტზე გასატანად იკერება. თუ ამ სფეროთი ბიზნესი სერიოზულად დაინტერესდება, შესაძლოა ამ სეგმენტში თურქეთის კონკურენტიც კი გავხდეთ“.

ემა ტუხაშვილი

ევროკომისიამ ბიზნესგარიგება არ მოიწონა

ევროკომისიამ „რაინეარს“ კონკურენტის ყიდვის უფლება არ მისცა. დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია ირლანდიურ Air Lingus-ს ვეღარ შეიძენს. ევროპელ მარეგულირებელში მიიჩნევენ, რომ ამ ორი ფირმის გაერთიანებით ბაზარზე ჩამოყალიბდება კომპანია, რომელიც 46 მარშრუტზე იქნება დომინანტი. ამ რეისებზე კონკურენცია გაქრება, რამაც შესაძლოა ავიაბილეთების გაძვირებაც გამოიწვიოს.

აზიას, აშშ-სა და მოსკოვს მილიარდერებში „უმართლებთ“

აზია მილიარდერების რაოდენობით მსოფლიო ლიდერად დასახელდა. ჩინურ ჟურნალ Hurun Report-ის ცნობით, აზიაში ყველაზე მდიდარი ჰონკონგელი ლი კაშინია ($32 მლრდ). ყველაზე დიდ კონტინენტზე სულ 608 მილიარდერი ცხოვრობს, ჩრდილოეთ ამერიკაში 440 მილიარდერია, ევროპაში — 324. ქვეყნებს შორის ლიდერებია აშშ (409 მილიარდერი), ჩინეთი (317) და რუსეთი (88). ქალაქებს შორის მსოფლიოში ყველაზე ბევრი მილიარდერი მოსკოვშია — 76 ადამიანი. ნიუ-იორკში 70 მილიარდერია, ხოლო ჰონკონგში — 54.

ოფისი $1,2 მილიარდად გაიყიდა

„სონიმ“ ტოკიოში მდებარე ერთ-ერთი მთავარი ოფისი $1,2 მილიარდად გაყიდა. ტოკიოს საქმიან კვარტალში ორი წლის წინ აშენებული 25-სართულიანი შენობის, „სონი სიტი ოსაკის“ ახალი მფლობელები არიან ფონდი „ნიპონ ბილდინგი“ და ინკოგნიტო იაპონელი ინვესტორი. გარიგების თანახმად, „სონის“ სატელევიზიო განყოფილება შენობაში კიდევ ხუთი წლის განმავლობაში, საიჯარო ხელშეკრულებით დარჩება. ფინანსური პრობლემების გამო, „სონიმ“ $1,1 მილიარდად მანჰეტენზე მდებარე ოფისიც გაყიდა.

მრავალი მეწარმის ბიზნესი ცეცხლში დაიწვა

სავაჭრო ცენტრ „საბას“ მოვაჭრეები კომპენსაციას ხელისუფლებას სთხოვენ

„საბას“ მოვაჭრეებმა ხანძრის შედეგად ათეულ ათასობით ლარი იზარალეს

(21-ე გვერდიდან)

ვცადე, შედარებით მშვიდი იერის ადამიანებთან გამერკვია, რას ვერ იყოფდნენ ისინი, ან რა ზარალი ნახა თითოეულმა მოვაჭრემ და რა ალტერნატივას სთავაზობთ მათ ადმინისტრაცია.

ია კვინიკაძე *(მოვაჭრე):* — ხალხი გაღიზიანებულია. ძალიან ცუდი რამ მოხდა. მთელი ჩვენი ფული საქონელში გვქონდა ჩადებული. ახლა ყველაფერი დავკარგეთ. მოვაჭრეები კი იმ ფართების გამო დავობენ, რომელიც ადმინისტრაციამ დროებით უფასოდ დაგვითმო.

— ფართი ყველას არ ჰყოფნის?

— ფართები არის, მაგრამ ავეჯისთვის არ არის განკუთვნილი. მეოთხე და მეხუთე სართულები ჩვენთვის ძალიან მოუხერხებელია, იქ ავეჯი როგორ უნდა ავიტანოთ? მე თუ მკითხავთ, ამ ფართების გამო ერთმანეთისთვის შეურაცხყოფის მიყენება არ ღირს. ადმინისტრაცია გვპირდება, რომ სამ-ოთხ დღეში ყველაფერს მოაწესრიგებს და ისევ ჩვენს მაღაზიებში შეგვიშვებს. ჩვენ სხვა პრობლემა უფრო გვაწუხებს: საქონელი, რომელშიც ფული გვქონდა ჩადებული, დაიწვა. ზარალი ძალიან დიდია და მის ანაზღაურებას მხოლოდ პაატა კაჭარავა ვერ მოახერხებს. იმედი გვაქვს, რომ „ქართული ოცნება“ დაგვეხმარება.

— „ქართული ოცნება“ კონკრეტულად როგორ უნდა დაგეხმაროთ?

— იქნებ ფულადი კომპენსაცია მოგვცეს.

— თქვენი ზარალი რამდენ ლარს შეადგენს?

— 20 ათასი ლარს.

ბელა დარჯანია *(მოვაჭრე):* — დიდი დარბაზი მქონდა ნაქირავები. იქ ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელს შეეძლო სასურველი ავეჯის შეძენა. 100 ლარიც რომ გქონოდათ, რამეს მაინც იყიდდით, თუნდაც საშხარეულოს მაგიდასა და სკამებს. მე ძირითადად ხალიჩებზე ვმუშაობდი.

— რამის გადარჩენა თუ მოახერხეთ?

— საერთოდ ვერაფერი გადავარჩინე.

— რამდენი იზარალეთ?

— დაახლოებით 25 ათასი ლარი.

— ადმინისტრაცია რას გპირდებათ?

— ადმინისტრაცია უკვე დაგვეხმარა. ფართები უფასოდ დაგვითმო, მაგრამ საქონელი აღარ გვაქვს და ცარიელი ოთახები რად გვინდა? ახლა მთავრობისგან ვითხოვთ ზარალის ანაზღაურებას. აბა რა ვქნათ? სულ უფულოდ დავრჩით.

— თუ გაქვთ ინფორმაცია, ხანძარი როგორ გაჩნდა?

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. წარმოუდგენელია, რომ აქ მოკლე ჩართვით ან რამე მსგავსით გაჩენილიყო ცეცხლი. შვიდი საათისთვის შუქი ავტომატურად ითიშება და დილის ათ საათამდე არ ირთვება. ხანძარი კი საღამოს ცხრის წუთებზე გაჩნდა. ამ საქმეში აშკარად ვიღაცის ხელი ურევია.

იამზე კოპაძე *(მოვაჭრე):* — როგორც კი ხანძრის შესახებ გავიგე, მაშინვე მოვარდი. დავინახე, როგორ ეკიდა ყველაფერს ცეცხლი, ნამდვილი კატასტროფა იყო. ჩვენ არავის გვჯერა, რომ აქ მოკლე ჩართვა მოხდა და ხანძარი თავისით გაჩნდა. დაცვა შვიდი ნახევარზე უკვე გვაფრთხილებს, ტერიტორია დავტოვოთ. მერე შუქი ავტომატურად ითიშება და ცენტრი იკეტება. დაცვა ზრუნავს იმაზეც, რომ დილის ათის ნახევრამდე აქ ვერავინ შემოვიდეს... 20 ათასი ლარი ვიზარალე. ქართული საქონელი მქონდა — საძინებელი ოთახის ავეჯი, მატრასები... სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაციას რაც შეეძლო, გაგვიკეთა. იმედია, ახლა ხელისუფლება მოგვხედავს. 200 მოვაჭრე ქუჩაში დავრჩით.

— თქვენც ვერაფერი გადაარჩინეთ?

— ვერაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი ცეცხლმა შთანთქა.

— საქონელი დაზღვეული არ გქონიათ?

— არა, პირადად მე არაფერი არ მქონდა დაზღვეული...

იდეებს რა უყვეს დოლჩემ და გაბანამ

მორიდებულმა იტალიელმა ჟმაწვილებმა მსოფლიოს ახლებურად ჩაცმა ასწავლეს

სტეფანო გაბანა და დომენიკო დოლჩე

(21-ე გვერდიდან)

იქ საზოგადოებრივი მორალი ნაკლებად მკაცრი გახლდათ. სტეფანო ქორწინების გარეშე დაბადებული შვილი იყო ერთერთი მდიდარი და ცნობილი სტილისტის ოჯახში. გაჭირვება არ აწუხებდათ და ბიჭიც მოდურად იცვამდა. სტეფანო ბავშვობიდან ხატავდა. მოგვიანებით მილანის სამხატვრო კოლეჯში გრაფიკასა და დიზაინს დაეუფლა და მხატვარ-გრაფიკოსად დაიწყო მუშაობა. მისი სპეციალობა იყო „კრეატიული დირექტორი“, თუმცა ამ თანამდებობაზე ერთი დღეც არ უმუშავია. ჭაბუკს სულ სხვა ამოცანები იზიდავდა.

შეხვედრა მომავალთან

მომავალი დიზაინერები ერთმანეთს მილანის ერთ-ერთ ატელიეში შეხვდნენ, სადაც ორივენი ასისტენტებად მუშაობდნენ. ერთი შეხედვით ფრიად განსხვავებულმა ახალგაზრდებმა მალე გამონახეს საერთო ენა. საერთო კი ბევრი აღმოჩნდათ. გაირკვა, რომ ორივეს ძალიან უყვარდა ბაროკო, ასევე, 50-60-იანი წლების იტალიური კლასიკური ფილმები. ორივეს აღაფრთოვანებდნენ რეჟისორები და მსახიობები — ვისკონტი, დე სიკა, როსელინი, სოფი ლორენი, ჯინა ლოლობრიჯიდა, ანა მანიანი... ყმაწვილებმა გადაწყვიტეს, ერთობლივად მოესინჯათ ბედი მოდის სამყაროში. შედეგი ცნობილია — ოცდაათ წელზე მეტია, ერთად ქმნიან მოდას, მათი სამოსს კი ვარსკვლავების მომდევნო თაობა — იზაბელა როსელინი, მადონა, დემი მური, ნიკოლ კიდმანი და სხვები ირჩევენ.

მილანის ცენტრში პაწაწინა ერთობლივი სტუდია პარტნიორებმა 1982 წელს გახსნეს. აქ შექმნეს მათ თავიანთი პირველი კოლექციები. 1985 წელს დიზაინერებმა წინადადება მიიღეს, როგორც ნიჭიერ და იმედის მომცემ ახალგაზრდებს, მონაწილეობა მიეღოთ მილანის ნამდვილი მოდების ჩვენებაში „მილანო კოლეციონე“. მათმა კოლექციამ გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. მოდელიერებმა წარმოადგინეს სამოსი „ნამდვილი ქალისთვის — ლამაზის, ძლიერის, მაგრამ არა იდეალურის“. 1987 წელს დოლჩემ და გაბანამ ტრიკოტაჟის პირველი კოლექცია აჩვენეს საზოგადოებას, 1989 წელს კი, საფუძველი „თეთრეულის სტილს“ ქალთა მოდაში და იტალიელ ქვრივების შავი კაბები სუპერსექსუალურ სამოსად გადააქციეს.

სამოსის გამომგონებლები

დოლჩესა და გაბანას შთაგონების ძირითად წყაროდ იქცნენ იტალიელი მსახიობები — სოფი ლორენი, ჯინა ლოლობრიჯიდა და ანა მანიანი 50-60-იანი წლების ფილმებიდან. მათი მომხიბლავი სხეულები — ვიწრო კორსეტებში გამოკვართული წელი, ფუმფულა მკერდი და ჩამოქნილი ფეხები ჭკუიდან შლიდა მამაკაც კინომაყურებლებს. ეს „მაღალი ეროტიკული დაძაბულობა“ დიზაინერებმა თავიანთ კოლექციებში გადაიტანეს: წვრილი წელი, პიჯაკის ქვემოდან მოშხირალი ტოპები, მაქმანიანი წინდები, გამჭვირვალე კაბები. „თუმცა თქვენ ვერასდროს ნახავთ ჩვენს კოლექციაში შიშველ მკერდს ან უკანალს. ქალის სხეული მაცდუნებლად უნდა გამოიყურებოდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — ხელმისაწვდომად“, — განმარტავდნენ მოდელიერები.

მოდელიერების ტანდემმა საფირმო ლოგო ავტომობილზეც კი დაიტანა

მამაკაცებისთვისაც მუშაობა დიზაინერებმა 1990 წლიდან დაიწყეს და მათთვის კოლექცია პირველად შექმნეს. ძლიერმა სქესმა მაშინვე დააფასა „დოლჩე & გაბანას“ სტილი. მათთან იცვამდნენ ოჯი პოპი, ვუდი ჰარელსონი, სტინგი... 1900-94 წლებში დუეტი აღმასვლას განაგრძობდა. ისინი მიიწვიეს „ვერსაჩეს“ ერთ-ერთი ბრენდის კონსულტანტებად. 1992 წელს თავიანთი მარკის პირველი პარფიუმერული პროდუქტი გამოუშვეს და „დოლჩე & გაბანა პარფიუმი“ უწოდეს. მისმა სურნელმა პარფიუმერიის საერთაშორისო აკადემიის პრემია დაიმსახურა.

ჯინსის ხაზი დიზაინერებმა თავიანთ ასორტიმენტს 1994 წელს დაუმატეს. მათ მოდური გახადეს დახეული ჯინსი, აქსესუარები, სათვალეები. შექმნეს კოლექცია საგანგებოდ ახალგაზრდებისთვის. იმ დროიდან მოყოლებული, მათი ახალგაზრდული ხაზი მსოფლიოს ახალგაზრდების უნიფორმად იქცა. 1996 წელს „დოლჩე & გაბანამ“ შექმნეს ლეგენდური კოლექცია Animal prints-ი და მსოფლიო მოდაში დაამკვიდრეს ფერების „მხეცური“ შეხამება. მოდელიერები წელიწადში 13-მდე კოლექციას ქმნიან და თითოეულში არის ნოვატორული იდეები. დოლჩე და გაბანა თვითგამოხატვისთვის ახალ-ახალ გზებს ეძებენ. 2002 წლის ბოლონიის „მოტორ შოუს“ გამოფენა-აუქციონზე გაიყიდა „დოლჩე და გაბანას“ მოდელი „სიტროენ C-3“. მისი წარმატების შემდეგ მოდის სახლმა და ავტოკონცერნმა კონტრაქტი კიდევ ორი ექსკლუზიური მოდელის გამოშვებაზე დადეს.

დომენიკო დოლჩე და სტეფანო გაბანა, დიდი წარმატების მიუხედავად, გულღია ადამიანები არიან და არც ჩაკეტილ ცხოვრებას მისდევენ. გულწრფელობისა და ეპატაჟურობის მიუხედავად, მაინც მორიდებულ იტალიელ ჟმაწვილებად რჩებიან.

დოლჩესა და გაბანას მოდის სახლი დღეს-დღეობით ერთ-ერთი უმსხვილესია მსოფლიოში და ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაც. ფირმას 251 მონობრენდული მაღაზია მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში აქვს გახსნილი. 2011-2012 ფინანსური წლის შედეგების თანახმად, კომპანიის გაყიდვის საერთო მოცულობამ 1,4165 მილიარდ ევროს მიაღწია.

მოამზადა ნატა ენუქიძემ

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2.03.2013-დან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

USD 1 აშშ დოლარი	1.6567
EUR 1 ევრო	2.1603
GBP 1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	2.4922
RUB 100 რუსული რუბლი	5.4073

ეკოპალიტრას რეკომენდაციაა!

სინერჯი ჯგუფის წიგნები



ეს წიგნი:
- მენეჯერის ბრძოლა წარმატებისთვის
- თანამედროვე ორგანიზაციების მართვა
- ლიდერობის ხელოვნება
- მართვის ახალი გეომეტრია

გამომცემლობა პალიტრა L

იყიდეთ წიგნის მაღაზიებში ფასი: 12 ლარი

კვლევა

სამომხმარებლო პროდუქტების ფასები

„ეკოპალიტრისა“ და „ილიაუნი ბიზნეს რევიუს“ თანამშრომლობის ფარგლებში, გთავაზობთ სამომხმარებლო პროდუქტების ბაზრის მორიგ ბიზნესკვლევას. ეს კვლევა მოქწყო „ილიაუნი ბიზნეს რევიუს“ ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური კვლევებისა და კონსულტაციების ცენტრის მკვლევრების მიერ. კვლევა მოიცავდა თბილისში არსებულ შვიდ სუპერმარკეტს და მისი მიზანი ყველაზე ძვირი და იაფი სუპერმარკეტების გამოვლენა იყო. კვლევა მიმდინარეობდა 5-დან 15 თებერვლამდე და 25 სახის პროდუქტს მოიცავდა. შეირჩა პროდუქტების რაოდენობები და ე.წ. მისტიკური კლიენტების სახით დადგინდა ფასები სუპერმარკეტებში.

ყველაზე ნაკლები რაოდენობის პროდუქცია აღირიცხა პოპულში. ყველაზე მეტ პროდუქციაზე დაბალი ფასი იყო ფურშეტში, ხოლო მეორე და მესამე ადგილს გუდვილი და კარფური ინაწილებენ. ყველაზე მეტ პროდუქტზე მაღალი ფასი აღირიცხა ნიკორაში, მომდევნო ადგილებზე კი პოპული და სმარტი არიან.

კვლევა მოამზადა „ილიაუნი ბიზნეს რევიუმ“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე არსებული ეკონომიკური კვლევებისა და კონსულტაციების ცენტრის მკვლევრების მონაწილეობით. Iliauni Business Review

	გუდვილი	იოლი	სმარტი	ფურშეტი	პოპული	კარფური	ნიკორა
	I	II	III	IV	V	VI	VII
1. პური 1 კგ იფქლი	0.9	0.85	0.85	0.8	-	-	-
2. ზეთი 1 ლ ოლეინა	3.45	-	-	-	-	-	3.6
3. შაქარი 1 კგ	1.59	1.8	1.65	1.59	1.8	1.6	1.55
4. მარილი	0.49	0.65	0.65	0.5	0.85	0.5	0.65
5. ბორჯომი 1 ლ	1.04	1.2	1.1	1	1.1	1.05	1.1
6. ნაბელავი 1 ლ	0.86	1	0.9	0.82	-	0.85	1
7. ფქვილი უმაღლესი 1 კგ	1.8	-	1.65	-	-	1.65	2.1
8. ჩაი გურიელი							
25 პაკეტი შავი	3.7	2.2	2.45	1.9	1.65	3.15	2.45
9. წყნობურა 1 კგ	1.8	1.95	1.8	1.7	1.95	4.7	1.9
10. ბრინჯი 1 კგ	1.3	1.4	1.35	1.6	1.4	3	1.4
11. ყველი ქარხნული 1 კგ	12.92	12.56	11.5	9.5	-	9.9	11.5
12. რძე სანტე 1 ლ	2.65	2.9	2.8	2.48	2.8	2.55	2.8
13. მაწონი სანტე 0.5 ლ	1.3	1.4	1.6	1.34	1.4	1.35	1.6
14. არაჟანი სანტე 0.5	2.4	1.7	1.35	2.35	2.6	2.35	2.6
15. ხაჭო სანტე 0.2	2.15	1.8	2.25	2.1	-	2	2.3
16. მაიონეზი სლობოდა ოლივკოვი	-	-	1.55	1.25	-	1.25	1.65
17. ბარამბო-შავი-ფილა	2.16	2	1.8	1.7	2.4	1.75	1.9
18. კოკა-კოლა 2 ლიტრი	2.1	1.85	2.25	1.95	2.25	1.95	2.25
19. ლუდი ნატახტარი 1 ლ	2.47	-	2.6	1.75	-	2.2	2.6
20. ღვინო-თელავის მარნის საფერავი 0.75	-	12.8	-	10.3	8	12.3	12.9
21. კარტოფილი 1 კგ	0.77	-	0.7	0.8	0.7	0.55	0.75
22. ხახვი 1 კგ	1.15	1.1	1.2	0.96	0.99	0.95	0.9
23. თევზი კალმახი 1 კგ	10.19	14.5	14.5	12.6	-	9.95	11.2
24. ვაშლი გოლდენი 1 კგ	4.2	1.65	3.3	5.15	-	2.5	1.3
25. ბანანი 1 კგ	2.97	3.3	3	2.85	3.1	2.9	3.4

სარედაქციო კოლეგია
მთ.რედაქტორი: გელა გურგენიძე

მისამართი:
თბილისი; იოსებიძის ქ. 49,
ტელ.: 238-84-44
ელფოსტა: eko@palitra.ge

სარეკლამო სამსახური:
ტელ.: 237-78-07

გაზეთში გამოყენებულია საგენტო „ინტერპრესნიუსისა“ და ინტერნეტპორტალ Commersant.ge-ს მასალები

გუდარეხელი და „აფრიკელი“ „ციგნები“ ქსელს აფართოებენ

„არ შეიძლება ივანიშვილი უთხრა, რომ ბავშვების ტანსაცმელი და საჭმელი მოვიდეს?!“

თბილისში ბოშათა ახალი დასახლებები გაჩნდა

ბოშათა საცხოვრებლის მონახულება მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც შევიტყვე, რომ თბილისში მათი ახალი დასახლებები გაჩნდა.

თავდაპირველად ნავთლულში, გუდარეხის ქუჩას დავადექი. წვიმდა და ბოშები სახლში იყვნენ გამოკეტილნი. არც მათი ნახევრად შიშველი ბავშვები დატანტალებდნენ გარეთ. პოლიციელებისა და „სტაიანშჩიკებისაგან“ მისწავლებულ ადგილს ფრთხილად ჩავუყევი (გაგებული მაქვს, ბოშებს უცხოები არ უყვართ). და რომ არა გზად შემოყრილი ქალბატონი, კარგა ხანი დამჭირდებოდა იმ სახლის მოძებნა, სადაც დაუპატიჟებელ სტუმარს კარს არ მომიხურავდნენ. ქალბატონს კურდღლები მიჰყავდა, — გამოვზარდე და მეზობელს მივყიდე, მაგრამ ტომრით უნდა გადავუყვანო, რომ ხელიდან არ გამისხლტდნენ და ბოშების სახლებში არ მიიმალონ, თორემ მერე ვინ რას მომცემსო.

— რომელ სახლში ცხოვრობენ ბოშებიმეთქი.

— შენ ის მკითხე, რომელ სახლში არ ცხოვრობენო და ხელი მთელ გარეშემოს შემოატარა, — როგორ არ იცი, ნავთლულში ვისაც უნდა ჰკითხო ბოშათა და ლურების დასახლება, ყველა აქეთ მოგასწავლისო!

— მე მეგონა, ბოშების დასახლება მხოლოდ ლოტკინის გორაზე იყო.

— ლოტკინზე ბოშების ძველი დასახლება იყო, ახლა რომელი ეზოს კარსაც შეაღებ, ყველგან ეგ ხალხია, პატარა ბინებში 10-15 სული ცხოვრობს. ეგენიც და ლურებიც, ოღონდ ცალ-ცალკე სახლებში. ეგ ტომები ერთმანეთს არ იკარებენ.

— ლურები ვინღა არიან?

— აზერბაიჯანიდან შემოსულები უნდა იყვნენ. ამბობენ, აზერბაიჯანში მათხოვრობა კანონით აკრძალეს და ყველა საქართველოსკენ დაიძრაო. მართლა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ბოშები მაგალითად, ზოგი მათხოვრობს, მაგრამ ზოგიც ვაჭრობს. ლურები კი მხოლოდ მათხოვრობენ. თითოს 5-7 შვილი ჰყავს. ინვალიდის ეტლით დააყენებენ ქუჩაში, ჩაუდებენ ჯგამს ხურდა ფულისთვის და მიატოვებენ. ან რა აჩერებთ ამ უბედურ ბავშვებს... როცა უნდა ჩაუარო, კისერი აქვთ გადაგდებული და თვლემენ. მგონი, რაღაც დასაძინებელ წამლებს ასმევენ. მაგრამ მაგას ვინ დაეძებს, ეგ ამბავი სულ ასეა და ასე დარჩება!

ჩვენ ვიკითხოთ, მათ მეზობლად ვინც ვცხოვრობთ, გვეშინია, ტუბერკულოზი არ გადაგვედოს.

— რა იცით, რომ დაავადებულები არიან.

— ეგენი ექიმს არ იკარებენ, მაგრამ არც მალავენ, რომ ტუბერკულოზი სჭირთ. წამლებს კი სვამენ, მარა ასე, თავის ჭკუაზე. იმიტომაც მოხუცები იშვიათად ჰყავთ. გარდაცვლილებს თბილისში არ მარხავენ, არც კი ვიცით, სად კრძალავენ.

— სკოლაშიც არ დაჰყავთ ბავშვები?

— მაგათგან ვიცი, რომ ბარონი უკრძალავთ სკოლაში სიარულს.

— ბევრი რამ გცოდნიათ.

— წლებია, ერთად ვცხოვრობთ. თუ ვინმე ბოშას ბინის დაქირავება უნდა, ყველა აქ მოდის.

— ამბობთ, ბევრს ტუბერკულოზი სჭირსო და შინ რომელი ჭკუათამყოფელი უშვებს?!

— ხალხს უჭირს და რა ქნას? თანაც თუ სხვა ლარს იხდის ღამის გათევაში, ეგენი 3 ლარს იხდიან. ზოგან 15 კაცი ცხოვრობს. ახლა გამოიანგარიშეთ, ეს დღეში რამდენი ლარია! — მითხრა კურდღლებიანმა ქალბატონმა და დამემშვიდობა, თუმცა მანამდე ის ეზო მიმასწავლა, სადაც შესვლა სახიფათო არ იყო. იქ მხოლოდ მოხუცი ბოშა დამხვდა. მოხუცმა მითხრა, ფული ჩვენ არ გვაქვს, სოციალურ დახმარებას კი ბოშებს ვინ მოგვცემსო, აგე (ზურგს უკან ხუხულაზე მიმითითა), — იქ ჩემი ათი შვილიშვილი ცხოვრობს და დახმარება რომ ჰქონდეთ, თვეში სამასი ლარი ექნებათო. ფოტოს გადაღება ვთხოვე, მაგრამ — მაგათი დედა შინ არ არის და ვერ შეგიშვებო.

მეც ატალახებული ეზოს კარი გამოვიხურე და აფრიკის დასახლებისაკენ გავწიე, სადაც უკაცრიელ და ახლა მხოლოდ ბოშებით დასახლებულ ადგილებში იმდენ ხანს ვიარე, სანამ ჯვაჭვით დაბმული ძაღლის ყეფამ გული არ გადამიტრიალა. ხუხულიდან ბოშების ხმაური შემომესმა, კარზე ქვით რამდენჯერმე დავაბრახუნე. კარი გაიღო და ტალახზე დაფენილი ქეჩიდან 20 ბოშა ერთბაშად წამოიშალა — მათგან ნახევარი ბავშვები. ჭუჭყიანი ფეხებით კარს მოაწყდნენ და თვალიერება დამიწყეს. წვერიანი ბოშა ჩემმა სტუმრობამ ისე დააბნია, რომ გაზის ბალონზე შემომდგარი უზარმაზარი მოთუხთუხე ქვაბი კინაღამ გადააყირავა, მერე ცალცალ დახეულ ფეხსაცმელში ფეხი გაყო და შინ შემიპატიჟა. შევყევი და რახან იქ ვერც სკამი ვნახე და ვერც მაგიდა, ასე ატუზული დავდექი. ქეჩაზე მორთხმულმა ქალბატონმა ბავშვი ახალგაზრდა ბოშას გადააწოდა და დამტვრეული ქართულით მითხრა, — აიო...

— რა სჭირს?

— უკვე დიდია, წელიწადი და ხუთი თვე. კბილები არ აქვს.

— ექიმთან გყავდათ?

— არა, ჩვენ ექიმი არა... არ უნდა.

— მერე როგორ უნდა უშველოთ?

ბოშამ მხრები აიჩეჩა და მომიგო:

ტალახზე დაფენილ ქეჩაზე, ბოშა ქალი ბავშვებთან ერთად მოკალათებულა

ბოშათა დაკარგული ბავშვობა

რით განსხვავდებიან ბოშები ლურებისგან

ბოშები საქართველოში

მსოფლიოში ბოშების საერთო რაოდენობა 6-იდან 10 მილიონამდე მერყეობს. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 1989 წელს ქვეყანაში რეგისტრირებული იყო 1 744 ბოშა. დღესდღეობით, ბოშების რაოდენობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს.

საქართველოში მცხოვრებ ბოშათა ნაწილი თავს მუსლიმანად ან მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს, თუმცა სხვა რელიგიური აღმსარებლობის ბოშებიც არიან, მათ შორის ევანგელისტი ქრისტიანები.

ბოშები, ძირითადად, მათხოვრობითა და წვრილმანი ვაჭრობით ირჩენენ თავს, ისინი სახლში მშობიარობენ, არც ახალშობილს არეგისტრირებენ და შესაბამისად, არ გააჩნიათ პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

ახლა „ჩემი ცოლის დაქალი“ „კატო“ ლელა იქნება

ნინო გაჩეჩილაძემ სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ დატოვა. ერთ-ერთ ინტერვიუში ნინოს ვკითხეთ, მართალი იყო თუ არა, რომ თითქოს რეჟისორს ჰონორარის გაზრდა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიალიდან წასვლით დაიმუქრა. მაშინ მსახიობმა განაცხადა, რომ ეს სიცრუე იყო:

— რა სისულელეა, ვინ აყენებს ბოლო ეპიზოდის გადაღების დროს მსგავს პირობებს? როგორც წესი, მსახიობთან მოლაპარაკება ფილმის გადაღებამდე წყდება. ჩემი გმირი ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგულია და არა მგონია, სერიალიდან დაითხოვონ, თუმცა არ ვიცი, უფროსები რას გადაწყვეტენ. ყველაფერი მოსალოდნელია.

მიუხედავად ამისა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მსახიობმა სერიალი მაინც დატოვა და უკმაყოფილების მიზეზი ისევ და ისევ ანაზღაურება გახდა. მისი თქმით, ფილმის გადაღება სამი კვირა გაგრძელდა, აქედან მის გმირს 15 დღის განმავლობაში იღებდნენ და მხოლოდ სამი ათასი ლარი აიღო, რაც დღეში ორასი ლარია, როცა მსახიობები ერთ რეკლამაში სამასიდან ხუთას დოლარამდე იღებენ. მსახიობის თქმით, ფილმის რეჟისორ გიორგი ლიფონავასთან ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვს და უთანხმოება სტუდია „კრეატივის“ დირექტორთან მოუვიდა. მართლაც დასაჯეს თუ არა ნინო გაჩეჩილაძე, არავინ იცის, თუმცა „ფეისბუკის“ გვერდზე მსახიობმა შემდეგი შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა:

ლელა მებურიშვილი: „შემომთავაზეს როლი და მეც უარი არ მითქვამს“

ნინო გაჩეჩილაძე: „ვისაც ჰგონია, რომ მე დამსაჯა, ის უბრალოდ ვერ ხვდება, რომ თავი დაისაჯა!“

„ვისაც ჰგონია, რომ მე დამსაჯა, ის უბრალოდ ვერ ხვდება, რომ თავი დაისაჯა!“

სამაგიეროდ, სერიალი არ დაუტოვებია კატოს გმირს. როგორც გავიგეთ, მას ლელა მებურიშვილი ითამაშებს. ჩვენ დავუკავშირდით მსახიობს, მან დაგვიდასტურა, რომ ახალ სეზონზე ის შეცვლის ნინო გაჩეჩილაძეს.

— დიახ, შემომთავაზეს როლი და მეც უარი არ მითქვამს. რატომ წავიდა ნინო, ამას ნამდვილად ვერ გეტყვით. გადაღებები უკვე დაიწყო, სხვას ვერაფერს გეტყვით.

თამარ ტატიშვილი: „არანაირი ზეწოლა არ ყოფილა, განცხადება ჩემი სურვილით დავწერე“

ეროვნული კინოცენტრის დირექტორს თამარ ტატიშვილს, თანამდებობაზე ყოფნის ვადა ამოეწურა. კულტურის სამინისტრომ მისი სამწლიანი მუშაობა შეაჯამა და ახალი დირექტორის თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა.

ეროვნული კინოცენტრი 12 წლის წინ ფრანგული მოდელის მიხედვით დაფუძნდა და კინოს სფეროში სხვადასხვა კუთხით მონაწილეობს. თანამშრომლებთან გამოსამშვიდობებელ საღამოზე, რომელიც ტატიშვილმა მოაწყო, საპატიო სტუმრებს შორის კულტურის მინისტრის, გურამ ოდიშარიას ნაცვლად მისი წინამორბედი ნიკა რურუა გამოცხადდა.

რატომ არ მოისურვა თამარ ტატიშვილმა თანამშრომლობის გაგრძელება ახალ ხელმძღვანელობასთან? დეტალების გასარკვევად ყოფილ დირექტორს დავუკავშირდით.

— თავად განვაცხადე, რომ აღარ მინდოდა შემდეგი სამწლიანი ვადით მუშაობა. აქედან გამომდინარე, გამოცხადდა კონკურსი. არანაირი ზეწოლა ჩემზე არ ყოფილა, განცხადება ჩემი სურვილით დავწერე.

— რატომ განაცხადეთ უარი ახალ ხელმძღვანელობასთან მუშაობაზე, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საერთო ენა ვერ გამონახეთ?

— მე მუდამ პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი ჩემს საქმეს. ამ ეტაპზე ვთვლი, რომ ვეღარ გავაგრძელებ წინანდელი ინტენსივობით მუშაობას. თუმცა ახალ დირექტორს თუ სურვილი ექნება, კვლავაც შემიძლია ვითანამშრომლო.

კინოცენტრი ახალი დირექტორის მოლოდინში

კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპის შემდეგ დანიშნულ გასაუბრებას მრჩეველთა საბჭო შეუერთდება, რომელიც თორმეტი სხვადასხვა ხელოვანისგან იქნება დაკომპლექტებული. როგორც კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი აცხადებს, გადაწყვეტილება ერთპიროვნულად და ერთი კაცის მიერ არ უნდა იქნეს მიღებული.

მოამზადა ქეთი საგინაშვილმა

სარეკლამო
სარევამარტო აქცია
პროდუქცია თვითღირებულებით...
+საჩუქარი შენაძენზე...
ელექტრონიკა
დაბალი ფასების ტერიტორია
აქცია ძალაშია 2013 წლის 4 მარტიდან 10 მარტის ჩათვლით
INDESIT WIN81
399
800 ბრ. 5 კგ.
INDESIT WIN101
449
1000 ბრ. 5 კგ.
კვირის შეთავაზება:
INDESIT Hotpoint ARISTON
მსოფლიოში ცნობილი ბრენდების ინდეზიტისა და ჰოტპოინტ-არისტონის გაზქურის, გამაცხელებელი ზედაპირისა და ღუმელის შეძენისას - საჩუქრად
იტალიური წარმოების აირგამწოვი
INDESIT SB 15020
599
243 ლიტრი თეთრი
INDESIT NTA 16 R
599
296 ლიტრი A კლასი თეთრი
INDESIT NBA20 D FNF
999
366 ლიტრი A კლასი მშრალი FNF თეთრი
Hotpoint ARISTON HBM 1201.4 V
1099
339 ლიტრი A კლასი კონდიცირებადი სისტემა თეთრი
INDESIT IWC 5085 EcoTime
499
800 ბრ. 5 კგ.
INDESIT IWSD 6105 EcoTime
599
1000 ბრ. 6 კგ.
Hotpoint ARISTON AR 63
499
600 ბრ. 5 კგ.
Hotpoint ARISTON AR 83
549
800 ბრ. 5 კგ.
19 ლარიდან
23 ლარიდან
25 ლარიდან
25 ლარიდან
25 ლარიდან
29 ლარიდან
29 ლარიდან
35 ლარიდან
45 ლარიდან
69 ლარიდან
99 ლარიდან
99 ლარიდან
129 ლარიდან
179 ლარიდან
189 ლარიდან
349 ლარიდან
საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 4, ტელ: 2-359-490
საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 39. ტელ: 2-236-008
დიღომი, ბელიაშვილის 8. ტელ: 2-518-815
სავ. ცენტრი "მეგალაინი", პავ. 87-89. ტელ: 2-478-672
ისანი, ბაზრობის მიმდ. ტერიტორია, ტელ: 2-478-676
რუსთავი, შარტავას გამზ. №4. ტელ: 2-146-765
გორი, გურამიშვილის №1. ტელ: 0-370-224-257
ქუთაისი, რუსთაველის 97/99. ტელ: 0-431-243-482
თელავი. ჭავჭავაძის №52. ტელ: 2-238-662
ბათუმი, ჭავჭავაძის 21. ტელ: 0-422-293-179
ქობულეთი, აღმაშენებლის 16, ტელ: 0-426-261-033
ოზურგეთი, ჭავჭავაძის 14, ტელ: 0-422-293-148
ჩხოროწყუ, მშვიდობის 2, ტელ: 7-90-970-555
და კიდევ, საუკეთესო ხარისხის 1000-ზე მეტი დასახელების საქონელი
SAMSUNG TOSHIBA SONY Hotpoint ARISTON Panasonic THOMSON PHILIPS TEFAL INDESIT Rowenta Moulinex
ელექტრონიკა
დაბალი ფასების ტერიტორია
ტელ: 2 518 815

„ოსკაროსანთა“ კონფუზი ანუ გამარჯვებულთა „მარცხი“

„ოსკარის“ რიგით 85-ე დაჯილდოების გრანდიოზული ცერემონია 24 თებერვალს ლოს-ანჯელესში, „დოლბის“ თეატრში გაიმართა.

საუკეთესო ფილმი გახდა ბენ აფლეკის პოლიტიკური თრილერი „ოპერაცია „არგო“, რომელსაც საფუძვლად რეალური ამბავი — თეირანში 6 ამერიკელი დიპლომატის გადარჩენა დაედო.

მთავარი როლის შესრულებისთვის გამარჯვებული მსახიობები კი გახდნენ: ჯენიფერ ლოურენსი („ჩემი მეგობარი ვაჟი გიჟია“) და დანიელ დეი-ლუისი („ლინკოლნი“), ხოლო **მეორე ხარისხის როლებ-ის** შემსრულებელთაგან „ოსკარის“ ქანდაკება წილად ენ ჰეტეუეის („უარყოფილნი“) და კრისტოფ უალცს („ჯანგო“) ხვდათ.

საუკეთესო რეჟისორის ჯილდო ერგო ენგ ლის („პის ცხოვრება“). **საუკეთესო სცენარის** ავტორისა კი — კვენტინ ტარანტინოს („ჯანგო“).

დაჯილდოებულთაგან ყველაზე დიდი კონფუზი ჯენიფერ ლოურენსს მოუვიდა — 22 წლის „დამწყები ვარსკვლავი“, რომელსაც რამდენიმე წლის წინ არავინ იცნობდა, გამარჯვებულად გამოცხადებისას ისე აღელდა, რომ „დიორის“ საზეიმო კაბის გრძელ შლეიფსა და ნაკეცებში გაიხლართა და მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ დაეცა. თუმცა ყველაფერი ამით არ დამთავრებულა — ახალი „ოსკაროსანი“ ისე გამწარდა, რომ პრესის ოთახში ჩასაფრებულ პაპარაცებს შუათითი უჩვენა!

დამსწრეებმა იუმორით აღნიშნეს, როგორც ჩანს, ჯენიფერს შარშანდელი წყენა არ განელებიაო — საქმე ის არის, რომ 2012 წელს კინომსახიობთა გილდიის პრემიებით დაჯილდოებისას ვიღაცამ სკამის ფეხი შემთხვევით ჯენიფერის კაბას შლეიფზე დაადგა, წამოდგომისას კი კაბის ქვედა ნაწილი მთლიანად ჩამოიხა და ლოურენსი პრაქტიკულად შიშველი დარჩა.

წლის საუკეთესო ფილმი — ბენ აფლეკის პოლიტიკური თრილერი „ოპერაცია „არგო“

რაც შეეხება მეორე გამაჯვებულს, ქალბატონ ენ ჰეტეუეის, თავგადასავლის გარეშე არც ის დარჩენილა: მისი „პრადას“ კაბის მკერდზე არსებულმა ორმა ორიგინალურმა „წვეტმა“ მაყურებელზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ „ტვიტერზე“ ჰეტეუეის მკერდს მთელი მსოფლიო განიხილავდა, ისევე როგორც შარშანდელი „ოსკარის“ ცერემონიაზე ანჯელინა ჯოლის ფეხს, თუმცა კომენტარების რაოდენობით ჰეტეუეიმ ბევრად გადააჭარბა...

„ოსკარზე“ ტრადიციულად „ყველაზე ცუდად ჩაცმული ლამაზმანები“ გამოავლინეს. ყველაზე დიდი კრიტიკა ჰოლი ბერის ბრჭყვიალა სამოსს ხვდა წილად — მცოდნეთა აზრით, ვერტიკალურმა ზოლებმა და წვეტიანმა მხრებმა, მისი უზადო ქალური ფიგურა მეტისმეტად „კვადრატულად“ აქცია.

სასაცილო კი ის არის, რომ „კაბის გამო“ მიიპყრო რეპორტიორების ყურადღება მთავარმა გამარჯვებულმა ბენ აფლეკმაც: ბედნიერი და დაბნეული „ოსკაროსანი“ წამდაუწუმ ცოლის კაბის გრძელ შლეიფზე აბიჯებდა ფეხს.



ჯენიფერ ლოურენსი „დიორის“ საზეიმო კაბის გრძელ შლეიფსა და ნაკეცებში გაიხლართა და მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ დაეცა. „ოსკაროსანი“ ისე გამწარდა, რომ პაპარაცებს შუათითი უჩვენა!

„პრადას“ კაბის მკერდზე არსებულმა ორმა ორიგინალურმა „წვეტმა“ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ „ტვიტერზე“ ჰეტეუეის მკერდს მსოფლიო განიხილავდა

მთავარმა გამარჯვებულმა ბენ აფლეკმაც „კაბის გამო“ მიიპყრო რეპორტიორების ყურადღება — ბედნიერი და დაბნეული წამდაუწუმ ცოლის კაბის გრძელ შლეიფზე აბიჯებდა ფეხს

„ყველაზე ცუდად ჩაცმული ლამაზმანი“ ჰოლი ბერი გამოდგა. მცოდნეთა აზრით, ვერტიკალურმა ზოლებმა და წვეტიანმა მხრებმა მისი უზადო ქალური ფიგურა მეტისმეტად „კვადრატულად“ აქცია

„ეზელი“ – სპეციალურად ჩვენი მაყურებლისთვის

ნახეთ! გაზაფხულიდან გრანდიოზული პრემიერა პალიტრა TV-ზე

უახლესი ტექნოლოგიებით შექმნილი კინოპროდუქცია საუკეთესო შემოქმედებითმა ჯგუფმა გადაიღო, რაც თურქულ კინოფესტივალებზე საუკეთესოდ აღიარეს და მრავალი ჯილდოც გადასცეს.

ფილმის მთავარი როლების შემსრულებლები — კენან იმირზალი ოლღუ და ჯანსუ დერე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საოცრად პოპულარულები არიან

გაზაფხულიდან „პალიტრა TV“ განსაკუთრებით საინტერესო გახდება სერიალების მოყვარულთათვის, — მარტიდან ეთერში გავა მაღალრეიტინგული და მაღალბიუჯეტიანი თურქული სერიალი „ეზელი“ („სამარადისო“). ვფიქრობთ, ისევე როგორც მრავალი ქვეყნის მაყურებელში, ფილმი ქართველებშიც დიდ ინტერესს გამოიწვევს.

„ეზელის“ სიუჟეტი ძალიან ჰგავს ალექსანდრე დიუმას ცნობილ ნაწარმოებს „გრაფ მონტე-კრისტოს“. მოვლენები კვიპროსის თურქულ ნაწილში, თანამედროვე თურქეთში ვითარდება, სადაც მთავარი გმირი უახლოესი ადამიანებისგან მიყენებული ტკივილის მოსაშუშებლად და შურის საძიებლად იბრძვის. ფილმი რამდენიმე მიზეზის გამო არ ჰგავს ჩვეულებრივ ტელესერიალებს. მიუხედავად იმისა, რომ პოპულარული ნაწარმოების სიუჟეტი აქვს, არ არის ფრანგი გრაფის ცხოვრების განმეორება და არ ჯდება „საპნის ოპერის“ ჩარჩოში. ამასთან, უახლესი ტექნოლოგიებით შექმნილი კინოპროდუქცია საუკეთესო შემოქმედებითმა ჯგუფმა გადაიღო, რაც თურქულ კინოფესტივალებზე საუკეთესოდ აღიარეს და მრავალი ჯილდოც გადასცეს. აღსანიშნავია, რომ ფილმის მთავარი როლების შემსრულებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საოცრად პოპულარულები არიან.

სერიალის მთავარი გმირია ომერი — ახალგაზრდა, რომელსაც შეყვარებული ჰყავს და აპირებს არმიიდან დაბრუნების შემდეგ იქორწინოს. მოვლენები კი ტრაგიკულად ვითარდება. ომერს მკვლელობის გამო აპატიმრებენ. მოგვიანებით ირკვევა, რომ მის წინააღმდეგ სახიფათო თამაში წამოიწყეს მეგობარმა გოგონამ და საუკეთესო მეგობრებმა. ომერი ციხეში თანასაკნელის ფსიქოლოგიური გავლენის შემდეგ საკუთარ თავში კლავს ადამიანს, რომელიც პატიმრობამდე სიცოცხლით ხარობდა და შურისძიების სასტიკ გზას ირჩევს. ბოროტების წილ ბოროტება — ეს მისი მთავარი სამოქმედო მოტივია. ის დაუნდობელი ხდება, თუმცა, ეს არ არის ომერის საბოლოო სახე...

„ეზელი“ არის ფილმი, სადაც საინტერესოდ არის წარმოჩენილი თანამედროვე და ძველი თურქული ტრადიციები, საზოგადოების სახე, ცხოვრების წესი...

2011 წლიდან საერთაშორისო ბაზარზე გამოჩენილმა სერიალმა უამრავი ქვეყნის მაყურებელი დაატყვევა და რაც მთავარია, თურქული კინოს და სერიალების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გააჩინა.

მთავარი როლის შემსრულებელია კენან იმირზალი ოღლუ. მას თურქეთში „ვარსკვლავად დაბადებულს“ უწოდებენ. თუმცა, აღიარებამდე დიდი გზა და ბევრი შრომა დასჭირდა. 1974 წლის 18 ივნისს ანკარაში დაბადებული მსახიობი „ეზელამდე“ ცნობილი იყო როგორც მოდელი. შესანიშნავი გარეგნული მონაცემების წყალობით უამრავ რეკლამაში გადაიღეს და საუკეთესო მოდელის სტატუსით პოდიუმის „თურქულ საზღვრებსაც“ მალე გასცდა. 1999 წელს პირველ სერიალში გადაიღეს, რასაც სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმებში მიწვევებიც მოჰყვა, მაგრამ გამარჯვების პიკი „ეზელი“ აღმოჩნდა — სწორედ ამ სერიალმა მოუტანა აღიარება, კენანი „ეზელმა“ კინოვარსკვლავად აქცია. არადა, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ოცნებობდა, მათემატიკის მასწავლებელი გამხდარიყო და სამოდელო სააგენტოებსაც იმ იმედით მიმართა, რომ უფრო იოლად შეძლებდა სასურველი უმაღლესი განათლების მისაღებად ფულის შოვნას.

ფილმში ომერის მეგობარი გოგონას, ეიშანის როლს მშვენიერი ჯანსუ დერე ასრულებს. კენანისა და ჯანსუს კარიერა ერთმანეთისას ჰგავს და განსხვავდება კიდეც. ჯანსუ უკვე 33 წლის ხდება. პროფესიით არქეოლოგია. მოდელობაზე არც უფიქრია, მაგრამ მშვენიერ სტუდენტს ჯერ კიდევ სწავლისას დაადგეს თვალი სამოდელო სააგენტოებმა, როცა უნივერსიტეტის სილამაზის კონკურსში გაიმარჯვა. ამას მოჰყვა 2000 წელს საერთაშორისო სილამაზის კონკურსზე წარმატება და გზაც გაიხსნა თურქეთის, პარიზისა და მილანის პოდიუმებზე. „ეზელი“ ჯანსუსთვისაც ტრიუმფის მომტანი აღმოჩნდა.

მაშ ასე, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო და გაზაფხულიდან ნახეთ გრანდიოზული პრემიერა „პალიტრა TV“-ზე.

ეკა ლომძე







1. ლექსის სტრიქონი
2. ესპანეთის ფეხბურთის გუნდი
3. მუს. ნაწარმოების შესავალი
4. თავადის ტიტული ინდოეთში
5. ხელოვნების დარგი
6. პეპლების დასაჭერი ხელსაწყო
7. მოუხარშავი ან შეუწველი
8. ნაბოკოვის რომანი
9. „კაცია ადამიანის“ პერსონაჟი
10. სუსტი ქარი
11. გერმანული სპორტ. საქონლის ფირმა
12. მკვახე, შემოუხვლელი ხილი
13. შეჯიბრების დაწყების მომენტი
14. ქვეყანა აზიაში
15. დანიას ფილმი
16. ხელით ნაქსოვი კედლის ხალიჩა
17. უვარგისი ქაღალდები
18. ცელქი, ასული
19. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ხოლი
20. ყირიმის კურორტი
21. სახალხო კრება ძვ. რუსეთში
22. უდაბნო აფრიკაში
23. ფრინველი
24. ლატვიის დედაქალაქი
25. ლეო ესაკიას ფილმი
26. მტკიცე პირობა
27. ღია, მკრთალი
28. გარიჟრაჟი, განთიადი
29. შავი ფისი
30. ქვეყანა ევროპაში
31. ფეხბურთის მეფე
32. ბრტყლად შემწვარი ვარია
33. ფეხბურთელის ფეხსაცმელი
34. ექსპერიმენტი
35. ჭიკარტი
36. ღვინის ობი
37. აკაკი წერეთლის ლექსი
38. საპყრობილე
39. ქალაქი საქართველოში
40. სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება
41. შთამომავლობის თითოეული საფეხური
42. ძაღლის ჯიში
43. ტრაქტა
44. ნორვეგიის დედაქალაქი
45. „თავისუფლების კუნძული“
46. ჩალის ზვინი
47. ნარკოტიკი
48. ქვეყანა ბალტიისპირეთში
49. მარცვლეულის სალეწი ადგილი
50. ესპანელი ფერმწერი
51. ტროპიკული ხილი
52. პაპა
53. ანტილოპის სახეობა

№9 სკანვორდის პასუხები: 1. ლისაბონი; 2. ადვილი; 3. პლედი; 4. ღობე; 5. ფოლი; 6. გვრიტა; 7. კომოდი; 8. ეკლესია; 9. ფანერა; 10. სპაგეტი; 11. როტონდა; 12. კაკინი; 13. მინსკი; 14. ნეპალი; 15. ემი; 16. კაეშანი; 17. ლინდგრენი; 18. სურიკოვი; 19. ლილო; 20. ტინი; 21. ევა; 22. უსაცრი; 23. ტოკიო; 24. ნიორი; 25. ასო; 26. არსი; 27. მადა; 28. აპრილი; 29. სწუკური; 30. ტენორი; 31. ნასა; 32. კოლოფი; 33. ურა; 34. კაკალუ; 35. ატილა; 36. ლიეფრაული; 37. ოდესა; 38. კოლეგია; 39. სოფარი; 40. კორიდორი; 41. რაუნდი; 42. ვაფლი; 43. ქუდი; 44. ფსიტა; 45. დოლარი; 46. შეკერი; 47. კოკა; 48. რადარი; 49. პარადი; 50. რაჭა; 51. ლაკუი; 52. ირანი.

სურათებზე: 1. ლაუდა; 2. სპეისი; 3. ასტონ მარტინი; 4. ლიონი; 5. ნისონი.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

„სამი მაქორიწარული ოლქი ივანიშვილმა პარლამენტს გარეთ დარჩენილ პარტიებს უნდა დაუთმოს“



„იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის საქმიანობაში შეინიშნება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, პარლამენტის 1/3-ს აქვს უფლება, დასვას მისი იმპიჩმენტის საკითხი და გადააყენოს... თუ სამართლიანობის აღდგენის პროცესი გაჭიანურდება, ხალხი თვითონ ეცდება აღასრულოს სამართალი, რაც ძალზე საშიშია...

„კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტის მოთხოვნას რატომ არ აყენებს უმრავლესობა?“

(დასაწყისი გვ. 13)

ეს ხალხი დღეს რომ ჩუმად არის და ახალ მინისტრს უცინის, არ ნიშნავს, რომ უკან დაიხევს, როდესაც სხვადასხვა უწყებაში პრობლემების შექმნას დაავალებენ. „ნაცმოძრაობამ“ კარგად იცის, რომ არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება. მისი ერთადერთი გზა არის საბოტაჟი, სახელისუფლებო ინსტიტუტების ავტორიტეტის შელახვა, სახელმწიფოებრიობის ჩამოშლა, ხელისუფლების დასუსტება და მერე ძალაუფლების უზურპაცია. ამიტომაც ლაპარაკობს სააკაშვილი ისეთ თემებზე, რაც შეიძლება მოკლე ხანში სერიოზულ პრობლემად გადაიქცეს. სააკაშვილმა მიანიშნა სამეგრელოში, ჯავახეთსა და მარნეულში სეპარატიზმის ნიშნებზე. ის ყველგან ტოვებს ისეთ კერებს, რომელიც არავინ იცის, როდის აფეთქდება. ვინ არის დარწმუნებული, რომ ვიღაცის სეიფში არ ინახება ინფორმაცია რეგიონებში მცხოვრები ორგანიზებული ჯგუფების ლიდერებზე, რაც მათ აიძულებს ანტისახელმწიფოებრივი საქმეების გაკეთებას? თვეების წინ სოზარ სუბარი ლაპარაკობდა კონსპირაციულ ბინებში გადამალულ დიდი რაოდენობის იარაღზე. არის ის ამოღებული? „ქართული ოცნება“ ამბობდა, რომ რეგიონებში რაღაც მიზნით ავარჯიშებდნენ შეიარაღებულ ჯგუფებს. დადგენილი არიან ეს პირები? სააკაშვილს ძალიანაც უნდა გამოიყენოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება და მთავრობა დაითხოვოს, მაგრამ იცის, ეს რომ გააკეთოს, შესაძლოა ისეთი პროტესტი მიიღოს, რომ დღევანდელი კოჰაბიტაციაც კი ტკბილ მოგონებად დარჩეს. ამ ბერკეტის გამოყენების მუქარით სააკაშვილი ქვეყანაში არასტაბილურ ვითარებას ქმნის, რაც აისახება ბიზნესსა და ინვესტიციების შემოსვლაზე. ზოგი კითხულობს, სააკაშვილი რატომ არ იყენებს ამ ბერკეტს, ან თუ არ იყენებს, დათმოსო. ბერკეტის არდათმობით ის ძალის დემონსტრირებას ახდენს მხარდამჭერების დასანახავად და ქმნის მოლოდინს, რომ ისევ შეიძლება დაბრუნდეს. იმავდროულად, ამ ბერკეტის წყალობით ის ხელისუფლებასთან ვაჭრობს, რათა პოლიტიკური და ფინანსური ხელშეუხებლობა მიიღოს.

— **და მაინც, რა შანსი აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“?**

— „ნაცმოძრაობა“ დღეს კი თამაშობს დაჩაგრულის როლს, მაგრამ მათ ხელში უამრავი ბერკეტია. მხოლოდ პარლამენტშია უმცირესობაში, თორემ თვითმმართველობას ისევ აკონტროლებს, სასამართლო მის ხელშია; პრეზიდენტს კვლავ აქვს ის ბერკეტები, რითაც შეუძლია პრობლემების შექმნა, ასევე აქვს უცხოელების მხარდაჭერა.

„ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნების შემდგომ თვე-ნახევრის განმავლობაში ძალიან დაბნეული იყო, ელოდა, რომ ახალი ხელისუფლება ისევე მოექცეოდა, როგორც თვითონ მოექცა შევარდნაძის დროინდელ ჩინოვნიკებს, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ახალი ხელისუფლების მიდგომები არ იყო ისეთი სადისტური, როგორიც მისი, ნელნელა გული მოეცა. მას ისევ დარჩა ფინანსური რესურსები, წილებიდან სოლიდური შემოსავლები. „ნაცმოძრაობამ“ ამავე დროს დაინახა ახალი ხელისუფლების ზოგიერთი წევრის არაკომპეტენტურობა, მიიღო ინფორმაცია სხვადასხვა უწყებაში არსებულ ვითარებაზე და შეტევაზე გადავიდა. ახალი ხელისუფლების ზოგიერთი წევრის არაკომპეტენტურობის გამო ვერ იქნა მიღებული სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებები და ამით ისარგებლა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომელსაც თავის მართლების რეჟიმში ჰყავს „ოცნება“.

ბიძინა ივანიშვილმა ხალხის ინტერესების შესაბამისად უნდა იმოქმედოს. დასავლეთს უნდა აუხსნას, რა გადაიტანა ამ ხალხმა 9 წლის განმავლობაში, თორემ „ნაცმოძრაობა“ დასავლეთს თავის სასარგებლო ინფორმაციას ანვდის. ხელოვნური კოჰაბიტაცია იმათ შორის, ვისაც ერთმანეთი ეზიზღებათ, ვერ წარმომიდგენია.

— **თუ „ნაცმოძრაობის“ შანსი არცთუ დიდია, რა დატვირთვა აქვს 19 აპრილის აქციას?**

— „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკური ტემპერატურის აწევას ცდილობს, „ნაცმოძრაობა“ ეცდება, რომ 19 აპრილს ბევრ ხალხს მოუყაროს თავი და არც პროვოკაციაზე იტყვის უარს. ასეთ ვითარებაში „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გათვალოს ყველა შესაძლო საფრთხე და სცენარი, რომ „ნაცმოძრაობას“ არ მისცეს პროვოცირების საშუალება.

— **უცნაურია, რომ ასეთ ვითარებაში სააკაშვილმა დაცვის გარეშე გადაწყვიტა სიარული.**

— ვერ დავიჯერებ, რომ მიხეილ სააკაშვილი დაცვის გარეშე დადის. ეს რომ შეეძლოს, არ იყიდდა ორ სუპერდაჯავშნულ მანქანას, არ ეყოლებოდა ბოლო მოდელის შვეულმფრენი, არ გადაიხდიდა ძალიან ბევრ ფულს უახლესი მოდელის თვითმფრინავისა და უსაფრთხოების კაფსულისათვის. სააკაშვილი ძალიან ნაწყენია ახალ ხელისუფლებაზე, რომ არ მისცეს ცეცხლსასროლი იარაღითა და სპეცკავშირებით აღჭურვილი 1 000 დაცვის წევრი. ამიტომ ქმნის ფონს, რომ დაცვის გარეშე დადის. იცის, რომ სახელმწიფო დაცვა მაინც დაიცავს და განგებ აკეთებს ასეთ განცხადებებს.

ვვარაუდობ, რომ ოქტომბრის მერე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, რაც სტაბილური პოლიტიკური პროცესების განვითარების გარანტია იქნება. მანამდე კი მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნებისთვის“ სტრატეგიულად სწორი იქნება, თუ შუალედურ არჩევნებში 3 მაჟორიტარულ ოლქს ივანიშვილი პარლამენტს გარეთ დარჩენილ ოპოზიციას დაუთმობს. ეს შეიძლება გახდეს ახალი ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქციის შექმნის საფუძველი, რომელიც უმცირესობის კვოტას საბოლოოდ გახლეჩს.

იზო რკაძე

თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის მორიგი ფინანსური ანგარიში საზოგადოებას

თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაცია 2013 წლის მეორე ფინანსურ ანგარიშს აქვეყნებს. წინამდებარე ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის მიერ 2013 წლის თებერვალში გაწეულ ხარჯებს.

პირველი თებერვლისთვის, ორგანიზაციის ანგარიშზე, ნაშთის სახით, დარჩენილი იყო 69.047.06 ლარი. თებერვლის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 62.561.46 ლარი. 2013 წლის 21თებერვალს ორგანიზაციამ მიიღო გრანტი 271.526 ლარის ოდენობით.

ორგანიზაციის მიერ 2013 წლის თებერვალში გაწეული ხარჯები, დეტალურად, თანდართულ ცხრილშია წარმოდგენლი.

თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის მიერ ერთი თვის განმავლობაში გაწეული ხარჯები (ლარებში) 01.02..2013 – 01.03.2013

შემოსავლები

№	თანხა	შენიშვნა
1.	69047.06	ნაშთი 2013 წლის 1 თებერვლისთვის
2	271526	გრანტი, ჩარიცხული - 21.02.2013

ხარჯვითი ნაწილი

№	დანიშნულება	ფაქტიური ხარჯი	შენიშვნა
1.	ხელფასები	34 708	
2.	ბიუჯეტში ხელფასიდან გადარიცხული საშემოსავლო გადასახადი	8 000	
3.	საწვავი	10 635	
4.	ბანკის მომსახურება	18.68	
5.	ლოჯისტიკის ცენტრების იჯარა	3 839.81	
6.	ოფისის იჯარა	1 590.72	
7.	ოფისის კომუნალური გადასახადები	582.25	
8.	ინტერნეტმომსახურება	70	
9.	კორპორატიული ტელეფონების სააბონენტო გადასახადი	1 060	.
10.	დაზღვევა	2 057	
ჯამი		**62 561.46**	
ნაშთი, 2013 წლის 1 მარტისთვის		**278 011.60**	



მედიცინა

რეალური დაავადება თუ არასწორი ცხოვრების წესი

ჯანმრთელობის რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს მოზარდი, როდის არის მიზანშეწონილი და აუცილებელი ექიმთან მისვლა, როდის არის გამართლებული ჰორმონოთერაპია, ამ და სხვა საკითხებზე მოგვითხრობს მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ***ბესარიონ ტყეშელაშვილი:***

მთავარი პრობლემა

დედათა სიკვდილიანობის სიხშირე, თვალსაჩინო მაჩვენებელია იმისა, თუ რა ხდება მეან-გინეკოლოგიაში. ეს მხოლოდ მწვერვალია პირამიდისა, რომლის მთავარი მიზეზი პროფესიული განათლების განახლების პროცესის მოუწესრიგებლობაა. ექიმმა თუ დაავადების გამომწვევი მიზეზი არ იცის, ე.ი. ვერ მკურნალობს სწორად, დაავადება კი თავისი გზით მიდის. სიტუაცია ხშირად კურიოზულია, წარმოუდგენელიც კი: ინიშნება წამალი, რომელიც რეალურად არ კურნავს, პირიქით ისეთ გადახრას იწვევს ორგანიზმში, რაც ბუმერანგივით ბრუნდება უკან და ისევ ძირითადი დაავადების განვითარებას უწყობს ხელს. თუ კარგად წავიკითხავთ ბაზისურ ინფორმაციას, თუნდაც წამლის ანოტაციას, კარგად დავაკვირდებით პაციენტს მკურნალობის პროცესში და შემდგომ, ბევრი რამ თვალნათელი გახდება. ექიმმა არ უნდა დაკარგოს სიფრთხილის გრძნობა — არ ავნო! რაც მხოლოდ შესაბამის ცოდნას მოაქვს, თანაც მუდმივად განახლებადს.

არასწორი მკურნალობის მსხვერპლი

გინეკოლოგთან მისვლის ყველაზე ხშირი მიზეზი გათხოვებამდე არეული და მტკივნეული მენზესი, ე.წ. ანთებები, სისხლდენებია, შემდეგ კი იმავე პაციენტების ორსულობასთან დაკავშირებული პრობლემები. არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ ექიმს არ უნდა მივაკითხოთ, მაგრამ ხომ შეიძლება ჯერ დავფიქრდეთ, თუ როგორ ვცხოვრობთ, რამ შეიძლება განაპირობოს ჩვენი უღონობა, უხასიათობა, ციკლის დარღვევა, თავის ტკივილი, გულის ფრიალი, სიმსუქნე, ეგეც ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ცხოვრების არაჯანსაღი წესის შედეგებია და არავითარ შემთხვევაში დაავადება?

ჰორმონოთერაპია მოზარდებში

ჰორმონული დარღვევები მოზარდებში უფრო ხშირად განპირობებულია არა რეალური დაავადებებით, არამედ არასწორი ცხოვრების წესით. ბავშვები გვიან იძინებენ და იღვიძებენ, აქვთ ავადმყოფური გადახრები წონის მატების შიშთან დაკავშირებით, შიმშილობენ ან მიირთმევენ ბევრ ისეთ საკვებს, რომელიც ყველაზე მავნე პროდუქტების ოფიციალურ სიაშია შეყვანილი. აი, ასეთ ბავშვებს ციკლის დარღვევის, გათმიანებისა და სხვა დარღვევების გამო, ენიშნებათ ჰორმონი, არადა ეს ის შემთხვევაა, როდესაც აუცილებელია, რომ ექიმმა როგორმე გააგებინოს მოზარდს, რომ რაკიღა არ იძინებს თავის დროზე, არ საუზმობს, არ იღვიძებს, მიირთმევს ბევრ ტკბილს ზოგჯერ მშიერ კუჭზე, ამიტომ არის ცუდად, ამიტომ არა აქვს ციკლი, ამიტომ აქვს მტკივნეული მენსტრუაცია, ამიტომ ამოუვიდა წვერ-ულვაში. უნდა გააგებინოს მას და თავადაც იცოდეს, რომ ამ პრობლემებს ჰორმონული მკურნალობა კი არ მოუწესრიგებს, არამედ ცხოვრების ჯანსაღი წესი.

გოგონების გათმიანება

ასეთ ავადმყოფურ სიტუაციაში დაწყებული სქესობრივი ცხოვრება ამ საკითხს ნამდვილად ვერ აგვარებს, პირიქით, ძალიან ხშირად პრობლემებს უმატებს მოზარდსაც და ზრდასრულსაც. განაპირობებს მტკივნეულ სქესობრივ აქტს, რაც თავის მხრივ უკვე დარღვევაა და ახალ დარღვევებს აჩენს: შიშს ან დაუკმაყოფილებლობის განცდას, სხვა გადახრებს. მერე ასეთი გოგონები სხვადასხვა გზას ირჩევენ პრობლემის მოსაგვარებლად — ვის რას უკარნახებს აღზრდა და გონება — ზოგი მრავალ პარტნიორთან იწყებს ურთიერთობას, ზოგი კი ასკეტურ გზას ირჩევს. გოგონების ჭარბთმიანობა სერიოზული პრობლემაა საქართველოში. ამ საკითხთან დაკავშირებით, სპეციალური კითხვარის საშუალებით გამოვკითხეთ 16-დან 20 წლამდე ასაკის 3500 გოგონა. ჭარბთმიანობის პრობლემა 28%-ს აღმოაჩნდა. ალბათ, არ არის ცოტა, მით უფრო, რომ ეს როგორც

სამედიცინო, ასევე სოციალური პრობლემაა. ასეთი გოგონების დიდი უმრავლესობა, ხვდებიან რა რეპროდუქტოლოგებთან, იწყებენ ჰორმონების მიღებას, რეალურად მათ უდიდეს უმრავლესობას ეს წამლები არ სჭირდება, რადგან აღნიშნული მდგომარეობის მიზეზი არაჯანსაღი ცხოვრების წესი, ქრონიკული სტრესია, რის შედეგადაც ირღვევა თანაფარდობა ქალისა და მამაკაცის ჰორმონებს შორის: ქვეითდება ქალური ჰორმონების რაოდენობა, ფარდობითად მაღალია მამაკაცური. აქედან გამომდინარე, სწორი სტრატეგია იქნება ქალური ჰორმონის დონის აწევა და არა მამაკაცურის დაწევა, რასაც ითვალისწინებს ჰორმონის დანიშვნა. გარდა ამისა, მამაკაცური ჰორმონის დამწევი საშუალება პოტენციური დიაბეტოგენია, რაც გარკვევით აწერია წამლის ანოტაციას. ხშირად პაციენტს ეწყება გაცხიმოვნება, სქესობრივი ლტოლვის შესუსტება ან გაქრობა. სიმსუქნეს შეუძლია თავის მხრივ განაპირობოს ჭარბთმიანობა. გამოდის, რომ უმრავლეს შემთხვევაში, მსგავსი ტიპის ჩარევა არათუ ნაკლებად ეფექტური, არამედ საზიანოცაა. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული ტიპის პაციენტების მართვის საკითხი დიდ სიფრთხილეს და დაკვირვებას მოითხოვს ექიმისგან.

როგორ უნდა დაიკლოს ქალმა წონაში

არ შეიძლება, ქალი კაცივით ავარჯიშო და არბენინო. მისთვის არც ღამის ტეხა შეიძლება, რაც დადასტურებულად ზრდის ავადობას ყველა მიმართულებით, აბერებს, აბერწებს. ახლა გოგონებზე ვსაუბრობთ, მაგრამ რა დააშავეს 30-40 წელს მიღწეულმა ქალებმა? როგორ შეიძლება ახალგაზრდა ქალს, რომელიც ჩამოყალიბებული ჰიპერტონიკია, დაუნიშნო წნევის წამალი, რომელიც მთელი ცხოვრება უნდა სვას და არ ჰკითხო მოწესრიგებული აქვს თუ არა ძილი ან კვება? კვებაზე გეტყვით, დღეს ერთერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა ნაყოფის სიმახინჯეებით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლები. დადგინდა, რომ მსუქან და დიაბეტიან ქალებს 4-ჯერ უფრო ხშირად უვითარდებათ აღნიშნული პრობლემები.

მაგრამ რას მივყავართ სიმსუქნემდე და დიაბეტამდე? რა თქმა უნდა, არასწორ კვებას და უამრავ ტკბილ საკვებ-სასმელს, რომლებიც ხელოვნურ დამატკბობლებს შეიცავს. დადასტურებულია აღნიშნული ნივთიერებების და საერთოდ ტკბილის ჭარბი მოხმარების ონკოლოგიური „მისწრაფებებიც“. ძნელია წარმოიდგინო სამყარო ამ ცდუნებების გარეშე, მაგრამ, ალბათ შეზღუდულად უნდა მოვიხმაროთ.

ქალის სამსახური

ღამისთევა ქალისთვის, რომელმაც ბავშვი უნდა გააჩინოს, უბრალოდ, არ შეიძლება. ადამიანი ლიმონივით თუ გამოწურე, ის ვეღარც შვილს გააჩენს და ვეღარც ოჯახს მოუვლის. რამდენიმე დღის წინ ჩეხეთში მცხოვრებმა ქალმა მომაკითხა კონსულტაციისთვის და იცით რა მითხრა? ჩვენთან, დილის 6 საათზე ვიწყებთ მუშაობას და შუადღის 2 საათზე ვამთავრებთო. რომელზე იძინებთ-მეთქი, დამაინტერესა. 9-ზე უკვე ვწევარო. კი ბატონო, 6-ზე ნუ დავიწყებთ, მაგრამ 8-ზე დავიწყოთ, იმისთვის რომ ბუნებრივ ბიორიტმს მოვერგოთ.

დეა ცუცქირიძე

თაფლი – უნიკალური მკურნალი

ანტიკური ხანის უდიდესი სწავლულები ამტკიცებდნენ, რომ ხანგრძლივ სიცოცხლეს თაფლს უნდა უმადლოდნენ.

თაფლი შეიცავს ყველა მინერალურ მარილს, A, C, H, PP ვიტამინებს, სხვადასხვა მჟავას, სწორედაც ორგანული მჟავები აძლევენ მას განუმეორებელ გემოს. შედგება 70-80%-ზე მეტი ნახშირწყლებისგან (უპირატესად, ფრუქტოზით). მეცნიერთა აზრით, თაფლი აუმჯობესებს მეხსიერებას და ამშვიდებს ნერვებს, რაც დაკავშირებულია ანტიოქსიდანტებთან, რომლებსაც ის პროდუქტი შეიცავს. გარდა იმისა, რომ თაფლი კურნავს ჭრილობებსა და წყლულებს, წარმატებით იყენებენ ძვლებისა და კუჭის კიბოს მკურნალობისთვის.

ამერიკელმა ონკოლარინგოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ თაფლს შეუძლია ეფექტურად შეებრძოლოს ქრონიკული სურდოს გამომწვევ ბაქტერიებს. ბულგარელმა მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ჰიპერტონიით დაავადებულებს თაფლისა და ყვავილის მტვრით მკურნალობისას უმჯობესდებოდათ მდგომარეობა. მეფუტკრეები ამბობენ, რომ არსებობს თაფლის 50 სახეობაზე მეტი. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

ცაცხვის თაფლი ძალიან სურნელოვანია, გამჭვირვალე და ყველაზე პოპულარული. შველის გაცივებას, ოფლმდენია, სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის, შვლის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებას, ნევროზს, უძილობას. რეკომენდებულია თირკმლებისა და შარდის ბუშტის დაავადებების დროს.

აკაციის თაფლი გემოთი და სამკურნალო თვისებებით ცაცხვისას არ ჩამორჩება. განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვების ჯანმრთელობისთვის და შარდსასქესო სისტემის დაავადებების სამკურნალოდ.

წიწიბურის თაფლი რეკომენდებულია ანემიის, ავიტამინოზისა და დაქვეითებული იმუნიტეტის დროს. სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა ძიძოს, სამყურას, თავშავას, ქინძის, პიტნის, მზესუმზირის, ბაბუაწვერას თაფლი და სხვ.

მთავარია, თაფლი ისე გამოვიყენოთ, რომ არ დაიკარგოს მასში შემავალი ვიტამინები, მინერალები და მჟავები. ამისთვის საჭიროა დაიცვათ მარტივი წესები: თაფლი შეინახეთ ჰერმეტულად, გრილ და მშრალ ადგილას. არავითარ შემთხვევაში არ გააცხელოთ, არ დაამატოთ ჩაის, მდუღარეს. რომ არ გაცივდეთ, *იმუნიტეტის გასაძლიერებლად* დღეში 3-ჯერ მიიღეთ თითო ჩ/კ თაფლი; თუ მაინც გაცივდით, გახეხილ ნიორს შეურიეთ თანაბარი რაოდენობის თაფლი, მიიღეთ თითო ს/კ ღამით და დააყოლეთ ცხელი წყალი.

სურდოს დროს ცხვირში ჩაიწვეთეთ ცხელ წყალსა და მცენარეულ ზეთში გახსნილი თაფლი 1:1:1-ზე პროპორციით.

ხველების დროს, თუ მაღალი სიცხე არ გაქვთ, დალიეთ ცხელი ჩაი, გულმკერდი დაიზილეთ თაფლით, დაიფარეთ პერგამენტის ქაღალდი, დაიდეთ თბილი შალი. სასიამოვნო სითბოს შეგრძნების შემდეგ, კარგად გაიწმინდეთ ცხელი წყლით, გაიმშრალეთ და წაისვით ევკალიპტის ზეთი, რადგანაც თაფლი ხშირად იწვევს ალერგიას. ***დილით, სამსახურში წასასვლელად სასიამოვნო გუნება-განწყობილებას შეგიქმნით,*** თუ შეჭამთ თაფლიან ხაჭოს. 150 გ ხაჭოს დაამატეთ 2 ჩ/კ თაფლი და სურვილისამებრ 50 მლ რძე.

თაფლს არაალერგიული პაციენტებისთვის კოსმეტოლოგიაშიც იყენებენ, მას შეუძლია კანს სინორჩე გაუხანგრძლივოს.

გთავაზობთ სახის კანის თაფლის ნიღბებს:

მშრალი სახის კანის დროს შეურიეთ ერთმანეთს 100გ თაფლი, 1 ც ლიმონის წვენი, წაისვით სახეზე და 15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ გრილი წყლით.

ნორმალური სახის კანისთვის შეურიეთ ერთმანეთს 50 გ თაფლი და 10 წვეთი ნუშის ზეთი, წაისვით სახეზე, 10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლითა და გაიკეთეთ ცხელი კომპრესი.

ᲙᲐᲠᲐᲑᲐᲓᲘᲜᲘ

„კარაბადინის“ რუბრიკისთვის განკუთვნილ მკითხველთა უამრავ წერილს გაზეთის ფორმატი ვერ იტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ეს წერილები ჟურნალში „ოჯახის მკურნალი“ გამოვაქვეყნოთ რუბრიკით — „დავეხმაროთ ერთმანეთს“. შეკითხვები რედაქციაში „კვირის პალიტრის“ ყუთების მეშვეობით საქართველოს ყველა კუთხიდან შემოდის. მათში ხალხში ნაცადი უამრავი რეცეპტია აღწერილი. ასე რომ, ხალხური მედიცინის მოყვარულებს ვურჩევთ, შეიძინონ „ოჯახის მკურნალი“ და გამოიყენონ მკითხველის მიერ მოწოდებული რჩევები.

საშარდე გზებში კენჭები გამიჩნდა. დიდხანს მაწუხებდა ტკივილი წელის არეში. მკურნალობა შედეგს დროებით მაძლევდა, მალე ისევ მეწყებოდა ტკივილი. ხან კენჭის გავლა მქონდა, ხანაც ქვიშის. ბოლოს მივხვდი, რომ ეს დაავადება ჩემი ორგანიზმის თავისებურება იყო და თავად უნდა მეპოვა გამოსავალი. დავიწყე მცენარეული საშუალებების ძებნა. საუკეთესო შედეგი ამ რეცეპტმა მომცა:

ნახევარლიტრიან ქილაში შუამდე ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, აავსეთ არყით და 10 დღით სითბოში დადგით. მერე გაფილტრეთ. მიიღეთ ნაყენი დღეში 2-ჯერ, თითო სუფრის კოვზი ჭამის წინ. სვით, ვიდრე არ გათავდება.

ამ ნაყენის მიღება 5 წლის წინ დავიწყე და მას შემდეგ პერიოდულად ვსვამ. აღარც კი მახსოვს, რა არის შარდკენჭოვანი დაავადება.

გ. გ., თქვენი მკითხველი

ექიმის კომენტარი: ხახვი მდიდარია ბიოაქტიური ნივთიერებებით. განსაკუთრებით ეთეროვანი ზეთით, ფიტონციდებით, რომელსაც ბაქტერიციდული მოქმედება აქვს. ლორწოვანი სუბსტრატი, რომელიც ხახვის შეწვისას გამოიყოფა, ანტიალერგიული ეფექტით ხასიათდება. გარდა ამისა, ხახვი ასტიმულირებს სპერმის გამოყოფას, ზრდის სქესობრივ პოტენციას, გამოიყენება ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონიული დაავადების სამკურნალოდაც. ხახვი მდიდარია ვიტამინებით (C ვიტამინი, პროვიტამინი A, B_1, B_2, PP ვიტამინები). ხახვისგან დამზადებულ ჰომეოპათიურ პრეპარატებს წარმატებით იყენებენ დამწვრობების, ჭრილობების, გაცივების, ალერგიის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, თირკმელ-კენჭოვანი პათოლოგიის სამკურნალოდ.

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲔᲥᲘᲛᲡ

რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ. გაზეთის მცირე ფორმატი ვერ იტევს ყველა შეკითხვას, ამიტომ ზოგიერთ მათგანზე პასუხს იხილავთ ჟურნალ „ოჯახის მკურნალის“ ფურცლებზე, ასევე თქვენთვის საინტერესო უამრავ კითხვაზე პასუხს ნახავთ სამედიცინო ინტერნეტჟურნალში **www. mkurnali.ge** *— ამიერიდან საიტზე შეგიძლიათ გამოგზავნოთ კითხვები, რომლებსაც ექიმი უპასუხებს. თუმცა მათ, ვისაც ინტერნეტსაიტით სარგებლობის საშუალება არ გაქვთ, კითხვები გამოგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთის მეშვეობით.*

— რა იწვევს ღამე, ძილში კბილების კრაჭუნს და როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება?

გმადლობთ, ირინა გ.

— კბილების კრაჭუნი-ბრუქსიზმი საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა. იგი უპირატესად ღამით ვლინდება ხოლმე, დღისით კი ადამიანის კონტროლს ექვემდებარება. ზუსტი გამომწვევი მიზეზი უცნობია. ადრე ფიქრობდნენ, რომ ბრუქსიზმი ჭიებით ინვაზიას უკავშირდებოდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი მეცნიერული მონაცემები არ არსებობს. ბრუქსიზმი უხშირესად ბავშვებში გვხვდება და 7-8 წლის ასაკში თავისთავად გაივლის ხოლმე, თუმცა შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც აღინიშნება უფროსებშიც.

თანამედროვე მონაცემებით, ბრუქსიზმის გამომწვევ ძირითად მიზეზად სახელდება თანკბილვის დარღვევა და ნევროლოგიური პათოლოგიები.

თანკბილვის დარღვევის შემთხვევაში საჭიროა სტომატოლოგის კონსულტაცია. შემდეგ პაციენტს ენიშნება პირშიდა დამცველი რეზინის კაპა ან რბილი პლასტიკატის აპლიკატორი, რომლებიც კბილებს შორის ფიქსირდება და იცავს მათ ტრავმირებისგან. თანაც, ეს დამცავი მოწყობილობები არ იცვითება და ამცირებენ კრაჭუნის ხმას. დამატებითი მკურნალობის სახით ექიმმა შეიძლება დანიშნოს კალციუმის, მაგნიუმის და B ჯგუფის ვიტამინების შემცველი პრეპარატები. ამ მიკროელემენტებითა და ვიტამინებით ორგანიზმის გაჯერება შეამცირებს საღეჭი კუნთების უნებლიე შეკუმშვებს ძილში. ნევროლოგიური პრობლემების გადასაჭრელად ნევროლოგს უნდა მიმართოთ (თუ ბრუქსიზმი უეცრად განუვითარდა ზრდასრულ ადამიანს, აუცილებლად უნდა გამოირიცხოს ღამის ეპილეფსია და თავის ტვინის დაავადებები).

თუ დააკვირდებით, ბრუქსიზმის ინტენსივობა მატულობს სტრესულ სიტუაციაში, ამიტომ უნდა ერიდოთ ასეთ სიტუაციებს.

ᲨᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲐ

ყოველთვის კარგად რომ გამოიყურებოდეთ, დილა-საღამოს 10-წუთიანი მასაჟი გაიკეთეთ.

დაძაბულობას მოგიხსნით — ორივე ხელის თითები დაიწყვეთ შუბლის შუაში, მსუბუქი დაწოლით თითები გადაადგილეთ საფეთქლებისკენ. გაიმეორეთ 6-ჯერ.

შუბლზე ნაოჭები გაქრება — საჩვენებელი თითებით დააწექით მთელ სიგრძეზე წარბებს და მსუბუქად გადაუსვით.

წარბებს შორის (ცხვირის ფუძიდან) ნაოჭები გაქრება, — შუათითით დააწექით ნაოჭებს და საათის ისრების მიმართულებით წრიული მოძრაობით გაიკეთეთ მასაჟი ერთი წუთის განმავლობაში.

წითელი ფერ-უმარილის ნაცვლად — ორივე ხელის თითებით წრიული და ნელი მოძრაობით გაიკეთეთ ლოყებისა და ნიკაპის მასაჟი — ქვევიდან ზევით.

ᲑᲐᲑᲣᲐᲜᲬᲕᲔᲠᲐᲡ ᲡᲘᲙᲕᲗᲔ

ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების დაავადებების დროს: 2 ჩ/კ სამკურნალო ბაბუაწვერას დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და 8 საათი გააჩერეთ. კარგად გაფილტრეთ. სვით 1/4 ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

შარდკენჭოვანი, გასტრიტის, პოდაგრისა და ათეროსკლეროზის დროს: 10გ ბაბუაწვერას დაქუცმაცებულ ფესვებს დაასხით 1ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 2 საათი. გაწურეთ და მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ ნაყენი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 15 წუთით ადრე.

დიაბეტის დროს: 1 ჩ/კ ბაბუაწვერას ფესვებს დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი, 20 წუთი გააჩერეთ, გაწურეთ და მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ ნაყენი დღეში 3-4-ჯერ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

ფურუნკულისა და კანზე გამონაყრის დროს: 1 ს/კ ბაბუაწვერას ფესვებს დაასხით 1ჩ/ჭ ცხელი წყალი და 15 წთ ადუღეთ ნელ ცეცხლზე. გააცივეთ და გაწურეთ მარლაში. მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ ჭამამდე 25 წუთით ადრე 3-ჯერ დღეში.

ართრიტის დროს: 6გ ბაბუაწვერას ღერო-ფოთლებსა და ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი, 10 წუთი ადუღეთ, 1/2 საათი გააჩერეთ, კარგად გაწურეთ და სვით 1ს/კ ნახარში 3-ჯერ დღეში ჭამამდე.

ნაღველკუნჭოვანი და შარდკუნჭოვანი დაავადებების დროს: 2 ს/კ ბაბუაწვერას ფესვებს დაასხით 1/2ლ მდუღარე წყალი და 10 წუთით ადუღეთ ნელ ცეცხლზე. გააჩერეთ 2 საათი. მიიღეთ 0,5ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

ჰიპერტონიის დროს: 10გ ბაბუაწვერას ყვავილს დაასხით 1ჩ/ჭ ცივი წყალი, 15 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე, გაწურეთ. მიიღეთ 1ს/კ ნახარში 4-ჯერ დღეში.

ალერგიის საწინააღმდეგო ნაყენი: შეურიეთ ერთმანეთს ფქვილისებურად დაქუცმაცებული ბაბუაწვერას და ოროვანდის ფესვები. 2 ს/კ ნარევს დაასხით 600მლ წყალი და მთელი ღამე გააჩერეთ. დილით 10 წუთი ადუღეთ და კიდევ 10 წუთი გააჩერეთ, გაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჭიქა ნაყენი 5-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

არარეკომენდებულია ბაბუაწვერას მიღება კუჭის წყლულის, ჰიპერციდული გასტრიტის, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობის დროს და მათთვის, ვისაც ხშირად ეშლება კუჭი.

ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘ „ᲙᲐᲛᲔᲚᲘᲜᲘᲡ“ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲛᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲪᲐ ᲔᲥᲘᲛᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ

საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების ასოციაციამ, რომლის პრეზიდენტია პროფესორი ალექსანდრე თელია, ვიცე პრეზიდენტი პროფესორი გურამ დავითაია, ხოლო სამეცნიერო დირექტორი — პროფესორი ბორის კორსანტია, 2013 წლის 8-18 თებერვალს დაბა ბაკურიანში ჩაატარა პირველი პოლიპროფილური საერთაშორისო სამედიცინო კონფერენცია, რომელშიც ფარმაცევტულ კომპანიებთან და სამედიცინო ცენტრებთან ერთად ფარმაცევტულმა კომპანია „კამელინმაც“ მიიღო აქტიური მონაწილეობა. გვესაუბრება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, აკადემიური დოქტორი ფარმაციაში **ᲪᲘᲪᲘᲜᲝ ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ**.

— კონფერენცია იყო მასშტაბური, მასში მონაწილეობას იღებდნენ სამედიცინო ცენტრების წამყვანი სპეციალისტები, ადგილობრივი და უცხოური ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენლები, რომლებიც წარდგნენ თემატური მოხსენებებითა და პრეზენტაციებით. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ პარლამენტის წარმომადგენლები, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მინისტრის მოადგილეები. კონფერენციის მიზანი გახლდათ ქვეყანაში კლინიკური მედიცინის სხვადასხვა სპეციალობებსა და სუბსპეციალობებში საერთაშორისო სტანდარტებისა და გაიდლაინების დამკვიდრების ხელშეწყობა და სპეციალისტთა შორის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება. მოგეხსენებათ, საქართველოში „კამელინის“ იმუნომამოდულირებელი თვისება კლინიკური კვლევების საფუძველზე (ტუბერკულოზის, დამწვრობით გამოწვეული პათოლოგიების და სტომატოლოგიური დაავადების დროს) შეისწავლა თსსუ-ს სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის იმუნორეაბილიტაციის განყოფილების გამგემ, პროფესორმა ბორის კორსანტიამ, რომელიც ამავე დროს გახლავთ საქართველოს ექიმთა ასოციაციის სამეცნიერო დირექტორი. ბატონი ბორისის შემოთავაზების საფუძველზე ფარმაცევტული კომპანია „კამელინი“ ჩაერთო ბაკურიანში გამართულ კონფერენციაში. 11 თებერვალს, თავად ბატონმა ბორისმა წარადგინა პრეზენტაცია პრეპარატ „კამელინის“ ავტორისდროინდელ და 2004 წლიდან თანამედროვე კლინიკურ და ექსპერიმენტულ კვლევებზე მსოფლიოს უდიდეს სამეცნიერო და სამედიცინო ცენტრებში. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო თსსუ-ის ფარმაცევტული ფაკულტეტის, ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ფარმაცევტ თამაზ მურთაზაშვილის მიერ წარმოებული ინვიტრო კვლევაზე მოხსენება „კამელინის სამკურნალო ფორმების ანტიოქსიდანტური აქტივობა“, ასევე თსსუ-ის დოქტორანტის, სტომატოლოგ ირმა კაჭკაჭიშვილის „კამელინის ეფექტურობა და სტომატოლოგიური ჯანმრთელობის გავლენა სიცოცხლის ხარისხზე“ პრეზენტაციის წარდგენა. მე, როგორც ფარმაციის სპეციალისტმა ვისაუბრე პრეპარატ „კამელინის“ ხუთივე ფორმის ფარმაკოლოგიურ ჩვენებებსა და პრევენციულ ღონისძიებებზე სხვადასხვა დაავადებასთან მიმართებაში. „კამელინის“ სუბსტრატზე წამლის სხვა ფორმების შექმნამ, ასევე ორგანიზმში შეყვანის ახალმა მეთოდებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ამ პრეპარატის კლინიკური გამოყენების სფერო. ჩემმა პრეზენტაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე ექიმთა საზოგადოების მხრიდან, მოხსენებამ მიიღო დისკუსიის ფორმა, პრეპარატ „კამელინზე“ ჩატარებულმა ადგილობრივმა კლინიკური კვლევებით გამყარებულმა შედეგებმა და დასკვნებმა სრულიად დააკმაყოფილა მათი ინტერესი.

მარინა გორგოლაძე, ოფთალმოლოგი. 9 წლის წინ დამიდგინდა ფიბრომატოზულ-კისტოზური მასტოპათია, საჭირო იყო ოპერაციული ჩარევა, მაგრამ ქალბატონმა გუგულიმ (პრეპარატ „კამელინის“ ავტორის მეუღლემ) მომაწოდა პრეპარატი „კამელინი მ1“ — ინიექცია. ერთი თვის შემდეგ დიაგნოსტიკის საფუძველზე კვანძები აღარ დაფიქსირდა, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ დღეს ქალაქ ბათუმში გახლავარ კომპანია „კამელინის“ ექიმი-კონსულტანტი. ჩვენს ქალაქში სხვადასხვა დაავადების დროს კმაყოფილ პაციენტთა რაოდენობა დიდია. შესანიშნავი შედეგები აღინიშნება ოტოლარინგოლოგიაში, გინეკოლოგიაში, კერატიტების დროს ოფთალმოლოგიაში, რევმატული, სწორი ნაწლავის (სანთლების სახით) და ონკოდაავადების დროს, ასევე პროფილაქტიკური თვალსაზრისით, როგორც შესანიშნავი იმუნომოდულატორი. მე, როგორც ექიმი, თამამად ვურჩევ პაციენტს აღნიშნული პრეპარატით მკურნალობას, განსაკუთრებით, კომპლექსურ თერაპიასთან ერთად!

არავინ იცის, რამდენს უნატრია აზდაკი — შვილმოკლული მშობლებით დაწყებული და სახლკარწართმეულებით დამთავრებული, რომლებსაც სამართლის სახელით კიდევ ერთხელ უკლავდნენ შვილს და კიდევ ერთხელ აბეჩავებდნენ მოსამართლის მანტიამოსხმული ანტიაზდაკები. დღეს კი რომელიმე კონკრეტული პირი კი არა, მთელი საქართველოა მის მოლოდინში.

ორი სიმართლე არ არსებობს, სიმართლე ყოველთვის ერთია, ისე როგორც სამართალი. არ არსებობს ნახევრად სამართალი ან პარალელური სამართალი. თუ მაინცდამაინც გვინდა, უსამართლობა სხვა ტერმინით მოვიხსენიოთ, მაშინ მას შერყვნილი სამართალი ვუწოდოთ. საქართველოში სამართალი მართლაც შეირყვნა... უბრალოდ, ამას ადრე ისე ვერ ვგრძნობდით, მაგრამ ოდნავ გაიხსნა დარაბები თუ არა, საშინელი სიმყრალე გვეცა. პირველად, რა თქმა უნდა, ანტიაზდაკი, ანუ ჩვენი სასამართლო სისტემა მაქვს მხედველობაში.

ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ხომ ორივე ქურდია? რა თქმა უნდა, მაგრამ ნემსის ქურდი რომ ოთხი წელიწადი ყურყუტებდა ციხეში, აქლემის ჯოგის მიმთვისებელი მოსამართლემ ბოდიშის მოხდით გირაოს გარეშე გაათავისუფლა — ის პატიოსანი კაცის იერით ქუჩებში დაიარება და ძალიან მაღალ პოსტსაც ინარჩუნებს. არის თუ არა ეს შერყვნილი სამართალი? კაცმა ავარიისას, რა თქმა უნდა, შეუგნებლად, მეორე ადამიანს დიდი ზიანი მიაყენა და 5 წელი ციხეში იჯდა. მეორე პირმა (ძნელია, ასეთს კაცი ვუწოდოთ) ასობით ადამიანი გაამწარა — ზოგი ციხეში გამოკეტა და იქ აწამა, ზოგი საზღვარგარეთ გააქცია, ზოგი თვითმკვლელობამდე მიიყვანა, მაგრამ მოსამართლის მანტიამოსხმულმა მეორე პირმა არ მიიჩნია საზოგადოებისთვის საშიშად და ოთხივ მხრივ გზა დაულოცა. ეს უკვე გახრწნილი სამართალია.

ჩემი მოკრძალებული აზრით, პრობლემა ისიცაა, რომ ამ უსამართლო სამართლის განმახორციელებელი ვერ გამოსწორდება. მას მენტალიტეტში, სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი, რომ სამართლიანობას კი არა, „პატრონებს“ ემონებოდეს. სწორედ ამიტომაც ერთხელ ვთქვით და კიდევ ვიმეორებთ — სასამართლო რეფორმა იგივეა, რაც ძველი მანქანის გაკეთება, რომელიც ბოლო ჭანჭიკამდე უნდა დაიშალოს და შემდეგ თავიდან აიწყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შერყვნილი სამართალი აუცილებლად მოიტანს ბრბოს სამართალს. როდესაც ადამიანი გრძნობს, რომ მართლმსაჯულება მაიმუნობს, არ არის გამორიცხული, თავად ჰქმნას სამართალი და უპირველესად დაიწყოს იმათგან, ვისაც ის ამ მდგომარეობამდე არ უნდა მიეყვანა.

ასე რომ, დღეს მართლაც აზდაკი ისე გვჭირდება, როგორც არასოდეს... ველიიიით!!!

გიორგი კვიტაშვილი

მართლმსაჯულება თავის ბოროტ ზრახვებს ღია ცის ქვეშ ვერსად დამალავს, ქარი კალთას აუფრიალებს და ყველანი დაინახავენ, რაც იმალება მკაცრი კანონების მიღმა!

ვინც არ იცის, რა არის ჭეშმარიტება, უბრალოდ სულელია, ვინც იცის და სიცრუედ რაცხავს მას – დამნაშავე!

ბერტოლდ ბრეხტი

№10(857) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

თემა №10(857) — გავლენიანი ძალი

თქვენი აზრით, ვინ არის დღეს ყველაზე გავლენიანი ძალი საქართველოში (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-ის ჩათვლით.

№	თემა №10(857)	ქულა
1	მაია ფანჯიკიძე	
2	სანდრა რულოვსი	
3	თეა წულუკიანი	
4	ნინო ბურჯანაძე	
5	ეკა ბესელია	
6	თინა ხიდაშელი	
7	ირმა ნადირაშვილი	
8	ჩიორა თაქთაქიშვილი	
9	მანანა კობახიძე	

დამატებითი კითხვა

თქვენი აზრით, უნდა მოხდეს თუ არა საჯარო მოხელეთა ამნისტია?

1	უნდა მოხდეს სრული ამნისტია	
2	უნდა მოხდეს საშუალო და ქვედა რგოლის მოხელეთა ამნისტია	
3	უნდა მოხდეს ქვედა რგოლის მოხელეთა ამნისტია	
4	საერთოდ არ უნდა მოხდეს	
5	მიჭირს პასუხის გაცემა	

(შესაბამისი უჯრა გაქციათ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე... გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

200 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო საშუალო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად. პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს. საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი. იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

ყურადღება! საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში SMS**-ის საშუალებითაც შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება. შეტყობის წესი მარტივია: ტელეფონის** SMS **ფუნქციაში ლათინურად უნდა აკრიფოთ სიტყვა** REITINGI **გამოგთოვოთ ცარიელი ადგილი და შემდეგ ქულების ისეთივე კომბინაცია, როგორც რეიტინგის ქვითარს შეაკვლებდით. მაგალითისთვის:** **REITINGI 734561829, ამ შემთხვევაში 7 — „მაია ფანჯიკიძისთვის“ მიკუთვნებული ქულაა, 3 — „სანდრა რულოვსისთვის“, 4 — „თეა წულუკიანისთვის“ და ა.შ. შემდეგ დააფიქსირეთ დამატებითი კითხვის პასუხი, თქვენი სახელი და გვარი, ასაკი, ქალაქი (რაიონი) და გამოგზავნეთ ნომერზე 2141.**

ერთი ტელეფონიდან მხოლოდ ერთი SMS-ის გამოგზავნა შეგიძლიათ. ერთი SMS-ის ღირებულებაა 50 თეთრი. **SMS-ის** გამოგზავნის ბოლო ვადაა **ხუთშაბათის, 7 მარტის 20⁰⁰ სთ.**

№10(857) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი **რაიონებში** განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ **ოთხშაბათის, 6 მარტის 10⁰⁰ საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 7 მარტის 13⁰⁰ საათამდე.**

©თბილისი

№9(856) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის თემას — **„კრიტიკა“** — 537 რესპონდენტი გამოეხმაურა. 2 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 231 ქალისა და 304 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი (SMS) მონაწილეობდა. კითხვა ასეთი იყო: **„ვის აკრიტიკებთ ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველები ყველაზე მეტად საქართველოს პრეზიდენტს აკრიტიკებენ. რესპონდენტთა 79%-მა მიაკუთვნა მას მაქსიმალური — 8 ქულა.

7.62 საშუალო ქულით მიხეილ სააკაშვილი პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზეა თბილისის მერი, საშუალო ქულაა 6.89, რესპონდენტთა 16% აცხადებს, რომ მათი კრიტიკის ობიექტი ყველაზე მეტად სწორედ გიგი უგულავაა. სამეულს კონსტანტინე კუბლაშვილი ასრულებს 5.99 საშუალო ქულით.

ყველაზე მეტი რაოდენობის მინიმალური შეფასება პრემიერ-მინისტრმა დაიმსახურა — რესპონდენტთა 54%-მა მიაკუთვნა მას მინიმალური — 1 ქულა და რეიტინგშიც 2.10 საშუალო ქულით ბოლო ადგილზეა.

საპრიზოს ზუსტად 30 ბარათი (SMS) დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 31 წლის **გიორგი ლოგუანიძე,** 55 წლის **ნესტორ თოდრია,** 29 წლის **ირაკლი გრიგოლია,** 81 წლის **ავთანდილ სერგია,** 64 წლის **პეტრე მეპარნიშვილი,** 69 წლის **თეიმურაზ ვარდოსანიძე,** 52 წლის **ამირან გოგობერიშვილი,** 71 წლის **მზია ჯაგაშვილი,** 24 წლის **სოფო ფოლადიშვილი,** 62 წლის **ანზორ მეფარიშვილი,** 48 წლის **ოლიკო გოგნიაშვილი,** 48 წლის **მზია ჩიქვაიძე, თინა ჯიძია,** 53 წლის **გელა წინამძღვრიშვილი,** 83 წლის **ვახტანგ პაიკიძე,** 76 წლის **მერაბ ცხვედაძე,**73 წლის **გენო მშვენიერაძე, ნაზი არჩვაძე,** 74 წლის **მიხეილ კუჭრეიშვილი,** 78 წლის **ზაქარია ჭყონია,** 68 წლის **რენე დვალიშვილი,** 59 წლის **ირაკლი მღვდლიაშვილი, ლამარა თოფურია,** 37 წლის **დავით ბოლაშვილი,** 67 წლის **ნანული ეჯიბაძე,** 55 წლის **თამაზ დუდუჩავა** და 50 წლის **მარინე გაჩეჩილაძე;** 62 წლის **გოჩა ჭიჭინაძე** (ზუგდიდი), 49 წლის **ნანა ხასია** (თბილისი-სოხუმი) და 50 წლის **უჩა ჩორგოლაშვილი** (ქუთაისი).

საპრიზო ფონდი — 200 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს პრიზების მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 6 მარტს, 17 საათზე.



ყურადღება!

- საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას **აუცილებელია, მონაწილეობა მიიღოთ „მკითხველის რეიტინგში“ („დამატებით კითხვაში“).**
- თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგში“ („დამატებით კითხვაში“) მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.
- „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, გათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, გოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

ყურადღება! „კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით ©

დამატებითი კითხვა

როგორ შეაფასებთ ირაკლი ფირცხალავას მიერ გავრცელებულ ვიდეომასალას?



442-მა დამატებით რესპონდენტმა კითხვას უპასუხა

ცნობილთა აზრით:

ჯემალ ჭკუასელი: — ყველამ მაპატიოს და — სიყალბე მგონია. არ მჯერა სამწუხაროდ, არც ამ ვიდეომასალის. თავიდან ბოლომდე ეს საქმე სიცრუეზეა აგებული. სად იყვნენ აქამდე? ნეტა ეს კადრებიც არ მენახა.

ელენე თევდორაძე: — ამ გავრცელებულ ვიდეომასალას ნამდვილად ვერ ვენდობი. გარდა ამისა, დონაძესთან რაც არის დაკავშირებული, ყველაფერი სიყალბეა. ძალიან ბევრი ცუდი საქმე რაც ძველი ხელისუფლების დროს ხდებოდა, დონაძის სახელთანაცაა დაკავშირებული. მასზე გაცილებით მეტი ინფორმაცია მაქვს, რომელიც ასეთი განცხადების საშუალებას მაძლევს.

მიშა მშვილდაძე: — ერთი შეხედვით ნამდვილს ჰგავს, ამას ვაცხადებ, როგორც პროდიუსერი. თუმცა, ისიც უნდა დავაკონკრეტო, რომ ეს ფირის ერთი ნახვისას ჩანს. ამ საკითხზე ექსპერტიზაა დანიშნული და არ იქნება სწორი იმაზე ვისაუბრო, რაც არ ვიცი და უშუალოდ არ ვმონაწილეობ.

მოგვწერეთ თქვენთვის სასურველი თემების შესახებ, რა საკითხებზე ისურვებდით გამოკითხვის ჩატარებას. რედაქცია შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს თქვენს სურვილებსა და წინადადებებს. ველით გამოხმაურებას. წინადადებები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) ყუთების საშუალებით.

10 შენასრ განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

სიტყვა და საქმე

№10 ქვითარი თბილისში „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ **7 მარტის** (ხუთშაბათი) 13⁰⁰ სთ-მდე.

100 წიგნი ერთ თაროზე!

ერიამ, „50+ ბიბლია+ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“, გააერთიანა ძალიან ბევრი ადამიანი. რა არის ამის მიზეზი? ის, რომ ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებით შერჩეული წიგნები განსაკუთრებით საინტერესოა, თუ ის, რომ ეს წიგნები მაღალ დონეზეა გამოცემული და განსაკუთრებულად ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის? ალბათ ყველაფერი ერთად. ფაქტი კი ის არის, რომ მკითხველი წიგნს დაუბრუნდა და ყოველი ახალი ტომის გამოსვლას მოუთმენლად ელოდება.

თქვენი ესკიზით დამზადებული კარადა 100 წიგნით ბევრი ოჯახის ინტერიერს დაამშვენებს!

მალე! ყველა მკითხველს შეეძლება პრაქტიკული და ორიგინალური წიგნის კარადის დადგმა სახლში. ეს იქნება სპეციალური კარადა „50 + ბიბლია + 49 წიგნისთვის, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“

„ეს დიდი მოლოდინი ჩემს ახალგაზრდობას მახსენებს, როცა წიგნის გამოსვლა დიდი მოვლენა იყო საზოგადოების ცხოვრებაში, ყველა ამაზე ლაპარაკობდა, ყველას ერთი სული ჰქონდა, შეეძინა წიგნი, რომ მერე მეგობრებთან ერთად ემსჯელა მასზე... სიმართლე გითხრათ, ამისი იმედი აღარ მქონდა, რომ წიგნით დაინტერესებას მოვესწრებოდი, მეგონა, ჩვენი ახალგაზრდები კომპიუტერმა შთანთქა... თურმე ვცდებოდი“, — ეს არის ფრაგმენტი წერილიდან, რომელსაც ავთანდილ გორდეზიანი აწერს ხელს. მისი სასიამოვნო გაკვირვება რეალურ გარემოებას ეყრდნობა: ამ წიგნებს მართლაც ელიან, ყიდულობენ, კითხულობენ და ერთმანეთს გადასცემენ წასაკითხად! ეს გამარჯვებაა.

შეგახსენებთ, მსჯელობა გრძელდება, მიიღეთ მონაწილეობა გამოკითხვაში და თავად შეარჩიეთ წიგნი, რომელიც მომავალ 49 წიგნს შორის აღმოჩნდება.

— ჩემი მოწაფეების ნახევარმა მაინც წიგნის კითხვა სწორედ მას მერე დაიწყო, რაც მზის სინათლე იხილა არაჩვეულებრივმა წამოწყებამ „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“. ამ თვალით თუ შეხედავ საქმეს, მარტო 100 წიგნი კი არა, ისურვებ, უსასრულოდ გამოდიოდეს ეს წიგნები და ახალგაზრდებსაც მუდამ ხელში ეჭიროთ გადაშლილი წიგნი, — მითხრა პედაგოგმა, მრავალი თაობის აღმზრდელმა ციცინო მიქაუტაძემ, მერე მორიდებით დასძინა: — სიმართლე გითხრათ, სია დასრულებული მეგონა, ჩემი წიგნის კარადაში რაღაცნაირად გამოვნახე 50 წიგნის ადგილი... ახლა საგონებელში ვარ ჩავარდნილი, ვერც ძველ წიგნებს შეველევი, ახლის ყიდვაც მინდა და რა ვქნა, არ ვიცი... ახალი წიგნის კარადა დამჭირდება... რას წარმოიდგენდა ქალბატონი ციცინო, რომ „პალიტრა-მედია“ უკვე ფიქრობდა ამ პრობლემაზე... გამოსავალს მალე მიაგნებთ-მეთქი, — ვუთხარი ღიმილით და დღეს სწორედ ამ „გამოსავლის“ შესახებ მინდა გაცნობოთ. სულ მალე ყველა მკითხველს შეეძლება პრაქტიკული და ორიგინალური ახალი წიგნის კარადის დადგმა სახლში. ეს კარადა სპეციალურად იქნება გათვლილი იმ ასი წიგნისთვის, რომელიც პროექტის „50 + ბიბლია + 49 წიგნი“, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ ფარგლებში გამოვა... ჯერჯერობით კი ცხადდება კონკურსი მათთვის, ვინც იცის ხატვა, არის დიზაინერი, ავეჯს ამზადებს ან უბრალოდ აქვს იდეები!

ესკიზის მიხედვით დამზადებული კარადა ბევრი ოჯახის ინტერიერს დაამშვენებს, თანაც მოხსნის პრობლემას — სად შევინახოთ 100 წიგნი!

მოემზადეთ, შექმენით კარადის ესკიზი, ნახაზი ან ჩანახატი და მიიღეთ დიდი პრიზი — კონკურსის გამარჯვებული 100 წიგნით სავსე თქვენი დიზაინით დამზადებული კარადა. მე-2 და მე-3 ადგილზე გასული კონკურსანტები 500-500 ლარით დაჯილდოვდებიან.

ლეილა გაგუა

კონკურსი „ჩემი წიგნის კარადა“

კონკურსის პირობები:

- კარადაში უნდა განთავსდეს ამ პროექტში შემავალი ყველა წიგნი (ცნობისათვის: პროექტში შემავალი წიგნების სიმაღლე 22 სმ-ია, ბიბლია განსხვავებული სიმაღლისაა — 25 სმ და ერთად დალაგებული ტომების სიგანე 4 მეტრი და 50 სანტიმეტრია).
- კარადა უნდა იყოს განსხვავებული, კრეატიული და ჰქონდეს პროექტისთვის დამახასიათებელი რაიმე სიმბოლიკა ან ორიგინალური მინიშნება.
- გაითვალისწინეთ, რომ კარადა რეალურად უნდა დამზადდეს და მიმზიდველი იყოს მომხმარებლისთვის, ამიტომ სასურველია, ავერიდოთ ისეთ შემოთავაზებას, რომელიც არარეალური იქნება და დამზადების დროს შექმნის სირთულეებს.

ესკიზები გამოგზავნეთ **(JPG)** ფორმატში,
25 თებერვლიდან 30 მარტამდე,
მისამართზე **taro@palitra.ge**

რამდენიმე ვარიანტი უკვე შემოგვთავაზეს ჩვენმა მკითხველებმა:





გახსენი... ისტორიის სკივრი!

შესდექ, ხელმწიფევ!

„შესდექ, ხელმწიფევ!“ — ეს ფრაზა, მესამე საუკუნეა, ზარივით რეკს ქართველთა გულსა და გონებაში. ის გაბრიელ ეპისკოპოსმა წარმოთქვა 1888 წელს ქუთაისის საკათედრო ტაძარში, რითაც ყველას შეახსენა, რომ ამქვეყნად არ არსებობს „ავტორიტეტი,“ რომელსაც შეიძლება შენთვის ძვირფასი რამ გაათელვინო.

განგებამ სრულიად ახალგაზრდას უმძიმესი განსაცდელი მოუვლინა — 32 წლის მღვდელს, გერასიმე ქიქოძეს, სენმა საყვარელი მეუღლე და 5 შვილი გამოაცალა ხელიდან. გერასიმემ ეს ღვთის ნიშნად მიიჩნია, გაბრიელი დაირქვა და ბერად აღიკვეცა. მაღალი სულიერების, ბრწყინვალე განათლებისა და მჭევრმეტყველების წყალობით მალე მოიხვეჭა მრევლის პატივისცემა და 1960 წელს ქუთაისის ეპისკოპოსად აკურთხეს.

ძალიან მოკრძალებულად ცხოვრობდა. იმერეთის ეპისკოპოსი, ფაქტობრივად, მთელი დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავარი იყო, სამოსით კი უბრალო დიაკვნისგან ვერ განასხვავებდით. უმეტესად სახედრით დადიოდა. ამით თავის მრევლსაც უქმნიდა „უხერხულობას,“ განსაკუთრებით — თავადიშვილებს: გზად შემომხვდარ მეუფეს ერთნი რომ თაყვანს სცემდნენ, სხვებს, რომლებიც იმერეთის ეპისკოპოსს ვერ ცნობდნენ, უკვირდათ, უბრალო მღვდელს ასეთი პატივით რატომ ეკიდებიანო.

თავის ქადაგებებში ყოველთვის უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ერთხელ ქუთაისის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში ბატონყმობა დაგმო. ამ ამბით განაწყენებულმა თავადაზნაურობამ შუა ქადაგების დროს ეკლესია დატოვა. ისინი ტაძრის ეზოში გავიდნენ და საკმაოდ მძაფრად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. ერთი მდიდარი აზნაური, გვარად კანდელაკი, იქამდე მივიდა, რომ ხმალი იშიშვლა, ტაძრის შესასვლელთან დადგა და გაიძახოდა: ამ ლეკურით გავათავებ ჩვენი დაღუპვის მოსურნეს. ვერა და ვერ დაამშვიდეს. უბედურება რომ აერიდებინათ, წირვის დასრულების შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსთან მივიდნენ და სთხოვეს: გარეთ კანდელაკი დგას და მოკვლას გიპირებთ, იქნებ ცოტა ხნით ტაძარში შეყოვნდეთ, სანამ ბრაზი გადაუვლისო. ეპისკოპოსი წამითაც არ შეყოვნებულა, მაშინვე გასასვლელისკენ გაემართა და მშვიდად ჩაუარა ხმალამოწვდილ კანდელაკს, რომელსაც აღმართული მახვილი ხელში შეაცივდა.

გაბრიელ ეპისკოპოსი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა სასწავლებლებიდან ქართული ენის განდევნას. ამბობდა: „ქართულის უცოდინარი ქართველი რა ქართველია, ისიც, მღვდელი.“

მისთვის ერთი იყო მდაბიოც და ჩინოსანიც — ორივე მათგანს, დამსახურებისამებრ, უწონებდა ან უწუნებდა საქციელს.

1888 წელს საქართველოს, უფრო ზუსტად კი, იმხანად, რუსეთის უზარმაზარი იმპერიის პროვინციებს — თბილისსა და იმერეთის გუბერნიებს — იმპერატორი ალექსანდრე მესამე ეწვია. თბილისში პომპეზური დახვედრის შემდეგ იმპერატორი ქუთაისში ჩავიდა. „პროტოკოლი“ საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვაზე დასწრებასაც ითვალისწინებდა. შეაბიჯა ალექსანდრე მესამემ ტაძარში და ამბიონისკენ გაემართა. „შესდექ, ხელმწიფევ!“ — მიმართა მისკენ მიმავალ იმპერატორს ამბიონზე მდგარმა გაბრიელ ეპისკოპოსმა. ხელმწიფე წამით შეყოვნდა, შემდეგ კვლავ დაიძრა, მაგრამ ეპისკოპოსის სიტყვებმა კვლავ შეაჩერა: „ეს ქვეყანა უძვირფასესი მარგალიტია შენს გვირგვინში, სხვა ყურადღებისა და ზრუნვის ღირსია და სხვა მოპყრობას იმსახურებს, ვიდრე იმას, რომელსაც ადგილი აქვს.“ ამ სიტყვებმა ისე გაუფუჭა გუნება ალექსანდრე მესამეს, რომ მისი ხასიათზე მოყვანა საღამოს გამართულ ნადიმზეც ვეღარ შეძლეს მოლხენის იქაურმა დიდოსტატებმა.

მიქელანჯელოს ერთადერთი ავტოგრაფი

გენიალური მიქელანჯელო ბუონაროტი თავის შედევრებს არასოდეს აწერდა სახელსა და გვარს. მხოლოდ ერთ მათგანზეა შესაძლებელი ავტორის ვინაობის ამოკითხვა. ეს არის რომის წმინდა პეტრეს ტაძრის სკულპტურული კომპოზიცია — ღვთისმშობლის მიერ იესოს დატირება, რომელიც „პიეტას“ სახელითაა ცნობილი. ის მიქელანჯელომ 24 წლისამ გამოკვეთა. ახალგაზრდა ფლორენციელ ხელოვანს ჯერ კიდევ არ იცნობდა საზოგადოება, ამიტომ ტაძარში შესული ადამიანები ჯერ აღტაცებას გამოთქვამდნენ, შემდეგ კი ამ შედევრის „ავტორს“, მილანელ სკულპტორ ქრისტოფორო სოლარის ასხამდნენ ხოტბას. „პიეტას“ ნამდვილ ავტორს მოთმინების ფიალა აევსო, ღამით შევიდა ტაძარში და თავის ქანდაკებაზე ამოკვეთა წარწერა: „გამოაქანდაკა ფლორენციელმა მიქელანჯელო ბუონაროტიმ.“ როგორც აღვნიშნეთ, ეს ერთადერთი ნაწარმოებია, რომელზეც მიქელანჯელომ თავისი ავტოგრაფი დატოვა, თუმც შემდეგ აღთქმა დადო, რომ თავის არც ერთ ქმნილებას სახელსა და და გვარს აღარ მიაწერდა, რაც შეასრულა კიდეც.



დავითის ქანდაკება სხვა სკულპტორის დაწუნებული, წლობით წვიმასა და თოვლში ნაგდები, დაბზარული მარმარილოს ლოდისგან გამოთალა. მიქელანჯელოს დღემდე შემორჩენილი, დაუსრულებელი ქანდაკებებიდან ჩანს, რომ გენიალურ ოსტატს ჯერ კიდევ დაუმუშავებელ ქვაში აბსოლუტური სიზუსტით შეეძლო დაენახა მომავალი სკულპტურა. შეიძლებოდა, ჯერ ფეხის ნაწილი გამოეკვეთა, შემდეგ — თავი, ხელი, ბოლოს კი ეს ყველაფერი ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს. დავითიც „დაინახა“ და ისე გამოაქანდაკა, რომ ბზარები ფიგურას არ შეხებია. თუმცა, ფლორენციის მაშინდელი მმართველის — პიერ სოდერინის გემოვნება მაინც ვერ დააკმაყოფილა. მას მოეჩვენა, რომ ჭაბუკს ცხვირი ზედმეტად დიდი ჰქონდა. ყველას გასაკვირად, ბუნებით ფიცხმა მიქელანჯელომ, რომელიც შენიშვნას რომის პაპისგანაც არ იღებდა და ხარაჩოებიდან ჩხუბით ისტუმრებდა, გამოთქმული პრეტენზია მშვიდად მიიღო, საჭრეთელი აიღო, ხარაჩოზე ავიდა და დავითს ცხვირის „ზედმეტი“ ნაწილი ჩამოაფშვნა. მმართველი კმაყოფილი დარჩა და განაცხადა, რომ ამ შესწორების შემდეგ ქანდაკება გაცილებით უკეთესი გახდა. სინამდვილეში დავითს ისეთივე ზომის ცხვირი დარჩა, როგორიც მანამდე ჰქონდა. ხარაჩოზე ასულმა მიქელანჯელომ საჭრეთელს მოსაჩვენებლად დაჰკრა ჩაქუჩი, ხოლო ძირს მომლოდინე მმართველს წინასწარ მუჭში დაგროვილი მარმარილოს ფხვნილი დააყარა თავზე.

მოამზადა ლადო გოგუაძემ

პასპორტი

სახელი, გვარი
ვიქტორ კოლელიშვილი
დაბადების თარიღი
09.10.1989
პროფესია
მორაგბე

— ბავშვობაში რა გინდოდა ყველაზე მეტად?

— კოსმონავტობაზე ნამდვილად არ მიოცნებია. :) ყველაზე მეტად ლეკვი მინდოდა და დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ამისრულეს ეს ოცნება.

— შენი ოჯახი...

— დიდი ოჯახი გვაქვს: მამა — ზაზა კოლელიშვილი, დედა — ნათია გოგოჭური, ძმა, სამი შესანიშნავი დაიკო და სამი უშესანიშნავესი დისშვილი. :)

— მორაგბე რომ არა, ვინ იქნებოდი?

— მსახიობი... ოჯახიდან გამომდინარე, კინო და საზოგადოდ, ხელოვნება, ჩემს ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს.

— რის ან ვის გარეშე არ წარმოგიდგენია ცხოვრება?

— ბანალურია, მაგრამ როგორც ყველას — ოჯახის, ახლობლების, მეგობრების გარეშე...

— ნივთი, რომლის გარეშეც სახლიდან არ გადიხარ...

— ჯვარი, რომელსაც სულ ვატარებ.

— ჰოროსკოპის თუ გჯერა?

— ჰოროსკოპით „სასწორი“ რომ ვარ, ეგ ნამდვილად ვიცი და მჯერა. :)

— ფრაზა, რომელსაც ყველაზე ხშირად ამბობ.

— „ეგაა ცხოვრება“ — ოღონდ სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვაგვარი ხიბლი აქვს. :)

— ქვეყანა, სადაც იცხოვრებდი და რატომ?

— საქართველო — ყოველგვარი დასაბუთების გარეშე! :)

— წიგნი, რომლის კითხვაც არ გებეზრება...

— ერთი და იმავე წიგნების კითხვით ვერ დავიკვეხნი. სამწუხაროდ, ისედაც მოვიკოჭლებ მაგ საქმეში, რაც ზაზას ძალიან არ მოსწონს. :) თუმცა, ყურბან საიდის „ალი და ნინო“ ისე მომეწონა, სიამოვნებით წავიკითხავ კიდევ ერთხელ.

— რაგბის გარდა, რა გიყვარს?

— კინოც მიყვარს, თეატრიც... სამწუხაროდ, ძველებურად ხშირად ვეღარ დავდივარ.

— რა გაღიზიანებს ყველაზე მეტად?

— ტყუილი და მატყუარა ადამიანები. კიდევ — წაგება. :)

— მატჩი, რომლითაც ყველაზე მეტად ამაყობ...

— საქართველო-ირლანდია 2007 წლის მსოფლიო თასზე... თავად არ მიმიღია იმ შეხვედრაში მონაწილეობა, მაგრამ ვერ აღგიწერთ, რას ვგრძნობდი, როცა მაშინ ჩემთვის ჯერ კიდევ საოცნებო გუნდის, საქართველოს ნაკრების ბრწყინვალე თამაშს ვუყურებდი. ეს იყო ორი დიდი გუნდის ჯახი, რომლითაც ქართულ რაგბიში ახალი ერა დაიწყო!

— მეტსახელი თუ გაქვს?

— ბავშვობიდან „ვიტოს“ მეძახიან. მას შემდეგ, რამდენჯერმე იყო ახალი მეტსახელის შერქმევის მცდელობა, მაგრამ უშედეგოდ. ჯერჯერობით, ისევ „ვიტოდ“ ვრჩები. :)

— ფრანგული ანეკდოტი მოგვიყევი...

— „ბატონო, დღეს რაღაც არ მომწონხართ, ექიმთან ხომ არ წავსულიყავით?

— ექიმს რა, მოვეწონები?!“ — დაახლოებით ასე ჟღერს ფრანგული ანეკდოტები. :)

მოგვწერეთ, კიდევ რომელი ცნობილი სპორტსმენის „პასპორტში“ ჩახედვა გსურთ. წინადადებები გამოგვგზავნეთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) ყუთების მეშვეობით. ან ჩვენს ელექტრონულ მისამართზე:
contact@kvirispalitra.ge

„ძველი ტაქტიკით იაპონიასაც მოვუგებდით და ფიჯისაც“

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ახალი, თანაც „ადგილობრივი“ კაპიტანი ჰყავს: საფრანგეთში გატარებული წლების შემდეგ, 31 წლის ირაკლი მაჩხანელი სამშობლოში დაბრუნდა და თბილისის „არმაზის“ ღირსებას იცავს. რას ნიშნავს მისთვის ეროვნული გუნდის კაპიტნის სამკლავური, სწორი გზით მიდის თუ არა საქართველოს ნაკრები, რა მოხდებოდა, რუს მოთამაშეებს საჯარიმო დარტყმები უფრო ზუსტად რომ შეესრულებინათ და რას უნდა ველოდოთ ესპანელებთან მატჩში — ამ ყველაფერზე ბორჯღალოსანთა ახალი წინამძღოლი ლაპარაკობს.

— არ მეგონა, საქართველოს ნაკრების კაპიტნობა ამხელა პასუხისმგებლობა თუ იქნებოდა... სათამაშოდ გასვლისას, ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, ნაკრები როგორ ითამაშებს. გუნდის შეკვრა, მობილიზება მევალება, საჯარიმო კარში დავარტყათ თუ აუტში გადავიტანოთ, ესეც კაპიტნის გადასაწყვეტია. ძალიან მეხმარებიან ნაკრების ლიდერები — დავით ზირაქაშვილი და მამუკა გორგოძე. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, ჩემი წინამორბედის, ნაკრების ყოფილი კაპიტნის ირაკლი აბუსერიძის წვლილიც — გუნდში დალაგებული სისტემა რომ დამხვდა, სწორედ „აბუს“ დამსახურებაა.

— მწვრთნელის თქმით, კაპიტნად იმიტომ შეგარჩია, რომ საქართველოში თამაშობ და შენთან ხშირი კონტაქტის შესაძლებლობა აქვს...

— ნაკრების საქართველოში მოთამაშე წევრები ჰეიგის ხელმძღვანელობით კვირაში 2-3-ჯერ ვვარჯიშობთ. სანაკრებო მატჩის შემდეგ, ლეგიონერები იმავე ღამეს კლუბებში მიემგზავრებიან. მე კი აქ ვრჩები და მწვრთნელს შეუძლია, კაპიტანთან ერთად განვლილი მატჩი გააანალიზოს....

— ჩვენი მორაგბეები რამდენად სწრაფად ითვისებენ ახალ ტაქტიკას?

— ჰეიგის მიზანია, ნაკრებმა ისე ითამაშოს, როგორც პორტუგალიასთან მატჩის საწყის წუთებზე: 12 წელიწადია, ეროვნულ გუნდში ვთამაშობ და პირველად ვნახე, საქართველოს ნაკრებმა ლელოს დადება 15-ფაზიანი შეტევის შემდეგ რომ შეძლო! შერკინება თავის საქმეს რომ გააკეთებს, ხაზი მხოლოდ ამის შემდეგ არ უნდა გაიშალოს, არც ისაა აუცილებელი, ბურთის ერთი ფრთიდან მეორეზე გადატანისას ყველა მორკინალი იქით გარბოდეს. თამაშს თავად შერკინების მოთამაშეებიც უნდა შლიდნენ, მოედნის ყოველ მეოთხედზე 3-4 თანაგუნდელი იყოს. როგორც ბავშვი სწავლობს სიარულს, ისე ვართ ჩვენც

— 20 წელიწადი ერთი ტაქტიკით რომ თამაშობ, სხვა სტილზე სწრაფად გადასვლა ძნელია.

სამწუხაროდ, ქომაგთა ნაწილი ამას ვერ აცნობიერებს. ასეთი ტაქტიკით თამაში მხოლოდ ჩვენ კი არა, ასაკობრივიმა ნაკრებებმა უნდა ისწავლონ და წარსულს უნდა ჩაბარდეს ტაქტიკა, როცა საქმის 90%-ს მორკინალები აკეთებდნენ. ეს მორკინალებისთვისაც ცუდია და უკანა ხაზის მოთამაშეებისთვისაც, რადგან ვერ ვვითარდებით. მერწმუნეთ, ძველი ტაქტიკით რომ გვეთამაშა, იაპონიასაც მოვუგებდით და ფიჯისაც, მაგრამ თუ სტილი არ შევიცვალეთ, წინ ვერ წავალთ, ვერ დავამარცხებთ ისეთ ძლიერ გუნდებს, როგორიც იტალია, ირლანდია და შოტლანდია არიან...

— ფაქტია, რომ ბოლო დროს, მილტონ ჰეიგს კრიტიკოსები მოუმრავლდა...

— ჩვენი უბედურება ის არის, რომ მხოლოდ ცუდს ვხედავთ... კომპეტენტურია თუ არა ამ საქმეში, რაგბიზე ლაპარაკი ყველამ დაიწყო. ჰეიგს უნდა, გაშლილი რაგბი გვათამაშოს, მაგრამ თვითკრიტიკული უნდა ვიყოთ: ვარსკვლავები არც მოთამაშეები ვართ, მოედანზე შემსრულებელია საჭირო. თორემ ზელანდიის ნაკრების მწვრთნელიც რომ ჩამოიყვანო, თუ იმას მოგვთხოვს, რაც ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება, ბუნებრივია, ვერ შევასრულებთ.

— სოჭში გამართულ პრინციპულ მატჩზეც ვთქვათ: რუსები ჩვეულად „თბილად“ დაგხვდნენ?

— ძალიან კარგ პირობებში ვიყავით. მატჩისწინა ვარჯიშის გაცდენას თუ არ ჩავთვლით, სოჭში არანაირი დაბრკოლება არ შეგვქმნია. ვარჯიშიც ოლიმპიური ნაგებობების მშენებლობის გამო ჩაგვეშალა: ქალაქის ყველა საავტომობილო გზაზე საცობებია და მწვრთნელმა გადაწყვიტა, ავტობუსში კიდევ საათნახევრის გატარების ნაცვლად, მგზავრობით დაღლილი მორაგბეებისთვის სჯობდა იქვე, პარკში „წაგვევარჯიშა“.

— რატომლაც სოჭში თამაში ყოველთვის გიჭირთ...

— ბოლოს რომ ვეთამაშეთ სოჭში, მაშინ ყველაზე ახლოს იყვნენ მოგებასთან, ფაქტობრივად, ბოლო წუთებზე გამოვგლიჯეთ გამარჯვება და მასპინძლებს იმედი ჰქონდათ, ნავსს ამჯერად მაინც გატეხდნენ. ცუდად დავიწყეთ, განსაკუთრებით ბევრი შეცდომა უკანახაზელებს ჰქონდათ, ხშირადაც ვჯარიმდებოდით. თუმცა, იმის თქმა, რუსებს საჯარიმო დარტყმები რომ არ გაეცუდებინათ, წავაგებდითო, არასწორი მგონია. ამ ლოგიკით ბრიტანელებთან მატჩში მერაბ კვირიკაშვილს 5 ჯარიმა რომ არ აეცილებინა, მოვიგებდით? არა მგონია. ასე იყო სოჭშიც: გაიტანდნენ რუსები? — უფრო ადრე გამოვფხიზლდებოდით! მეორე ტაიმში ბევრად მობილიზებული გავედით მოედანზე და თამაში საჩვენოდ შემოვატრიალეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდს შეუძლია წნეხის გაძლება.

— შეხვედრას ბევრი ქართველი ქალწრებოდა და მატჩის დასრულების შემდეგ ძალიან ემოციური შეხვედრაც გქონდათ...

— ბევრ მათგანს წლებია, სამშობლო არ გვინახავს და გვეუბნებოდნენ, საქართველოში თქვენ „დაგვაბრუნეთო“... მოსკოვიდან ჩამოსული ქართველებიც კი იყვნენ, გზაში 24 საათზე მეტი რომ გაატარეს. ქართველი ყველგან ქართველია და სამშობლო ყველაფერს ურჩევნია. სამწუხაროდ, საქართველოში ბევრია, ვინც ფიქრობს, რომ რუსეთს ან თუნდაც ესპანეთსა და ბელგიას ყოველთვის, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე უნდა მოუგო! მოწინააღმდეგეებად აღარ მიაჩნიათ. თუ ჩვენც ასე ვიფიქრებთ და ამ გუნდებთან სათამაშოდ ცხვირაწეულები გავალთ, წაგება არ აგვცდება. არადა, რუს მორაგბეებსაც აქვთ თავმოყვარეობა და სხვათა შორის, ძალიან კარგი გუნდიც ჰყავთ. უბრალოდ, ჩვენ უფრო ძლიერები ვართ და ამას სულ ვამტკიცებთ.

ირაკლი მაჩხანელი და მილტონ ჰეიგი

„20 წელიწადი ერთი ტაქტიკით რომ თამაშობ, სხვა სტილზე სწრაფად გადასვლა ძნელია. სამწუხაროდ, ქომაგთა ნაწილი ამას ვერ აცნობიერებს“

— რუსეთის ნაკრების წევრებმა — ძმებმა ცნობილაძეებმა ქართველი მორაგბეების წინააღმდეგ თამაშზე უარი თქვეს... მატჩის შემდეგ გრიგორი და ვალერი ხომ არ გინახავთ?

— არ გვინახავს. მაგრამ რომც ეთამაშათ, ნამდვილად არ დავძრახავდი. როცა სხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობ, იმ ქვეყნისთვის ბოლომდე უნდა დაიხარჯო. მადლობა იმისთვის, რომ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაში არ ისურვეს, მაგრამ ვიმეორებ, ასეც რომ ყოფილიყო, ისეთივე პატივისცემით ვიქნებოდი მათ მიმართ განმსჭვალული, როგორც მანამდე...

— გადაწყვეტილია, რომ 9 მარტს ესპანეთის ნაკრებს მიხეილ მესხის სტადიონზე დავხვდებით...

— კარგია და იმედია, ამ საჩუქარს *(საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ახალგაზრდული ნაკრების მატჩის თარიღი გადასწია და სტადიონი მორაგბეებს დაუთმო. — ავტ.)* მაყურებელიც დააფასებს. ესპანელთა პლუსი ის არის, რომ პორტუგალიელთა მსგავსად, შვიდკაცა რაგბის პროფესიული ლიგა მათაც აქვთ და სწრაფი თამაში და ხელდახელ ბურთაობა კარგად ეხერხებათ. თუმცა, ჩვენ ყველა მეტოქესთან ბოლომდე ვიხარჯებით და ამჯერადაც ასე იქნება. მით უმეტეს, მადრიდში შარშანდელი წაგებისთვის, ესპანელებთან რევანში გვაქვს ასაღები...

— ბევრს გაუკვირდა, როცა საფრანგეთში დარჩენას თბილისის „არმაზში“ თამაში ამჯობინე...

— ჩემი შენარჩუნება „სენტ ეტიენსაც“ ძალიან სურდა, სხვა ფრანგული კლუბებიც აქტიურობდნენ... თუმცა, გადაწყვეტილება სწრაფად, ერთ კვირაში მივიღე, ბარგი ჩავალაგე და წამოვედი. დასასრული ყველაფერს აქვს, საფრანგეთიდან წამოსვლა იოლი არაა. გადაწყვეტილება სწრაფად თუ არ მიიღე, დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ და... წლობით გაიჭიმება. ძალიან მინდოდა, სამშობლოში დაბრუნება და ჩამოვედი...

ავსტრიიდან სლოვენიაში

2013 წლის ევრობასკეტისთვის მზადების გეგმა ცნობილია

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ 2013 წლის ევრობასკეტისთვის მზადების გეგმა გამოამზეურა. როგორც ცნობილია, ჩვენმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება ზედიზედ მეორედ მოიპოვა და ევრობასკეტის ჯგუფური ეტაპის მატჩებს სექტემბერში, სლოვენიის ქალაქ ცელიეში ჩაატარებს. ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობამ სწორედ ამის გამო გადაწყვიტა, კონტინენტის პირველობისთვის არა ავსტრიულ შტაინბრუნში (სადაც ბოლო წლებში გადიოდა შეკრებას. — ავტ.), არამედ სლოვენიის ქალაქ პოდჩეტრტეკში მოემზადოს. თუმცა, შეკრების ადგილზე უფრო მნიშვნელოვანი სპარინგ-პარტნიორები არიან და ამ მხრივ დასაწუნი ნამდვილად არაფერი გვაქვს. 8-24 ივლისს ნაკრები ფიზმომზადებას თბილისში გაივლის, 25 ივლისს გუნდი პოდჩეტრტეკში შეიკრიბება, აგვისტოში კი რამდენიმე ამხანაგურ მატჩსა და ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. საერთო ჯამში, საქართველოს ნაკრები თავისთვის უპრეცედენტოდ ბევრ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს და ისეთ ძლიერ მეტოქეებს გაეჯიბრება, როგორიც იტალია, პოლონეთი, ისრაელი, საფრანგეთი, სერბეთი, ბოსნია, ლატვია და ლიტვა არიან.

რუბრიკა მოამზადა რატი შელეგიამ

ამ ფოტოზე ქართველი დიზაინერები „დაამუნჯა“

ბოლო კვირას საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების მეორე ნახევრების გარეგნობა და ჩაცმულობა კიდევ ერთხელ გახდა განხილვის საგანი. სოციალურ ქსელებში ცნობილი ან შედარებით ცნობილი პერსონები აქტიურობდნენ. ბევრი მათგანი მეჰრიბან ალიევათი აღტაცებას ვერ მალავდა და სანდრა რულოვსს აკრიტიკებდა. თუმცა, საქართველოს პირველ ლედისაც აღმოაჩნდა მეხოტბეები, რომლებმაც თავიანთი აზრი საქართველოს პრეზიდენტის „ფეისბუკის“ გვერდზე გამოხატეს. მაგრამ ისინიც კი სანდრა რულოვსის პერსონით უფრო იყვნენ აღფრთოვანებული, ვიდრე ჩაცმულობით.

რაც შეეხება კრიტიკოსებს, მათ თვალში ქალბატონი სანდრას „ზომაზე მეტად დამოკლებული კაბა და ყავისფერი შუზები“ მოხვდათ. ფოტოზე ასეთი მინაწერები გაკეთდა:

„ეტიკეტს რომ თავი გავანებოთ, არ უხდება ჩვენს რძალს მოკლე კაბა“; „ეეეჰ, მეჰრიბანს უნდა ერქვას აზიელი, სანდრას კიდევ ევროპელი?!“; „ეტიკეტის მიხედვით, სანდრას არც ფეხზე უნდა ეცვას ის, რაც აცვია“; „ალბათ, მიშა არის „სკუპოი“ და ისე არ ანებივრებს ცოლს მაღალი მოდით, როგორც ალიევი. შედეგიც სახეზეა. თუმცა მიშა ხომ რას ამბობთ, ისე გამოიყურება... ჯერ დააძროს თავისი მწვანე კომბინეზონი და მერე ნახავთ სეირს“.

„მოიცა, ჯერ დააძროს მიშამ თავისი მწვანე კომბინეზონი და მერე ნახავთ სეირს“

რასაკვირველია, დავინტერესდით, ვინ აცმევს პირველ ლედის? იზიარებს თუ არა სხვის რჩევებს? თავისი გემოვნებით შეარჩია სამოსი, რომლითაც აზერბაიჯანის პრეზიდენტისა და მისი მეუღლის წინაშე უნდა წარმდგარიყო? ქალბატონი სანდრას და მეჰრიბან ალიევას შეხვედრების რამდენიმე ფოტოც ამოვქექეთ და ქართველ დიზაინერებს დავუკავშირდით, თუმცა უმრავლესობამ საუბრისგან თავი შეიკავა. შეიძლება ითქვას, სოციალურ ქსელებში გავრცელებულმა ფოტოებმა პროფესიონალი დიზაინერები „დაამუნჯა“ — ვერც კარგი თქვეს, გაკრიტიკებისა კი მოერიდათ.

„მეტისმეტად გამოწვევად იცვამს“

გამკრიტიკებლები მეჰრიბან ალიევასაც გამოსჩენია, თუ არ გვჯერათ, ა, ბატონო: „მეჰრიბან ალიევა პლასტიკური ოპერაციებით არის გატაცებული და მეტისმეტად გამოწვევად იცვამს“, — ამის შესახებ WikiLeaks-ზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილშია ნათქვამი. დოკუმენტებში ასევე ნათქვამია, რომ აზერბაიჯანის პირველი ლედი ისეთ კაბებს იცვამს, რომლებსაც დასავლურ სამყაროშიც კი გამომწვევად მიიჩნევენ, რომ არაფერი ვთქვათ მუსლიმანურ აზერბაიჯანზე.

თეონა თავართქილაძე: „იმ შემთხვევაში, თუ ქალბატონი სანდრა მომმართავს, რჩევას მივცემ“

კრიტიკოსებს თვალში ქალბატონი სანდრა რულოვსის „ზომაზე მეტად დამოკლებული კაბა და ყავისფერი შუზები“ მოხვდათ

„ალბათ, მიშა არის „სკუპოი“ და ისე არ ანებივრებს ცოლს მაღალი მოდით, როგორც ალიევი“

თეონა თავართქილაძეს ვკითხეთ: — როგორც ვიცი, პირველი ლედი ქართველ დიზაინერებს ხანდახან მიმართავს, ამჯერად არ ვიცი, ვინ ჩააცვა... კი ვნახე, მაგრამ საჭიროდ არ ვთვლი, ამ თემაზე კომენტარის გაკეთებას.

— თქვენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, რას ჩააცმევდით?

— არ მიფიქრია მაგაზე.

— მოკლე კაბას ჩააცმევდით?

— იმ შემთხვევაში, თუ ქალბატონი სანდრა მომმართავს, რჩევას მივცემ. გაზეთის ფურცლებიდან ამის გაკეთება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

— ბევრმა შეიკავა თავი ამ თემაზე საჯაროდ საუბრისგან. როგორ ფიქრობთ, რით არის ეს განპირობებული?

— მე მგონი, არ არის საჭირო საკუთარ თავზე ამდენის აღება, რომ ვინმეს რჩევა გაზეთის ფურცლებიდან მივცეთ.

— მეჰრიბან ალიევას ჩაცმულობაზე რას გეტყვით?

— მომწონს, მას ყოველთვის ეტიკეტის დაცვით და სწორად აცვია.

ეკა ასათიანი

www.kvirispalitra.ge

თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?
გთხოვთ კომენტარი დატოვოთ ჩვენს საიტზე ან მოგვწეროთ რედაქციაში

„ლურჯი მონეტების“ მეექვსე სერია! მოქმედების ვადა 30 აპრილის ჩათვლით!

რა არის ეს?
„ჯადოსნური ქისა“ „ჰალიტრა მედიის“ პროექტია, რომელიც გაძლევთ საშუალებას, შეიძინოთ სხვადასხვა პროდუქცია გასაყიდ ფასზე გაცილებით იაფად. პროექტი გულისხმობს „ლურჯი მონეტების“ მოგროვებას და მათ გამოყენებას ფასდაკლების კუპონის სახით სხვადასხვა მაღაზიასა და დაწესებულებაში.

სად ვიშოვოთ „ლურჯი მონეტები“?
„ლურჯი მონეტები“ უფასოდ შეგიძლიათ მიიღოთ“ გაზეთ „კვირის პალიტრის", ჟურნალ „რეიტინგისა“ და გაზეთ „ყველა სიახლის“ (2 ცალი) ყოველ ნომერში.
ამოჭერით ისინი, მოაგროვეთ და გამოიყენეთ სასურველი ნივთის შესაძენად.

რა ჯერსი აქვს ერთ მონეტას ღირებულებად?
1 (ერთი) „ლურჯი მონეტა“ შეიძლება უდრიდეს 1 ლარსაც, 5 ლარსაც, 10 ლარსაც და ნებისმიერ სხვა რაოდენობას, ეს დამოკიდებულია ამ პროექტში მონაწილე თითოეული კომპანიის გადაწყვეტილებაზე. სხვადასხვა კომპანიაში „ლურჯ მონეტებს“ სხვადასხვა ჯერსი აქვს. გაზეთში, პროექტის გვერდში აღნიშნულია ჯერსი, თუ რას უდრის 1 „ლურჯი მონეტა“ ამა თუ იმ მაღაზიაში. დამოკიდებულია ამ პროექტში მონაწილე თითოეული კომპანიის გადაწყვეტილებაზე. სხვადასხვა კომპანიაში „ლურჯ მონეტებს“ სხვადასხვა ჯერსი აქვს. გაზეთში, პროექტის გვერდში აღნიშნულია ჯერსი, თუ რას უდრის 1 „ლურჯი მონეტა“ ამა თუ იმ მაღაზიაში.

რა მაქსიმალური ფასდაკლება შეიძლება მივიღო?
ესეც დამოკიდებულია პროექტში მონაწილე კომპანიების გადაწყვეტილებაზე – თუ ერთგან „ლურჯი მონეტებით“ შეიძლება საფასურის მაქსიმუმ 10%-ის გადახდა, სხვაგან ეს შეიძლება 20%, 50% ან სულაც მეტი იყოს! სხვადასხვა მაღაზიაში მაქსიმალური ფასდაკლების ოდენობა წინასწარ აღნიშნულია გაზეთში, „ლურჯმონეტიანი“ კუპონის გვერდით.

რამდენ ხანს აქვს მოქმედების ვადა „ლურჯ მონეტას“?
მეექვსე სერიის „ლურჯი მონეტა“ ძალაშია 2013 წლის პირველი თებერვლიდან, 30 აპრილის ჩათვლით. ის აუცილებლად უნდა გამოიყენოთ, რადგან შემდეგ ახალი სერიის მონეტები გამოვა და ძველი გაუქმდება.

როგორ გამოვიყენო „ლურჯი მონეტა“?
მაგალითი: მაღაზიაში, რომელიც მონაწილეობს „ჯადოსნური ქისის“ პროექტში, ირჩევთ სასურველ ნივთს ჰირობითად „წიგნს“ (იმ ჩამონათვალიდან, რომელზეც იმ თვეში „ჭრის“ „ლურჯი მონეტა“).
დავუშვათ, „წიგნი“ ღირს 20 ლარი და ამ მაღაზიაში ერთი „ლურჯი მონეტა“ უდრის 1 ლარს, ხოლო მაქსიმალური ფასდაკლება, რომელიც შეიძლება მიიღოთ „ლურჯი მონეტით“, არის 50%, თქვენ შეგიძლიათ გადაიხადოთ მხოლოდ 10 ლარი, დაუმატოთ 10 „ლურჯი მონეტა“ და სასურველი „წიგნი“ თქვენია!

სიახლე! განახლდა შეთავაზებები „ბიბლუსის“ მაღაზიაში (იხილეთ შეთავაზება)

ბიბლუსი
მაქსიმალური ფასდაკლება -50%
1 „ლურჯი მონეტა“ = 1 ლარი
ნებისმიერი წიგნი სერიებიდან:
•„კენგურუ“ ~~9 ლ~~ – 4,5 ლ + 5 მონეტა
•„სუნცულები“ ~~20 ლ~~ – 10 ლ + 10 მონეტა
•„დეტექტივები“ – ~~3 ლ~~ -1.5 ლ + 2 მონეტა
•„100 ფაქტი“ – ~~5 ლ~~ – 2.5 ლ+ 3 მონეტა
ტელ: 248 68 44

mirco
აფთიაქი
მაქსიმალური ფასდაკლება -50%
1 „ლურჯი მონეტა“ = 10% ფასდაკლებას
~~50 ლარი~~ 25 ლარი
მექანიკური წნევის საზომი აპარატი „FORA“
~~100 ლარი~~ 50 ლარი
ციფრული სასწორი „FORA“
მის: პეკინის №15 ტელ: 237 98 73

Safilo
სათვალეების მაღაზიათა ქსელი
მაქსიმალური ფასდაკლება -30%
1 „ლურჯი მონეტა“ = 10% ფასდაკლებას
მზის სათვალეები და ოპტიკური ჩარჩოები
მის: ჭავჭავაძის №16
ტელ: 245 13 35

ILITEK lucky choice...
მაქსიმალური ფასდაკლება -30%
1 „ლურჯი მონეტა“ = 10% ფასდაკლებას
N 161 N 7551
ფასდაკლება ვრცელდება ILITEK-ის წვენსაწურზე და აეროგრილზე
მის:თბილისი ყაზბეგის 14 ბ +995 (0790) 38 93 79
კუთაისი ჯავახიშვილის 2 +995 (592) 34 33 53
ბათუმი ნიგნაძის 4 +995 (592) 12 13 99

Röndell Professionals Recommend
მაქსიმალური ფასდაკლება -30%
1 „ლურჯი მონეტა“ = 10% ფასდაკლებას
N 360
N 111
ფასდაკლება ვრცელდება RÖNDELL-ის ტაფაზე და ქვაბებზე
მის:თბილისი ყაზბეგის 14 ბ +995 (0790) 38 93 79
კუთაისი ჯავახიშვილის 2 +995 (592) 34 33 53
ბათუმი ნიგნაძის 4 +995 (592) 12 13 99

Winx Club
მაქსიმალური ფასდაკლება -30%
1 „ლურჯი მონეტა“ = 10% ფასდაკლებას
N 7551
N 161
ფასდაკლება ვრცელდება WINX-ის აბაზანის სასწორზე და ვაფლის საცხობზე
მის:თბილისი ყაზბეგის 14 ბ +995 (0790) 38 93 79
კუთაისი ჯავახიშვილის 2 +995 (592) 34 33 53
ბათუმი ნიგნაძის 4 +995 (592) 12 13 99

VITEK
მაქსიმალური ფასდაკლება -30%
1 „ლურჯი მონეტა“ = 10% ფასდაკლებას
N 1833
N 1102
ფასდაკლება ვრცელდება VITEK-ის ჩაიდანზე და მტვერსასრუტზე
მის:თბილისი ყაზბეგის 14 ბ +995 (0790) 38 93 79
კუთაისი ჯავახიშვილის 2 +995 (592) 34 33 53
ბათუმი ნიგნაძის 4 +995 (592) 12 13 99

Maxwell
მაქსიმალური ფასდაკლება -30%
1 „ლურჯი მონეტა“ = 10% ფასდაკლებას
N 1153
N 1651
ფასდაკლება ვრცელდება Maxwell-ის ბლენდერზე და ყავის სახარშზე
მის:თბილისი ყაზბეგის 14 ბ +995 (0790) 38 93 79
კუთაისი ჯავახიშვილის 2 +995 (592) 34 33 53
ბათუმი ნიგნაძის 4 +995 (592) 12 13 99

შეკვეთები მიღება ნაღდი ფასით!

იხოვეთ „ლურჯი მონეტა“ გაზეთ „კვირის პალიტრაში“, ჟურნალ „რეიტინგში„ და 2 მონეტა გაზეთ „ყველა სიახლეში“

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 238 97 77 www.moneta.ge

ვენახის ატმის გემო

თბილისი აკვანია, სიყმაწვილის დროინდელი ყველა საიდუმლოს მცოდნე და შემნახველია. თბილისი ყველა იმ რთული პერიოდის მომსწრე და თანაზიარიცაა, რომელიც უკვე „გაზრდილს“ დახვდა ცხოვრების გზაზე... თბილისი ქალაქია, ურომლისოდაც არც უცხოვრია და არც იცხოვრებს... თბილისი შეუცვლელია გია მირზაშვილისათვის.

„ჯანაშიას ქუჩა მყუდრო, ხაბარდა და აკაცია“, „მახათა ხაკისფერი, ვერედან მოვარდნილი სიო“, „ფიქრის გორა. შუაღამე. გაძარცვული კედლები“... „შემოდგომა თბილისური ხავერდისებური“ — მის ახალ ლექსებში ახალი სიცოცხლით ცოცხლობს. გეჩვენება, რომ თბილისის სურათები ძველი ალბომის გადაშლის შემდეგ მიმოგვფანტა ოთახში. რა არ ხდება თბილისში, რა სული არ ტრიალებს ჰაერში, რა სიმძიმე არ გაქვს გულში... და მაინც... თბილისი ქალაქია, სადაც ყველაზე მსუბუქად ივლი.

ლექსებში გამომწყვდეული თბილისი

ლურჯ მონასტერსა და რუსულ ეკლესიას შორის თბილისელები დგანან, ზოგჯერ ისეთ სიტყვასაც იტყვიან, უკვე ლექსიკონების ფურცლებს იქით რომ აღარავის ახსოვს. მხატვარი ხშირად დადის ამ ეკლესიებთან, იქვე ახლოს ცხოვრობს — ქიაჩელის ქუჩაზე. ყურს მიუგდებს ყოვლისმცოდნე ბიჭებს, ხმარებიდან გადავარდნილ სიტყვებს იჭერს... მისთვის ყოველი სიტყვა ძვირფასია, რადგან თავისი ფერი და ფორმა აქვს, სწორედ ეს სიტყვები იყო, ქალაქის სახეს რომ სრულყოფდნენ...

გია მირზაშვილის სურათებიც ასეთია და ლექსებიც: უბრალოდ გაჩვენებს და გიყვება სათქმელს, ყოველგვარი აქცენტის გარეშე... აქცენტი თავად უნდა დასვა. ის მინიშნებების წინააღმდეგია, ამიტომაც არის, რომ სახლს, სადაც თავისი ცხოვრებით და შინაარსით ნამდვილი საქართველოს სახალხო მხატვარი — თენგიზ მირზაშვილი ცხოვრობდა, არანაირი მემორიალური დაფა არ აქვს. არც ასეთი აქცენტი სჭირდება მას და მის ქალაქს, სადაც ყველა სახლი ძვირფასია — ისინიც, სადაც ყველასთვის უცნობი, ხელებდაკოჟრილი თბილისელები ბინადრობდნენ და ისინიც, სადაც სახელოვანი ქალაქელები ატარებდნენ ცხოვრებას... უკვე ნახევრად ჩამონგრეული ან წვიმისგან ჩაჟამული, მოუვლელი სახლებიც კი შეუცვლელია, რადგან ეს ქალაქი ჩვენ ვართ თვითონ.

ზოგჯერ ნახევრად ხუმრობით ამბობს გია მირზაშვილი, — ეგოისტი ვარო... სწორედ მისი „ეგო“-ისტობის ბრალია, რომ საკუთარ, ეგო-ქალაქს არავის უთმობს, ვერც ერთი უცხოური მიწვევა ან საზღვრებს იქიდან გაჩენილი პერსპექტივა ვერ მოხიბლავს...

მარტო აქ შეიძლება ამის დანახვა, რომ „ტროტუარი აირეკლავს მსმელი კაცის ბედს, ნაჩუქურთმევ აივანზე გოგო სარეცხს ჰფენს, მოსახვევში შავი კატა კვლავაც მითმობს გზას, ჩავუარე ცხონებული ამხანაგის თაღს“...

ერთხანს ძველებური ფოტოპარატით დადიოდა და იღებდა თბილისის სხვადასხვა კუთხე-კუნჭულს... სხვებისთვის შეუმჩნეველს. მერე დარწმუნდა, რომ ეს ფოტოებიც კი ვერ შეინახავდნენ ბოლომდე ქალაქის სულს და ის ლექსებში გამოამწყვდია...

მხატვარი გია მირზაშვილი უკვე რამდენიმე წიგნის ავტორია. მისი ლექსები და სურათები ერთ მთლიანობას ქმნიან და ისეთ სამყაროს აქცევენ საკუთარ საზღვრებში, როგორის პოვნაც რეალურად ძალიან გაგიჭირდება კაცს. იქნებ იმიტომ, რომ შემოქმედმა, რომელიც დედაქალაქის შუაგულში გაიზარდა, კარგად იცის „ვენახის ატმის გემო“ — მამამ, თენგიზ მირზაშვილმა, შეაყვარა. იცის, რა იზიდავდა მამამისს საცალფეხო ბილიკებისაკენ, საქართველოს მთისა და ბარისაკენ. და რაც უფრო მეტად იცის ეს ყველაფერი, მით მეტად, „ეგოისტურად“ რწმუნდება — ქართული სოფლის ფესვმაგარი განცდა ყველაზე მეტად ათბილისელებს თბილისელებს... სხვანაირი თბილისელობა არ არსებობს...

ლელა ჯიყაშვილი



თარაზულად: 1. ქვეყანა აფრიკაში; 5. მადნეულის მომპოვებელი საწარმო; 8. ინდის კაკალი; 9. მხარე იმერეთში; 10. იგივეა, რაც მატადორი; 11. თურქეთის დედაქალაქი; 12. წითელყურძნიანი ვაზის ჯიში; 16. სასიმინდე; 17. იტალიის ფეხბურთის გუნდი; 18. თვითმფრინავის კიბე; 19. კვერნისებრთა ოჯახის მტაცებელი; 21. ტექნიკური კულტურა; 24. ჭურჭელი რისამე მოსახარშად; 27. ერთი ჩანაფიქრით გაერთიანებული ორი რომანი; 29. ქართული საბრძოლო მანქანა: 30. დროებითი საცხოვრებელი, სახელდახელო ნაგებობა; 31. მექსიკის დედაქალაქი; 32. ოდნავი შეხება; 33. ალვის ხე; 34. მაგიდა ეკლესიაში, რომელზედაც საღმრთო წიგნებს დებენ ლოცვისას.

შვეულად: 2. მომჭირნეობით ხარჯვა; 3. პირი, რომელიც კამათში გამოდის ვისიმე მოსაზრების საწინააღმდეგოდ; 4. მდინარე სამხრეთ ამერიკაში; 5. გამოჩენილი, დიდი პოეტი; 6. რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი ქალი; 7. ამერიკელი კინოვარსკვლავი; 13. ზრდილობიანი, თავაზიანი მამაკაცი; 14. გამადიდებელი შუშა; 15. უკიდურესი ნაციონალიზმი; 20. იგივეა, რაც ჩრდილი; 22. ქვეყანა აზიაში; 23. უგუმბათო ეკლესია; 25. რხევა; 26. სიმღერის შესრულების ტრადიციული იტალიური მანერა; 27. გველეშაპი; 28. გადაჭარბებული თავმოყვარეობა.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ვეფხვი; 6. პერუ; 7. სალონი; 8. ზეთი; 9. ბოვარი; 10. პონტიაკი; 14. კინო; 16. ანაკლია; 18. კაირო; 19. მანტია; 22. უშნო; 23. ჭუტა; 24. სპირტი; 26. ცვილი; 27. უგუნური; 31. ბუღა; 33. ბუცეფალი; 34. შეკელი; 35. ნუგა; 36. ღუღუნი; 37. ნამი; 38. ოაზისი.

შვეულად: 1. ვასაბი; 2. ფალავანი; 3. ვენერა; 4. ბესელია; 5. სულიკო; 10. პანკრეასი; 11. ნაწიბური; 12. ირაო; 13. კია; 15. ფია; 17. ბახტრიონი; 19. მაჯა; 20. ტრავიატა; 21. პონი; 25. ტაო; 26. ციხე; 28. გაბედული; 29. ულუ; 30. აღდგომა; 31. ბანანი; 32. კეხურა; 33. ბილიკი.

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი

2 19 60 13; 2 19 60 53

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი
გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები:
ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი;
პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია გორდელაძე
სარედაქციო კოლეგია

მის.: იოსებიძის ქ. №49
ტელ.: რედაქცია: 238-98-88
რეკლამა: 237-78-07
ფაქსი: 238-98-88

contact@kvirispalitra.ge
www.kvirispalitra.ge
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„ქვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

ISSN 1987 - 5002